

644/
1972/4

ՀԱՅԿԵՆԻ
ԵՆՏՐՈՒՄ

Կարգ

8

1972



ტესტი

182

გამოცემის მეთქვესება წელი

8

აგვისგო

1972

თბილისი

საქ. კვ ცვ-ის გამოცემა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

12214

უინეკარსი

— 50 —

თავისუფალ ერთა მკლე კავშირი ქმური აზიზბანიჰანელი კოეტივი

3. ბაითირ ვაჰაზაჰადი. რასულ რუჰ. მამედ რაჰიმთ
ნიზარ რაჰიმბაილი. ნაზი ზაჰრი. ლექსები. აზერბაი-
ჯანულიდან თარგმნა ლეილა ერამე

დაღესტანი

5. ალი ისაჰვ-ავარსკი. ლექსები. თარგმნა ანზორ ხა-
ლუქვაძემ
103. ანტონ ლეჟავა. ქართული და ჩრდილო კავკა-
სიის ხალხების რევოლუციური თანამებრძობა
საბოტაჟი ხელისუფლების განმტკიცებისათვის.
გრძელაჟი

პროზა, კოეზია

7. გორის ჩხიძე. მუხითელი მსტატები. მოთხრობა
22. ალიკო შინგალია. ლექსები
25. გივი მალუღარია. მთავრობანი. ისტორიული მოთხ-
რობა
61. ღავით მთაწკრი. ლექსები
63. ჯულიტა მილდინი. ლექსები
64. ილია რუჰა. ფიქციური მოთხრობები
75. შოთა აბაშული. გულანის ჯვარის ნაქმევი. მოთხ-
რობა

ასფურცელას რეული

83. ნოდარ შამანაძე. ლექსები
84. ზურაბ კუხიანიძე. მოთხრობები

ახალი თარგმანები

89. კომედიანი. ილიადა. ძეგ I. ძველბერძნულიდან თარ-
გმნა ზვიად გამსახურდიამ

წერილები

114. რევაზ მთავრეაძე. მწიგნობრის უპირველესი თეო-
ლოგია
127. თამაზ წიგნიძე. პირველი სინარქული, პირველი
წყანა
130. შოთა ბაღრიძე. შინეგნები კრეტოსკატარისა
და აჰუბატოსის ეპსტათი გორილას ანდერძი
141. შალვა ხიდაშელი. რუსთაველის ფილოსოფიური
წყაროს საპითხისათვის
152. ამთაფილი ტიგაძე. უთმეალოგით დაჰავადების

რეკლიკა

157. ვახტანგ პაიყიძე. სიტყვის უგრძობლობა
159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი გავაშვილი,
გურამ გვარდნილი,
მერაბ ელიოზიშვილი,
ქარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლომთაძეშანიძე,
ოტია პაპორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულუბსკიანი,
ბარბილ ზანდური,
ხარბი შილაძე,
თამაზ შილაძე,
ლავა ჯანაშია.

თხვისუფალო ერთუ ეკლე ქეფეირი ქეური

ახეჩბიჩანელი აოხეჩი

ბაკთიარ ვეკეხეაღე

მსოფლიოს რუქასთან

მსოფლიოს რუქაზე ფერების სიმუქეა,
რას იზამთ?
მსოფლიო დაუნაკუწებიათ,
ზოგან სიცილია,
ზოგან სიმწარეა,
და მაინც ყველგან
ქვიშნარი ყვითელია,
და ტყე კი მწვანეა.

მეფეებს მსოფლიო
სულ ნაჭერ-ნაჭერ დაუყვიათ,
ვინ იცის,
რამდენჯერ სამეფო დროშები
ლაფში ამოსვრილა და
იქვე შთენილა,
მაგრამ მსოფლიო კი
მართლაც გასაოცრად
ისევ იმ ზომის დარჩენილა.

ჩასურ ჩხე

ქოხთა საუბარი

შეიკრიბნენ ოთხნი:
იმედი,
ეჭვი,
ნაღველი
და
მე.
შუალამეა.
წვიმს.
ქარი ქრის.

იმედი ამბობს:
წვიმა გალაილებს,
ქარი ჩადგება,
ნისლი გაიცრიცება,
დილა გათენდება,
ოქროსფერი მზე ამოცურდება.
ეჭვი ამბობს:
მერე როდის?
მერე როდის?

წვიმას იქნებ თოვლი მოჰყვეს,
ქარს — ქარიშხალი,
იქნებ დამე გაგრძელდეს...

ნალველი ამბობს:

წვიმა თუ გადაიღებს,
ქარი თუ ჩადგება,
დილა თუ გათენდება
და არემარე დამშვიდდება,
ჩემში მაინც იბობოქრებს
შინაგანი ხმა,
რომელსაც ვერაფერი
დააწყნარებს.

იმედს ეჭვი უღობავს გზას,
ეჭვს ნალველი უსწრებს

და ყველას ცალკ-ცალკე
ვუსმენ მე —

იმედს,
ეჭვს
და ნალველს.
ვუსცი დილას.
დაე, ოქროსფერი მზე ამობრწყინდეს
არ ვკითხულობ:

მერე როდის?
მერე როდის?
ჩემად ყურს ვუგდებ...
ილაპარაკე,
მელაპარაკე,
ჩემო იმედო!

მამარ ჩაქიბი

მიტოვებული წისქვილი

მიტოვებული წისქვილის
ქვა რომ ტრიალებს ობლად,
აღარ სჭირდება საბრალო
ახლა არავის სოფლად.

წყალი აბრუნებს ბორბალს და
მიედინება თავეჭვე,
ბორბალი ისევ ჭრიალებს,
თითქოს ბევრი აქვს საქმე.

ეკ, როცა დრონი მეფობდნენ,
წისქვილს მუშტარი ჰყავდა,
საფეკავი ბლომად მოჰქონდათ,
რიგები იდგა კართან.

ზამთრის სუსხიან დღეებში,
ზამთრის გათოშილ ღამეს
სოფელში ყინვა ახელდა
თავის მოსარკულ თვალებს.

ჰველა შინ იჯდა, ცხვირსაც კი
ვეღარ გაჰყოფდი კარში,
იყინებოდა მდინარე,
წისქვილიც იდგა მაშინ.

ხალხს ელვოდა დაფქული,
ნატრობდა დარებს მზინას,
დაბრუნდებოდა ბორბალი
მაინც ადრე თუ გვიან.

დღეს ვილას ახსოვს წისქვილი,
მიტოვებული ობლად,
აღარ სჭირდება საბრალო
ახლა არავის სოფლად.

...ბალახი მეფობს წისქვილთან
და სოფლის ფართო გზაზე
სულ მანქანები დაქპრიან
ფქვილის ტომრებით სავსე.

ელექტრო შუქით ჩახჩახებს
სოფელში ეზო-ყურე,
თუ შენი თვალით არ ნახე,
არ დაუჯერებ ყურებს.

მიტოვებული წისქვილის
ქვა მაინც ბრუნავს ხშირად,
მაგრამ წისქვილზე საფეკავად
აწ აღარავინ მივა.

კ ე თ ი ლ ი კ ა ტ ი

მე შენს მოსვლაზე დავეკრავდი ბუკს და ნალარას,
მე შენს მოსვლაზე ავანთებდი ათას ჩირაღდანს,
შენმა ლოდინმა გული ჩემი ერთობ დაღალა,
მე შენს მოსვლაზე ავანთებდი ათას ჩირაღდანს!

მე შენი მოსვლა მირჩევნია ლხინს და ბაირამს,
შენთან შეხვედრა უფრო დიდი ბაირამია,
მე შენს მოსვლაზე დავეკრავდი თარს და დაირას,
შენთან შეხვედრა უფრო დიდი ბაირამია.

შენი ნახვისას გულში მწვანე გაზაფხულია,
კეთილო კაცო, შენი ხილვა ასე მახარებს,
შეგხვდები, დარდი მეცრიცება გულში სრულიად,
სიკეთით საესე კაცის ხილვა ასე მახარებს!

ნაბი ხაზრი

პოეზია და სიყვარული

მე არწივი ვარ, მწვერვალისკენ ვისწრაფვი გზნებით
პოეზია და სიყვარული ჩემს ორ ფრთას ნიშნავს.
თუ ცალ ფრთას მომტეხს დაკლაკნილი, უვალი გზები,
მე ველარ შევძლებ მწვერვალთან მისვლას!

აზარბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა არაქიშ.

ღ ე ლ ე ს ტ ა ნ ი

ალი ისაევ-აჰმადი

- მთიელო კაცო, გამომხედე, გამიღე კარი,
მინდა ვიგემო მასპინძლობის შენის უნარი!
- მობრძანდი, ძმაო, ღვთისააო მთაში სტუმარი,
დახვედრა მისი ყველა ხუნძის წმიდაა ვალი.

გაჩაღდა ლხინი

არეს ატკბობს სიმღერა ამო,
ორი მეგობრის გულითადი შეხვედრის გამო.
მოყვრობა მათი ნათელსა ჰფენს თვით უკუნ ღამეს
და სახლის ჭერიც აიწიოს ზეცამდე ღამის!
მიწაც ცად აღის და მკერდს თვისას ლურჯ ტატნობს აკრავს,
ჩანს ოქროს ვერძი და ღვთიური ფრინველი ანკა!

— ახლა ხომ ნახე ჩვენი წესი სტუმართმოყვრობის,
უგულწრფელესი მეგობრობის, ძმობა—ერთობის...
...ეს სიახლოვე გზნებას მმატებს, მანთებს და მგონი
მშვიერ-მწყურვალეც თავს მხნედ ვერძნობდე მეგობართ შორის!

ნ ა ვ ს ა ყ უ ღ ე ლ ი

ღღენი ყრმობისა, სიჭაბუკის მშფოთვარე ხანა,
ჟამი წარსული და ჟამი აწმყო...
სად არ ვიარე,
სად არ ვეგნე,
სად არ ვეწამე,
მაგრამ დაღლილი გზად არავის არ ვუნახივარ!

წარსულო ჩემო, ხეტილო მიუსაფარო,
მთებო, ველებო, ბილიკებო სავალო ძნელად,
სულ მოვიარე ეს ქვეყანა და აი, ბოლოს,
მიწავ ქართულო, შენს კურთხეულს შევეხე კალთას!

შევეხე და ჰა, კვლავ საგულეს ჩადგა ეს გული —
დამშვიდდა, ჰპოვა მან თავისი ნავსაყუდელი!

ახლა კი ვუმზერ ფიქრთა ჩემთა ხორცშესხმას ცხადად,
ვეჩურჩულები გულსა ჩემსა და ფრთხილად ვამბობ:
კვლავ რა გსურს, გულო, რაღას ითხოვ ჩემგან ამჯერად?
არც აღარაფერს, აქ ყოფნას და სულ აქ დარჩენას...
ვპოვე საყდარი შესადარი სულისა ჩემის.

...და განმერიდა მეც ყოველი აწ სატკივარი,
ამგვარი სითბო, სათნოება სხვაგან სად არი?

თარგმან ანტონ სალუშვაძემ.



მუხითელი ოსტატები

მწერალ ბოჩის ჩხიძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. უფრ-
ნალი „ცისკარი“ ულოცავს მწერალს ამ თარიღს და შემოქმედებით
წარმატებას უსურვებს.

დიდი თოვლით შეკრული გზებიც ვერ
შინელებენ მოგზაურობის სიყვარულს.
ზასიათის ასეთმა აჩემებამ, ათას ცხრაას
სამოცდა თერთმეტი წლის ზამთრის სა-
მიოდე დღით მუხითში მომხვედრა. ამ
სოფლის შეგნიადგვიანი სახნავეები, სარ-
წყავიანი ბაღები, საკმაოდ დიდი მუხნა-
რის კორომი, მეცხრამეტე საუკუნის და-
მდევს არდი ამილახვრის კუთვნილი მა-
მპაპეული, სურამის ქედის აღმოსავ-
ლეთ კალთიდან ეგებებიან დღესა და
ღამეს.

რეგოლუციამდე და მას შემდეგაც მუ-
ხითელები პურის, ღვინის, ხილეულის
უხვად მოწვევით იწონებდნენ თავს
მთელ ზემო ქართლში. ახლა რამ-
დენიმე წელიწადია, ყოფილ გლე-
ხებს იქ მექანიზმებით ჭარბად აღ-
ჭურვილი რთული მეურნეობა გაუ-
ჩაღებიათ. ნეტავი რა სასოფლო-სა-
მეურნეო მანქანა იარაღი არ მოეპოვე-
ბათ ყაზარმის ტოლა საყუდებში. მათ
ახლოს, სულ ორიოდ ნაბიჯზე, მდინა-
რის და საბალახოების შუაში, მჭკრივად
ჩამდგარან მექანიზებული რა სათქმე-
ლია, საქონლის, ფრინველის მოსაშენე-
ბელი ავტომატიზირებული ვეება ფერ-
მები, სადაც სოფლის მოსახლეთა სახლ-
კარისა არ იყოს, ელექტრონის, ნათუ-
რები ბრდღვიალებენ.

სამივლინებო ბარათი ცოტაოდნად კი

არ დამეხმარა გავცნობოდი იმ სოფლის
საუცხოო შენობებს და მათ მეპატრონე
მეურნეებს. სამი დამე კულტურის სახ-
ლის გვერდით წამოჭიმულ ოთხსართუ-
ლიან, ქალაქურად მოწყობილ-მორთულ
სასტუმროში გავათიე. კულტურის სახ-
ლის და სასტუმროს შენობები მოსახ-
ლეობას ოდნავ მოცილებულ შემადლე-
ბაზე წამოდგმულ საყდარსა და სასა-
ფლაოდან ბეითალმანი (ცარიელ ადგი-
ლით) გამიჯნულიყვნენ.

სამი დღის მანძილზე, რა ვადითაც ვი-
ყავი მივლინებული, შევეცქეროდი ორი-
ვე შენობის მიმზიდველ აღნაგობას. ბა-
ლავრები რკინა-ბეტონის ძირნაგებს
ეყრდნობიან. ყველაზე საამო და საოცა-
რი სანახავია მათი ცოკოლები. მაღლი-
ნი ხელის პატრონ ოსტატს ისინი, ცო-
კოლები, როგორც ერთმა პატარა ბიჭუ-
ნამ მითხრა, წინაპირმოუკლდავი თეთრი,
ცარცოვანი ქვით შეუშოსია თითქმის
უსასყიდლოდ. კარგად აგებული ქვით-
კირი, ძვირფასად პირმორთული ნაგე-
ბობები, ჩვენში ბევრზე ბევრია. ოღონ-
დაც სულ სხვა სანახავი, იშვიათობაა
მუხითის იმ ორი სახლის ცოკოლები.
დაგაფიქრებთ, ალგაფრთოვანებთ ქვის
ბელიშების (ბუტის) გათლისა, ფორმისა
და კედელში, შენობის სხეულში ჩატა-
ნების ჩვენებური, ქართული ხელოვნე-
ბა, რასაც თუ მსურველი თვითონ, უშუა-

ლოდ, მისი თვლით არ იხილავს, მას მოყოლით, თხრობით, ფოტოთი, ფუნჯით ნახატით, ძნელად წარმოიდგენს.

— აგრე მონდომებით ეგ ბელიშები, ვინ გამოკოდა, მერე ცოკოლებში ვინ ჩააშენა? — შევეკითხე თორმეტიოდე წლის ბიჭუნას, კვიცებს რომ დასდევდა ბეთალმანზე.

— პაპა ლასხის ხელობაა! — იყო პასუხი.

— ლასხი... უცნაური სახელია. ახლა, სად არის?

— აღარსად აღარ არის.

— რა იქნა?

— ვხამართალს წავიდა. აი, იქ, ფშატის სწორა მარხია. მომიგო კვლავ ბიჭუნამ. ხელი გაიშვირა ზემოთ. ბეჭობზე შერჩენილი ფშატის ეული ხე დამანახვა. მალე ბიჭუნამ ისინიც ჩამოთვალა, ვინაც ლასხისაგან ნასწავლი „ქვის კოდვა“ იკოდნენ მუხითში. იკოდნენ და ქალაქებში გადასახლებულიყვნენ, იქ ბევრი ფული იშოვებოდა.

ბიჭუნასთან გასაუბრების მეორე დღით, კვირას, დილით, სოფლიდან შინ, თბილისში გამგზავრება მელოდა. განთიადზე კიდევ ჩავაწყე ჩანთა. ნასაუზმევზე გავემზადე პასპორტის მისაღებად... ამ დროს უეცრად ოთახში შემოიჭრა საუბიდაოდ დაკრული დოღ-ზურნის აღმანთებელი ხმა. ამას ზედ მოჰყვა მუხითელების მხიარული ვადაძახილ-გადმოძახილები. მოსახლეები ბეთალმანი-საკენ ზღაზენით კი არ მოდიოდნენ, რაც შეეძლოთ მობრუნდნენ, ნიავეით მოჰქროდნენ. აბა, რაღა ძალა წამიყვანდა თბილისისაკენ სასტუმროს წინ გრძლად ვახირულ ავტობუსით, ან ოთახში რაღა გამაჩერებდა.

სამგზავრო ბილეთი მივიხი-მოვიხიე. ვა-ესწიე იქით, საიდანაც დოღზურნის გულისშემძვრელი საჭიდაოს ჰანგ-ძახილი და მუხითელების აღტაცებული, სიხარულით მთვრალი ხმაური მესმოდა.

შორიდანვე შევნიშნე რა სურათიც იყო ბეთალმანზე. სოფლის ყოველგვარ გასართობის გამომგონ „ცლანგ“ ბიჭებს, კალოსებრ რველად შემოხაზულ

მიწაზე, ნახერხი დაეყარათ. ხის ამ ჩოხ-ჩოხზე, ნოხზე რბილი რომ არის, ყველანებს ერთმანეთისათვის უკვე ჩაველოთ ხელები. ვაეკაცებს გაეჩაღებინათ გულის ისე მახარობელი, მარად სანახავად მოუწყინარო წამოკიდება, შუაკაური, მხარ-ილითერი, კვანტი, სარმა, ბევრი სხვა ილეთებიც. აბა ამ სანახაობის შემდეგ, თუნდაც ასეთი გასართობი ერთი კვირით ვაგრძელებულყო, თავი ვის გაახსენდებოდა. ამიტომაც ზამთრის ისედაც მოკლე დღის ნათელი შეუმჩნევლად მიილულა. ნაამები მყურებლები, დეკემბრის უღონო მზის ჩასვლის წინ, ორღობებში დაიფანტნენ. მე კი, უნახავი არადფრი დამრჩენ-მეთქი, სინათლის მიწურულზე, მუხითის საყდარს და ლასხის განსასვენებელ ფშატის ძირს მოვამუშე შემაღლებაზე. მაღლობიდან თავით-ბოლომდე ჩანდა სოფელი და მთელი მისი მეურნეობა. მივუახლოვდი თუ არა სახურავჩანგრეულ საყდრის შესასვლელ კარს შემკრთალივით შევდექი. მოულოდნელად შედგომის მიზეზი გახდა თემის ხეობის ლურჯი ქვიდან გამოთლილი, ქოთნის სარქველის ტოლა, ბრტყელი, გარშემო შემოსხიული ქვა. ეს ქვა საქმაოდ მაღლა დაეტანებიათ კედელზე. შორიდან ადვილად მოჩანდა ქართული მხედრული იშვიათი ხელოვნებით შესრულებული წარწერა. რაღა თქმა უნდა, შევეცადე ამომეკითხა. და აი, რას გვეუბნებოდა წარწერის დასაწყისი ფრაზა:

„სახლი ესე უფლისა „ჩყნგ“. წელსა შევეკეთეთ ღვთის მონებმა იაგორა შატ-ბერაშვილმა და სამება მადრაძემო.“ ამას მოსდევდა შენდობა მიბოძეთო.

ქვით შემონახული, არცთუ მაინცდამაინც ძველი ცნობის ამყოთხებით ნახულ კმაყოფილებას ჯერ არ ვაველო, რომ იქვე, საყდრის უკვე შერყეულ საძირკველთან, წარწერაზე არანაკლები ყურადღება მიიპყრო საუცხოოდ მოვლილმა საოჯახო სამარხმა, განსასვენებელში ასიოდე წლის განმავლობაში თორმეტიოდე სამარე ჩამწკრივებულიყო. ყოველ გარდაცვლილთაგანს, ახალ-



ციხური ხელობით ქართულად მოხუ-
ქურთმებული ქვა ედო, მათგან ყველა-
ზე ნაადრად ამ ქვეყნიდან განდგომილ-
განშორებულს, გულის ფიცრის სწორა,
მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი ლა-
თინურ-ქართული ბილინგვისებური ეპი-
ტაფია მოუჩანდა.

უცხოურმა, ანტიურ ენის ასოებმა ერ-
თი ათასად გამიხილეს ცნობისმოყვარე-
ობა. რატომღაც მომეჩვენა, ლათინურს
და ფშატის ძირას მიძინებულ მუხითელ
ოსტატ ლასხის ერთმანეთთან ძალიან
დამორებული ურთიერთობა მაინც აქვთ
თორემ ლათინური ასოებიანი ეპიტაფია
იმ სოფელში, იმ უმნიშვნელო საყდრის
ხატის კარზე, რომლებსაც ვახუშტი ბა-
ტონიშვილიც კი არ იხსენიებს თუნ-
დაც ვაკვრით? საიდან სადაო! ახლა
დრო ძვირად მიღირდა, მეკოკიშვილსა,
კარტოზიას, ბალავაძეს, ყველა ძველსა
და ახალ მოჭიდავეებს, ერთად რომ ებრ-
ძოლათ ბეითალმანზე, იქით აღარც მი-
ვიხედებდი. ეპიტაფიის ამოკითხვაში
მოვიხმარე მუხითის აფთიაქარი, ხანში
შესული ქალი. მისი დახმარებით მივა-
გენი სამარხის პატრონებიც.

მეპატიოს გაბედულება და ამ მოთ-
ხრობით, იმ ლათინურ ასოებით შესრუ-
ლებული ეპიტაფიიდან ქვის ქვეშ გან-
სვენებულის ამბავს ვაფუზიარებ მკით-
ხველს ისე, რომ ზოგიერთი პიროვნე-
ბისა და ადგილის სახელს ვცვლი.

II

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი
წლები იდგა. პოლონეთის ქალაქ კრაკო-
ვის საგარეუბნო სახლის მანსარდაში
სულს ტანჯვით ლევდა ოთხმოც წელი-
წადს გადაცილებული იანინა ვალიშე-
სკაია. მას დიდხანაია პანობით აღარავინ
იხსენიებდა. ბევრი საღამოსაც უკავებდა.
აბა, ვის რად ესაჭიროებოდა ხნოვანები-
საგან და სნეულებით მიღებული, დამა-
ხინჯებული უსახსრო დედაკაცი. იანინას
ბინის კარს მეზობლები, ნათესავები, ნა-
ცნობები შორით უვლიდნენ გარს. დიდ
ქალაქ კრაკოვში ადვილად არავინ მო-
იძებნებოდა ისეთი გაბედული მოქალა-

ქე, რომელიც პოლონეთის აჯანყების
ერთ-ერთი მეთაურის კაზიმირ ვაშკა-
შევსკის დედას, სხვა, უცხო თვალის
მოწმობით, დაელაპარაკებოდა.

ასეთი ბედი ერგუნებია „უფალს“
ოდესღაც გამაგიჟებელი თვალწარბის,
ტანადობის, კლემამოსილების პატრონ,
განსწავლულ იანინასათვის. თუმცა, რო-
გორც ნათქვამია, ღმერთს სულ არ გაე-
წირა ბედისაგან გამეტებული ბებერი.

იანინა თავს სულ უბედურად არ
გრძნობდა. დედაბერი არც კალმით აუ-
წერელ სიღარიბეს უჩიოდა. მერე რა,
რომ ხშირად საჭმელი და ტანსაცმელი
სანატრელად გადაქცეოდა.

მისი გულგაუტეხლობის მიზეზი ერთი
ოქრო იყო. ეს ძვირფასეული, საფლავ-
ში მომზირალ ბებერ ქალს, თავის
მღელვარე ახალგაზრდობის მშვენიერი
ქალის სიცოცხლის და მთელი ცხოვრე-
ბიდან ხალასად შემორჩენოდა. ოქროს,
ძვირფასეულს, სახელად ვლადისლავი
ერქვა. ვლადისლავი იანინას ალალი
შვილს, კაზიმირის უმცროსი ვა-
ჟი, მამასავით სამშობლოსათვის თავ-
განწირულ ვაჟაკად ეგულებოდა სა-
მარისაგან პირმიქვეულ ქალს.

დიდელის თვალის სინათლე, ვლადი-
სლავ ვალიშევსკი კრაკოვის უნივერსი-
ტეტში დაიარებოდა. სახუროთმოძღვრო
ფაქულტეტზე თავისუფლად უსმენდა
ლექციებს. თავს იმით ირჩენდა, რომ
უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ქი-
მიკოსებთან სინჯარებს რეცხავდა, პრო-
ფესორებს ქიმიურ და ფიზიკურ ცდებს
უმზადებდა, ხუროთმოძღვრებთან კი,
მოდლები სახელოსნოში, მაკეტებს
აწებებდა, ხერხავდა, აშლაშინებდა და
ყველა ამ სამუშაოში თავის გასატან
ხურდას შოულობდა.

ყმაწვილს ამ გზებით და საშუალებე-
ბით დიდი სურვილი ჰქონდა ინჟინერი
გამოსულიყო. ეს რომ ასე მოხდებოდა,
ნამდვილად გამოვიდოდა ინჟინერი,
ვლადისლავის გარდა, კრაკოველ მია-

აორის ჩხიმიძე
მუხითელი მსახურები



ნაცნობებს პირმეკრულად წამდათ. უნივერსიტეტშიც ყველა ერთბაშად შენიშნავდა: ამ თავისუფლად მსმენელმა ნამდვილ სტუდენტებსა და მათ მასწავლებელ პროფესორებზე თუ მეტი არა, ნაკლები არაფერი იცისო.

ასე იყო აწყობილი დიდებისა და შეილიშვილის ცხოვრება. ბებერი ქალი სამარეს უახლოვდებოდა, შეილიშვილი დღითი-დღე ვაჟკაცდებოდა.

სწორედ ამ დროს უბედურებამ კვლავ შეიხედა ბებერ და ახალგაზრდა ვლიშვესკების სახლში. ჯერ იყო და უნივერსიტეტის მოღვაწე, დიდება იანიანს ალალი ძმა, ლეშჩინსკი უეცრად გარდაიცვალა. ამის „ფეხდაფეხ“ ვლადისლავს პოლიციელებმა სამშობლოში გამოჩენაც კი აუკრძალეს. რამდენჯერმე გააფრთხილეს პოლონეთიდან წადი, სულ გაქრი, თორემ ციხეში ამოგალბობთო.

— ჰა, დიდება, რაღა ვქნა, თავი რა წყალს მივცე? — შეეკითხა ვლადისლავი დავრდომილ იანიანს.

— ნუთუ მართლა მთელ პოლონეთში გაქვს აკრძალული ცხოვრება? — იკითხა ბებერმა.

— არც მეტი, არც ნაკლები! — იყო პასუხი.

— თუ აგრეა, განა სულ ერთი არ არის, სად იცხოვრებ? — ახლა მწარედ ამოიკენესა მოხუცმა ქალმა.

— აგრე ჩანს.

— ერთი მითხარი, რას აპირებ? — უკვე დაქინებით შეეკითხა დიდება შეილიშვილს.

— ვერმანიას გადავქრი, საფრანგეთში გადავალ. შეიძლება სამხრეთ ამერიკისკენაც მივცე თავი.

— და ჩემი კაზიმირით უგზო-უკვლოდ დამეკარგო?

იანიანს შეილი და ვლადისლავის მამა, ბევრი წელიწადი იყო, გადაეკარგათ პოლონეთის განთავისუფლებისათვის მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

— განა არა სჯობია მამა მონახო და ორთავენი გადარჩეთ? — ურჩია ბოლოს დიდებამ შეილიშვილს.

— მამა, სად და როგორ მოვძებნო?

ისიც არავე იცის, საით გაუყენეს გზას! იქნება პირველად შემოხვედრის შემთხვევაშიც გადაადგეს გულგანგმირული.

— პანი იაბლონსკაია ამბობს, კაზიმირი თურმე იმ ქვეყანაში გადაუსახლებიათ, რომელსაც ფრანგები „უორჟიეს“ ეძახიან.

— იაბლონსკაია ენაგარეცხილი დედაკაცია, ქვეწარმავალივით არ დამენახებია. — შეაწყვეტია შეილიშვილმა.

— გეთი რა დაგიშავა! — განცვიფრდა დიდება.

— ორიოდ დღის წინათ უნივერსიტეტის ტალანში შემხვდა. ავლებით — მეკითხება: დედაშენის ვანდას ამბავი რა იცითო. დედაჩემი კი არა მამიდაჩემი-მეთქი — ვეუბნები: ის კი... იღმიქება. თან კბილებიდან სცრის, „ნეტარ არიან მორწმუნენიო“.

— მაგაში ვასაოცარი ან საწყენი არა არს რა. მამიდაშენმა, ვანდამ, დიახ, მცირე ხნით დედისებრ მოგაიარა. — იანიანამ ამას კინალამ უნებურად დაუმატა: კიდეც გშობაო. მაგრამ ძლივს თავი სწრაფად შეიკავა. სიმართლე არ გაემხილოვო პირმიბრუნებულად თითქმის უბრძანა ახალგაზრდა კაცს: — შენ ყური მხოლოდ მე მივდე!

ამ სიტყვების შემდეგ დედაბერმა თავი კარგახნით ჩაჰკიდა. გულსა და გუნებაში ცეცხლი შემოენთო. აი, რა დღეს მოესწრო. იაბლონსკაიამ მართალი უნდა რომოს, იანიანამ კი იცრულოს. დიახ, ვლადისლავი კანადაში გახვეწილ ვანდას ქორწინების გარეშე გაჩენილი ვაჟია. მაგრამ ეს აკი არავე იცოდა. მამს საიდან გაეცონა საიდუმლომ?

— აბა, იაბლონსკაიას ვინ უთხრა ახლა მამაჩემი კაზიმირი, სად არის? — მიანც იკითხა ბოლოს ვლადისლავმა.

— დიდი მოხერხებული ვინმეა პანი იაბლონსკაია. ეგ მას უორჟიელ ოფიცერ ორბელიანოვსკისაგან გაუგია. ქალი იმ ოფიცრის გულითადი ნაცნობი ყოფილა, ამბობენ საყვარელიცაო. ჰოდა მოვიდა და მეუბნება: ნუ გეშინია, იანიანა. შენი კაზიმირი იქ სამხრეთში არის „მეტეტეჩკო“ ჩუმათელეთში. არის და მიწერ-მო-

წერის ნება, სამშობლოსთან კავშირის
დაწყარების უფლება, აკრძალული
აქვსო. „უორჯიები“ — დაუმატა თავისი
სხვისას ბებერმა, — ყველა ამბობს,
ქრისტიანები და ჩვენებურებივით ვაყ-
კაცები ყოფილან.

აქ იანინას ის გაახსენდა, რაც მთლად
დაფრეხული ეგონა. ვლადისლავის ნამ-
დვილი მამა ორბელიანოვსკის თვისტო-
ში იყო. სამხრეთელი უცხოელები ნათე-
საგებივითაც გავდნენ ერთმანერთს. და
იანინას კვლავ შემოეკიდა სხეულზე ცე-
ცხლი. თითქოს მიაკვლია წყაროს, საი-
დანაც უნდა გაეყონა საიდუმლოებას. ეს
წყარო ორბელიანოვსკი უნდა ყოფილი-
ყო. უთუოდ მას გამოუტყდა ვანდა, ან
იმიხივე თვისტოში.

— კიდევ რაღა? — სულ სმენად იქ-
ცა ვლადისლავი.

— ნამდვილად იქ, მესტეჩკო ჩუმა-
თელეთში ყოფილა მამაშენი კაზიმირი.
ჩემი შვილის სახელ-გვარი პანი იაბლონ-
სკიაიმ ღვთისმშობლის ხატის წინ ფი-
ციოთ ამოიკითხა ქაღალდიდან. გადასახ-
ლებულთა სია ორბელიანოვსკის მისი
სამშობლოდან, სანდო კაცების გზით,
მეტისმეტად საიდუმლოდ მიუღია. ეპ,
საყვარელი ქალისათვის ვაქცავი რას არ
იხამს! — ამოიხენეშა ბებერმა. — ამას
ისიც დასძინა იაბლონსკიაიმ, რომ ორ-
ბელიანოვსკის ქვეყანასაც პოლონეთი-
ვით ყოველმხრივ მოშურნეები ყოლია
შემოკრული. ზოგი მათგანი თურმე შე-
უბრალებელი მამამდიანები და უფრო
უარესებიც ყოფილანო.

— მაშ, დიდდა, გამიწევია იმ შო-
რეულ ქვეყანაში, მაგრამ... — ვლადი-
სლავს ენა დაება.

— უკან რა გეწევა! — გაჭავრდა იანი-
ნა.

— შენ ვინღა ვიპატრონებს?
— მაგას ნუ დარდობ. ოღონდაც მამა-
შენი ნახე. ერთმანეთს მხარში ამოუდღე-
ქით. ჩემი დარდი სულაც ნუ გეჭნება.
მერე იქნება რამე შეიცვალოს, ღვთის-
მშობლის შემწეობით ორთავემ მოალ-
წიოთ სამშობლოში, მე კი... — დედა-
ბერმა ხელი ჩაიჭნია.

— უჩემოდ რომ გაგიჭირდეს რაიმე
დიდდა?

— გამიჭირდეს! ვითომ რა მოხდება!
მოვეკვლები? აღამიანს ეგეც სწერებია.
რაკი ასეა, მკვლარს უსამაროდ არავინ
დამაგდებს.

აქ დედაბერმა სასთუმალს ქვემო-
დან ოთხსაგ ყურეში დალუქული კონ-
ვერტი გამოაძრო, შვილიშვილს გადასცა
და დაარია: — შემომფიცე, ამას მაშინ
გახსნი, როცა კაზიმირს ცოცხალს ან
მკვლარს მიაგნებ.

შვილიშვილმა დიდდას ფიცი მაშინ-
ვე მისცა. დალუქული კონვერტი კი ქე-
ჩის ქულის ყალამში ჩაიღო შიგნიდან.

III

დიდდასთან განდობის უმაღ ვლა-
დისლავი სამგზავრო სამზადისს შეუდ-
გა-კრავოვის უნივერსიტეტიდან კუ-
თვნილი მოწმობა აიღო. დაუყოვნებლივ
გაუღდა გზას შორეული საქართველოსა-
კენ. სიხარულით მიდიოდა სამხრეთში.
იქ აკი მამა ეგულეზობდა. ერთ კვირაში
გალიციაზე გავლით დასავლეთ უკრაინა-
ში გადავიდა. იქიდან კავკასიონს მიადგა
ჩრდილო კალთებზე. რომელღაცა
უღელტეხილით სულ მალე რაჭაში მო-
ექცა. გლოლა პირველი სოფელი იყო
საქართველოში, სადაც მან ფეხი შესდგა
ქართულ მიწაზე და იქ, ერთი დღით
მუხლებს ქარი ამოალღებია.

გზად მთების მეტს არაფერს გაუოცე-
ბია. გეოგრაფია კარგად იცოდა, ის კი
ვერ წარმოედგინა თუ ასე მაღალი იყო
ამირანის საბრძანებელი, თუ ასე გრძე-
ლი იყო უღიდეს მწვერვალებით ხში-
რად დაკბილული კავკასიონის მთაგრე-
ხილი. კრავოვში დაბრუნება მოენატრა.
უნდოდა მოეყოლა დიდდა იანინას-
ათვის, გზად რაც გადახდა და იხილა.

შინ დაბრუნება შეუძლებელი იყო.
რაკიდან ქართლისაკენ აიღო გეზი.

ერთ შემოდგომის დღეს გლუხ ღურ-
გლებს აედევნა, რომლებიც თბილისში

გორის ჩხიძია
მუხითელი მსტაბაი



სამოვარზე მიდიოდნენ. ჩუმათელეთი კი საღდაც გორთან უნდა მოეძებნა.

კეთილი ქართველი ხელოსნები, რაჭველები ლორსა და ნაღვერდალში გამოცხვარ ქვავის პურს არ აკლებდნენ. მკაფიო ბლომად აჭამეს სტუმრებს. ქართულ ღვინოსაც იქ, გლოლსა და გზაში — ქართლისაყენ, გაუგო პირველად გემო ვლადისლავე.

ნაქერალის გადაღახვისას, სანამ მგზავრები საჩხერეში შექმერით მოვიდოდნენ, ცოტათდენი სიხარულიც ელოდა უცხო გზაზე ევროპელს. საჩხერელი წერეთლების „ძვალთ-შასალაგელმა“ ჯრუჭელმა ბერებმა ლათინური და ბერძნული წასაკითხავად ზოგმა ქართულ მხედრულზე უკეთ იცოდა. წვეროსანმა წმინდანებმა უცხოელს ამ ენებზე შესაძლებელი მასალათი გაუმართეს. მორჩილებს, ბერებს, მონასტრის სხვა მსახურებსაც „პოლიაკები“ ანუ „პოლმელები“ გაეგონათ კი არა, ბევრს ენახა კიდევ ონში და გორში, ქუთაისსა და თელავში. ილუმენმა კი ამაყად აცნობა: ერთ პოლიაკს, ქვემოთ, რიონის ხეობელმა აზნაურმა ქალიც მიათხოვაო, ეს ამბავი ჩვენმა მწირველმა მღვდელმა გვითხრა, ჯვარიც მე დაწვერე და ქორწილშიც გვახელით ხვანჭკარის ყიფიანური ღვინოთ.

ვლადისლავი უკვე საქართველოში იყო და სულ თვალებს აცეცებდა. საწუხარი მხოლოდ ის იყო, რომ მამა კაზიმირის კვალს შვილმა ჯერ ვერსად დალანდა. ჯრუჭშიც დიდად არ დაყოვნებულა. რაჭიდანვე გამოყოლებულ მეგზურ გლეხ-ხელოსნებთან ერთად, მდინარე ყვირილა, მის მარჯვენა-შენაკად ჯრუჭულას შესართავს ზემოთ გადასჭრა კატაბარდის ბონდით. მალე პერევისის საყდარსა და ტბასთან აღმოჩნდა. მსლებლებს ის კორბოულის, ბერეთისის, ბუკვეთის, ღოდორის, ვაკისის, ბიჭნითის გზით მტკვრის ხეობისაყენ მიყავდათ.

პერევისის შეექვსე-მეშვიდე საუკუნის უძველესმა ძეგლმა ვლადისლავს მიტოვებული სამშობლო და ქრაკოვის განთქმული, სახელოვანი შენობები

მწვავედ გაახსენეს... ორიოდე წელიწადი განცვიფრებით შესცქეროდა მტკვრისსაოთხკუთხა, თლილი ქვით აყვანილ კედლებს. თვალისათვის ვერ დაეჭვებოდა, რომ ასეთ რასმე წააწყდებოდა ევროპიდან დიდად დაშორებულ ქვეყანაში. საყდრის ხილვამ კიდევ გაახარა. მისი ამგები, შემქმნელი ხალხი სათნო უნდა იყოსო. იმედით გულსაყვამ, რომ მამა კაზიმირი დაუნდობელ ხალხში არ მხვედრილა და უთუოდ ცოცხალი არისო, გზა უფრო მეტი ხალხით განაგრძო. მრავალი მცირე და დიდი ხეებისგავლით, ქედების და სერების უკან მოტოვების შემდეგ, ქართლის პირველი ფრონის ნაპირას, მესტეჩკო „ჩუმათელეთში“ მზის ამოსვლისას მივიდა. იქ ცოტაც არ იყოს გული გაუტყდა. დიდ შენობად მარტო საყდარი იხედებოდა. მოსახლეები თითქმის ყველა მიწურებში ცხოვრობდნენ.

ჩუმათელეთში ვლადისლავი რაჭიდან გამოყოლილმა კაცებმა უბოდიშოდ მიატოვეს, ჩოხები დაიკაპიწეს, თბილისისაყენ გაუჩქარეს, ბატონებმა ასე გვიბრძანეს, ჩუმათელეთს იქით, ამ უცხოთან ერთად, ფეხი არ გადაადგათო.

სამშობლოდან ათას მთასა და ტრამალს გადაღმა გარიყული ახალგაზრდა „პოლიაკი“ ღვთის ანაბარა დარჩა. უბეც გამოცალიერებული ქონდა. ერთი რუსული კაპეიციც ვედარსად აღმოაჩინა ილღიების ხანგრძლივად მოჩხრეკის შედეგად. ამ უბედურებას ენის უტოლინარობაც ემატებოდა. ქართულად იჩიბინჩი არ იცოდა. ანგარიშში მისაღები არ იყო ორი სიტყვა, „პური მიირთვიო“. ეს ის სიტყვები იყო, რასაც თან გამოყოლებული გლეხი ხელოსნები ყოველ დასვენებისას ეტყოდნენ ხოლმე.

ჩუმათელეთში მოსულმა თავისთავს ერთი ახალი თვისება შენიშნა. ეს დაკვირვებების და მათგან სწორი დასკვნების გამოტანის უნარი იყო.

აი ახლაც მაგალითად: სოფლის პატარა საყდრიდან ხალხი გამოვიდა გზაზე. ეს უთუოდ წირვა გათავდაო დაასკვნა

ვლადისლავემა. მალე ხალხს საკმაოდ კარგად ჩაემული ახალგაზრდა ქალები გამოერჩნენ და ხმაურით გაუდგნენ გზას. ქალებს ევროპულად ეცვათ. აქედან მეორე დასკვნა გააკეთა ვლადისლავემა: თუ ვისმე რასმე გავაგებინებ, უთუოდ იმ ქალებს გავაგებინებო. ამიტომაც მოხერხებულად აედევნა უკან. თან ახალგაზრდა კაცის გუმანმა უთხრა, ქალი თუ მოგეშველა, ყულფიდანაც კი გამოიხსნი თავსო. ნამეტნავად მაშინ თუ გულში მოწონების რამ მარცვალი ჩაუთესეო.

ქალებს სოფლის წყაროსთან დაეწია. იეზუს! ქორციელი ქალები კარგი სანახევები აღმოჩნდნენ. ტანად ერთნაირად მძლუბი იყვნენ. ერთნაირადვე წაბლისფერი თმების ნაწინავეები ეყარათ ბეჭებზე. თეთრად ბრწყინავ სახეებზე, ლურჯ, მომბიბლავ თვალებს, შავ წარბ-წამწამების ქვემოდან, კრაკოველი ქალებივით მწველად აფახურებდნენ.

მართლაც, ეს გოგოები, სწორედ ისეთები იყვნენ, როგორც იმ ადგილებში, ზუმათელეთის მეზობელ სოფლებსა და ქალაქებში, ახლაც, 1971 წელსაც ბევრს შეხვდება კაცი.

ვლადისლავს ახალგაზრდა ქალებთან მიახლოებამ დიდი სიამე მოგვარა. მათთან ვაცნობის სურვილმა კეფაზე დაჰკრა და ფეხის ფრჩხილები აუტკივა. მისდა უნებურად გოგოებს დაეწია, მიუახლოვდა. ერთ მათგანს თვალი რომ ჩაუქრა და ამით ანიშნა ძალიან კარგი ხარო, ჭგუფს ჩაულაპარაკა:

— პური მიირტვი, პური მიირტვი!

გოგოებმა ვერაფერი გაიგეს. სიტყვა პური გაარჩიეს, მაგრამ ამ საგანს იქ, სადაც ისეთი ლამაზები ერთად იყვნენ, რა ესაქმებოდა ვერ მიხვდნენ, ამიტომაც უდარდელად აყიყინდნენ. ერთმა კი, სწორედ მან, რომელსაც ვლადისლავმა თვალი ჩაუქრა, ამხანაგებს უთხრა:

— ხედავთ, გოგოებო, რა ჩადგმულია ეგ ჩასასკლომი!

— ნეტავი პირს იპარსავს თუ არა?

იკითხა მეორემ. მესამემ კი პირდაპირ მიმართა ვლადისლავს:

— რა გინდა, რუსო?

— ია, ია, — დაიდო ხელი ვულსტეცარზე ვლადისლავმა, — ნე რუსო, პოლიაკი, პოლიაკი!

გოგოებმა მეგობრულად გაუცინეს. ამან ვლადისლავი შეაქეზა. ახლა ჭერ ფრანგულს მოხსნა პირი, მერე ლათინურიც გაურია. გავიხარიათ ისინი ორთავე ჩინებულად იცოდა. ამ შემთხვევაში კი ვლადისლავს იღბალი არ აღმოაჩნდა. გოგოებმა ფრანგულისა და ლათინურისა ვერაფერი გაიგეს.

უხერხულობიდან თავის დაააღწევად აკისკისდნენ, აერიამულდნენ. მერე იქვე ჩავილილ მეურმეს ხელნაზე შეუხტნენ. სწორედ მან, რომელსაც ნახევარი საათის წინად ვლადისლავმა თვალი ჩაუქრა და ამხანაგები ირინეს ეძახდნენ, პოლიაკი, ერთად ვიმგზავროთო, ურემზე მიიპატიეთა.

გაკეთდა საქმე, გაჰკრა გონებაში კაცს. ასეთი თამაში გოგონები, თანაც კეთილები, პოლონეთშიც არ შეხვედროდა.

ურემმა პატარა თავქვე ჩაირბინა, ლეღეში გაჯახუნდა. ისევ ვაკეზე ვავიდა. იქ საამური ნაცნობის შეხვედრა ჩასაფრებოდა თურმე პოლონელს. მუხნარის კარიოფში რკინიგზის ლიანდაგი გამოჩნდა. სადღაც ქვემოთ ორთქლმავლის კივილიც გაისმა. გაჩვილ ტყიანში სამ თუ ოთხ ვავონს მოაგორებდა მაშუთში გასვრილი ორთქლის ქვაბი. შემადგენლობამ ურემს გვერდით ჩაუარა, ქაქანით გასწია ლიანდაგზე. ლიხის მალად მთებს ქოჩორა — ფონას მწვერვალებისაკენ მიამურა. თურმე ისინი კიდევ უნდა გადაელახა. განა ეს დასაჯერი იყო!

ამის მერმე ვლადისლავი ცოტახნით თავდავიწყებამ შეიპყრო. ურემი კი თავისი გზით მიდიოდა. დიდ მინდორზე, კამეჩების ზურგის მაღლით სახრის ქნევაში, მეურმემ ურემული წამოიწყია. ვლადისლავმა ყური მიუგდო სიმღერას. დიასხ, სიტყვები არ ესმოდა. ამას მისთვის

აღორის ჩამოიპო
მშხითილი ოსტაბაბი



ხელი არ შეუშლია ჰანგის სიტკბო განეცადნა. სიმღერის დროს ქურდულად თვალს არ აცილებდა ირინეს, რომელსაც თურმე შემდეგ კიდევ შეხვდებოდა თავისი გაწამებული გზების ჯვარედინებზე.

ამასობაში „გოგოებით და პოლონელით“ დატვირთული ურემი ნელნელა სოფელ ბუღლეტში ერთ კოხტა, ახლადგებულ სახლთან შეჩერდა. იქ ირინე თამამად, თითქმის შინაურულად მიუბრუნდა ვლადისლავს.

— В этом доме живет поляк, — უჩვენა.

ვლადისლავი სწრაფად გადმოხტა ურმიდან. ზრდილობიანად, მანერულად თავის დაკვრით გოგოებს მაღლი გადაუხადა, ურემს გაცილდა. ახალი სახლის წინ შეჩერდა. დიდხანს იდგა გაშტერებული. კარზე დასაკაკუნებლად ხელის განძრევა უჭირდა. ძლიერ, ძლიერ უნდოდა სახლის პატრონი მამამისი გამომდგარიყო.

IV

გოგოებისაგან მისწავლებული პოლონელი, კაზიმირ ვალიშევსკის ნაცვლად, იმ ხანებში მშენებარე გზის სამუშაოების უფროსი ტადეჟმ ზაგრაიასკი აღმოჩნდა. მან თავისი თანამემამულე, კრაკოველი ვლადისლავ ვალიშევსკი „საკუცო დიპლომით“, ძმასავით მიიღო. გადაეხვია, გადაკოცნა. მერე ბუღლეტიდან კარგა მანძილზე მოშორებით, დიდი გვირაბის მშენებლობის მეზობლად, ერთ რთულ სამშენებლო უბანზე გაგზავნა ახლად გამოჩენილი პოლონელი. ეს უბანი მისი რთული, ღრანტოვანი, ცუდი რელიეფით, აღმართებით, მთელ მშენებარე გზაზე იყო განთქმული. უცხოელს იქაც უმტყუვნა ბედმა, უცნაურ ადგილზე გაამწესეს. ირგვლივ ცამდე აყუდებული მთებია. ქვეითკრის ნაგებობას, რომლის აშენებაც მას ევალებოდა, თვალჩაუწყდენი ჭურღმული უნდა გადაეფარა და გადაეღახა. დუღაბის მოსაზული წყალი ნეკისისმსხო ღარიდან იყო მოსაზიდი. მისვლის უმალ

დარწმუნდა, რომ მეტის მიტოვება — ფრთხილი ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტას და ქართველი კალატოზების არტელებს მოეჭვა სათავეში „ლიპადიპლომიანი“ ტექნიკოსი.

ვლადისლავ ვალიშევსკის სამუშაო ადგილი და მის გარშემო ბუნება ძლიერ მოეწონა. ბეჟათუნის მთებზე, გორებზე ტევრი ტყეები იდგნენ. სამუშაოს მახლობლად შველი და ირმები მოურიდებლად ძოვდნენ, მთის ღელეებში კალმასი ფუთფუთებდა. ორწონებში, ღრმა, ზოგჯერ თითქმის გაუვალ ღრიანკლებში სულ ხშირად ნისლი იდგა. განჯინაში მარტილი სისველეს არ ილევდა. ასე იგრძნობოდა ზღვის სიახლოვეც. მოშორებით კი, მაღალი მწვერვალების გადაღმა, მზიანი, მშრალი ზამთარი და გასაძლისად კიდევ უკეთესი ზაფხული იდგა ხოლმე. საქართველოს ყველაზე დიდი მდინარის ორსავე ნაპირზე, ვაკე საყანებს, მერე კი პირმიდგმულ ფოთლოვან-წიწვოვან ტყეებს კიდევ-განი არ უჩანდა. ხალვათი მინდვრები მდინარის გაღმა-გამოღმა ფართოდ გაშლილიყვნენ, ვაკეების სივრცეზე, პურისყანები და საბალახოები, ვლადისლავს ცოტათი პოლონეთს აგონებდა.

ახალ, უცხო ქვეყანაში სამუშაო ძნელი არ გამოდგა. ვლადისლავ ვალიშევსკი მის მოვალეობას დაგეგმილად-გილზე მშენებლობაზე გამოცხადების უმალ შეუდგა. შავი მუშების ერთი გუნდი ცემენტში ასარეგ, საღულაბე სიღის გაცრაზე დააყენა ჭურღმულის ხევის ფსკერზე. მაშინვე ყურადღება მიიქცია გაღმა გორის ფერდობზე მიწაგადაცლილ, შიშველ კოტორტებივით გამოჩრილ თეთრ პიტალოებს.

სამშენებლოდ სწორედ ის კოტორტები უქმს ადგილობრივმა კალატოზებმა, თუმცა კლდეები მშენებლობის ადგილთან სხვები უფრო ახლოსაც იყვნენ.

როგორც შემდეგ უცხოურმა უფროსმა გაიგო. ქვის მცნობი მუშები თანაც გათლა-გამოკოდვის, კედლების აყვანის ოსტატები, ოდესღაც შატბერდიდან გამოქცეული, ახლა თვალუ-



ეთელი იაგორა შატბერაშვილი და არალისელი სამება მალრაძე იყვნენ. ისინი სხვა მათ ხელქვეით მუშებთან ერთად „არტელად“ გაერთიანებულნი დახვდა ქვეთკირის ჩასადგემლ ადგილას. ქართველ მეარტელეებს თავისუფლად ეხერხებოდათ წერაქვის, ლარის, შვეულის, გონიოს ხმარება. რულეტკასაც ფლობდნენ და ლალუმის ჩამუხტვა-აფეთქების ოსტატობასაც. ვასათლელად არც ერთი სიმაგრის ქვას არ ერიდებოდნენ. გონიოებით, წერაქვებით, ფარგლებით ყველას თამამად ერეოდნენ. ასეთი დახელოვნებული ქვის ოსტატები ვლადისლავს მხოლოდ კრავოვის სასაფლაოების სახელოსნოებში ენახა, რომლებიც უმშვენიერეს ეკვდრებს აშენებდნენ მდიდარ პოლონელების განსასვენებლად.

ქართველების ორი არტელი თითქმის სამ თვეს მოუწდა თეთრი, კირიანში სილანარევი ქვის ქარაფების აფეთქებებს. მოტეხილი ლოდები ურმებით გადმოჰქონდათ სახიდესთან. იქ იაგორა შატბერაშვილის და სამება მალრაძის არტელები თეთრად ქათქათა ქვას თლიდნენ, კვრცხავდნენ. გამოკუთხულ ლოდის სწორად გამოყვანილი გვერდები, ვისაც გინდათ გააოცებდა სიზუსტით და სისუფთავით.

— შენ რა! — დანჯღრეული ქართულ-რუსულით შეედავენ გარბელებული სამზადისით უკმაყოფილო მეარტელები ვლადისლავს. — ქვას რო ასე გვათლევინებ მეორე კუმურდოს ხომ არსად აშენებ?

— კუმურდო რა არის! — გაიოცა ვლადისლავმა.

— მა რად აქნევ ასე გამოკოდვილ ბელიშებს? — შეეკითხნენ ნაწყენად უფროსს იაგორა და სამება.

ქართველები გაოცდნენ, ეს რა კაცია, კუმურდო არ იცისო.

— აქ კოლიზუმივით საოცარი რამ მინდა ავაგო! — მიუგო ვლადისლავმა, რომელსაც სამშობლოდან გარიყულს მტკიცედ გადაეწყვიტა: უცხო ქვეყანაში, თავისი ცოდნით და ხელოვნებით

ისე მძლავრად გაეხმაურებია, რომ მძროპში გაეგონათ მისი სახელი.

— ეგ რალაცა კალიზუმი, ვითომ კუმურდოს საყდარს აჯობებს? შეეკითხა ხმადაბლა არალისელი სამება მალრაძე თვალუეთელ შატბერაშვილს, — ჰაი დედასა, ყორანისასა. თურმე, ჩვენი მჯობნე ხელოსნები ქვეყანაზე კიდევ ყოფილან, დროა ასი თვალი ვპყიტოთ.

— ოჰ, ნუ იტყვი. კუმურდოსთან ქვეყანაზე აბა, სად იქნება რამე თუნდაც ფრანციოში. — გაუბედავად ჩაულაპარაკა ამხანაგს იაგორა შატბერაშვილმა.

მერე რა, რომ მეარტელებმა კოლიზუმიასა არა იცოდნენ რა. სამაგიეროდ აღტაცებაში მოვიდნენ, როცა უფროსმა მათ ნაგებობის პროექტი და გარეგნული სახე, გაშალაშინებულ ფიკრებზე რცხილის ნახშირით დაუხატა, მალე ნახზებიც გააცნო ყველას. იქ ერთი კვადრატული საყენი კედელიც ჩადგეს სასინჯავად. კედელს თეთრი ბელიშების პერანგი ჩააცვეს.

ცდით თავისი კმაყოფილების გამოსახატავად შატბერაშვილმა და მალრაძემ ტყეში ტახი გააგორეს. სასინჯ კედელთან რცხილის ნაკვრჩხალს „ავთანდილის“ მწვადები დაუფიცხეს და რკოს უგემრიელესი, ვარდისფერი ღვინო ჩაფით შემოდგეს. ნაჭეიფევს კი უფროსი ნაძვიანის ვეძა-წყაროსა და ნონისის აბანოსაყენ გაატარეს.

მალე ბურჯ-საყრდენის ბალავრები ხევის ნაკადის სარკეს აცილდნენ. შატბერაშვილმა და მალრაძემ ფრთები გამოისხეს. დულაბში თანდათან ჩაატანეს თავიანთი გათლილი სახეკორბა ქვის ბელიშები. თაღების სხეული და ცეხი ლამაზად გამოისახა. მთის მდინარის არსანდო ნაპირებზე გაიჭიმნენ ღვართქაფის ასაცდენი კედელ-ფერდულეები. ეს ნაგებობებიც ხიდის ანსამბლში იყვნენ ნავარუდები.

¹ ვაზის ჭიში, გვარობს იმერეთის მაღლობებზე და გრილ ღარღობებში.

ზორის ჩაიმიშ
მუხითილი ოსტაბაი

მამის გულმოდგინედ ძებნას შვილი ერთი წამითაც არ მოშვებია. მუშაობდა თუ ესაუბრებოდა ვისმე, სულ მამა, კაზიმირი ედგა თვალწინ. საძებრად ლალოდალსა და თუქტურმიშაშიც იმოგზაურა. აქა-იქ ამ ადგილებში ცხოვრობდნენ გადმოსახლებული პოლონელები. არც დასავლეთ საქართველო დაუტოვებია გაუჩხრეკელი. შემოიარა ფოთი, ქუთაისი, ახალსენაკი და ოზურგეთი. ამოდ კი დაშვრა. კაზიმირის სახელიც არსად გაეგონათ.

გადმოსახლებული მამა თითქოს ელვა-ქუხილმა წმინდანიანივით ცად იტანა, ან ცოდვილივით დედამიწამ უეცრად პირი უყო, ქვესკნელში გაქრა.

პოლონეთიდანაც ბებერი იანინას ამბავს ჩამიწუმი არ ისმოდა. ვლადისლავი მეტად გვიან მიხვდა, რომ მის წერილებსაც გზაში ხვედნენ. კავკასიაში წამომსვლელი კი, ვისი ხელითაც დიდდა იანინა შორს გადასახლებულ შვილსა და შვილიშვილს თავის რამე ამბავს მიაწვდიდა, იმ ხანად პოლონეთში თითქმის არავინ იყო.

ნამუშევარი კი თანდათან მალლა მიიწეგდა, ნელა უახლოვდებოდა დაგეგმილ დონეს. შატბერაშვილმა და მალრაძემ თაღების გადასაყვანი ქარგილები შესაძლებელზე უკეთ ჩადგეს. კალატოზებს თურმე ხის ხელობაც ჩინებულად ეხერხებოდათ.

ახლა ცებისათვის საგანგებოდ გათლილი, ჩაზნექილი ქვებით საბოლოო თაღის გადაყვანას შეუდგნენ. ვლადისლავმა ნამუშევარი დაათვალიერა, მერმე მათემატიკური გაანგარიშება მოახდინა. სიხარულით გული აუძგერდა.

ქართველ ოსტატებს ნახელავი დიუმის მეთათსედამდე ზუსტად დაეუფლებიათ. ინჟინრობა, ქვის დამუშავების ხელოვნება, თურმე სისხლში ედგათ, ოღონდ სწავლულები არ იყვნენ. დედანაზე წერა-კითხვა ისიც ზუცურ-ქართულად მარტო მღვდლის შვილმა შატბერაშვილმა იცოდა.

ქვეყანაში რომ ქვეითების შენება

მაღალ დონეზე იდგა, ამაში ვფიქრობდი. ვი მამის საძებრად მოგზაურობას არწმუნა.

კაზიმირის ძებნის დროს თავისი ორი თვლით ნახა გელათი, ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები, სვეტიცხოველი, ხორნაბუჯი, ალავერდი, სიონი და მთელი თემის ხეობის საოცარი ციხე-დარბაზები.

ხიდის შენებაში წარმატებამ, ქართველ ხელოსნებთან დამეგობრებამ მრავალი მშვენიერი ადგილსამყოფელის ნახვამ, მამის დარდი მაინც ვერ მოჰხერა გულიდან ერთგულ შვილს.

პოლონელი დაღონებული დაიარებოდა, წარბი თავისით ეღუშებოდა. იყო წუთები, როცა დამბალი ხამი ტყავივით მოეშვებოდა, იტყლაბებოდა. ცრემლიც ბევრი უღვრია ჩუმ-ჩუმად.

ასეთ მძიმე წუთებში ბრძენი შატბერაშვილი და მომლხენი მალრაძე იყვნენ იმისი მკურნალები. ცოტას აცლიდნენ, მწუხარებით მოიღალაოსო, მერმე უცნაურად დიდი ზეების სანახავად მთაში ასერიწებდნენ. ხანდახან მდინარეშიც ჩაპყავდათ, ნონისის აბანოშიც აბანავებდნენ. იქიდან სოფელშიც გაპყავდათ. ღვინოსაც გადააკვრევიანებდნენ ხოლმე. ეს გემრიელი და გამამხიარულებელი სითხე ოსტატებს მახლობელ მოსახლეებიდან მოქონდათ. პირდაპირ ქვევრებიდან ამოღებული, ყურძნის ორჯერ მაინც გადაღებული, დამდაგრი, დანუკრული წვენი ვლადისლავს შამპანურს ერჩია.

მოვიდა ერთი ყველაზე სამახსოვრო გაზაფხულიც. ხევებით და ღელღულეებით მღვრიე წყლებმა ჩაიარეს. წვიმებმა ჩარეცხეს, ჩაალამაზეს მთებისა და ღარდოების გულმკერდი. ბუჩქნარებში, ნაზ იას ფეხი არსად დავადგაო, შიშით ვერ გაივლიდი. ტყემ ფოთოლი გამოიხსა.

ვალისშევსკის, შატბერაშვილს, მალრაძის ნათვითნებეე ჯურღმულზე გადასასვლელს, დასავლეთიდან ორთქლის ქვაბი მოუახლოვდა. ნაძვიანი ნაკადი, მოდილები დღეებში მშვენიერ თაღებქვეშ რომ ჩარბოდა და იქვე მასზე მო-



ზრდილა ლელეს უერთდებოდა. წყაროსავეთ დაიწმინდა. დიდ გვირაბშიც გაძვრა-გამომძვრა სასინჯი ორთქლმავალი.

ნაძვიანის გადასასვლელის ჩაცმამორთვის, სილამაზის და ხუროთმოძღვრული სანახაობის ამბავს, მთელ მშენებლობაზე რომ გაეთქვა სახელი, მთელი ქვეყანა რომ მოევილო, ტადეუშ ზაგრაძესკის ყურთასმენასაც შეუწოთ ცეცხლი. ისიც გამოჩნდა ნაგებობის დასათვალისწინებლად. ცხენებით მოვიდა ცოლშვილითა და სტუმრებით. სტუმრებში ვლადისლავმა მისი ადრე შემთხვევითი ნაცნობი ირინე შენიშნა. ახლა კიდევ უფრო უკეთესი ეჩვენა ის. მაშინვე მივიდა ახალგაზრდა ქალთან, ხელი ჩამოართვა. შერე ისე უნდა მომხდარიყო, რომ ნაყარ მიწაზე, ფეხქვეშ ქვა გადაპბრუნებოდა. ვლადისლავმა ირინე ხელის წაჭანებით დაიჭირა და ცოტა უკლდა თითონაც წაიქცა ახალგაზრდა ქალის ეშხმა კინალამ ბრუ დაასხა ვაჟს. მაგრამ უეცრად გონს მოეგო და ტადეუშს ეახლა.

— ეს მშვენიერად გათლილი ქვა და თქვენი ოსტატობა თუნდაც კოლიზეუშის მშენებელს მოეწონებოდა! — შენიშნა მშენებლებს უფროსმა.

ვლადისლავს ქება ეამა. მათმა ნახელავმა ტადეუშსაც კოლიზეუში მოაგონა, დიახ, რალაც მშვენიერების აგება მოსთხოვა მაშინ აქ, ნაძვიანის ჯურღმულში მოსელის წამიდან გულმა. ახლა ხარჯთაღრიცხვის გადამეტებისათვის აქედან თუნდაც ძალთაპირების ქვეყანაში გადაესახლებით აღარ ნაღვლობდა.

სიტყვა მაინც შეუბრუნა იღუმალ მფარველს:

— პან, ტადეუშ, კოლიზეუში რა გასახსენებელია, ჩვენ მას ვით მივწვდებით, ჩემი საცადელი მხოლოდ ის არის, რომ თქვენსა და ჩემ ნაკვალევზე, აქ, მინდა კარგი რამ დარჩეს მოსაგონებლად.

— მაგაზე რამ გაგახელა? — შეეკითხა ტადეუში.

— იმან, იმან, რომ... სხვა დროს ტყვეთ მაგის პასუხს, პან ტადეუშ. იქნება ბედი მექნეს და სტუმრად მიმიპატიეებთ, მაშინ!..

ვლადისლავმა მეტი სიტყვაც ვერ ამოიღო. აი, რა დაინახეს იმისმა თვალემა: ირინე განმარტოებულად ქვითკირის ქიმ-ყურზე შემდგარიყო. ქალი იქ ისე ჩანდა თეთრ ტანსაცმელში, როგორც კრავების ტაძარში ღვთისმშობლის ქანდაკება.

— აშენეთ, დაასრულეთ, ჩინებულად გიმუშავნით. — უთხრა ტადეუშმა შატბერაშვილს და მალრადესს. და როცა ხელს მაგრად ართმევდა ოსტატებს, ქიმ-ყურზე მოჩვენებასავით მანაც შენიშნა მერმანიშვილიანთ ირინე. ქალის მშვენიერებით მოხიბლულმა ტადეუშმა ბევრი ველარაფერი მოახერხა, ამიტომ ხმის კანკალით მიმართა მის მახლობლად მდგომთ:

— ქვის ასეთი ხელოვნებით გათლას, მერე მისი მშენებლობის სხეულში ჩატანების ოსტატობას, პირველად წავაწყდი ჩემს სიცოცხლეში. — აქ ვლადისლავს მიუბრუნდა. — რა ხარჯთაღრიცხვასაც წარმომიდგენთ უსიტყვოდ დაგიმტკიცებთ. ავადაც ხელს ვერავინ გახლებთ. თამამად გაამშვენიერეთ თქვენი ნახელოვნევი.

— მიწის, ადგილის მორთვა-მოკაზმვის ნიჭი და მწველი სურვილი მხოლოდ ადამიანს, კაცს მისცა განგებამ, — ჩაულაპარაკა მალრადემ სულ დიდ უფროსს.

— ხელფასი მოუმატე ქვის მთლებს, აიძულეთ შეგირდები აიყვანონ. ეგ ხელობა დასაყარგი არ არის, — უბრძანა ახლა ვლადისლავს ზაგრაძესკიმ. და ამ ბრძანებით მალრადესაც მოუწონა თქმული.

— სხვა არა იყოს რა... — თითქოს თავი იმართლა ვლადისლავმა, — მამა ჩემის სამარე მეგულება ამ ქვეყანაში. მაგას შევასრულებ.

ბორის ჩხიშიძე
მუხიტოელი ოსტატები

„ნაპოლეონის“ სახელობის
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამშობლოში ვინ გავაჩნია კი-
დე? — წარბშეკვრით შეეკითხა თვის-
ტომს მშენებლობის უფროსი.

— ორი გათხოვილი დაი, ბრანისლავა
და მარისია.

კითხვა ვლადისლავს არაფრად ეამა,
მასში რალაცა უბედურების მომასწავე-
ბელი ამბავი იმაღავდა თავს და მშენებ-
ლობის უფროსს, უცხო ქვეყანაში მის
მფარველს, თვალი მოაჩინა. ხმაც ვერ
ამოიღო. ტადეუშის საამურმა, ოდნავა-
დაც უხინჯო, ვაჟაკურმა საუბარმა მო-
წესხა.

— ღმერთმა, თქვენნი კარგადყოფნით,
ინებოს სამუშაო სულ მალე დაგემთავ-
რებით. — კვლავ თქვა ტადეუშმა.

— კიდეც რალას მეტყვიით პან?

— იმას რომ არც ერთ მთის ნაკადს,
ჯურღმულს ამ ქვეყანაში, იქნება სხვა-
განაც, ისეთი ლამაზი ზეგადასასვლელი
არ ექნება, როგორც ის ნაძვიანს აჩუქა
თქვენმა გონებამ.

— ჩვენ, პან, სილამაზე რომ სრულ-
ყოფას მიუახლოვოთ, ჯერ კიდეც ბევრი
საშრომი გვიძევს წინ. არ დაივიწყოთ,
ხელის შეწყობა აღგვიტყვიეთ, — მოა-
გონა უფროსს ვალიშევსკიმ.

— თანაც ზვარე, ნაძვიანის ჯურღ-
მული უბრალო რამ არ გეგონოთ. —
ჩაერთო საუბარში კვლავ სამება მალრა-
ძე. — ამ ადგილიდან ზემოთ, მთის
უბეში, უკვდავების ვეძა ამოდის პირდა-
პირ მიწიდან. ყოველგვარი ტანზე დანა-
ყარის და ზნეების მკურნალი აბანოც
ნონისიც იქვეა.

— თქმულს თვალით ნახული ჯობია!
— სიცილით უთხრა მალრაძეს ტადეუშ-
მა და ვლადისლავს მიუბრუნდა:

— აკი ვითხარით მე ვიცოდე და
თქვენა-მეთქი! — დაუდასტურა დანაპი-
რევი უფროსმა და მკაცრად შეეკითხა:
— ეგ უნდო საიდან და რამ გავხადა?

— უკუღმართმა ცხოვრებამ და მარ-
ტობამ.

მწყარლად წარმოსთქვა ვლადისლავ-
მა და თავი მიიბრუნა. მერე იქით გაი-
ხედა, საითაც ჩრდილში ქალები ჩამომ-
სხდარიყვნენ. კინალამ ელდა ეცა. ირინე

მის ლურჯ თვალებს ახლაც მომნიშო-
ვად აფახურებდა.

— ვალიშევსკი! — გაუმეროა სამუ-
შაოს უფროსს დანაპირები ტადეუშმა
დასაბუთებულად. — თეთრი ქვა გათ-
ლილი და მოზიდული გაქვთ. ჩვენ მას
სხვაგან ვეღარსად გამოვიყენებთ. ამას-
თან ეგ შენი „არტელნიკები“... არ ვი-
ციოდი თუ აქ, სადმე ეგეთი ოსტატები
ცხოვრობდნენ. მოდი, მათაც გაიხარონ
სიცოცხლე საკუთარი მარჯვენების მალ-
ლით, ორივე დაასაჩუქრეთ. აქ, ამ მშე-
ნებლობაზე ახლა, დღეს ბევრი რამე
ენახე და ვიგრძენი. როგორც ვატყობ,
შენი ოსტატები თიღვის და ატოცის
მშენებლების ნამუსრევეები არიან.

— პან, არ ვიცი, ეგენი რა შენობე-
ბია, სად არიან. ამას კი თამამად გეტყ-
ვით: კრაკოვის სასაფლაოების ოსტატთა
შორის მაგათი, ამ ქართველების დარი
ქვის მთლელები, გონიოს მომხრანენი,
კედლების აღმმართველები, ნამდვილად
არ მოიძებნება.

— კრაკოვი, სასაფლაო! — შეიკრა
ტადეუშმა წარბი. — რად დაიქინე, სა-
საფლაო, სასაფლაო! თუ არ დავიშლია
გეუბნები: მგონია იანინა მიწამ მიიბარა.
პოლონეთში მიმავალ რუს ოფიცრის
ხელით დიდდაშენისათვის გაგზავნილი
შენი ფული უკანვე მივიღე. ეს სხვას
არას ნიშნავს — დედაბერი აღარ არის.

ვლადისლავი ადგილზე კინალამ „და-
ინგრა“. წაქცევისაგან შატბერაშვილმა
და მალრაძემ შეიკავეს.

— რას მიმალავ, უშენოდ ვიცი, —
განაგრძობდა ტადეუში. — სამშობლო-
სათვის თავგანწირული ხარ. ეგ „ცოლო“
მეც მაწევს მხრებზე. მაგაზე უმძიმესი
და უტკბესი ტვირთი კი, აბა, რალა იქ-
ნება ქვეყანაზე ვაჟაკის გულისათვის!
მაშ, ახლა, აბა, იცოდე: აქედან, ჩემი არ
იყოს, ვეღარც შენ დაბრუნდები სამ-
შობლოში ცოცხალი. ისლა დაგვრჩენია
გავფრთხილდეთ, თავი ცუდად არ წა-
ვაგოთ.

— გამაღობთ, პან!

— მაღლობა მერე იყოს. ახლა მიპა-
ტიყება მიიღე. ბულელებში მესტუმრე



ხუთშაბათს. ნებას არ მოგცემ კარგი ვალიშევსებები უშვილძიროდ გადაშენდეთ. ბულღელეთში მეზობელი აზნაურის ქალი მეგულემა შენთვის გამორჩეული. ჩემი არა მყავს, თორემ აბა უარს რად გეტყოდი.

— ეგ როგორ იქნება, პან! მე ცოლის შერთვაზე ხელი მაქვს აღებული.

— განა შეგიძლია უქალოდ გაძლება?

— დიახ, შემეძლია!

— უმისოდაც? — ტადეუშმა ირინეზე ანიშნა.

— გულში ხომ არ ჩამხედე, პან. იყოს ნება თქვენი.

— ჩემი მეზობლის ქალიც ის არის.

VI

ძველთაგან ერთი რამე კარგად შეუნიშნავეთ ადამიანებს, შრომა-გარჯაში დრო შეუმჩნეველად გარბისო. გაიხვირბა მთაგრეხილი, ამოშენდა დიდი გვირაბი, ორ ზღვას შორის მთლად დაიგორიანდავი.

ნაძვიანის ჯურღმულზე, ზედ მის უფრო დიდ ჯურღმულის შერთულის ადგილას თვალისმომჭრელად წამოიმართა მთიდან-მთაზე გადაყვანილი, გადათადღული თეთრი წინაპარმოუყოდავი ქვით შეჩობილი გადასასვლელი. ორ ზღვას შორის გავლებულ გზის ამ მონაკვეთზე, ხელოვნურ ნაგებობათა შორის, უკეთეს სანახავს ადამიანის თვალი ვერც აღრე, ვერც გვიან, ვერც 1971 წელს, ადვილად ვერსად ნახავდა. თითქოს „თვალის დახამხამების“ ვადებში მშენებლობა დასრულდა. მშენებლებს ნელინელ ექსპლუატაციელები შეენაცვლნენ. ტადეუშ ზაგრაიქსკის შორს გადაყვანის ბრძანება მოუვიდა.

ვლადისლავი გამოსამშვიდობებლად ეახლა მის იდუმალ მფარველს. ეახლა და...

— პან, თქვენი აქედან წასვლის, ჩვენი ერთმანეთთან განშორების დღეს მინდა გაგცეთ პასუხი ერთ კითხვაზე. რომელმაც ამ შვიდიოდე წლის წინათ მიბრძანეთ.

— მითხარიო! მომაგონეთ კითხვა.

— მანამდე, სანამ იმ თქვენ სიტყვას, კითხვას გაგახსენებდეთ, მოგაგონებდეთ, ჯერ სანახაობას გირვენებთ, მერე სათქმელსაც გეტყვით, თუ კი საჭირო გახდება.

— სანახაობისაქენ გამიძენიო! — შეეხვეწა უფროსი.

ვლადისლავმა ტადეუშის „გარიგებულის“ მერმანისშვილის ირინე და მასთან შეძენილი ოთხი შვილი და თვითონ ტადეუშიც მუხითის საყდრის გალავანში მიიყვანა.

საყდრის კედელთან ყველა ერთად ზედ წააყენა საფლავის ქვას. დასავლეთით ფართო, აღმოსავლეთით ვიწრო, ოთხკუთხი ლოდი მხოლოდ ლათინურ და ქართულ ასოებიანი წარწერით გამოირჩეოდა გალავანში გაბნეულ საფლავებისაგან.

— იეზუს! — წამოიძახა გაცოცხლებული ტადეუშმა. — მამა, მკვდარი თუ ცოცხალი როგორც იყო იბოვნეთ!

— დაე უფალმა განსაჯოს ეს ქვეყანა და იმისი მკვიდრი უცნაური, კეთილი ხალხი! — თქვა ვლადისლავმა. — ერთ დღეს, როცა მე და ჩემ მეარტელე ქართველებს გადასასვლელი ჯერ ბალაგრების ზემოთ ბელიშებით შემოსილიც არ გგქონდა მთლიანად, ვხედავ, ნაბლის ქუდიანი სოფელ მუხითელი ქართლელი გლეხი მოდის და მეკითხება:

— თქვენ ვლადისლავ ვალიშევსკე ბრძანდებით?

— დიახ, ის გახლავარ-მეთქი.

— ვინაც ხართ დმერთმა გაცოცხლოთ. ოღონდაც ჩვენი მღვდლის ვალი გაქვეთ გასასტუმრებელი.

— იეზუს, მე, კათოლიკეს, მართლმადიდებელი, ქართველი მღვდლის ვალი? არასოდეს არავითარი საქმე არ მქონია თქვენებურ წვერებგაჩეჩილ, ბუგრებიან ხუცესთან.

ბორის ჩაიძიძე
მუხითელი ოსტატები



— კათოლიკების მღვდელი მითომ რაღაა! — გაბრაზდა ნაზდის ქუდიანი. — მე ისინი ბევრი მინახავს გორში, ახალციხეში და ასპინძაში. ხანში შესულ ორსულ დედაკაცებივით მსუქნები არიან. პირ-ნიკაპი, საულვაშე, ლოყები, უკანალივით შიშვლები აქვთ. ქალებივით აცვიით ფორო კაბები.

— დამწვიდლი, ხმას დაუწიე-მეთქი! — ტბილად დაცინევით ვუთხარი და შევეკითხე: — რით შემძლია ვემსახურო თქვენ მღვდელს?

— მოდი, პირდაპირ გეტყვი! — შეუბნება გლეხი. — ერთი თქვენი თვისტომი ჩვენ სოფელში გარდაიცვალა. ჩვენი წესისამებრ, ცოტა წარმართი ქრისტიანი, მაშინვე მიწას მივაბარეთ, რაც ქართველებს კიდევ შევგრჩა. (აქ გლეხმა პირჯვარი გამოისახა და სასუფეველიც უსურვა ჩემ თვისტომს) სამარის სასაყდლად არაფერი გადაგვიხდია. საფლავიც ხომ ჩვენ ვავუთხარეთ. არც ამაში ვაგვსვლია ხარჯი. მაშ არც არაფერს ამაში გთხოვთ.

— ჩემი თვისტომი რა გვარი იყო? — ცოტაც არ იყო თავხედურად შევეკითხე კვლავ.

— კაზიმირ ვალიშევსკი. საფლავის ქვაზედაც აწერია.

— იეზუს! კაზიმირ ვალიშევსკი! — შემომეკიდა ცეცხლი.

— იმ თქვენ თვისტომსა და მოგვარეს ქელებიც გადაუხადეთ. ყველა ჩვენი პურ-ღვინით გეახელით საყდრის ვალავანში. საფლავის ქვებზე გაშლილ სუფრებით მოვიხსენიეთ. ქართველებს, ღვთით უსამართლოდ ჩაგრულებს, ჯერ პურმარლიც ვაგვანია. არც ამაში გთხოვთ რასმე. ქვაზე თქვენებურად და ჩვენებურად წარწერების ამოკვეთის ქირამ დაგვძლია. ეს ხარჯიც იმისი ალალი ვულისთვის ვაგვილია. არც ამაში გთხოვთ რასმე.

— მიბრძანეთ, მიბრძანეთ, მღვდელს რად შეუბნებით, თქვენი მოვალე ვყოფილვარ.

— ჩვენი არა გმართებთ რა. ცოცხლებმა მკვდარი მიწისმიუყრელად არ

დავაგდეთ. მღვდლისა კი ბევრი ბევრი გმართებთ! — და გლეხმა ჩამოთმეფულ წესის ასაგები, წინ გასაძლოლი, ჩვენებურად ნაკურთხ მიწაში დასამარხად სირბილის გასამრჯელო, სამი პანაშვილის სახდელი. შეიძლება გარდაცვლილს თქვენებურად არც კი მოუვიდეს ჩვენებური წესით გაპატიოსნება. მაგრამ მღვდელმა შრომა გასწია. მაშ, გასამრჯელო ეკუთვნის და კიდევ უნდა გადაუხადოთ.

— სულ რამდენი გერგებათ? — ჩვენ კი არა, მღვდელს, შემისწორა გლეხმა.

— აგრე იყოს. თუნდაც მღვდელს. — თეთრი ხელმწიფის ოქროს ხუთმეტამნეთიანის ნახევარი.

— შვიდნახევარი მანეთი ვერცხლით? — ჰო, ძლივს არ მოგახვედრე! — გამიხსნა წარბი გლეხმა. — ეგ თანხა ჩვენს ხუცესს თავს დის გასამრჯელოდ.

— რაც მითხარით, დღესვე მივართმევ მღვდელს. ოღონდაც საფლავი მაჩვენეთ.

— საფლავიც იქ არის ჩვენი საყდრის ეზოში, მუხითის ხატის კარზე.

მაშინვე ფული ჯიბეში ჩაივდე. ფეხდაფეხ ვაყვევით გლეხს, მღვდელს მისი კუთვნილი გადაუხადეთ. სასაფლაოსკენ გავსწიეთ. ჩვენთან ერთად მთელი სოფელი მოგროვდა. მათ გაოცებას კაცი ვერ აღწერს, როცა გაიგეს, რომ კრაკოვიდან საქართველოში ცოცხალი მამის საძებრად მოვედი. ცოცხალს მაინც ვერ მოვუსწარი. ვიპოვენ მხოლოდ ლათინურ-ქართული ასოებით ქვაზე წარწერილი ორი სიტყვა „კაზიმირ ვალიშევსკი“. გლეხებმა მამისეული მცირედენი ნივთებიც გადმომცეს.

— რა ნივთები? — იკითხა ზაგრიაცსკიმ.

— დედის, ცოლის, შვილების მინიატურული, გჯუფური სურათი, სხვა... სათქმელიც არ არის.

ვლადისლავმა თავი შეიკავა. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, იანინას პაექტის საიდუმლო, გადაფიცა. საკმაოდ ეჩვენა, რომ მის ღროზე, წერი-



ლების შინაარსი იაგორა შატბერაშვილსა და სამება მალარაძეს გაანდო მხოლოდ. ან რა საჭირო იყო გავეცო ის ზაგრაიესკისაც, რომელიც მეორე თუ მესამე დღეს ურალის გადაღმით მიემგზავრებოდა.

— ნეტავი რა მოხდა მუხითის ხატის კარზე? რა დაუფიცა ზაგრაიესკის ვლადისლავმა, რა დაემართა სოფელ მუხითს? — იკითხავს ვინმე. მაშ, მოდიოთ ჯერ პაკეტი გავხსნათ, გავიგოთ მისი საიდუმლო.

ვლადისლავმა მღვდელს კუთვნილი გადაუხადა. რაკილა მამის საფლავს მიავგო, როგორც იანინასაგან ქონდა ნაანდერძევი, დალუქული პაკეტი მაშინვე გახსნა. პაკეტიდან ორი ქალაღი ამოვიდა.

პირველი საკმაოდ ვრცელი, სამსახურებრივი ნუსხა აღმოჩნდა. დოკუმენტი რუსეთის მხედრობის ერთ ოფიცერს ეკუთვნოდა, რომელიც აჯანყებულ პოლონელებს მიმხრობოდა. ამ დანაშაულის გამო მისიანების სავლელ სასამართლოს უკიდურესი სასჯელი დაედო მისთვის.

ნუსხას აუტანელ სიმწვავეს, მტკივნეულობას მატებდა მეორე ქალაღი. ის მამიდა ვანდას ხელით იყო დაწერილი. შავით თეთრზე, კანდაში გადახვეწილი ვანდა, დიდედა იანინასა და ბიძია კაზიმირის ცოლის ამარა მიტოვებულ, ქორწინების გარეშე შეძენილ თავის ვაჟს, ვლადისლავს უმხელდა, რომ მისი მამა, არღი ამილახვარი, რუსეთის ჯარის მებრძოლი „ინოროდეცი“, ლეხურის ხეობური სოფელ იგოთიელი იყო.

ამვე წერილში, გამწარებული დედა შვილის მოცემისათვის დიდ მადლს სწირავდა მის სალოცავ კრაკოვის ღვთისმშობელს. იქვე არც დასაგმობ წყევას იშურებდა დედათა მცველის ღვთიურ ძლიერებისადმი.

„არა, რად მარგუნა შეუღარებელ ვაჟაკისაგან ნაყოფის ტარება და მშვენიერი სიცოცხლის გაჩენა თუ კი მას ქმრად არ შემინარჩუნებდა და შვილი-

სათვის ძუძუს წოვების სიხარულით მომალხენდაო“ — ჩიოდა დედა.

— იაბლონსკაია, მაშ შენ ყველაფერი იცოდი. — ჩაიდმუვლა ხმაგუღვით ვლადისლავმა. მოიკეცა, საფთქლებზე ხელეზმემოკერილი საფლავის ქვაზე გაერთხო. ნაკითხ, სწავლულ ვლადისლავს მანამდე ზღაპრადაც არ გავგონაკაცის ასეთი სასჯელი, როგორითაც ის უდანაშაულოდ დაესაჯათ. თურმე ისე აშენებდა მშვენიერ ხილს, არ იცოდა, რომ სამშობლოში და მამისეულ მამულში ღვრიდა ოფლის. დიახ, სასჯელი მეტისმეტი ეჩვენა და გადასწყვიტა სიცოცხლე გაეთავებია. იღბლად აკი იაგორა შატბერაშვილი და სამება მალარაძე დაესწრნენ პაკეტის გახსნას და დიდი სულიერი ტანჯვა შეუმსუბუქეს ძმაკაცს.

— სოფელი?
— ახლა... ამ ასიოდე წლის მანძილზე კაზიმირს თავის განსასვენებელში ვლადისლავი და ბარემ ათი სხვა მიმატებია. რაც შეეხება ფუძეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ... ყოველი ქართულად მოუბარი ბარემ ორმოც კაცს ტკბილად ჩამოგივლით, რომლებიც აშენებენ ვენახს, რგავენ ვაშლსა და კაკალს, შვიან პურს, თიბავენ ბალახს, მუშაობენ, მსახურობენ რკინიგზაში. ორი კანდიდატია, ოთხი მასწავლებელი და ყველანი არღიაშვილებად იწერებიან.

მამაკაცები ქართულ სახელებს ატარებენ. ამით ამყობენ კიდევ. ქალებში შეინიშნება მხოლოდ უცნაური სახელი „იანინო“. ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა ეს სიტყვა, სახელი გაშიფრა და თქვა: ვითომ არღიაშვილის ყოველი ქალი ჩემულობს ნაზი ია და უბიწო, საოცნებო ნინო ვარო. მე კი არა, ასე არ მგონია. ქეთიკირის გადასასვლელი? დგას, დღემდე დგას. და, ვინ იცის კვლავაც რამდენ საუკუნეს გაუძლებს.

ამ ამბავს დამაკავშირა ყველგან სიარულის ჩემმა ახირებამ იმ ზამთრის სამ დღეს მუხითში. ჩავიწერე ის კიდევ.

დ უ მ ი ლ ი დ ი დ ი

მთაში ვარ,

მთის სილამაზის ტაში ვარ.

მისი ვრძელი გზა ნაწილ-ნაწილ დაშლილა,

და გზაწვრილ-გზაწვრილ გაშლილა!

მთაში ვარ,

დიდი მწვერვალების გზაში ვარ!

სღუმს ყოველივე,

შუაღდე სთვლემს, ვრცელი ესოდენ.

და ნეტამც იყოს,

მისი სიჩუმე მაინც მესმოდეს.

სულ ახლოს ცხოვრობს დუმილი დიდი,
სადაც თბილ მიწაში წევს დედაჩემი.

და ყველა გზა

დაუბრუნებლად

იმ გზისკენ მიდის,

ამიტომ უნდა უდარაჯო,

უნდა უპატრონო, მეგობარო,

დღეებს დარჩენილს.

მთაში ვარ,

მთის სილამაზის ტაში ვარ,

დიდი მწვერვალების გზაში ვარ.

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი

— მე დედამიწის ჩურჩული ვარო! —

ჩუხჩუხებს წყარო,

ბუტბუტებს წყარო.

უღება ხეებს ნაფლეთი ნისლის,

ეს ჭორიკანა

არსად არ იცდის!

მაგთული წივის,

მაგთული წივის,

დღე არის ცივი!

და მაგთულებზე წვეთები წვიმის,

პინგვინებივით მიდიან მწყობრად...

ბოლო ქუხილი გაისმა სოფლად,

მთებს უკვე თეთრი გარვევია,

და ზამთრის ქარი

მინდვრებს დარევია...

და, ჭორიკანა ნაფლეთი ნისლის,

ხან აქაა, ხან იქ

და არსად იცდის!

ფოთოლდასვენილი

აუკი მიმიღებ ფოთოლდაცვენილს,

შხორწყვე ჩემო,

ჩემო ცხრაწყარო,

აწ ხამუდამოდ შენთან დავრჩები,

მშფოთვარე სისხლი

რომ დავიწყნარო.

ფუბზე დგებიან,

შესალმებიან,

ოხინდალევი მექორწილენი,

აქ. ყველას ღსინი

დაკბედებია, —

მთა-მთა გასძახის

ირემს ირემი.

მუხურში ვხედავ

ჩემს ქართულ ფუტკარს,

და ვეწაფები მათრობელ შარბათს,

ახლა მსურს ერთი

სიმღერა ვუთხრა,

და მის მომღერლად

დავრჩები ალბად.

ლექსით მიეყვები
 ნაცნობ მთაგორებს,
 უკვდავების წყალს,
 ლუგელას ვაჭებ,
 მურმანს ვეძახი,
 თუ გაავგონებ:
 — მურმანო, აქეთ,
 აჩქარდი აქეთ!

და ვგავარ კალმანს,
 ქვებზე გარჩენილს,
 წარსულის გზებით
 მივემგზავრები,
 მესალმებიან ფოთოლდაცვენილს
 და წკრიალებენ ძველი ზარები.

დავრჩენილიყავ
 ჯოხის ცხენებზე

და გზა გამელო .
 ნეტავ, ბავშვურად.
 მე ეს დღეები არ მასვენებენ,
 და სიცოცხლემაც
 თითქოს გასცურა.

ეს უაღვირო ბედაურები,
 რად მჭირდებოდნენ
 შმაგი და ხელი
 არ შემწვევს მათი
 მე დაურეების
 ძალი და დრომაც დამრია ხელი.

თუკი მიმიღებ
 ფოთოლდაცვენილს,
 ჩხოროწყუვე ჩემო,
 ჩემო ცხრაწყარო,
 აწ სამუდამოდ
 შენთან დავრჩები,
 მშფოთვარე სისხლი
 რომ დავაწყნარო.

ბოთლი

და როგორც ბოთლი,
 ხარ მარტოდმარტო,
 გადადებული ცხოვრების ზღვაში,
 მიარღვევ დღეებს
 უმისამართოდ
 და ეჭიდები ზღვას ფაფარაშლილს.

შენ არას ეტყვი
 დუმილის მსგავსი,
 ტალღათ დუდილს თუ მძინარე შლამებს,
 შენ გადაივლი მომავლის გზაზე
 ათას დღესა თუ
 ათასერთ ღამეს.

სიცოცხლე დიდი
 თანდათან წავა,
 ამ სიყვარულსაც
 ნისლი დაბინდავს.
 და სხვა დღეების
 უცხო ნაპირთან,
 გაგხსნიან
 როგორც თავგადასავალს.



ჰქუხს და ელვაში ღრუბელი დაშრა.
რატომ დადუმდნენ
დღეს ბულბულები?
ტყეში ბუდეებს ვეგურგურები
და ლექსით ვხვდები
კვირტების გაშლას.

დავალ,

ღავეძე
შორეულ ჩურჩულს,
აქ ხეც ბევრია,
ბუდეც ბევრია,
მაგრამ ოდესღაც
სიკვდილის ურჩხულს
ის სიყვარული დაურბევია.

გუნდ-გუნდად ბოლავს
გუნდის ხეები,
როგორც სიკვდილის
შავი სანთლები,
აქ სამუდამო სასახლეები,
ნეტავ მიწაში
ბორგავს რამდენი?

ან რას დავეძებ, —
გულდახერხილი
მუხის სხეულში
თუ სისხლი დაშრა,
აგერ, სხვა ბაღში

მიხმობს ხეხილი
და ლექსით ვხვდები
კვირტების გაშლას.

ასე ყოფილა
ქვეყნად მარადჟამს, —
ვთმობთ ყოველივეს,
სიკვდილმორავულს.
მე სიყვარულის
ვდგავარ დარაჯად
და ვეძებ ჩურჩულს,
ტკბილს და შორეულს.

ჰა, წყაროსთავი,
და ფეხშიშველი
გოგო პატარა,
შორეულ დღეთა:
მე შენ მიშველი,
თუკი მიშველი,
ოღონდ გამანდე,
რაც უნდა გეთქვა!

ჰქუხს და ელვაში ღრუბელი დაშრა.
მე ლექსით ვხვდები
კვირტების გაშლას
და ცეცხლი მისდევს
სიკვდილის ურჩხულს
და მესმის, ვკოცნი
შენს უკვდავ ჩურჩულს.



მეამბოხენი

ისტორიული მოთხროვა

აღმოსავლეთიდან ცხელი, მტვრით შესქელებული ნიავე უბერავდა და სახის კანს აშრობდა. ცხენები დაკარგულ ჩრდილზე დარდით იხუთებოდნენ, ისე ზანტად მიაბიჯებდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ ბედისწერა დროს აჩქარებდა, მუქი თვალების დასათხრელად ემზადებოდა. ეს გზა შეკაზმულებს ადრეც ბევრჯერ გაუვლიათ, მის გარდიგარდმო სიკვდილიც უნახავთ და სიცოცხლის ჩასახვაც, მაგრამ ამით მათ ზურგს არც ტვირთი მოკლებია და არც იარა. მხოლოდ ეს იყო, რომ ყოველი ახალი მოგზაურობის შემდეგ უკან მომავალი ურემების ჭრიალი ან აქლემების ეყვანთა უღარუნი სევდით ივსებოდა, უდაბნოში გაფანტულ ბგერათა უსაზღვრობას იძენდა.

მხედრებს წინ ახოვანი, მზით სახეგარუჯული ვაჟაკი მოუძლოდა. ღმერთს იგი მბრძანებლად, სხვისი ბედის გამგებლად გაეჩინა. იარაღაყრილი მხლებლებისაგან იერთააც გამოირჩეოდა და ნალველში გაზავებული ღიმილის ბუნდოვანებითაც. ფეხდაფეხ მას ორი სპარსელი დიდებული მოჰყვებოდა — ერთი ტანმორჩილი, სახედამჰქნარი, ისეთივე აქოთებული და გაუმადლარი, როგორც ეს საჰურისებს სჩვევიათ, მეორე ახალგაზრდა, ნებიერი, წითელი ჩალმით თავ-

დამშვენებული. უკან მათ თეიმურაზის ბეჭდის მცველი სოლომონი და ყაზახის სულთანი მოჰყვებოდნენ, კიდევ უფრო უკან ახალგაზრდა აზნაური მოაბიჯებდა. ყიზილბაშთა შეიარაღებული რაზმი მკიმედ მოირწეოდა, გზაზე ავარდნილ მტვერში ეხვეოდა. დატვირთული აქლემები ზეზეულად თვლემდნენ, სინამდვილეს ზმანებათა ხატოვანებით ამსუბუქებდნენ.

სპარსეთში თვალების დასათხრელად მიმავალ გივი ამილახვარს წვერში თეთრი გარეოდა, მაგრამ არც მოტეხილი ჩანდა და არც იმედგადაწყვეტილი. მისი მახვილი, ათას ჭირ-ეარამს გამოვლილი გონება მოვლენებს ზოგჯერ ისე ალაგებდა, რომ ზღვარი სასაცილოსა და სატირალს შორის იშლებოდა. შეიძლება ამის მიზეზი დრო უფრო იყო, ვიდრე მისი დაუდეგარი ხასიათი. როცა წინ იყურებოდა, აწმყოს ვერ ამჩნევდა, სწორედ იმას თვლავდა, რის შენარჩუნებაც სურდა, ხოლო როცა უკან მოიხედა, ადგილზე აღარაფერი დახვდა. დრო სხვა უსაზღვრობას მიეტმასნა, სხვაგვარად დათარიღდა და იქეთ წარუძღვა, საითაც ყველა ბრალდებულს მიუძღვის. დატყვევებულს, სასჯელის წინაშე მარტო დარჩენილს გამოსავალი თვითონ უნდა ეპოვა, როგორმე უნდა დასხლტომოდა



ხელიდან ნიჭიერ ვიგინდარას, თორემ ამ გზას უკან ვეღარ გამოჰყვებოდა.

გაბრტყელებული ქვეყანა მზის სხივთა სიმძიმისაგან იდრიკებოდა, მოგონებებს ვარეკანს აცლიდა, ჩირივით აქცნობდა. მას შემდეგ, რაც ამ გზას დაადგა, მებსიურების ყველა კარი უნდა დაეხსნა, მაგრამ მკმუნვარე მოგონებები დროის თხელ კედლებში ჟონავდა და გონების ზედაპირზე ვრცელ მინდვრებს იპყრობდა. თბილისიდან გამოყოლილ, შემოჩენილ აჩრდილებს ჯერ კიდევ შეეძლოთ მისი ცდუნება, გზიდან გადაყვანა, რადგან არეულ, მღვრიე დროში ყველაფერი ბედისწერა და ფათერაკია.

ამილახვარმა უკან მიიხედა. სიცხისაგან ქანცმხიდილი მხლებლები მომჩვიარულიყვნენ, სიფხიზლე დაეკარგათ. ირგვლივ ყველაფერი გადაბუგული, გავერანებული ჩანდა. ერთ დროს ამ უნაყოფო ველებზე ბალები ყვაოდა, წარმართული ტაძრები ქათქათებდა, ახლა კი დანაოკებული სივრცის მეტი არაფერი ირხეოდა. მიწას რომ ხრწნა შესძლებოდა, აქაურობა, ალბათ, მძორის სუნიით იქნებოდა აყროლებული. ამ გზით მოდიოდნენ საქართველოში დედა-წულიანად აყრილი ვადამთიელები, ამ გზით მოვიდა ნადირ-შაჰიცი. მაღალი, პირხმელი ჯარს ისე მოუძლოდა წინ, თითქოს თბილისის ალების შემდეგ მისი სამფლობელო ერთი ათად გაიზრდებოდა. მოგორავდა უზარმაზარი, ენაარეული, აღვირახსნილი ბრბო, რომლის ამლაგმავი ძალა საქართველოში არ მოიპოვებოდა. ყიზილბაშები სივრცეს წითლად ღებავდნენ, ნახევრად შიშველი ავღანელები მტერის სქელი ფენით იმოსებოდნენ, თუთიყუშებივით აქრელებული ქურთები ველურად ყიოდნენ. უკან მათ სვავებივით მოჰყვებოდნენ ქურდები, ყომარბაზები, მაწანწალები. რის შექმნასაც მგლები ვერ მოასწრებდნენ, ისინი შესანსლავდნენ. ბრბო ქმნიავდა, ქოთავდა, წამლავდა წყალს, ჰაერს, სულსა და ხორცს. უზარმაზარი სხეული იმგელა სტომაქს მოათრევდა თან, რომ თბი-

ლის მისი ამოყორვა არ შეეძლოთ. მალევისაგან ნარბევი ქალაქი დინამა, ლანძღვა-გინებისა და კივილის აღსაქმელად მოემზადა. წინასწარ არავინ იცოდა, ვის რას წავლევდნენ, ვის რისთვის გაიმეტებდნენ სასიკვდილოდ. თბილისი აჩურჩულდა, ჭრელი მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით დაჯგუფდა. ერთ ადგილას ქართველებმაც მოიყარეს თავი, მაგრამ ვერ მორიგდნენ და ორ ნაწილად გაიყვნენ. რამდენიმე თავადმა მამულს მიაშურა, ციხეში ჩაიკეტა, თავის დასაცავად მოემზადა, უმრავლესობა კი ნადირ-შაჰს მიეგება და საჩუქრები მიართვა. იმათ შორის, ვინც ნადირ-შაჰს თბილისში შემოსვლა მიულოცა თვითონაც ერია, კი არ ერია, წინ მიუძლოდა უმეფოდ დარჩენილ ქართლებს და შაჰს ისე ელაპარაკებოდა, როგორც ქვეყნის ერთადერთი გამგებელი. ნადირმა კაცის ცნობა და დაფასება იცოდა, მაგრამ ერთი მდაბიური ზნე სჭირდა. დანათესავებისა თუ თავის დაზღვევის მიზნით დამარცხებულს ცოლად ქალიშვილს სთხოვდა და თუ ნებით არ აძლევდნენ, ძალით მიჰყავდა. შაჰის უზნებობა რომ დროზე სცოდნოდა, ნათიას ან იმერეთში გადაიყვანდა, ანდა სასწრაფოდ გაათხოვებდა, მაგრამ ყველა საფრთხეს ვინ დაუწმობს გზას.

ხნიერ სპარსელს საჭურისის კიდევ ერთი თვისება ჰქონდა, ლაყობა უყვარდა. ზოგჯერ მისი უსიამო ხმა როკაპი ღედაკაცის ქოთქოთივით ესმოდა უკნიდან, მაგრამ მას უკვე აღარ აინტერესებდა, რას ამბობდნენ ალაჰის მადიდებელი ხანები, რა ხდებოდა გაფითრებული ცის ქვეშ. მიწიერებისადმი ლტოლვა როგორღაც შეუმჩნევლად, თავისთავად დაჰკარგა და იმ კედლებს მიაწყდა, რომელთა სიმტკიცე სულის მოძრაობას აბრკოლებდა. უმწიკვლო და უდანაშაულო ირგვლივ არავინ ეგულეობდა, მაგრამ მან მაინც ბებერი რამ ითავა, უამრავი სისხლი დაღვარა და მხოლოდ ამის შემდეგ მიხედა, რომ ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ, ბნელ შუკვებში გზის გაკვლევა არც ისე იოლი



ყოფილა, როგორც ახალგაზრდობაში ეგონა. თუმცა, როცა მხეცს ძალა ერჩის, ვერც ბნელ შუკებს ხედავს და ვერც ყოფიერების მღვრიე მორევს ამჩნევს. სანამ იბრძოდა, ცხოვრების ავკარგია-ნობაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა, ზარბაზნების ქუჩილით გაბრუებულს ცხოვრება უგუნურთა სათამაშო ასპარეზად, ნათხოვარ საუნჯედ მიაჩნდა, რასაც დღეს თუ ხვალ დაუკითხავად გამოგტაცებენ ხელიდან. ამიტომაც არ ერიდებოდა სისხლისღვრას, ფიცის გატეხას, ავისა და კარგის ერთმანეთში აღრევას. მიწიერებას მოწყვეტილი ფიქრები კი მხოლოდ მას შემდეგ ეწვია, როცა თავი დამარცხებულად სცნო.

მტერის სქელი ფენა ფარდასავით ირხეოდა, საკუთარ ობზივარში გახვეული მზე დედამიწას სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, აქლემების ეყვანთა ქლარუნი სივრცეს აათკეცებდა. ამილახვარმა თვალი მოიჩრდილა და უწყლო ველებს დაედევნა, მაგრამ გონებაში მოფუსფუსე აჩრდილებს მაინც ვერ დაუსხლტა ხელიდან. გამარჯვებულნი სამი დღე-ღამე ძარცვავდნენ ქალაქს. თბილისი აყროლდა, წაიბილწა, მტკვარმა იმდენი სისხლი და ხორცი შეიწოვა ერთბაშად, რომ ვეღარ მოინელა და მეტეხს ქვემოთ გვაგები მორებივით გამორიყა. გამარცხული ქალაქი იკრუნჩხებოდა, დაცარიელებული ქუჩები წელს იღივს მიათრევდნენ აღმართში. სამი დღის შემდეგ ყიზილბაშები დარწმუნდნენ, რომ თბილისში ხელს ვეღარ მოითბობდნენ და ქართლის ხეობებს შეესივნენ. ციხეში ირანელი მეციხოვნენი ჩადგნენ. სანამ ნადირ-შაჰი უკან გაბრუნდებოდა, კაცი გამოუგზავნა და ქალიშვილი სთხოვა ცოლად. მან უარი შეუთვალა. უარის თქმისათვის იგი შეიპყრეს და შაჰს მიჰგვარეს. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. შაჰს უკვე გაეგზავნა მარბიელი რაზმი ქალისაკენ.

ნათია დანიშნული იყო. თეიმურაზი ხშირად ჩამოდიოდა ქალაში და შეყვარებულები მთელ დღეს ერთად ატა-

რებდნენ. იმ დღესაც ერთად ყოფილან ბაღში მსხდარან, ნარდი უთამაშობდნენ. ბავშვებს თამაში უფრო იტაცებდა, ვიდრე საუბარი. ნათია ცამეტი წლისა იყო, თეიმურაზი თხუთმეტის. რა შეეძლო თხუთმეტი წლის ყმაწვილს, რით დაეცვა ან სატრფო ან საკუთარი თავი. ქართველებს საქართველოში იარაღის ტარების უფლებაც კი არ ჰქონდათ. ყიზილბაშებმა თეიმურაზი განზე მიაგდეს, ნათია ცხენზე აიტაცეს და ისე გაეცალნენ იქაურობას, როგორც ეს ავჯაკებს სჩვევიათ. ნათელი დღე შეტორტმანდა, თვალს დახამხამებაში დანახშირდა. აღარ არსებობდა ხეთა სიმწვანე, ცის სილურჯე, ყვავილთა სურნელება. ყველაფერი შავმა ფერმა და სასოწარკვეთილებამ შთანთქა. მოხდა ის, რასაც წარმოდგენა ვერ ეგუება, რის წინაშე სიკვდილიც კი ანგელოზივით მწყაზარია.

ამილახვარმა ერთი წამით ცხენი შეაჩერა და ქრელი ხელსახოცით ისე მოიწმინდა ოფლი, თითქოს კეფასთან ღრმა, დაჩირქებული ქრილობა ეფულებოდა.

თეიმურაზის ბერად შედგომა მოგვიანებით გაიგო, კირილე ეპისკოპოსმა უამბო ყიზილბაშებითა და ქართველებით გარემოცულ ციხეში. იმ დღეს თეიმურაზ მეფემ შემოუთვალა ციხე ჩამაბარე და ყველაფერს გააპტიებო, მაგრამ მაშინ თეიმურაზი შაჰის ყურმოჭრილ მონად მიაჩნდა და ისევე ვერ ენდობოდა, როგორც სეფიანთა ტახტის მიმტაცებელს.

მხარმარცხნივ, ცის დასალიერთან ჯერ დაკლავილი ზოლი გამოჩნდა, შემდეგ კი ტყით შემოსილი მთების ჩრდილი. გამშრალმა თვალებმა ცოტაოდენი შვება იგრძნეს. გზა მარჯვნივ, სამხრეთისაკენ უხვევდა, მაგრამ მთების დანახვამ

1 თეიმურაზ ბაგრატიონი — ძე მეფე იასკის, ვახტანგ მეექვსის ძმისწული, შემდგომ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, კათოლიკოს ანტონ პირველად წოდებული.

2 თეიმურაზ მეფე — ჯერ კახეთის, შემდეგ კი ქართლის მეფე, ირაკლი მეორის მამა.

ვიკი მატერიალი
მედიკონი



მანც შეარბილა სულში გაჩენილი უდაბნოს სიმხურვალე. არ ეგონა ასე მალე თუ მოენატრებოდა წყაროს წყალი, ზურმუხტოვანი მინდვრები, გზის პირას ჩამოხტომა და ხის ქვეშ სუფრის გაშლა. თუმცა გზის პირას ცოტა ხე იდგა ისეთი, რომლის ტოტებზე ან ყიზილბაშებსა და ოსმალებს არ ჩამოეხრჩოთ ქართველები, ანდა ქართველ თავადს მოქიშვე თავადის ყმები. კაცის კვლა, მოტაცება, დასახიჩრება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში, როგორც ტურების კივლი. ოსმალები და სპარსელები მხოლოდ მაშინ კარგავდნენ მოსვენებას, როცა საქართველოდან ტყვეთა გაყვანა ფერხდებოდა. ხეობებში ჩამოწოლილ ნისლს ყოველ დღე ფლეთდა შემზარავი კივილი, თოფის სროლა, მოთქმა-გოდება. ჟამთა სიძველემ უამრავ მსხვერპლს მოითხოვდა, მაგრამ არავითარ შეღავათს არ იძლეოდა. საქართველო სამყაროსაგან მოწყვეტილ, მოძულეებულ ქვეყანას გავდა, რომელსაც დაუსჯელად ჯიჯგნიდნენ.

ნათია ისე მიიყვანეს ჰარემში, რომ მისთვის არც კი უჩვენებიათ. იქნებ არც იყო საჭირო. რა უნდა ეთქვა, რით ენუგეშებინა სასოწარკვეთილი, სხვის საკუთრებად ქცეული გოგონა, რომელსაც ამქვეყნის არაფერი გაეგებოდა. იმ იარაღით, რაც წელზე ეკიდა, ვერაფერს გახდებოდა, მის მოჭრილ თავს წინ დაუვადებდნენ ნადირ-შაჰს. ნათია დრომ დაითრია, სულიან-ხორციანად შთანთქმა, მაგრამ მის მეხსიერებაში ჩაჭედილი სოლი ვერაფერმა მოარყია. ზოგჯერ ისე აწევებოდა ტეინს, რომ ირგვლივ ყველაფერი წითლად იძარღვებოდა. შეიძლება სწორედ ეს სოლი იყო მისი დაუდევრობის, მერყეობის, ვეჟაკობისა და აეკაცობის მიზეზი, შეიძლება სწორედ იმ დღეს მიხვდა პირველად, რომ სჯობია ბრძოლა წააგო, ვიდრე უმწეობას ამოეფარო.

არაგვის ერისთავი ურთუროთი თბილისში სპარსელების გულის მოსაგებად ჩამოვიდა და მის სახლში ყოველდღე

ლხინი იმართებოდა. იმ საღამოს ქართველ თავადებთან ერთად სპარსელებიც ჰყავდა დაპატივებული. სპარსელები ერთმანეთის თანდასწრებით ღვინის სმას ერიდებოდნენ, ჩუმად წრუპავდნენ, ქართველები კი ჯიხვის ყანწებს ცლიდნენ და ისე ხმაშეწყობილად მღეროდნენ, თითქოს ამქვეყნის არაფერი ეკითხებოდათ. გუბდებოდა არსებობის ქაფმორეული დინება, ინიღბებოდა ავი ზრახვები, მდიდრდებოდა დროის უფსკრულზე გადებული სუფრა. ერთ დარბაზში თავმოყრილი მტრები უკეთ ექცეოდნენ ერთმანეთს, ვიდრე დაცალკევებულნი. სპარსელები თავაზიანად ილიმებოდნენ, ჩხუბსა და აყალმყალს ერიდებოდნენ. მათთან შედარებით ქართველები მხარგრძელნი, შეუმუსრავი ჩანდნენ. აქ რომ ჩხუბი ამტყდარიყო, ყიზილბაშთა მოგრძო თავები მწიფე მსხალივით დაცივიდებოდა. პირველი ორი ყანწი სულის მოსათქმელად, წყურვილის მოსაკლავად დალია, შემდეგ კი გამომწვევად გადახედა მუხრანბატონებს, ერისთავებს, ორბელიანებს, ბარათაშვილებს და ციციშვილებს. ღვინო ისე სიამოვნებდა, როგორც ოლიმპიელ დემეტრეს ნექტარი. სვამდა ხარბად, თავდაუზოგავად, წუთისოფლის ღვინოში ჩასახრჩობად. სწორედ იმ ღამეს დაუვარდა ხმა, გივი ამილახვარს ღვინო არ ათრობსო. და მართლაც არ ათრობდა. გათენებამდე ფეხი არ მოუცვლივ, წვეთი არ დაუქლია, მაგრამ ვონებაში არაფერი გაბუნდოვანებულა. მხრჩოლავი ჭაღები ბნელს ებრძოდნენ, შეზარხოშებული სახეები შეუგუებელს ეგუებოდნენ, სულში დაღლილობა და გულგრილობა იკიდებდა ფეხს. თამადა მტკიცე ხმით, დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მაღალფარდოვან სიტყვებს უცვეთი ქეშმარიტებებით აღულაბებდა, მაგრამ სინამდვილეს მაინც ვერსად გაუტრობდა. შეიძლება ამის მიზეზი მოაჯირზე გადაყუდებული აჩრდილი იყო, რომელიც ახალი უბედურების მოსაწინებლად ძველის ამონთხევას ცდილობდა.



როგორც კი თამადამ სიტყვა დაასრულა, „მრავალყამიერმა“ იქუხა. ქართველები ზოგჯერ მოვარდნილ ჭირს სიმღერით, სილაღითა და სილამაზით იგერიებდნენ, მაგრამ ბოლო დროს არა მარტო სილამაზემ დაკარგა ფასი, არამედ ღმერთმაც და კაცმაც, კაცზე უფრო ღმერთმა, რადგან არაფერი შეისმინა. ცალი თვალითაც კი არ გადმოხვდა გაჩანაგებულ ქვეყანას. რად უნდოდათ ქართველებს ღმერთი, თუ საქართველო არ იქნებოდა.

განთიადისას სტუმრები წამოიშალნენ, დღის სინათლეს მიაშურეს, მაგრამ თვითონ ადგილიდან არ დაძრულა. ქუჩაში გასვლას და თვალების ქუტცას ისევ ნახევარბნელში ჯდომა და ღვიზის სმა ერჩია. ღვინო უკეთ ავსებდა დროს, ვიდრე თვალი და ყური. თითები მუხის სქელ ფიცარს ეფერებოდნენ, ძველისძველი კერპი საცოდავად იღმიჭებოდა, თავაშემებული ქვეყანა ისე ეგებებოდა ახალშობილ დღეს, თითქოს სისხლი ჩამოირეცხა, ნათელში განიბანა. ახალი დღის დაბადება რაღაცას ამოკლებდა, იქნებ აწონასწორებდა კიდევ, მაგრამ ამ დარბაზში იგი სამუდამოდ ვერ დარჩებოდა. ხვალ, ზეგ ან ერთი კვირის შემდეგ ცხოვრება თავისას მოსთხოვდა და მთელი ტანით უნდა წამომართულიყო, პირისპირ შეგებებოდა იმას, რაც აირ-დაირია, გაუხეშდა, სიხარულისაგან დაიცალა.

შინაყმები სუფრის ალაგებას შეუდგნენ. დამძიმებული სხეული ჯერ შეანჯღრია და მხოლოდ ამის შემდეგ წამოსწია სკამიდან. გვერდითი ოთახი ცარიელი აღმოჩნდა. კუთხეში სპარსული ტახტი იდგა. ტახტზე წამოწოლილს ძილი უფრო ჩქარა მოერია, ვიდრე წუხელის ღვინო. სიზმრები წყალში ჩაყრილ სოკოსავით დაღბა, თავისივე ლორწოში გაითქვიფა. მეხსიერებას მხოლოდ უნდობლობით დაეწროებული თვალეები, შუღლით დამძიმებული სახეები და შელახული ფარდის რბევა შემორჩა. ერთხელ რაღაც მოვლანდა, გვერდზე

გაცოცება, გაუჩინარება სცადა, მაგრამ უბილავი დილეგის ბნელ კედლებზე თავი ვერ დააღწია. პირი უშრებოდა, გულ-ღვიძლი ეწოდა, ოფლში გაღვრილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თონეში ეძინა.

გალვიძებულს სუფრა გაშლილი დახვდა. ფანჯრიდან მზით გათანგული ქალაქი მოსჩანდა. დღის სინათლე არ სიამოვნებდა, მისი არც სიცხადე სწამდა და არც სიხალისე. სანამ დარბაზში შევიდოდა, თვალები მოიფშვინტა და დაუბანელ პირზე ხელი ჩამოისუვა. ღვინო ის-ის იყო იწყებოდა. არავეის ერისთავმა მკლავის სიმსხო ყანწი შემოაგება. შიგნეულობა დაცხრა, დარბილდა. ღვინო ელავდა, ისეთი რაკრავით გადადიოდა ყელში, თითქოს მის მიერვე დანთხებული ცეცხლის ჩაქრობა სურდა. ქვეყანა შეიმოსა, ამჩატდა, უტიფრად აღილინდა. რომ არ აპყოლოდა, ბრაზისაგან გაიგულებოდა. ყანწს ყანწი მოჰყვა, ღამის თევას — ღამის თევას, თავდავიწყებას — თავდავიწყება და ასე გავრცელდა მანამდე, სანამ ხმა არ გავრცელდა, ქსნის ერისთავი შანშე აჯანყდაო.

ცხენის წაფორხილებამ მეხსიერების ღია კარი დაახშო, თვალმა ქვეების სიმხურვალე აირეკლა. გათლილი, ჩალისფერი ქვეები ისე ეყარა გზის პირას, თითქოს აქვე, ამ ველზე აღმოცენდნენ. უსახური ქვეყანა იწელებოდა, იშმუშნებოდა, დუნედ იკლანებოდა ისიც, რასაც შიში და უგუნურობა ჰქვია. რისთვის მიჰყავდათ სპარსეთში, ნუთუ საქართველოში ჯალათი არ მოჰოვებოდა? მის დაბმას, ორი რგოლის გახურებას და თვალების ამოწვას უბრალო ჯარისკაცებიც კი მოახერხებდნენ. ტკივილი ტვინს დაფლეთდა, ქვეყანა დანაკვეთჩხალდებოდა და რა მაგრადაც არ უნდა მღგარიყო ფეხზე, მაინც ხელით სატარებელი იქნებოდა. ცოტა ხნის

ვიპი მაღულარია
 მთავრობანი



შემდეგ სახე დაუსივდებოდა, ხმა და ხასიათი შეეცვლებოდა, მაგრამ გარღვევალობით შეკრული წრე ბედმა კიდევ ერთხელ გადაშალა და უფრო დიდი წრის მოხაზვას შეუდგა. სწორედ ამ წრის მრუდზე ხაზს მიჰყვებოდა ახლა იგი სპარსეთისაკენ და შაჰისათვის ძღვნად საკუთარი თვალები მიჰქონდა.

ამილახვარმა უსიამო ფიქრები თავიდან მოიშორა, ხელი მოინაცვლა და უკან მიიხედა. ჯერ არც ქვეყანა ჩანდა შეცვლილი და არც ისინი, ვისთვისაც გზათა უაზრობა არ არსებობდა. მათ კარგად იცოდნენ, სად მიდიოდნენ, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ამიტომ არ ჩქარობდნენ. მოაზიჯებდნენ ისე, თითქოს ყოველი ზედმეტი მოძრაობა მზეს გააღიზიანებდა, გაახლებდა. ამ ერთფეროვან, გაშიშვლებულ წუთისოფელში აწმყო არ არსებობდა. კაცს ან იმით უნდა ეცხოვრა, რასაც ელოდა, ანდა იმით, რაც მეხსიერებას შემორჩა.

ნადირ-შაჰს ქალაქში გაჩერება არ უყვარდა, ველზე დგომა ერჩია, ასე უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. კრწანისის მიდამოები ნეხვის, ოფლისა და შემწვარი ხორცის სუნით იყო აქოთებული. ტყედ გაშლილი კარვები ისე მძიმედ აწვებოდნენ ქვეყანას, თითქოს ფესვის გაღმას, მიწასთან შეზრდას ცდილობდნენ. რა ბეცი თვალიც არ უნდა ჰქონოდა კაცს, როგორც არ უნდა გაემართლებინა ყოფიერების უთავბოლობა და კაცთა მოდგმის უგუნურობა, მომხდურთა დანიშნულება მაინც მკვლელობა, ძარცვა და ნგრევა იყო. სანამ ამ ჭრელი ქალაქის მკვიდრნი ხორცს წვავდნენ, ნადავლით ვაჭრობდნენ, დატყვევებულ ქალებს აუპატიურებდნენ, არც წინ იყურებოდნენ და არც უკან, მაგრამ, როგორც კი ბუკის ველური ბგერები სივრცეს გააბობდა, იარაღს აისხამდნენ, ცხენებზე ამხედრდებოდნენ და რაც უფრო მეტ სისხლს დაღვრიოდნენ, მით უფრო ცოტა მოეჩვენებოდათ. ღმერთო დიდებულო! იქნებ ამქვეყნის შექმნა შეცდომა იყო, — წა-

მოსცდა უნებურად და სანამ მეგზურის წამოეწეოდა, პირჯვარი გადაიხსნა.

ნადირ-შაჰის კარავი ისე გამოირჩეოდა სხვა კარვებისაგან, როგორც მარგალიტი ზღვის კენჭებისაგან. კარვის წინ ხმალშემართული თურქმენები იდგნენ. ჯარში და შაჰის კარზე ჯერ კიდევ ბატონობდა თურქული ენა, თურქული ზნე-ჩვეულებები, რაც მკვიდარ სპარსელებს ეკალივით ესობოდათ გულში. რამდენჯერ შესწრებია ყიზილბაშების, თურქმენებისა და ავღანელების ჩხუბს შირაზელებთან, ხორასანელებთან და მაზანდარელებთან, რამდენი მუცელი უნახავს ხანჯლით გამოფატრული, რამდენი თავი ძირში მოჭრილი. ნადირ-შაჰის მტკიცე ხელი რომ არა, ეს ძლიერი ჯარი ერთ დღეში დაიშლებოდა, რაზემებად დაიყოფოდა და სისხლად დაიღვრებოდა.

მეგზურმა თურქმენებს რალაც უთბრა და შაჰის პირადმა მკველებმა გზა დაუთმეს. კარვის კალთა ისე გადასწია, თითქოს არც ღვინო ჰქონდა ყანწებით ნასვამი და არც სოლი ტყინში ჩაჭედოლი. ნადირი ფეხმორთხმით იჯდა ქერმანული ხალიჩის თავში. მისი ვაჟკაცური, უნარიანი ბირისახე არაფერს იკარებდა ისეთს, რაც საჭიროდ არ მიაჩნდა. ამ უსწავლეობა, სიღარიბეში გაზრდილობა კაცმა სპარსეთი მკვლრებით აღადგინა — ჯერ ავღანელები გარეკა ერანიდან, შემდეგ კი ოსმალები დაამარცხა და დაკარგული სამფლობელოები დაიბრუნა. მიუხედავად ამისა, სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა მაინც არ დაუკარგავს. ალლოგამახვილებულმა კარგად იცოდა, რომ ქაოსი და არეულობა ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ყველგან და როგორც კი წაიფორთხილებდა, მაშინვე გასრესდა.

ნადირ-შაჰისაგან მხარმარჯვნივ იმამ-ყული-ხანი, მირზა-ხანი და შირვანის ბეგლართბეგი ისხდნენ, მხარმარცხნივ სათნო, თეთრწვერა შეიხი, ყულარ-აღასი და მღვიანბეგი. მუსლიმანთა ნაქები თავაზიანობა, გაქიანურებული სალამი და ფეხმორთხმით ჯღომა არავითარ სი-

ამოვნებას არ ანიჭებდა, მაგრამ იგი დაპყრობილი ქვეყნის წარმომადგენელი იყო და თუ საჭირო გახდებოდა, აუტანელიც უნდა აეტანა. თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ნადირ-შაჰს ეჩქარებოდა, ძილშიც კი ინდოეთი ელანდებოდა და ამიტომ დროის დაკარგვა დიდ ცოდვად მიაჩნდა. ნიჰმა, რაღაცის გარდაქმნის, გადახალისების სურვილმა იგი სპარსეთის შემოტოქავი ბორკილებიდან გაანთავისუფლა, მკაცრი და შეუპოვარი გახადა, ხოლო რამდენიმე დღე-ღამე გამარჯვებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ყველა წინააღმდეგობის აღმოფხვრას მხოლოდ მაშინ შესძლებდა, თუ მსოფლიოს დაპყრობას მოახერხებდა. მის გონებაში უკვე ბოგინობდა ამგვარი გეგმები, მაგრამ მსოფლიოზე მას ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

ნადირ-შაჰს არც ლაპარაკი უჭირდა და არც აზრის მოკლედ, მკაფიოდ გამოხატვა. თბილისის გამგებლობა და ერანელთა ჯარის სარდლობა იმამ-ყული-ხანს დააეღა, მას კი წინადადება მისცა, ქართველები შეეყარა და იმამ-ყული-ხანთან ერთად ქსნის ერისთავის წინააღმდეგ გაელაშქრა. ნაჭეიფარსა და უხერხულად ფეხმორთხმულს უარის თქმა არ გასჭირვებია. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ყიზილბაშების უკან გაბრუნების შემდეგ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა საქართველოში, კიდევ რამდენ ხანს აცოცხლებდნენ ტახტის მიმტაცებელს სპარსელები. შანშე ერისთავი ადვილად ხელწამოსაკრავი, დამთმობი კაცი არ იყო, გაბოროტებულმა სასტიკი შურისძიება იცოდა. შეიძლება მოგვიანებით მას მინც წაეგო თავი, მაგრამ ახლა არც ნადირ-შაჰის ყმობა უნდოდა და არც შანშე ერისთავის გადაკიდება. დრო ჯერ ითმენდა, ითმენდა მანამდე, სანამ ყველა უკან დასახევ გზას არ მოუჭირდნენ.

ამილახვარმა ცხენი შეაჩერა და ახალგაზრდა აზნაურს გასძახა წყალი მომართვიო. მისი ძლიერი, ბრძანებას

მიჩვეული ხმა ისე შთანთქამა ცხენმა პაერმა, რომ არც კი შერხეულა. სპარსეთში დაბრუნებული მისი მთავარი მოწოდება იყო წყალი. მისი მოწოდებას დაემატა წყალბარევი ღვინო მოურბენინა. ტიკტორის სირბილე და მოქნილობა ესიამოვნა, მზის სხივების მოუღრეველობა გადააფიქვა. ვარდისფერი სითხე ხალისიანად იღვრებოდა, პირსა და ყელს წებოდქეული ნერწყვისაგან რეცხდა, ღებებოდა, გრილდებოდა გახურებული პირისაზე და უეტრად ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს არა მარტო მისიანები თანუგრძნობდნენ, არამედ გათელილი, გაუხარებელი ბუნებაც. ამ მტკრიან გზაზე არც ჯაჭვით დაბმა ელოდა და არც თვალბის დათხრა. საფრთხე ბოქცეებს მიღმა, ცის დასალიერთან იმალებოდა.

როგორც კი ცხენი ადგილიდან დასძრა, აწმყო გაქრა და რადგან მომავალი კარგს არაფერს უქადა, ისევ წარსულს წაეპოტინა. შანშე ერისთავი მამაცი, შეუპოვარი ვაჟაკი იყო. მათი მამულები ერთმანეთს ესაზღვრებოდა, რამდენჯერმე ამის გამო დავაც კი მოსვლიათ და ამიტომ მის მძიმე ხასიათს სხვებზე უკეთ იცნობდა. ჟამთა სივრცე ერთმანეთს გააჯიუტა, ექვიანი და დაუნდობელი გახადა. ვულხათხრობილს ყველგან ღალატი ელანდებოდა, საერისთავოს მიღმა მდებარე ქვეყანა მახედ მიაჩნდა. როცა მსჯელობდა, წინდახედული, გონიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ განრისხებულმა არავის დანდობა არ იცოდა, უგუნურობამდე სასტიკი იყო. ერთ შინაყმას ენა მხოლოდ იმიტომ ამოგლიჯა, რომ სწორი ამბავი ვერ მიუტანა. ასევე დაუნდობელი იყო მტრის მიმართაც. ყიზილბაშთა მცირე რაზმებს სადაც კი წააწყდებოდა, მუსრს ავლებდა. მიეღ საქართველოს რომ ასე ებრძოლა, ყიზილბაშები, ოსმალები და ლეკები ძარცვის ხასიათზე ვერ იქნებოდნენ, მაგრამ ამგვარ ბრძოლას ყველაზე

გივი მაღულარია
მიაგროხინი



ადრე, ალბათ, თვით შანშე ერისთავი გამოეთიშებოდა.

ამილახვარმა სადავე ისე მოქაჩა, რომ ფიქრი არ შეუწყვეტია. ქსნის ერისთავი დაუღალავი, ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცი იყო, მაგრამ საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თავადები ყველაფერს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ერთმანეთის ჯიბრზე აკეთებდნენ. აჯანყების დაწყებამდე შანშეს არც კი უცდია ვინმე მიემხრო, ზურგი ან ფრთა გაემარებინა. თუმცა ვინ უნდა მიემხრო, რუსები და ოსმალები შორს იყვნენ, ქართველ თავადებს კი არ ენდობოდა. მუდამ იმას ფიქრობდა, ჩემს მამულზე უჭირავთ თვალიო. საერისთავო იყო მისი კარ-მიდამოც, სამეფოც და სამშობლოც. ოსმალები სპარსელებს იმიტომ ერჩია, რომ ქართლში მათ მეფობა მოშალეს, ქვეყანა ხეობებად დაჰყვეს და ადგილობრივ თავადებს ჩააბარეს. ურჩობა და ღალატი შანშე ერისთავს შინ სჭულდა, თორემ გარეთ ისეთივე ჩვეულებრივ აზრად მიაჩნდა, როგორც ყმების დასჯა. ქსოვრისთან ომში ვახტანგ მეფეს სწორედ იმ დროს უღალატა, როცა ბრძოლის ბედი წყდებოდა.

იგი ჯერ კიდევ საქართველოში იყო, როცა იმამ-ყული-ხანი ქსნის ხეობისაკენ დაიძრა. ქართლი იმ დროს სულთმოპოვად, გადაგვარების გზაზე დამღვარ ქვეყანას ჰგავდა, სადაც ჰაერი ბოღმისა და სიკვდილის სუნით იყო გაჟღენთილი. გამოწყლის არც ქსნის ხეობა წარმოადგენდა. ერთმანეთს ებმოდნენ დაცარიელებული ნასტავისი, ნასპარსალი, ქადაგიანი, ციხისძირი და ქანდა. ერთმანეთს შეჰყურებდნენ კედელმოკრულვეული ქსნის ციხე და გუმბათაჩამოქცეული წითელი საყდარი, რომლის შიდა კედლებს ჯერ კიდევ ამშვენებდნენ ანგელოზები და წმინდანებად შერაცხული მღვდელმთავრები. ქსნის ციხეს რომ პატრონი ჰყოლოდა, მისი ალება ზარბაზნებით შეიარაღებულ მტერსაც კი გაუჭირდებოდა. ამ ციხის გამო წაეციდნენ ერთმანეთს ბაგრატი მუხრანბატონი

და კახეთის მეფე ავ-გიორგი, რომელმაც ბაგრატი გესლიანი სიტყვები შექმნიდა ვალა და ციხიდან ღვინო გამოუგზავნა, ბაგრატიმ გესლს გესლი დაამატა და ციხეში ორავულები შეუგზავნა. ის, რაც ადრე ქართველებს დიდ უბედურებად მიაჩნდათ, ათასჯერ განმეორების შემდეგ მასხრობად იქცა. დრო მათთვის სიკვდილის წყარო უფრო იყო, ვიდრე სიცოცხლისა და ამიტომ მაინც-დამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდნენ.

ქართლის სილატაყე და სიციხილე სპარსელებსაც აკვირებდა, მაგრამ საკბილოს მაინც ეძებდნენ. ხალხი იხიზნებოდა, კოშკებსა და გამოქვაბულებში იმალებოდა. გაჭირვებამ მათ ბევრი რამ დაავიწყა ისეთი, რისთვისაც ადრე თავს გასწირავდნენ. მუხრანი დაცარიელებული დახვდათ, ცარიელი აღმოჩნდა ლამისყანაც, რომელსაც მუხრანბატონები, ორბელიანები და ერისთავები ერთმანეთს ედავებოდნენ. სპარსელებს ქსოვრისის, ოძისისა და ხოფის ალება არ გასჭირვებიათ, მთელი გზა ისე განვლეს, რომ წვეთი სისხლი არ დაუღვრიათ. მიუხედავად ამისა მაინც იღრინებოდნენ, იგინებოდნენ. მათი საკბილო ლეკებს დაეტაცათ, კავკასიონს იქით გადაეზიდათ. პირველი სიმარე, რომლის ალება ბრძოლით მოუხდათ, ახალგორის ციხე იყო. სანამ ძალა შესწევდა, შანშე ერისთავი თავს იცავდა, ახალგორის დათმობის შემდეგ წირქვალის ციხეში გამაგრდა, მაგრამ სპარსელები იქაც მისწვდნენ და რადგან მათთან გამკლავების ძალა არ შესწევდა, საერისთავო უმკროს ძმას, იესეს ჩააბარა, თვითონ კი რუსეთში გადავიდა დახმარების სათხოვნელად.

რა იყო სახეიმო, მაგრამ სპარსელებმა მაინც დიდი ღვინო გადაიხადეს და ნალირ-შაბთან კაცი აფრინეს, შანშე ერისთავი საქართველოდან განვლევნეთო. იმამ-ყული-ხანმა მცირეოდენი ნადავლი და ტყვეები თბილისში გაგზავნა. ამ გამარჯვების შემდეგ მის ჯმუხს სახეს კიდევ ერთი ნაოჭი შეემატა. სპარსელების მომხრე ქართველი თავადები



გამხნევენ. ანანურიდან არაგვის ერისთავი ურთურთი ქსნის ხეობაში გადავიდა და სპარსელი დიდებულები საერისთავოში მიიპატიჟა. ქართლი გაინაბა, ისე იმ ფარდას ამოფარა, რომლის უკანაც ძალას იკრებდა. ერთხანს მხოლოდ შანშე ერისთავის ძმა, იესე განაგრძობდა ურჩობას, მაგრამ რკალი მის ირგვლივაც სწრაფად იკვრებოდა.

ამილახვარმა მხერა შიშველ ბორცვებს მიაპყრო. ის, რაც გარეთ ბრტყელი და მშვიდი ჩანდა, აღქმის შემდეგ სახეს იცვლიდა, იმღვრეოდა, შეუთვისებელს ითვისებდა. გაუგებრობა, თვალთმაქცობა და სიცრუე სხვადასხვა წყაროდან მოედინებოდა, სხვადასხვა მიზეზს ეფარებოდა და ახსნას, გამართლებას თხოულობდა. გამართლებით თითქმის ყველაფრის გამართლება შეიძლებოდა, მაგრამ მისი სიმართლეც ისეთივე ცალმხრივი და მანკიერი იყო, როგორც უკან დარჩენილი აჩრდილებისა. მოვლენები სხვა შინაარსს იძენდნენ და ვერაგულად კარგავდნენ იმ თვისებებს, რაც დიდი ხნის წინათ შეიძინეს. საჭირო იყო გარდაქმნა, გადასხვაფერება, მაგრამ სად ეპოვნა სწორი გზა იქ, სადაც ყველა გზა ათასჯერ ნაცადი და უარყოფილი იყო, სად აღმოეჩინა ისეთი ვაჟაკი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ეღალატა მოყვრისათვის, როგორ მოერგებინა სიკვდილი, განუკითხაობა, გაუტანლობა, როგორ აღმოეფხვრა შეგნებიდან ის აზრი, რომ უკიდურესი დაძაბულობაც კი თითქმის არავითარ შედეგს არ იძლეოდა, ერთი გამარჯვება ათ კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას თხოულობდა.

ბორცვებს მიღმა ჯერ ორმოებად ქცეული ნაქალაქარი გამოჩნდა, შემდეგ კი წარმართული ტაძრის ნანგრევები, რომელსაც ირგვლივ დაბალი ბუჩქები, გამხმარი ბარდი და ხავსი შემოხვეოდა. ამქვეყნად ბევრი რამ უნახავს აღდგენილი, შეკეთებული, შენიღბული, მაგრამ გუმბათჩამოქცეული, კედლებჩამორეცხილი ტაძრის აღდგენა აღარავის შეეძლო. ეს იყო დროის

მოუშუშებელი ქრილობა, კბილებდაკრეკილი გვაში, რომლის ხანდაზმულობა აუღაბურებდა, აცინებდა ისედაც დაკნინებულ ბუნებას. ერთ დროს, ალბათ, ამ ქალაქშიც ცხოვრობდნენ, სამყაროს სიდიადით შემქრთალი, პირქუში აღამიანები, რომლებიც ღმერთის სახელით ტაძრებს აგებდნენ, ურწმუნოებს ცეცხლზე წვავდნენ, ურჩებს თავს კრიდნენ და თუ მათ მიერ დადგენილ საზღვრებში რამე არ ეტეოდა, გრძელს ამოკლებდნენ და მოკლეს ჭიმავდნენ.

როცა სეფე-ხანი მთელი თავისი ჯარით ქართლს მოადგა, ნადირ-შაჰი უკვე ისპაჰანში იყო და სალაშქროდ ემზადებოდა. ყიზილბაშების უეცარმა გამოჩენამ ქართლი ისევე აშალა, ააფორიაქა, მაგრამ სეფე-ხანი სოფელ ფხვენისში დაბანაკდა, კახეთიდან თეიმურაზი, გივი ჩოლოყაშვილი და ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო იხმო, ქართლიდან მის გარდა ბარჩიმ არაგვის ერისთავი და ლუარსაბ თარხნიშვილი, ყველას იარაღი აპყარა, მცველები მიუჩინა და უკან სპარსეთისკენვე გაბრუნდა. მათთვის არც ცხენები ჩამოურთმევიათ და არც ბორკილები დაუდვიათ, მაგრამ ისე იცავდნენ, როგორც საშიშ დამნაშავეებს. ყიზილბაშებს საქართველოში ფხვის მოკიდება გაუჭირდათ. ყოველი ხევის შემომტყიცება იძვენ სისხლად და ჯაფად უჯდებოდათ, რომ აღარც მტრებს ენდობოდნენ და აღარც მოყვრებს. ტყვეობა არც ისე უსიამო აღმოჩნდა, როგორც ეგონა. მცველები თავაზიანად ექცეოდნენ, ხოლო როცა ექვსივე სუფრას შემოუხსნებოდნენ და პურის ჭამას დაიწყებდნენ, როცა სადილი ღმინში გადაიზრდებოდა, ბანაკი მათ უფრო ეკუთვნოდათ, ვიდრე შაჰის სარდლებს. ასე ტყვილად ქართველ მეფესა და თავადებს იშვიათად უტარებიათ დრო. ბოლოს გამოჩნდა

გივი მაღულარია
მეამბოხანი



ცადაწედილი მინარეთები. ისპაპანი აღარ ჰგავდა იმ საშიშ და ქუჭკიან ქალაქს, როგორიც ნადირ-შაჰის აღზევებამდე ასხვოდა. ყველგან სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა, ვაჭრებს ფართოდ გაეღოთ ღუქნის კარები, ხელოსნებს გარეთ გამოეტანათ მზა საქონელი, ქუჩები ხალხით იყო სავსე. სეფე-ხანმა ტყვეები ისე მიჰგვარა ნადირ-შაჰს, თითქოს მძიმე მოვალეობა მოიხადა. ნადირმა მართლაც მეფური სულგრძელობა გამოიჩინა, მათთვის არც ბრალდება წაუყენებია და არც სასჯელი დამუქრებია, პირიქით, ბრძანება გასცა ყველასათვის იარაღი დაებრუნებინათ, ხალათები ეჩუქებინათ და გამომშვიდობებისას პირადად სთხოვა თითოეულს, ყანდარში გაჰყოლოდა სალაშქროდ. იმ ღამეს მაჰმანდარებმა ფული და ხალათები ჩამოარიგეს, ხოლო მეორე დღით ტყვედყოფილი ქართველები ნადირ-შაჰის ამაღლში იყვნენ. თეიმურაზი და კახელი თავადიშვილები მხოლოდ ამ ლაშქრობის დროს გაიცნო ახლოს. კახეთის მეფე გონიერი, გულკეთილი კაცი აღმოჩნდა. შესაძლებელსა და სასურველს არასოდეს ურევდა ერთმანეთში და იცოდა, ვის რისთვის მიმზრობოდა და რისთვის განდგომოდა. ცხოვრებას რომ მათი გზები არ გაეყარა, შეიძლება დამოყვრებულიყვნენ კიდევ, მაგრამ დამოყვრების ნაცვლად მოსისხარ მტრებად იქცნენ.

ლაშქრობა სამ თვეს გაგრძელდა. ნადირ-შაჰმა ყანდარი სწრაფად აიღო და გამარჯვება იზეიმა, რაც ბევრ სმას, ბევრ ჭამას და რაღაც ისეთის დაკმაყოფილებას ნიშნავდა, რის უფლებაც ჯარისკაცებს ყოველთვის არ ჰქონდათ. ზეიმში მათაც მიაღებინეს მონაწილეობა. ერთმა გურგანელმა იუზუბაშმა მოკრილი ყურების მთელი აცმა უჩვენა, რომელთა შორის ზოგიერთი ჩირვიით იყო დამკნარი, რამდენიმეს კი ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. ერთმა ფარსელმა ჯარისკაცმა ავღანელებს ყომარში ფული და ტყვეები მოუგო, ერთს ქალიც კი წაართვა და მეორე

დღეს მისი მოკრილი თავი საურხე ჩამოსმული იპოვეს. ღრეობამ იმდენივე ხალხი შეიწირა, რამდენიც ციხის აღებამ, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაცხრა სისხლმომწყურებულთა თარეში და როცა გამარჯვების მსუყე ფერები ღრამ გამოახუნა, მათი ბედის გადაწყვეტის ქამიც დადგა. ისინი ან უნდა დაეხცათ, ანდა სამშობლოში დაებრუნებინათ — დახოცვა სახიფათო იყო, ამ ამბავს შეეძლო საქართველოში აჯანყება გამოეწვია, მაგრამ შაჰს არც მათი სამშობლოში დაბრუნება უნდოდა ისე, რომ ძაფის ერთი ბოლო ხელში არ სჭეროდა. ამიტომაც არ ჩქარობდა, მათთან ლაპარაკს მათი დასაჩუქრება ერჩია. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ერთ წვიმიან დღეს თეიმურაზი არ იხმო და პირდაპირ არ უთხრა, საქართველოში მხოლოდ იმ პირობით დაგაბრუნებ, თუ ირაკლი ბატონიშვილი ყანდარში ჩამოვა და ინდოეთში გამომეშვაო. თეიმურაზი დაღონდა, მაგრამ წიგნი მაინც მისწერა დედოფალსა და ბატონიშვილს. მაშინ რომ ირაკლის თავი არ გამოედო და ყანდარში არ ჩამოსულიყო, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს იხეტიალებდნენ უცხო ქვეყნის მტვრიან გზებზე.

●
გავარგარებული მზე ოღნავ დაქანდა, მასთან ერთად დაქანდა მთელი დედამიწაც, წარსული ჯერ კიდევ არ იყო ისე მღვრიე, რომ ვერ დაენახა, რა გაქრა და რა გამოიკეთა, რა დაილექა და რა გადაადგილდა. თბილისში დაბრუნებულს საქმე თითქმის არაფერი ჰქონდა. დღისით ან წიგნს კითხულობდა, ანდა მტკვარს გადაჰყურებდა, სადამოობით კი წვრილმანი ცოდვებით დამძიმებული ბრუნდებოდა. სახლში. ირგვლივ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც წყლის ნაყვად, უგუნურ თამაშად მიიჩნდა. რად უნდოდათ სპარსელებს სხვისი მიწები, როცა თავიანთს ვერ უვლიდნენ, რისთვის დასჭირდა არაგვის ერისთავს იესე ქსნის ერისთავის ცოლშვილის გაცემა,



რატომ ცდებოდა ადამიანი ისე მწარედ, რომ ბოლოს საკუთარი შეცდომის მსხვერპლი ხდებოდა.

არაგვის ერისთავი ურთურობითი ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა, საბედისწერო შეცდომა რომ არ დაეშვა. იესეს გაუპიროდა, გადასწვიტა ცოლ-შვილი გაეხიზნა, კახეთში გადაეყვანა, მაგრამ კახეთისაკენ მიმავალი ყველა ბილიკი არაგვის საერისთავოზე გადიოდა და ერთმა უბრალო შემთხვევამ დიდი სისხლის ღვრა გამოიწვია.

სპარსელ დიდებულებს ლხინი და უქმად ყოფნა მოგებურდათ, ნადირობა მოენატრათ და ურთურობა ისინი ბაზალეთის ტბის მიდამოებში მიიპატია. შუადღემდე აყრუებდა მთა-ბარს ცხენების ჭიხინი, თოფის სროლა, ძაღლების ყეფა. რაც იმ დღეს ნადირი მოსრეს, დამშეულ არაგვისხეველებს მთელი კვირა ეყოფოდათ. ნაშუადღევს ტბის პირას ცეცხლი დაანთეს, ნანადირევი აუქნელად შეწვეს და ცხოვრებაზე ფიქრსა და ლაპარაკს ცხოვრებით დატყობა ამჯობინეს. ტბა ოდნავ წამოიჭოჩრა, ძელების ხვრამ და ძაღლების გნისმა შეაშფოთა. სპარსელები აღრაფერს იკლებდნენ, ღვინოს ისე ეტანებოდნენ, თითქოს ბავშვობიდანვე იყვნენ ჩვეულნი. ლხინი ალბათ ღრეობაში გადაიზრდებოდა, ერთ მოულოდნელ შემთხვევას რომ მათთვის ხელი არ შეეშალა. ურთურობითი უკვე გვირიანად შეზარხოშებული იყო, როცა საცალფეხო ბილიკზე მხედართა პატარა ჯგუფი გამოჩნდა. ერისთავმა წაბები შეიკრა. მის მამულში დაუკითხავდ ჩიტიც კი ვერ ბედავდა შემოფრენას და უცხო მხედრების გამოჩენამ დააეჭვა. ვინ იყვნენ, სად მიდიოდნენ, რა ზრახვები ედოთ გულში? ასე ადვილად იგი მათ გზას ვერ დაუთმობდა. ურთურობა ძაღლები და შინაყმები აიყოლია, ტყის პირს გაპყვა და მხედრებს გზა გადაუტრა. მის წინ ცხენებზე ამხედრებული ქალები, ბავშვები და მოახლებულები აღმოჩნდნენ. ერისთავი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ქვედა ყბა ავად

მოეღრცა. იესე ერისთავის ცოლად წამსვე იცნო, ხოლო ბავშვები რომ ქსნის ერისთავის შვილები იყვნენ, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. დადგა საბედისწერო წუთი. ურთურობითი ქვედა ტუჩს იყენებდა და ისე ირყეოდა, თითქოს ცალ მხარეს ეშმაკი ეწეოდა, მეორე მხარეს კი ანგელოზი. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რა გადასწონიდა — კაცობა თუ ავკაცობა. მოლოდინში ძაღლებიც კი გაილურსნენ. ღმერთმა იცის, რამ დაუბნელა იმ დღეს არაგვის ერისთავს გონება—ღვინომ, ღვარძლმა თუ სპარსელებისადმი ერთგულებამ, მაგრამ როცა მერყეობა დასძლია, იესე ერისთავის ცოლშვილის შეპყრობა და სპარსელებისათვის გადაცემა ბრძანა.

ამილახვარმა თავი ასწია. იმ ადგილას, სადაც ქვიშა გამხმარ, ეკლიან ბუჩქებს ეპარებოდა, ქარი ქარს ყელში წვდა, ცაში აიტაცა და როცა მოახრჩო, ისევ მიწაზე დაანარცხა. ერთი წუთით უკან დარჩენილი სამყარო აირ-დაირია, გამუქდა, მაგრამ არც გამჭკრალა და არც შემსუბუქებულა. დროს ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორსაც დრო ანიჭებს ჯალათსა და მსხვერპლს შორის დარჩენილ მანძილს.

შანშე ერისთავი რუსეთიდან ხელცარიელი დაბრუნდა, მაგრამ როცა რძლისა და ძმისწულების შეპყრობისა და სპარსელებისათვის გადაცემის ამბავი გაიგო, ისეთი რისხვით აღიგო, რომ შურისძიების მეტი არაფერი ანსოვდა. მისი აფორიაქებული შეგნებიდან გონიერების ყოველგვარი ნიშანწყალი განიღვენა. რამ შესძლებოდა ჯოჯოხეთიდან ეშმაკებს ამოიყვანდა და არაგვის საერისთავოს შეუსევდა, მაგრამ რადგან ამის ძალა არ შესწევდა, გზა გაიმართა, დაღესტანში გადავიდა და იმდენი ლეკი დაიქირავა, რამდენი კომლიც

გივი მალულარია
მთარაგონი



სულ არ იყო არაგვის ხეობაში. ეშმაკების შეცვლა იმ დროს მხოლოდ ლეკებით შეიძლებოდა, რადგან უფრო დიდ ზიანს ვერც ჯოჯოხეთის მოციქულნი მიაყენებდნენ საქართველოს.

შანშემ ერისთავის მრისხანება ლეკებსაც აცოფებდა. არაგვისხეველებს ისე აწიოყებდნენ, თითქოს განკითხვის დღე დადგაო. იწოდა სოფლები, იღვრებოდა სისხლი, ბლაოდა საქონელი. უფრო დიდი უბედურება არაგვისხეველებს იშვიათად დასტყდომიათ თავს. ურთუროთი ერთხანს წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, იმამ-ყული-ხანს დახმარება სთხოვა, მაგრამ თბილისში დარჩენილ სპარსელებს ლეკებთან შებმა არ შეეძლოთ და ერისთავი მთელი თავისი ჯალაბით ანაწურის ციხეში ჩაიკეტა. შანშემ ციხეს ალყა შემოარტყა. დაიწყო დამქანცველი ომი. არაგვის ერისთავს ხალხი აკლდა, ქსნის ერისთავს შორსმსროლელი იარაღი. ლეკებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მაგრამ ვერც ციხის კარი შელეწეს და ვერც კედელზე გადასვლა მოახერხეს. ციხის მისადგომები გვაგმებით აივსო, ჰაერი მჟორის სუნით გაიჟლინთა. ურთუროთმა იცოდა შანშემ ერისთავი რომ მისიანს არავის დაინდობდა და ამიტომ თავგანწირულად იბრძოდა, მეციხოვნეთა მამაცობა მტერსაც კი აკვირებდა. ომი გაჭიანურდა, გამძაფრდა. შანშეს ციხე მანამდე უნდა აედო, სანამ ნადირ-შაჰი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა, შემდეგ კი თვით მას მოუხდებოდა ციხეში ჩაიკეტვა და თავის დატყა.

როცა ლეკთა ჯარი საგრძნობლად შეთხელდა, შანშემ სხვა ხერხს მიმართა. თავის ყმებს, ქსნისხეველებს წყაროს წყლის სათავე მოაძებნინა და ისე უმოწყალოდ გადასჭრა, როგორც ეფსკარულში ჩაიკიდებულს თოკს გადაუჭრიან. ციხის მცველებს გაუჭირდათ. ომსა და სიციხეს როგორმე გაუჭლებდნენ, მაგრამ უწყლობამ ანაწურის ციხე საკირედ აქცია. ლუკმა აღარავის გადასდიოდა ყელში, დილდილაობით

ცვრიან ბალახს ლოკედნენ, მთხვარულ მკლავს აღარც თოფისსტყურას შეეძლო და აღარც ხმლის მოჭნევა. ბარძიმ ერისთავმა და მისმა მომხრეებმა წყურვილით სიკვდილს ციხიდან გასვლა ამჯობინეს, მაგრამ შანშემ ყველას თავები დააყრევინა. არაგველთა მკლავის მოდუნებამ ლეკები გაათამამა. რამდენიმე იერიშის შემდეგ ციხე აიღეს და ვინც კი ცოცხალი დახვდათ, ხმლებით აკუწეს. ურთუროთმა უკან დაიხია, ცოლშვილიანად ხის მაღალ კოშკში ჩაიკეტა. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ლეკებს ეგონათ, კოშკს დაღამებამდე მოულებდნენ ბოლოს, მაგრამ ერთი ბოძიკი ვერ მოარყიეს. მეორე დღეს შანშემ ჯარისკაცებს ტყიდან ფიჩხი მოაზიდვინა, კოშკს ირგვლივ შემოაწყო და ცეცხლი წაუკიდა. ქართველი თავადის სისასტიკემ ლეკებიც კი შეაკართო. ქალებისა და ბავშვების შემზარავი კივილი ისე ისმოდა ზემოდან, თითქოს ცა ისხლეტდა და უკან, დედამიწაზევე აბრუნებდა. ცეცხლი ძლიერდებოდა, ხმელი ხე ტყაცუნებდა და როცა კოშკი ჩამოიქცა, ქვეშ მხოლოდ კვამლისაგან გაგუდული, დანახშირებული გვამები დაიტანა.

ანაწურის ციხის აღების შემდეგ შანშემ ერისთავმა ლეკები მიატოვა, ქსნის ხეობაში გადავიდა და ციხეების გამაგრებას შეუდგა. დარბეულ მოსახლეობას აღარც ბრძოლის თავი ჰქონდა და აღარც მალვის, ყველაფერს მშვიდად ძილი, სულის მოთქმა ერჩია, მაგრამ ერისთავი გაშმაგდა, მთელ ქვეყანას დაუპირისპირდა. ქსნის ხეობა ან უნდა დაეთმოთ მისთვის, ანდა ომი გამოეცხადებინათ, სხვა პირობას არ ცნობდა, არ ენდობოდა. შეიძლება ქართველების მთელმა გულისწყრომამ მის არსებაში მოიყარა თავი, ან იქნებ მისი შეუპოვრობა მოდუნების საშუალებას არ აღევდოდა სხვებს? თუმცა შანშეს სხვების დარდი არ ჰქონდა, ასე შორს არ იყურებოდა. არაგვის ხეობაში გადმოყვანილმა ლეკებმა ჯერ მთელი ქართლი ააოხრეს, შემდეგ კი კავკასიონიდან

ახალციხემდე ტყვეთა გადასაცვანი ხი-
დი ვადეს და ხელი მოითბეს. ამ ხი-
დის მოშლა და ლეკების ქართლიდან
განდევნა ფასად დაუჭდათ ქართვე-
ლებს.

აქლემების ეყვანთა უღარუნი ისე ის-
მოდა უნიდან, თითქოს მასსა და ქა-
რავანს შორის მტერის სქელი ფარდა
იყო ჩამოფარებული, რომელიც თანდა-
თან მუქდებოდა და მისი ჩრდილის
მეტს არაფერს ირეკლავდა. ამგვარი
გრძნობა სხვა დროსაც ჰქონია, მაგრამ
საქართველოში ჩრდილი ჩრდილს ან
კვეთდა, ანდა გვერდს უმშვეენებდა, აქ
კი ყველაფერი თავის თავის ამარა იყო
მიტოვებული და უწყლო ველების უსა-
სრულობით იფიტებოდა. ასე იფიტე-
ბოდა ყოველ დღე თბილისში, როცა
ერანელ დიდებულებს ან ნარდს ეთამა-
შებოდა, ანდა მათთან ერთად აბანოში
დადიოდა. სველ ფიცარზე ჯდომას და
ღვინის სმას სუფრასთან ქეიფი ერჩია,
სადღაც მოტაცებული გოგონების გა-
რყვნას კი — მონატრებულ საყვარელ-
თან წოლა. მაგრამ საკუთარ ქვეყანაში
იგი სტუმარი უფრო იყო, ვიდრე მას-
პინძელი, სტუმარს კი ისე ართობენ,
როგორც შეუძლიათ, ხან თავზიანო-
ბით, ხანაც ძალდატანებით. ამიტომაც
ვერ ახერხებდა განზე დგომას, საკუ-
თარი ცხოვრებით ცხოვრებას. ერთხელ
ისეთი უხამსობის მოწმე გახდა, რომ
ჯამი კედელს შეაღწეა და იქაურობას
გაეცალა. სპარსელებს მისი აღშფოთე-
ბა აკვირვებდა, მას სპარსელების სიძა-
ბუნე. შიშვლებსაც და შემოსილებსაც
ნელსაცხებლების, უზნეობის და ვერა-
გობის სუნი ასდიოდათ. რომ შესძლე-
ბოდა, საკუთარ მამულში გადასახლდე-
ბოდა, თუ ქვეყანას ვერას არგებდა,
პურსა და ღვინოს მაინც მოიყვანდა,
მაგრამ ქალაქიდან ფეხის გადგმის უფ-
ლებას არ აძლევდნენ, თავის დასახლვე-
ვად ცოლშვილიც კი თბილისში ჩამოა-
ყვანიდნენ. თბილისი იმ დროს საზადმოხ-
დილი, ძალას დამორჩილებული ქალაქი

იყო. უმწეობა არსად არ იგრძნობოდა
ისე ცხადად, როგორც მის ვიწრო ქუჩა-
ჩებში. უსაქმურობამ გააწვალა, დროს-
თან ჰიდილიში მხოლოდ წიგნის კითხ-
ვა ეხმარებოდა. მეტეხს ქვემოთ,
მტკერის პირას ერთი სირიელი ვაჭარი
ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს
ყიდა. მის ბატარა დუქანში ზოგჯერ
ისეთ რამეს წააწყდებოდა კაცი, რა-
საც სწავლულები სანთლით ეძებენ.
პირადად მას საკვლევი და საძიებელი
არაფერი ჰქონდა, მაგრამ ერთმა ყდა-
მომძვრალმა, უსათაურო წიგნმა ღამე
თეთრად გაათენებინა. უცნობი ბრძენი
ამტკიცებდა, უკანონობას ქვეყანაზე
ვერც ერთი მეფე და ვერც ერთი მთავ-
რობა ვერ ამოიფხვრისო. შეიძლება
ცხოვრების რომელიმე ვიწრო სფეროში
სანიშნულო წესრიგი დაამყარონ, მაგრამ
ამგვარი წესრიგის დამყარება იმდენ ჯა-
ღასა და მსხვერპლს თხოულობს, რომ
უწყესრიგობა სხვა მრავალ სფეროში
ათკეცდება და ასკეცდებაო. მიუხედა-
ვად ამისა, სრულ უკანონობას და ანარ-
ქიას უგუნური მეფის მმართველობაც
კი სჯობსო. ქების ღირსი მხოლოდ ის
მთავრობაა, რომელმაც ბრბოს ფიზი-
კურად ან გონებრივად დამორჩილება
შესძლო და ეს მორჩილება სახელმწი-
ფოს მიზნებისათვის გამოიყენაო. ერთი
სიტყვით, უცნობ კანონმდებელს არც
ერთი კანონი და ხელისუფლება არ
მოსწონდა, მაგრამ უკანონობა და უხე-
ლისუფლებობა კიდევ უფრო დიდ ბო-
როტებად მიიჩნდა. ამიტომაც ცდილობ-
და მბრძანებლებისათვის ესწავლებინა
კეთა და არა ბრბოსათვის. წიგნი ლა-
თინურ ენაზე იყო დაწერილი, ხალი-
სიანად იკითხებოდა და უამრავ განმარ-
ტებებს შეიცავდა. ამ წიგნის წაკითხვას
იგი ვერაფრით ვერ შესძლებდა, მათ
ოჯახში რომ ერთ დროს მისიონერ ბერს
არ ეცხოვრა. ბერმა ენა ასწავლა, საღე-
თო რჯულის ბუნდოვანი ადგილები გა-
ნუშმარტა, მაგრამ უცნობი სწავლული

გივი მაღულარიძე
მეამბოხნი



ისეთ რჩევა-დარიგებებს იძლეოდა, რაზედაც ბევრს საქართველოში წარმოადგენდა არ ჰქონდა. თუმცა ყველა მისი დებულება ზოგადი ხასიათისა იყო და საქართველოს თითქმის არც ერთი მხრიდან არ უღებოდა. შეიძლება ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველო სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ყველა იმას აკეთებდა, რის თავიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, საქართველოს ბრბო არ ჰყავდა, ბრბოს გარეშე კი უცნობი სწავლულის მოძღვრება ფრთამოტეხილი ჩანდა.

იმ საღამოს, როცა თბილისში სპარსელთა დამხმარე ჯარი შემოვიდა, მიწა ორჯერ თუ სამჯერ იძრა. მიწისძვრას არავინ უმსხვერპლია, მაგრამ ცხენების ჭიხვინმა და ძაღლების ყუბილმა დამე შეამფოთა, ააფორიაქა. აფორიაქებული იყო მისი გონებაც. რიკულებიანი აივანი რამდენიმე წამს გემბანივით ირწყვოდა, მოედანზე დანთებული კოცონები მუხსიერების გარეკანს რუჯავდნენ. რაც თავი ახსოვდა, მის ქვეყანას და მას შორის ყოველთვის იდგა ვიღაც, განთიადს ელოდა და ათასჯერ გადახდილ ვალს კიდევ ერთხელ სთხოვდა. ხვალ ისევ მოადგებოდნენ კარზე. შანშე ერისთავის წინააღმდეგ გალაშქრება რომ არ ასცდებოდა, ეს აღრევეც იცოდა, მაგრამ ახლა შანშეს თავიდან მოცილება მასაც სურდა. თუ გამდგარი თავადის განდევნას შესძლებდა, ქართლის გაერთიანება და ნადირ-შაჰთან მორიგება არ გაუჭირდებოდა. ნადირი გონიერი კაცი იყო, რჯულისა და გვარტომობისათვის არავის დევნიდა, პირიქით, მისი ოცნება ყველა ეკლესიის შერწყმა, ყველა ერის გაერთიანება იყო. ასეთ კაცთან საერთო ენას როგორმე გამოიხატავდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მათი მორიგება ნასოფლარებს და ნაქალაქარებს ვერ აღადგენდა, ცხოვრებას ვერც აზრს შესძენდა და ვერც სამართლიანს ვახდოდა. ის

სიბრმავე, რაც წუთისოფლის წაღვეთა უკუღმა ტრიალს თან დაჰყავდა, ვედვე დარჩებოდა.

ამილახვარმა საკუთარი სხეულის სიმძიმე იგრძნო და სანამ ცხენს გაუწყობდა, წელში გასწორდა. სიცხემ მოთენთა, აზრი ისე ვეღარ ინასკვებოდა, როგორც ჩრდილისა და ნათელის მონაცვლეობის დროს. ის სიხალისე, რაც თან გამოჰყავდა, მზემ გამოჰფიტა, უსაზღვროებამ გათელა. მისი ძლიერი, მეკრივი სხეული ორ თვალშეუბამ სიბრტყეს შორის იყო მოქცეული და შეუმჩნევლად პატარავდებოდა, მიწისათვისაც მცოცავ მწერს წარმოადგენდა და ცისათვისაც. სასაცილო მხოლოდ ის იყო, რომ ეს მწერი მასზე უფრო უძლურ, მაგრამ შეიარაღებულ მწერებს ცხრა მთას იქით მიჰყავდათ თვალეზის დასათხრელად და ბნელ დილეგში ჩასაგდებად. რა ჰქონდა საერთო ამ გადაბრუნებულ ველებს და სიცხით შეწყუხებულ ცას მის მერყეობასთან და სიმტკიცესთან, სიხარულთან და მწუხარებასთან, გონიერებასთან და უგუნურებასთან? რა თქმა უნდა, არაფერი, იმდენად არაფერი, რომ მათ შორის არსებობა და არარსებობა თითქმის ერთი და იგივე იყო.

მესამე დღეს თბილისში აედანელები შემოვიდნენ და სპარსელთა ჭრელი, ენაარეული ლაშქარი ქართველებთან ერთად ქსნის ხეობისაკენ დაიძრა. დასავლეთიდან გრილი ნიავე უბერავდა. დაფლეთილი ღრუბლები ცხვრის ფარასავით მოსდებოდა ცას. მოულოდნელობა ყოველგვარ მოლოდინს აქარბებდა, ყოველ ნაბიჯზე იღმიჭებოდა. შანშე ერისთავს შევიღმა, იოანემ ულალატა, იმამ-ყული-ხანთან გამოიქცა და ერთგულება აღუთქვა, მეორე დღეს კი მასთან ქართველი თავადები გამოცხადნენ და ლაშქრობაში მონაწილეობის უფლება ითხოვეს. ამ პატარა ქვეყანაში იმდენი კუთხის ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რომ დროის გაოზრებას აღარავინ აქცევდა ყურადღებას.



მტკვრის ხეობა გონივრულივით დღემდა, ისეთივე დაცარიელებული ჩანდა, როგორც ფერდობებზე შეფენილი ნასოფლარები. ლაშქარს წინ ყიზილბაშები მიუძღოდნენ, უკან მათ ინდოელები, შირვანელები და ქურთები მიჰყვებოდნენ, კიდევ უფრო უკან მრავალრიცხოვანი, თავსაფარწყარული ავღანელები, რომელთა მორთულობა თბილისელებს ღიმილს გვრიდა. თეთრი თავსაფრის ფონზე მათი მუქი, დიდ-ცხვირა სახეები ისე იკვეთებოდა, როგორც გამოჩოჩკნილი ლოდები.

მას შემდეგ, რაც სპარსეთიდან დაბრუნდა, საქართველოში ცოტა რამ შეიცვალა. ახლა მის ძველ ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა მიემატებოდა, რომელსაც არც კაცი შეუძნებდა და არც ღმერთი. მთელი ის სისხლი, რაც ამ ბრძოლებში დაიღვრებოდა, სპარსელებს უკან გაბრუნების შემდეგ, მას მიეწერებოდა. მაგრამ ახლა განკითხვისა და ცოდვამდლის აწონ-დაწონის დრო არ იყო. რაც არ უნდა მომხდარიყო, მანუობა და საღი აზრი უნდა შეენარჩუნებინა, მანამდე ეზიდა ტვირთი, სანამ მიწას მიწის სუნი უდიოდა. ქვეყანა, რომელსაც ბავშვობიდან აკვირდებოდა, ნაქაქეთს ჰგავდა, მაგრამ ამის გამო ჰქუთის დაკარგვა თუ ღალატს არა, ცხოვრებაზე ხელის აღებას მაინც ნიშნავდა.

ქსანი ისე დაპატარავებულიყო, რომ ჯარმა რამდენჯერმე გადაკვეთა ცხენდაცხენ. სპარსელები არ ჩქარობდნენ, დარწმუნებული იყვნენ, შანშე ერისთავი ვერსად გავვექცევით და გზადაგზა ციხეებს, მონასტრებსა და კოშკებს აზრუვდნენ, ტყვეებს აგროვებდნენ, ნაძარცვით ვაჭრობდნენ. ბოლოს მიაღწენ აწერის ციხეს, სადაც შანშე ერისთავი კოლშვილითა და მახლობლებით ჩაკეტილიყო. ციხე მაღალი, მიუდგომელი ჩანდა, ირგვლივ ღრმა ხევი უვლიდა, მიახლოება მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეიძლებოდა. ხევის გაღმა უქველესი, თლილი ქვით ნაგები ეკლესია იდგა, რომელიც თალითა და სვეტებით ანტიკურ ტაძარს ჰგავდა.

ყიზილბაშები საიერიშოდ ემზადებოდნენ, სანგრებს აგებდნენ, ტყვიას მალს იმარაგებდნენ. რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, დილით ციხე უნდა აეღოთ და ბორკილგაყრილი შანშე ერისთავი ნადირ-შაჰისათვის გაეგზავნათ. მზე მორცხვად ჩადიოდა, უზარმაზარი ჩრდილები ხეობებიდან ეშვებოდნენ, ქვეყანა ბინდით იმოსებოდა. მაჰმადიანებმა კიდევ ერთხელ გაშალეს თიჯიანთი ფარდავები და ლოცვას შეუდგნენ. დღის უმტკივნეულო ქრობას ქსნისხეველები აღრეც ბევრჯერ შესწრებთან, მაგრამ ახლა მათი ცდუნება თითქმის შეუძლებელი იყო. იმედს გათელვად ელოდა; სიცოცხლეს დათრგუნვა. განთიადისას, როგორც კი ცა ჩამქრალი კოცონების ფერფლის ფრად შეფერადებოდა, კაცობრიობის მიერ ჩადენილ ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა მიემატებოდა და არსებობის მღვრიე მორიკე შეუერთდებოდა. აქეთ მომავალს იმედი ჰქონდა, რომ მოვლენათა აუარებელ ხლართს შორის ერთს მაინც გამოხსნიდა, ქართლს თავს მოუყრიდა, მოაღონებდა, მაგრამ როცა ცის კიდურმა მოვიზიციე კოცონების სიმბურვალე აირეკლა, როცა ქსნის ხეობა ხვალისდელი დღის მოლოდინში გაინაბა, ისეთი გრძნობა დაეფულა, თითქმის აქ საკუთარი ნებით კი არ იყო მოსულა, აწამედ უხილავ თოქს გამოაბეს და ძალით მოათრიეს.

● ამილახვარმა შუბლი მოისრისა და ისე დაიგრძელა კისერი, თითქმის ახლაც თოკით მიათრევდნენ იქითკენ, საითაც გული არ მიუწევდა, სადაც სასჯელისა და ტკივილის მეტი არაფერი ელოდა. წარმოდგენა ერთხანს სიმბურვალისაგან მოლაპლაპე რგოლებს ირგვლივ უვლიდა, წელში გამართვას, ყალყზე შედგომას ცდილობდა, მაგრამ შემდეგ ცხელი ჰაერის რკალში მოექცა, მოიღ-

**მიხი მალულარიბა
მეამგონხინი**



რიცა და როცა უკუიქცა, ისევ მოგონებათა ტყვეობაში აღმოჩნდა.

მეორე დღეს სპარსელებმა აწერის ციხე აიღეს, დატყვევებული მამაკაცები შეჰკრეს, ქალები და ბავშვები კედელთან მირეკეს, მაგრამ შანშე ერისთავი და მისი ძმა ვერსად აღმოაჩინეს. ერანელ მხედართმთავრებს ალაჰის გამოცხადება არ გააკვირვებდათ ისე, როგორც ერისთავის გაქრობამ გააკვირვა. ყველა ხერელი და სორო გადაქექეს, ქვევრებში ჩაიხედეს, აქა-იქ კედლები გამოანგრეეს, ბოლოს ქალებს მიადგინენ, მაგრამ მათ შორის ვერც გადაცმული მამაკაცი იპოვეს და ვერც ისეთი ქალი, რომ ერისთავის მეუღლისათვის მიემსგავსებინათ. მხოლოდ მოგვიანებით იცნო ერთმა ქართველმა თავადმა ქსნის ერისთავის ცოლი და დაუფიქრებლად გასცა. ქალი იქვე დაჰკითხეს. ღამით შანშე ერისთავი და მისი ძმა რამდენიმე კაცის თანხლებით ჩრდილოეთის კედელზე გადასულან, ხევამდე ჩაულწევიათ და გაქცეულან. ერანელი მხედართმთავრები დაღონდნენ, ამოხეხული თავადის შეპყრობის იმედი გადაუწყდათ. ჯავრი ქალებზე და ტყვეებზე იყარეს. ყოველი მხრიდან ისმოდა ტირილი, კვილი, გინება, იარაღის ყლარუნნი და ცხენების ჭიხინი. ავღანელები ტყვეებს გზადგაზა ყიდდნენ. ვისაც მათი გამოხსნა შეეძლო, არაფერს ზოგავდა, მაგრამ გადატაკებულ ქართლს აძღვნი ტყვის გამოსყიდვის თავი არ ჰქონდა. უბედურთა გოდება ისე მოჰყვებოდა ქსნის ხეობას, როგორც ქსნის წყალი. ავღანელები ბრაზობდნენ, ტყვეების თან წაყვანა არ შეეძლოთ, მყიდველი კი არსად ჩანდა და როცა მტკვრამდე ჩააღწიეს, მამაკაცებს ყელები გამოსჭრეს და წყალში გადაყარეს. თბილისამდე მხოლოდ ისინი ჩაიყვანეს, ვინც მძევლად ან შაჰის კარზე გასაგზავნად სჭირდებოდათ.

სინათლით გაბრუნებულ სივრცეში სახეებიანი სიმწვანე შემოიჭრა და იმხელა ადგილი დაიჭირა, რომ თითქმის მთელი უდაბნო შემოსა. არაფრით არ

ევონა გახრუჭული ბორცვების მთებში თუ ჯგუფად დარგული ხეები აღმოჩნდებოდა. ხეები ტანმსხვილი, ხშირფოთლოვანი ჩანდა. მათ ქვეშ, ალბათ, იმდენი ჩრდილი სუფევდა, რომ ყველა შეხუთული გულის გასახალისებლად იკმარებდა, მაგრამ აჩრდილები მის მეხსიერებას მანამდე არ მოასვენებდნენ, სანამ ცხენიდან არ ჩამოხტებოდა და გახურებულ პირისახეზე ჩრდილს არ გადაიფარებდა.

შანშე ერისთავი კიდევ ერთხელ მაშინ ნახა, როცა ბორკილგაყრილი თბილისში ჩამოიყვანეს. ნაგვემსა და პატივგაყრილს სახეზე ადამიანის ფერი არ ედო, მაგრამ მინც ჯიუტად სდუმდა. მარცხსა და დამცირებას ვერ გუობდა. მცველებით გარშემორტყმულს, ძალდატანებით ქედმოხრილს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მისი სულისა თუ სხეულის ძალა თავის მოკვეთამდე ან თვალების დათხრამდე არ მიიყვანდა, მუხთალ ბედს მანამდე გამოსტაცებდა ხელიდან. ამიტომაც უყუარებდა ქვეყანას მტრულად, გამომწვევად. სხვა ქართველებთან შედარებით მას ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა, მტრის წინაშე ქედი კი არ მოუხრია, არამედ მასთან ბრძოლაში დამარცხდა.

იმ დღეს თბილისი აღგზნებული ჩანდა. შანშე ერისთავისა და მისი ძმის ასე ადვილად შეპყრობას არავინ ელოდა. ზოგს უხაროდა, ზოგს გული წყდებოდა, მაგრამ უმრავლესობას მათ ბედზე უფრო მათი ამბავი აინტერესებდა. არაფერი დაუტოვებიათ გამოუკითხავი, გამოუკვლეველი. აწერის ციხიდან გაქცევის შემდეგ ერისთავი მტკვრის ხეობას აჰყოლია და ახალციხეში ასულა. ახალციხის ფაშას სიხარულით მიუღია ერანის წინააღმდეგ ამოხეხული თავადი. ენგიჩარებს, რომელთა უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, ციხეში მიუწვევიათ, ღზინი გადაუხდიათ. შანშეს მეორე დღესვე დაუწყია ოსმალებთან მოლაპარაკება ქსნის ხეობის გამოსახსნელად, მაგრამ ეს ამბავი ისე გახმაურებულა, რომ ნა-



დირ-შაპის ყურამდე მიულწევია. ნადირი გაცოფებულა, სულთანისათვის შეუთვლია, თუ შანშე ერისთავს არ გადმომცემ, იმერეთში ალექსანდრეს გადმოვიყვან და გავამეფებო. სულთანს არ მოუსურვებია ერთი მეამბოხე თავადის გამო ერთნათნ ურთიერთობის გამწვავება და შანშე ერისთავის შეპყრობა და ნადირ-შაპისათვის გადაცემა უბრძანებია. ერისთავი არ მოელოდა ოსმალებისაგან ასეთ მუხანათობას. ძმასთან ერთად ციხეში შეგვარდნილა და ენგიჩარებისათვის დახმარება უთხოვია. მეციხოვნენ წინ აფარებიან ერისთავს, მაგრამ ციხეში თვით ფაშა მისულა, შანშე და მისი თანმხლები პირები შეუპყრია და ბორკილგაყრილი თბილისში გამოუგზავნია.

თბილისის ხანს სამი დღე ჰყავდა დამწყვდეული ტყვეები. მეოთხე დღეს ჩაფრებს ჩააბარა და ნადირ-შაპთან გაგზავნა დარუბანდში. შაპს ერისთავისთვის მოუსმენია, მაგრამ არ შეუწყალებია და შეიარაღებული რაზმის თანხლებით ხორასანში გაუგზავნია. გზაში შანშე ერისთავი გაქცეულა. მთელ მის გაქცევა-გამოქცევაში, ალბათ, ეს იყო ყველაზე საბედისწერო შეცდომა. ლტოლვილი თავადი შეუპყრიათ, თვალები დაუთხრიათ და დილეგში ჩაუგდიათ.

ამილახვარმა ნავარაუდები მანძილი კიდევ ერთხელ გაზომა და საკუთარ დადლილობას შეუფარდა. დასიცხული ქვეყანა მასთან ერთად ისწრაფოდა ჩრდილისაკენ, ცხელი სუნთქვა შორიდან წვდებოდა სახეებიანი სიმწვანის ცვალებად გარეხაზს. ძვირფასი საუნჯე, რომელიც დედამიწას შვილივით ჩაეკრა მკერდში, ველებსა და ბორცვებს აწონასწორებდა, კი არ აწონასწორებდა, ცხადად უპირისპირდებოდა და დიდებულ სამოსელში გახვეული მშვიდად ეგებებოდა ცხენების, აქლემებისა და ადამიანების მძაფრ სუნს, მტკრით განაცრისფერებული აჩრდილების მოუს-

ვენარ ფუსფუსს, იმ არსების ხსენებას, ვინც ყოფიერებას ვერც თავი მოუხდა და ვერც ბოლო, ვინც არსებობა უსასრულობის ცივ სუდარაში გაახვია, ხოლო მოუსვენრობა ამათების დაუმსხვრეველი ბორკილებით შეპყრა და შეპბოჭა.

შანშე ერისთავის შეპყრობის შემდეგ ნადირ-შაპმა ხალათი და ცოტაოდენი ფული გამოუგზავნა, ქსნის საერისთავო უბოძა და ქართლის გამგებლად დანიშნა. ქართლს ისევე სჭირდებოდა მოვლა და მოსულიერება, როგორც მძიმე ავადმყოფს, მაგრამ ამისთვის არც სახსრები გააჩნდა და არც იმდენად თავისუფალი იყო, რომ გადაამტკრელი ზომები მიეღო. თბილისის ხანი თვალს არ აშორებდა, მარტო არსად უშვებდა. იმისათვის, რომ ხალხის ნდობა მოეპოვებინა, ნადირ-შაპის უნდობლობა უნდა გამოეწვია, ნადირ-შაპის ნდობის მოპოვება კი ხალხის უნდობლობას იწვევდა. ასეთ ორტოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ექვილად დანიშვნის პირველი დღიდანვე. სპარსელები აწმყოს აჩეჩებდნენ ხელში, მას კი თვალი მომავლისაკენ გაუბრუნდა, არეულობისა და ქაოსის წინააღმდეგ ბრძოლა სურდა, მაგრამ როცა თბილისის ხანის თანხლებით ერთ სოფელს ეწვია და ხალხი დაემალა, მიხვდა, რომ მოურიგებლის მორიგებას ცდილობდა.

გარემოს არაფერი არ აშიშვლებდა ისე, როგორც აქლემების ექვანთა ქლარუნი. რწვეა და ქლერა ერთ მძიმე ტალღად იკვრებოდა, შეგნებაში იჭრებოდა და აზრს შუაზე წყვეტდა. გაწყვეტილი ბოლოების ძეხნასა და გადაბმას კი უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე მეხსიერების ვრცელ საუფლოში მცირეოდენ გადანაცვლებას. სპარსელებს ქართლში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდათ, მაგრამ მასზე უფრო დაუღალავი და გავლენიანი კაცი ვერ იპოვეს. მიუხედავად ამისა, მაინც ექვის თვალით უყურებდნენ, ფხიზლად დარაჯობდნენ. უნდობლობისაგან და-

გივი მაღულარია
მამაგობინი



ბრმავებულთ ვერაფრით ვერ შეეგნოთ, რომ ეს გათელილი, მოძულეებული, შინაურებისა და გარეულებისაგან ნაჯიჯგნი ქვეყანა მისი სამშობლო იყო და თუ მისგან სამსახურს მოითხოვდნენ, იმის უფლებაც უნდა მიეცათ, რომ საკუთარ ქვეყანასაც გამოდგომოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო გამგებლობა კარგავდა აზრს, არამედ გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის თამაშიც. ერთი-ორჯერ სცადა სხვების დაუქობხავად ემართა ქვეყანა, აყრილი ყმები მიტოვებულ სოფლებში დააბრუნა, აყრეფილი გადასახადების ნაწილი გზების, ხიდების, ეკლესიების შეკეთებას მოახმარა, იმამ-ყული-ხანის მიერ მიტაცებული მცხეთის საეკლესიო ქონება ნიკოლოზ კათოლიკოსს დაუბრუნა, მაგრამ ამის გამო იმდენი საჩივარი გაუგზავნეს ნადირ-შაჰს, რომ თუ მათ წაყითხვას მოისურვებდა, რამდენიმე ლაშქრობაზე ხელი უნდა აეღო. სიბნელით, სიბნელით და სიბრძოყით იყო შეპყრობილი მთელი ის სამყარო, სადაც ყველას სხვის ქონებაზე ეჭირა თვალი, დამნაშავენი უდანაშაულოებს ეძებდნენ დასასჯელად, ხოლო საუკუნოობით ნაშენებს ისევე დაუფიქრებლად ანგრევდნენ, როგორც ქრისტიანები წართულ კერპებს.

შეიძლება გვერდნამოთლილი ბორცვის სამხრეთ ფერდობზე კერპი არ იდგა, მაგრამ ადამიანის ნაცოდვილარის კვალი ჯერ კიდევ აჩნდა მის გარუჯულ ზედაპირს, ღრმა, მტკივნეული კვალი, სწორედ ისეთი, როგორიც გონებას უფორიანებდა. რამდენიც არ უნდა ეობუნჯა, როგორც არ უნდა ეთვალთმაქცა, სოლის მორყევას მაინც ვერ ახერხებდა. ზოგჯერ ხსნა გულგრილობას მოჰქონდა, ზოგჯერ ღიმილს, ზოგჯერ გაცოფებას, მაგრამ ყველაფერი, რასაც ფეხს ადგამდა, ძირმომპალი ეჩვენებოდა. საღად აზროვნება, წინდახედულობა გონობას, არაზად ქვეყას ნიშნავდა. საჭირო იყო სიფრთხილის უკუგდება, რაღაც ისეთის ჩადენა, რასაც კაცს ღმერთიც უშლის და ახლობელ-

თა ბედ-იღბალზე ფიქრიც. სანაწიველი-შვილი თბილისში ეგულეზის¹ ხასის² ვერ გახევდა, გათენებას და დაღამებას იმავე ნიღბით უნდა შეგებებოდა, როგორიც სპარსელების თბილისში შემოსლის დროს აიფარა სახეზე, მაგრამ, როგორც კი ცოლშვილს ქალაქკარეთ გაიგულეზდა, რაღაც ისეთს ჩაიდენდა, რაც სპარსელ მემატიანეთა შორის შაითანის სახელს დაუმკვიდრებდა.

სიმწვანით შეფერადებული ქვეყანა სიმკვრივეს იძენდა, მუქი ლაქებითა და მოულოდნელობით იმოსებოდა. შეიძლება ტანსხვილ, ხშირფოთლოვან ხეებს ქვეშ ისეთივე სიცარიელე იყო მოკალათებული, როგორიც გზაში აედევნა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყოველი ნაკვეთური ნათლად დაენახა, გამოეცალკეებინა. მანძილისა და ერთფეროვნების დაძლევა ასე უფრო ეადვილებოდა, უფრო ცხადად ესახებოდა ის, რაც უკან დარჩა, რაც ჯერ კიდევ ხორცშესასხმელი, შესამოსავი იყო.

ნადირ-შაჰმა ქართლს უზარმაზარი გადასახადი შეაწერა, მას კი შემოუთვალა, ხარკი რაც შეიძლება სწრაფად აეკრიფა და ურმებით დაღესტანში გაეგზავნა. ნადირს გაუჭირდა. ლეკების თარეშითა და რბევით შეწუხებულმა გადაწყვიტა დაღესტანი აეღო და ავაზაკთა ბუდე ისე დაენგრია, რომ ველარაისს აღედგინა. საშუადისს დროულად შეუდგა, აზერბაიჯანში გამოიზამთრა და გაზაფხულზე უზარმაზარი ლაშქარი ჩრდილოეთისაკენ დაძრა, კავკასიონს მიადგა. სწორედ კავკასიონი აღმოჩნდა ის ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ვერაფრით ვერ მოახერხა. მრავალრიცხოვან ჯარს ვიწრო ხეობებში მოძრაობა უჭირდა, შიმშილი, სახადი და სიცივე მუსრს ავლებდა სამხრეთელებს. ზოგჯერ რამდენიმე მთიელი მთელ რაზმს აკაევებდა და აუნახლაურებელ ზარალს აყენებდა. ბოლოს მუსლიმანები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ღორის ხორცის ჰამა დაიწყეს. დრო იყო, ნადირს თავი დამარცხებულად ეცნო, უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ იგი ასე ადვილად



ვერ ეგუებოდა მარცხს. ჯერ კიდევ იმე-
დი ჰქონდა, რომ რამეს მოიგონებდა,
კავკასიონის აუღებელ მთებს აიღებდა.
რამდენიმე ციხე და ხეობა გასული
წლის გაზაფხულზე წაართვა ლეკებს,
მაგრამ მთელი დაღესტნის ასაღებად
დრო, ფული და სურსათი იყო საჭირო,
ფულისა და სურსათის მოსაპოვებლად
კი ახლო-მახლო მდებარე ქვეყნების
დაბეგვრა. შაჰის სიტყვიერ შემონათ-
ვალს მალე წერილობითი განკარგულე-
ბაც მოჰყვა. მძიმე ბუქდის ანარეკლი და
შავი მელნით დაწერილი ასოების სიცი-
ხადე მბრძანებელსა და ხელქვეითს შო-
რის მანძილს ამოკლებდა, მაგრამ მას
არც ხარკის აღება უტოლია და არც პა-
სუხის გაცემისათვის შეუწყობებია თა-
ვი. ხალხს ტყავს თუ ვააძრობდა, თო-
რემ წასართმევი არავის არაფერი ჰქონ-
და. სამი ათასი უღელი ხარი სულ არ
დაბოვინებდა ქართლში. ასე გაწყდა
ის სუსტი ძაფი, ნადირ-შაჰთან რომ
აკავშირებდა. ამიერიდან ან თვითონ
უნდა გამხდარიყო თავის ხალხისა და
ქვეყნის პატრონი, ანდა იმით მიმხრო-
ბოდა, ვინც ნადირ-შაჰის წინააღმდეგ
იბრძოდა.

დადლილი, მზით გალახული ამილახ-
ვარი კიდევ ერთხელ გასწორდა წელში
და როცა ღუმელივით გახურებულ
უღამნოში ნიავი შემოიჭრა, მოზღვავე-
ბულ აჩრდილებს კვლავ გაულო კარი.
ამ მრავალრიცხოვან, მოფუსფუსე
ბზბოში ერივნენ ისეთებიც, ვისი ვა-
ლიც თან გამოჰყვა, მაგრამ ახლა არც
ვალის გადახდის საშუალება ჰქონდა
და არც ანგარიშსწორების სურვილი.
ერანელთა წინააღმდეგ მარტო იმიტომ
კი არ აჯანყდა, რომ ნადირ-შაჰის რის-
ხვისა ეშინოდა, არამედ ქართლის მო-
ღუნებამ, გაყურებამ შეაშფოთა. თავა-
დი და ანგარიშგასაწევი კაცი მხოლოდ
მანამდე იყო, სანამ საქართველო არსე-
ბობდა, სანამ იმ მიწაზე ედგა ფეხი,
რომელიც წინაპრებმა დაუტოვეს. შემ-
დეგ კი გულა-ნაბადი უნდა აეცრა და
ბედის საქებნელად შორეულ გზებს
დასდგომოდა. უცხო გზებზე ხეტიალის

სიტყობება სიჭაბუქეში არა ერთხელ
უგემია. უსასრულო ველები გადაულა-
ხავს, ბოსფორი და დარდანელი გა-
დაუტურავს, მაგრამ ისე ლაღად არსად
უგრძენია თავი, როგორც თავის აოხ-
რებულ, გალატაკებულ, ზნეშელახულ
ქვეყანაში გრძნობდა. სწორედ ეს ქვე-
ყანა იყო ახლა უკუნით მოცული და
თუ მისი დანახვა უნდოდა, წინ აფარე-
ბული ფარდა ხმლით უნდა გაეპო.

შანშე ერისთავის დამარცხების შემ-
დეგ ქართლში არავინ გაფაჩუნებულა,
არაფერი გახმაურებულა. თბილისში გა-
მოკეტილს ისეთი გრძნობა ჰქონდა,
თითქოს მიღმა მდებარე ქვეყანა ცხოვ-
რებას მოსწყდა, დაცარიელდა. სიცა-
რიელე გვერდმომპალ ჭრილობასავით
ფართოვდებოდა, ამაზრხენად იშმუშ-
ნებოდა. შეიძლება ამდენი ვაი-უბედუ-
რების შემდეგ მკიერ ხნით მოღუნება,
გაგულგრილება საჭიროც კი იყო, მაგ-
რამ როცა გულგრილობას მძიმე ავად-
მყოფობის ნიშნები დაეტყო, გადაწყვი-
ტა სიცარიელე ამოევსო, გათიშულნი
დაერაზმა, ბედის, ღმერთის, უაზრობის
წინააღმდეგ ამბოხებულყო. მთელი
ზემო ქარფლი და ქსნის ხეობა მის
ხელში იყო, არაგვის ერისთავი ერთგუ-
ლებას ეფიცებოდა, ხოლო ხუთივე სა-
ეპისკოპოსოს ეპისკოპოსებთან მანამდე
დაიწყო მოლაპარაკება, სანამ მოიფიქ-
რებდა, როგორ გაეყვანა ცოლშვილი
თბილისიდან. ადიდებული მტკვრის
მღვრიე წყალს მღვრიე წყალი ემატე-
ბოდა, ხლართს ხლართი, იბმებოდა
უხილავი ქსელი და მიუხედავად იმისა,
რომ საბოლოო გამარჯვების იმედი არ
ჰქონდა, მომავალს მაინც ხალისიანად
ეგებებოდა, წვიმიანი გაზაფხულის ჭე-
ქა-ქუხილით ივსებოდა.

●
აპრილის დამდეგს, როგორც კი მთე-
ბი თეთრი საფარისაგან განთავისუფლ-

გივი მაღულარიძე
მეამბოხანი



და, აზერბაიჯანის ჯარების სარდალმა ფათალი-ხანმა იმამ-ყული-ხანი ალაზნის პირას იხმო, საიდანაც გაერთიანებული ძალებით ქარელი ლეკებისათვის უნდა შეეტიათ. იმამ-ყული-ხანს ქართველი თავადებიც გაჰყვნენ თან. თბილისი თითქმის დაუცველი დარჩა. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ აღდგომის წინა დღეებში ქართველები ამბოხებასა და სისხლის ღვრას მოერიდებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება მკვლრით აღმდგარი ღმერთის ხათრითაც არ შეიძლებოდა. იარაღი წინასწარ დაურიგა ყველას, ვისაც მასთან ერთად გაქცევა სურდა, ქალები და ბავშვები თბილად შემოსა, შინაყმებს კი უბრძანა ბზობა ღამეს ყველა ცხენი შევაზმული ჰყოლოდათ. გაზაფხულის სურნელოვანი ჰაერი აყვავებული ქვეყნის მთელ იმედს იტევდა, მიწა მსუბუქად სუნთქავდა, ამბოხების, განწყენის სურვილი ყველა კარს აღებდა, განსაცდელს თამამად ეგებებოდა.

როგორც კი სიონის დიდი ზარები აჯუგუნდნენ, ქრისტიანები ეკლესიებისაკენ დაიძრნენ, მუსლიმანები კი ქუჩებში გამოეფინნენ და აყაყანდნენ. ამ დროს თბილისში ისპაჰანელი დიდგვაროვანი შემოვიდა საპალნეაკიდებული აქლემებით, სახედრებით, დახლიდარებით და ბაზარში ნაყიდი მონებით. ისაედ-დინი გამაჰმადიანებული ებრაელი იყო, მონები კი სხვადასხვა რჯულისა და მორღების ყმაწვილები. ზოგიერთს ჯერ კიდევ ახსოვდა მშობლიური ენა და იმ სოფლის სახელი, სადაც დაიბადდა. ქარაგნის თბილისში შემოსვლამ ქალაქი ააფორიაქა, აამჩაჭა. აქლემებს ძვირად ღირებულ საქონელთან ერთად რაღაც სანუკვარი ოცნების მაგარიც მოჰქონდათ. ამ ოცნებას თუ ხანგრძლივად არა, დროებით მაინც შეეძლო მაღალი კედლების გადალახვა, ისეთ სამყაროში გადასახლება, სადაც ფერი ფერს ამდიდრებს და სასწაული სასწაულს დამაჯერებლობას მატებს. ჩალვადრების ყოყინი, აქლემების ეყვან-

თა ყლარუნი და ძაღლების ყეფა ქალაქს დამთქნარების საშუალებას არ აძლევდა, საღერღელს უშლიდა. დედაკაცებით, ბალებითა და ძაღლებით სავსე ქუჩები ფეხს იდგამდნენ, ქარაგანს უკან მისდევდნენ. გამარბულებელი ჰაერის თხელ სამოსელში იმდენი ვარაუდი, ფიჭრი, ვენბა, ბოლმა და სიზმრები ეხვეოდნენ, რომ მან ვერც მათი ერთმანეთთან დაკავშირება შესძლოდა. ვერც მათში გათქვევდა, მაგრამ ამ ბუნდოვან გარემოს მის სულში რაღაც ისეთი შემოჰქონდა, რასაც სიყვარული ჰქვია და მშობლიური მიწის სუნი უღის.

ამილახვარს ვილაცის ძახილი მოესმა. დაწინაურებულმა ხეირიანად ვერც კი გაიგო ვის უხმობდნენ, მაგრამ სანამ თავს მოაბრუნებდა, წარბი გახსნა და სახეზე ნიღაბი აიფარა. სპარსელები ჩამორჩენილიყვნენ, ფეხდაფეხ მხოლოდ საკუთარი ჩრდილი მოსდევდა. ნუთუ იგი ვერასოდეს დაინახავს მოძრავ ჩრდილს, ვერ გაარჩევს შავს თეთრისაგან, ნუთუ მისთვის ამქვეყნად სიბნელის მეტი არაფერი იარსებებს? თვალდავსებული ბევრი უნახავს, მაგრამ სიბრძნვე მაინც ძნელი წარმოსადგენი აღმოჩნდა, მით უმეტეს ისეთ დროში, როცა კაცს თავის გასატანად ათი თვალი და ათი ყური სჭირდებოდა. ერთადერთი ადგილი, სადაც თვალს არაფერი იტაცებდა, უდაბნო იყო. მთელი ქვეყანა რომ ასეთი უსახური და უსიხარულო ყოფილიყო, მაშინ, ალბათ, უსინათლობასაც უფრო იოლად შეეგუებოდა, მაგრამ მას ქვეყნის სხვაგვარი სახეც ახსოვდა.

როცა ქალების, ბავშვების და რამდენიმე ზემოქართლელი თავადის თანხლებით დასავლეთის კარიბჭეს მიადგა, მცველები უკვე შეკრული და პირში ჩვარჩაჩრილნი ეყარნენ. პატარა, სულ ოციოდე კაცისაგან შემდგარმა რაზმმა ისე სწრაფად აჰყარა იარაღი ყიზილბაშებს, რომ ლოკვითა და ოცნებით შეპყრობილ ქალაქს არაფერი გაუგია. თავზე წამოყუდებული ციხის სიძიმე,



ქარის გაღებისთანავე შემსუბუქდა, გრილმა ნიავმა ადევნებული სიმყარაღე ქალაქშივე შეაბრუნა, თბილისი ისე მიატოვა, რომ გული არაფერზე დასწყევტია. ყმობისაგან თავდახსნილს სივრცე და თავისუფლება იტაცებდა, მოუკირწყლაღი გზა დაკარგულ ფინიასავით ეგებოდა ფეხქვეშ, ჩრდილები დიღმის ქალებისაგან მიუძღოდნენ. ახლა მთავარი იყო მცხეთამდე ჩადღწია როგორმე, ქალები და ბავშვები დაებინავებინა, განსაკუთრებით იმ თავადთა ცოლ-შვილი, რომლებიც იმამ-ყული-ხანს უნდა გამოქცეოდნენ და არაგვის ხეობაში გადმოსულიყვნენ, შემდეგ კი თვითონ დაუწყებდა დევნას ყიზილბაშებს. ქართველების სისხლი მათ იმდენი ემართათ, რომ ასანაზღაურებლად საუკუნეებიც არ იკმარებდა.

სიბნელით ამოვსებული სივრცე მაინცდამაინც შორს ყურების საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ თვალი იმითაც კმაყოფილი იყო, რასაც ხედავდა — აყვავებული ხეების ცვალებად გარეხაზს, ჩამუქებულ ჩრდილებს, ამეტყველებულ სახეებს. მათ უკვე აღარ ეშინოდათ ქვის ყრუ კედლების, სიბნელის, უმწეობის. გაჭენებული ცხენების ლტოლვა და ბნელიდან მომხიზრალი არჩილები საუკუნეებს ხის ნორჩი ფოთლებივით ამრიალებდნენ, დაუდევრად კეცავდნენ და როცა ნიავს წააწყდებოდნენ, ისე ფურცლავდნენ, თითქოს ყველაფერი ერთი ამოუხსნელი, დაუმთავრებელი ზმანების ნაფლეუები იყო. თვალს არაფერი ეუცხოებოდა — არც მთვარის სხივებით გაკაჟაჟებული ტაძარი, რომელსაც ირგვლივ სახეღამძიმებული ქურუმები უვლიან და მოთმინებით ელიან იმ წუთს, როცა მსხვერპლად შეწირული ქალწულის მკერდიდან თბილი სისხლი იფეთქებს, არც კვერთხს ჩაბლაუჭებული მღვდელმთავრები, არც თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი რაინდები და არც ომის ხატება, ვინც არსად იყო და ყოველივე არსებულს იტევდა, ვისაც მსხვერპლი არ სჭირდებოდა და მსხვერპლს მაინც

სწირავდნენ, ვისაც სათქმელი არ ჰქონდა და მაინც ალაპარაკებდნენ, აწვალბდნენ, რადგან თუ წვალბას აზრი არ ჰქონდა, მაშინ არაფერს არ ჰქონდა აზრი.

როცა მცხეთას მიაღწენ, ცა უკვე ფერს იცვლიდა და აღმოსავლეთ კიდეურზე შემორჩენილი ღრუბლების გადაყრას ცდილობდა. აღიდებული მტკვარი ავად იღრინებოდა, ახლოს არავის იკარებდა. მცხეთის ხიდი რომ აყრილი იყო, ეს ადრევე იცოდა, იცოდა ისიც, რომ სხვების დაუხმარებლად ამდენ უმწეო არსებას გაღმა ვერ გაიყვანდა, მაგრამ არაგვის ერისთავი პირიანი კაცი აღმოჩნდა. მცხეთაში ჯარიც დაახვედრა და ნავტიკებიც. სადღაც, ცხრა მთას იქით, უზარმაზარი, აფრაგაშლილი ხომალდები ოკეანეებს სერავდნენ, მას კი იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ მდინარე გადაელახა უხიფათოდ. მარტო რომ ყოფილიყო, ცხენს მტკვარში შეაგდებდა და ავად თუ კარგად გაღმა გავიდოდა, მაგრამ ქალებისა და ბავშვების წყალში შეყრა იგივე იქნებოდა, რაც მათი წყლისთვის გატანება. ამიტომაც მოიგონა შორეული წინაპრების მიერ არაერთხელ ნაცადი ხერხი. ბეჟან ერისთავს შეუთვალა, გაბერილი ტიკები ერთმანეთისათვის გადაება, ზედ ფიცრები დაემარგებინა და წყალში ჩაეშვა. ბეჟანმა პირნათლად შეასრულა დანაბარები. როგორც კი ინათა, მეომრებმა წყალში ჩაშვებული ნავტიკები ახსნეს და მათკენ გამოემართნენ. მტკვრის დანაოქებული ზურგი თანდათან მუქდებოდა, უძირო უფცკრულის სიღრმეს იძენდა. ჯამბაზი არასოდეს ყოფილა, მაგრამ იმ დღეს თოჯნე გასულივით ირწეოდა, დმერთს მადლობა მხოლოდ მაშინ შესწირა, როცა ყველა მშვიდობიანად გაიყვანა გაღმა.

უკან მომავალი საქურისი ისევ ალაპარაკდა. ნერწყვგამშრალს ხმაზე ეტყო-

გივი მაღულარიძე
მეამგონენი



ბოდა, რომ სიცხემ და ოფლის სუნმა შეაწუხა. ერთი-ორჯერ შინ დატოვებული იადონი ახსენა, მაგრამ ახლა იგი ხეთა ჩრდილს ბულბულის სტვენაზეც არ გაცვლიდა. სანატრელი ქვეყანა მხოლოდ იქ იყო, სადაც სიმწვანე ისახებოდა, სიმწვანე და ჩრდილი, ჩრდილი და ლოცვა, ლოცვა და პურის ჭამა. პურის ჭამა და თვალის მოტყუება. საქურისმა ფრთხილი ძილი იცოდა, ცალი თვალი მუდამ ღია ჰქონდა, მაგრამ ამდენ სიფრთხილეს ტყუილად იჩენდა. მისი ტყვე არსად გაქცევას არ აპირებდა.

მცხეთაში ტალახი ჩამოფხვნიეს, ტანსაცმელი გაიშრეს, მაგრამ დღუშეთში ასვლამდე ისევ ამოისვარნენ ლაფში. თოვლი ჯერ კიდევ დნებოდა, გზები ზოგ ადგილას გადარეცხილი იყო, ზოგან კი წყლით დაფარული. ხარებს უჭირდათ ურმების ტალახიდან ამოთრევა, აღმართზე ფეხის მოკიდება. მეომრები დაიქანცნენ, ხელები გადაეყვლიფათ. დღუშეთში ერთბაშად იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეს პატარა სოფელი საომარ ბანაქს დაემსგავსა. იმ საღამოს დიდებულე პური ჭამეს, იმღერეს, იცეკვეს. თუ მთელი ქართლი არა, მისი დიდი ნაწილი მათ ხელში იყო და ადვილად აღარავის დაანებებდნენ. თავისუფლებამ მერყეენიც კი გააძაყა, გააგულადა. მეორე დღეს ზემო ქართლის თავადებმა, ქსნისა და არაგვის ერისთავები იხმო და როცა მინდორი ხალხით აივსო, სიტყვა წარმოთქვა, თბილისიდან წამოღებული ფული და იარაღი დაარიგა. ახლა კარგად არ ახსოვს, რა თქვა, მაგრამ როცა საქმე ფიცზე მიდგა, უკან არავის დაუხევია. წმინდა გიორგის ხატთან პირველად თვითონ მივიდა, ორივე ხელით ჩაეჭიდა და ისე ხმამალა წარმოთქვა ფიცი, თითქოს სურდა მისი ხმა ცასაც მისწვლოდა. დროშების ფრიალმა და ერთსულოვანმა შეძახილებმა ხალხი აღაფროვანა, დიდი და პატარა ფიცს დებდა, ხატს კოცნიდა. იმ დღეს ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლალატს არასოდეს გაივლებდა გულში, მაგრამ შემდეგ იმდენმა უღალატა, რომ ყველას გვარი

და სახელი აღარც კი ახსოვს. ზოგჯერ კაცს მოღალატედ მხროდ დაღალატიანებული თვლის. ბოლო დროს ქართლში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბევრმა შეიძლება პირადად მას უღალატა და არა ქვეყანას.

მხარმარტხნიე, უსასრულობის უკიდურესი ზღვარის მახლობლად კვლავ გამოჩნდა მრუდე, მუქი ზოლი და უეცრად ზოლის შუაგულში რალაც ისე გაბრწყინდა, თითქოს ძაფზე ბრილიანტი ჩამოაცვესო. ბრილიანტი მანამდე ბრწყინავდა, სანამ ბორცვებმა სივრცე არ დაინაწილეს და ცის კიდური არ დაჩრდილეს.

როცა საზეიმო განწყობილება დაცხრა, უამრავმა საქმემ წამოყო თავი. სანამ ყიზილბაშები მტკვარს გადმოლახავდნენ, საქირო იყო ჯარის შეიარაღება, ციხეების გამაგრება, თურქეთთან და რუსეთთან კავშირის დამყარება. ამ სამი სახელმწიფოს ინტერესები ისე უნდა დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის, რომ თარ მათგანს მისთვის ფულიც გამოეგზავნა და ჯარიც მოეშველებინა. სხვაგვარად სპარსელებთან ომი გაუჭირდებოდა. მართალია, ოსმალები სასურველი სტუმრები არ იყვნენ, მაგრამ აჯანყებული ქართველები პირველ რიგში იმას ებრძოდნენ, ვისაც ქვეყანა ეპყრა ხელთ. სხვა გამოსავალი არ ჩანდა, არ არსებობდა. გათიშულ ქვეყანას მხოლოდ მტრების გათიშვა აძლევდა მცირე ხნით სულის მოთქმის საშუალებას. იმ დღეებში რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ წინაპართა შეცდომას არ გაიმეორებდა, გარეშე მოვლენებს თავს არ დააჩაგვრინებდა, მაგრამ ყოველდღიურმა წვრილმანებმა ისე აწეწ-დაწეწა ყველაფერი, რომ ბოლოს სასჯელის მეტი ვერაფერი დაიმსახურა.

ამილახვარს ერთი წუთით მოეჩვენა, თითქოს ქვეყანა ამობრუნდა და ცას მიეწეხა. ბორცვები, ამომშრალი ხევი და სახეებიანი სიმწვანე ადგილს ინაცვლებდა, ხან ცის კიდურს ეკვროდა, ხანაც უსახლვროებაში იძირებოდა. მხარნაქცევმა აღარ იცოდა საით გაეხედა, რას



მოკიდებოდა, როგორ დაებრუნებინა წართმეული ქვეყანა. ერთხანს მტკრით ამოხსებულ თვალებს იწმენდა, შემდეგ ცხენს გაუწყობდა და როცა ჭუჭყიანი ხელით სადავე მოქაჩა, გაუფერულბულმა წარსულმა კვლავ შეისხა ხორცი.

ქართლი მის თვალწინ იმოსებოდა, მწვანდებოდა, მაგრამ იგი ვერაფერს ამჩნევდა. დრო უკანმოუხედავად ვარბოდა, დაფიქრების საშუალებას არ იძლეოდა. ყველაფერი სასწრაფოდ თავმოსაბმელი, გზადაგზა მოსაგვარებელი იყო. ორ თვეში თითქმის ახალი სახელმწიფო უნდა შეექმნა და ისე ემართა, რომ მტერსაც ეცნო და მოყვარესაც. ცოლშვილი ერთხანს თან დაჰყავდა, მაგრამ მალე მათი ყველგან თან ტარება გაუჭირდა და მიუვალ მთებში გახიზნა. არაგვის საერისთავო სანდო კაცის ხელში იყო, ქსნის ზეობა რევან ამილახვარს ჩააბარა, თვითონ კი ზემო ქართლში გადავიდა და ციხეებში ქართველი მეციხოვნენი ჩააყენა. საგანგებოდ გაამაგრა სურამის, ახალდაბისა და კეხვისის ციხე, რადგან ეს ციხეები ახალციხისა და იმერეთისაკენ მიმავალ გზებს იცავდნენ. ქართლში გამეფებული მღვთმარება დაირღვა, ხალხი ამოძრავდა, აღიღინდა. ცხოვრებამ აზრი და სიხალისე შეიძინა. ზურის ჭამა—ზურის ჭამას ჰკავდა, შრომა—შრომას, სიცილი—სიცილს და ტირილი—ტირილს. იმედი ფრთებს ასხამდა, ეჭვებს შორის გზას იკაფავდა. სწორედ ამ დროს შემოუთვალა ნადირშაჰმა, თბილისში დაბრუნდი და ყველაფერს გააბატებო. რა ჰქონდა საპატივბელი, რა ემართა ან შაჰის ან მისი დამქაშების? მიწა, რომელზედაც ფეხი ედგა, მისი სამშობლო იყო და თუ კაცად ვარგობა, მომხდურისაგან უნდა დაეკვა. ამიტომაც არ დაუწყია ყოყმანი, შაჰს უარს ისე შეუთვალა, რომ ცხენიდან არც კი ჩამომხტარა.

სპარსელებს სთლომონი და ყაზახის სულთანი წამოეწიენ. ახლა მის ზურგს ოთხი წყვილი თვალი უყურებდა, ოთ-

ხი წყვილი მზით გამოხუნებული ფეხებით, რომელთაც არც დათხრა ელოდა და არც დაწვა. დასათხრელი თვალები მხოლოდ მას ეწყო უბებში და ეს ამოდენა ხალხი ერთი წყვილი თვალისათვის მზის ქვეშ იხრუკებოდა, გზის შესამოკლებლად ზმანებებს ებღაუჭებოდა. სოლომონი სპარსულს ისე ლაპარაკობდა, თითქოს მედრესეში იყო გაზრდილი. მისი სხეებისაგან გამორჩევა მხოლოდ დაბალი, სასიამოვნო ხმით შეიძლებოდა. ყაზახის სულთანს სპარსულზე და თურქულზე უფრო ქართული ეხერხებოდა, მაგრამ საუბრის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას ვერ ბედავდა. ყველაზე მეტს საქურისი ლაპარაკობდა—მას ბევრი რამ ჰქონდა ნანახი, გაგონილი და გადატანილი, ეტყობა, ამბის მოყოლაც იცოდა, რადგან დანარჩენები ყურადღებით უსმენდნენ. მოსახვედრად თვითონაც უგდებდა ყურს ბერეკაცს, სხვისი იარაღით ებრძოდა დროს, ხოლო როცა შეგნებიდან უკან მომავალთა სახეები განედევნა და ყურადღება გარე სამყაროზე გადაიტანა, ერთი ძველი ამბავი მოაგონდა. სპარსეთის რომელიღაც შაჰი სპარსეთის რომელიღაც თავადს არაერთხელ მოყოლილ ამბავს უამბობდა, მაგრამ თავადი მაინც ისეთი ყურადღებით უსმენდა, რომ ბოგორი ვერ შეამჩნია და ცხენიანად წყალში გადავარდა. იმ დღიდან თავადს შაჰის წყალობა და პატივისცემა არ მოჰკლებია.

ამილახვარმა გზის პირას წამოსკუბებულ მინდვრის თავეს თვალი შეავლო და გამშრალი ტუჩები გაიღოკა. წყუროდა, მაგრამ წყურვილის მოკვლას მერეც მოასწრებდა, შიოდა, მაგრამ შიმშილსაც იქ დაიკმაყოფილებდა, სადაც წყურვილს მოიკლავდა. მანამდე კი შეიძლებოდა დრო გადაეადგილებინა, ისევ იმ აზრებს დაბრუნებოდა, რომელთა სიცხადემ და გაუგებრობამ აქამდე მოიყვანა. ივლისის ბოლოს ყიზილბაშებმა მტკვარი გადმოლახეს და არაგვისა და ქსნის ზეობებს შეესივნენ. ორ თვეში ხუთი ათასამდე მეომარს მოუყარა თავი, ათას კაცამდე ციხეებში და კოშ-



კებში ჩააყენა, მაგრამ ამ ჯარით ბრძო-
ლებში ნაცად, ინგლისური ზარბაზნები-
თა და თოფებით შეიარაღებულ ოციათა-
სიან ლაშქარს ვერაფერს დააყლებდა.
მას შემდეგ, რაც პირველად მიიღო
ბრძოლაში მონაწილეობა, მუდამ იმას
ნანობდა, რომ საქართველოს მუდმივი,
გაწვრთნილი ჯარი არ ჰყავდა. სანამ
შორსმსროლელ იარაღს გამოიგონებდ-
ნენ, ეს ნაკლი მაინცდამაინც მწვავედ
არ იგრძნობოდა, მაგრამ შორსმსროლე-
ლი იარაღის გამოგონებისა და გაუმჯო-
ბესების შემდეგ, ხმლის იმედით მხო-
ლოდ ის რჩებოდა, ვისაც სხვა გამოსაე-
ვლი არ ჰქონდა. გამოსავალი მასაც არ
ჰქონდა და ამიტომ ყიზილბაშებთან პი-
რისპირ შეებმას ერიდებოდა, მტერს მხო-
ლოდ მაშინ ესხმოდა თავს, როცა ად-
გილ-მდებარეობა ხელჩართული ბრძო-
ლის საშუალებას იძლეოდა. სანამ წვი-
მები დაიწყო, საჭირო იყო გზების
შეკვრა, ციხეების გამაგრება, მტრის ძა-
ლების დაქსაქსვა, შემოდგომაზე კი სპა-
რსელები თავიანთი ფეხით დაიხვედნენ
უკან. სწორედ ამ დროს მიეცემოდა იმის
საშუალება, რომ რაც შეიძლება ნაკლე-
ბი ყიზილბაშში გაეშვა მტკვარგადმა.

ბეჭედმა მზის სხივები აირეკლა და
ანარეკლი ისე ეცა თვალში, როგორც
ეკალი. მძაფრ მოძრაობას მთელი გზის
მანძილზე ერიდებოდა, გარემოს მბუ-
ზოდა, მაგრამ ახლა თავი ვერ შეიკავა
და გვერდზე გადაქანდა. ცხენმა იმწამს-
ვე იუცხოვა სიმძიმის მოულოდნელი
გადაადგილება და მხოლოდ მას შემ-
დეგ დამშვიდდა, როცა უნაგირზე გას-
წორდა, თვალი დახუჭა. თვალის და-
ხუჭუქას სიბრძავესთან საერთო არაფე-
რი ჰქონდა. მზის სხივები ქუთუთოებ-
ში ატანდა, თვალის გუგას სწვდებოდა,
ჩრდილებად და ლაქებად იშლებოდა,
მტერით ივსებოდა, უზარმაზარ გობი-
ვით ეხსობოდა თავზე. ახლა რამდენიც
არ უნდა ეთვალთმაქცა, როგორც არ
უნდა მოეტყუებინა თავი, ღია ჭიშკარს
მაინც ვერსად იბოვიდა. შეიძლება
შაჰს ან მის ჯალათებს ხელიდან დასხლ-
ტომოდა, მაგრამ თავზე წამოზოხილი

საწუთროს საზღვრებს ვერც მისწვლილ
დააღწევდა თავს და ვერც მკვდარი.
ამილახვარმა თვალი გაახილა. გზა
ათიოდე ნაბიჯით შემოკლებულიყო,
მაგრამ ახლა ამ ნაბიჯსაც მნიშვნელო-
ბა ჰქონდა, მნიშვნელობა ჰქონდა ყვე-
ლაფერს, რაც ბედთან და მარტოობას-
თან ბრძოლაში ეხმარებოდა, განსა-
დელს უმსუბუქებდა. ყიზილბაშების
სისხლი იმდენი ემართა, რომ შაჰს ას-
ჯერ რომ მოეკლა, გაცეცხლებინა და
ისევ მოეკლა, მთლიანად მაინც ვერ აი-
ნაზღაურებდა, მაგრამ ამის გამო ისე-
დაც გრძელი გზის კიდევ უფრო გავრ-
თელება არ ღირდა. ისპაჰანში გულიც
უნდა ჩაჰყოლოდა, ენაც და ღიმილის
უნარიც.

როგორც კი სპარსელებმა ციხეებს
აღუა მოხსნეს და უკან დახვეა დაიწყეს,
ზემო ქართლიდან მთელი თავის ჯარით
ქვემო ქართლში გადმოვიდა და მტერს
უკან აედევნა. ყიზილბაშები ჩქარბდ-
ნენ, ნისლისა და ავდრის ისე ეშინო-
დათ, როგორც ღვთის რისხვის. ყოვე-
ლი ჩამორჩენილი რაზმი მათი ლუქმა,
მათი ნადავლი იყო. რამდენიმე დღის
შემდეგ იარაღი თავსაყრულად ჰქონ-
დათ, თოფი, თოფისწამალი და ტყვია
ყველას ყოფნიდა. მიუხედავად ამისა,
ხალხს მაინც უფრთხილდებოდა, ასი
კაცის დაკარგვა მისთვის უფრო ღირ-
დნაჯლისი იყო, ვიდრე სპარსელები-
სათვის ათასი. ყიზილბაშებს მხოლოდ
მაშინ შეუტია გულდაგულ, როცა
მტკვარზე გადასვლა დაიწყეს. ყოყინი
ვიწრო ხეობას აყრუებდა, ბრძოლის სი-
სასტიკე მკლავს ძალას გატებდა, ხმლის
ყოველი მოქნევა თითო კაცის სიცოცხ-
ლეს იწირავდა. სისხლმა და დაგრო-
ვილმა ბოლმამ ქართველები დაათრო,
გაახელა. იკვეთებოდა თავები, იღწე-
ბოდა მხრისა და ლავიწის ძვლები,
იფრტრებოდა მუცლები. მტკვარი გვა-
მებით აივსო, წითლად შეიღება. გაღმა
გასული ყიზილბაშები უკან მოუხედა-
ვად გარბოდნენ თბილისისაკენ. ეს რომ
საბოლოო გამარჯვება ყოფილიყო,
ხმლის კედელზე დაკიდებდა და ათას



საქმეს მოკიდებდა ხელს — აღადგენდა ტაძრებს, გზებს და სასწავლებლებს, ააშენებდა ბრძმედებს, სამჭროებს და ქარავსლებს, დაიწყებდა ფულის მოჭრას, წიგნის ბეჭდვას, ზღვის გაღმა რაღაცის გატანას და ზღვის გაღმიდან რაღაცის შემოტანას, მაგრამ გაზაფხულამდე ისე ცოტა დრო იყო დარჩენილი, რომ ასეთ რამეზე ფიქრი ოცნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს.

სინამდვილე ამდენ თავისუფლებას, ამდენ გასაქანს არ იძლეოდა. აღმოსავლეთიდან ყოველ დღე უბერავდა სულის შემხუთავი, მძორის სუნით გაქვნილი ნიავი და ხმელ ხეებზე შემოშხდარ ყორნებს აჩხავლებდა. ქვეყანა იძარცვებოდა, ისეთივე მიუსაფარი ხდებოდა, როგორც ერთ დროს, ჭერ კიდევ სიცოცხლის გაჩენამდე იყო. ლოდინი ვარაუდს ავიწროებდა, ვარაუდი ლოდინს უთხრიდა ძირს. ამ დროს არაფერი არ ენატრებოდა ისე, როგორც ღვინო, ღვინო და ღვინის მსმელი ვაქცაკები. ცეცხლის პირას გაშლილი სუფრა, სავსე ყანწები, გამოუღვევი სადღეგრძელოები და ძველისძველი სიმღერები დროს ბუხართან ან შუაეცხლთან არ უშვებდა, თითქმის იმხელავე ადგილს ისაკუთრებდა, რამხელაც მთელ ქვეყანას ეჭირა.

ცოდნების შიშით ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ხელი არასოდეს აუღია, მაგრამ იმ დღეებში ისეთი ცოდვა თუ მაღლი ჩაიდინა, რომ აქამდე ვერ დაუვიწყებია. ღამის გასათევად თავად ელოზბარ დავითაშვილის ოჯახში ჩამოხტა. თავადი ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ცხოვრებაზე გულაცრუებული კაცი იყო და სახლში ფუსფუსს გარეთ წანწალი ერჩია. აჯანყებამდე სოფლის მღურვით იქარვებდა ჯავრს, მაგრამ აჯანყების შემდეგ მგლის მუხლი გამოიბა, ცხენიდან აღარ ჩამოდიოდა, ხან ერთ ციხეში იყო, ხან მეორეში, იმედი ჰქონდა, რომ ყიზილბაშებს ქართლიდან განდევნიდნენ. წინა

დლით ლიახვის ხეობაში გადასულ კაცი შვილი არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა. მასპინძლობა მისმა ახალგაზრდა, ღეთის ხელით შემკულმა, უჩვეულო შუქით გამთბარმა ცოლმა გაუწია. ღამათა ქალი ბევრი უნახავს, მაგრამ ჰქუა არასოდეს დაუკარგავს. იმ საღამოს კი მეტწილად ღუმედა, საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა. სუფრას მასპინძლის გარდა ჩიხტიკობით თავმოკრული დედაბერი და ორი აზნაური უსხდნენ. აზნაურები ღვინოს აძალბდნენ, მენახეობას უწევდნენ. მისი დათრობა სხვა დროსაც ჰქირდა, ახლა კი მდევიც ვერ დაათრობდა. ვზერა ქალის გულმკერდს და წელს ეალერსებოდა, დაუნახავის დანახვას ცდილობდა, წარმოდგენა საწოლს შლიდა, ახალგაზრცილ ზეწარს კმუჭნიდა. აზნაურები ისე მალე, ისე უხეიროდ დათვრნენ, რომ მათი სუფრასთან ჯდომა აღარ შეიძლებოდა და დედაბერმა ისინი დიდი ვაი-ვაგლახით მიიყვანა კარებამდე. ღვინი მალა, მეორე სართულზე გაუშალეს, საღაც ოთახები ერთ რიგში იყო ჩამწყვრივებული და ყოველ ოთახს მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა. მამინ გულში ცული არაფერი გაუვლია, მაგრამ იმ ოთახის კარი, რომლის მიღმაც თავადისა და მისი მეუღლის საწოლი უნდა მდგარიყო, უნებლიედ დაიმახსოვრა. ღვინომ და უჩვეულო შუქით გამთბარი სხეულის სიახლოვემ ააფორიაქა, ისე გააშმაგა, რომ არც თავი ახსოვდა და არც საქმე. ფეხზე კი გაიხადა, მაგრამ ღვინოში ჩაწოლა ვეღარ შესძლო. ქვეყანა ევიწროებოდა, მართო დაწოლა საკუთარი თავის გაძარცვად, ცხოვრებაზე ხელის აღებად მიანდა. შუალამემდე დამწყვდეულ ნადირით ბორგავდა, სულსა და ხორცს აწვალუნდა, მაგრამ როცა მთვარე ღრუბლებს ამოეფარა, დერფანში წინდების ამრა, ქურდულად გავიდა და მასპინძლის საწოლი ოთახის კარი ისე თამამად შეაღო, თითქოს საკუთარ ცოლთან მი-

გივი მაღულარია
მამაგოხინი



იჩქაროდა. ქალს არ ეძინა, საწოლის გვერდით ნახევრად დაღეული სათელი ენთო. მისმა დანახვამ ქალი შეაკრთო, გააკვირვა. სტუმრისაგან ასეთ რამეს არ მოელოდა. საწოლიდან წამოწეულმა ჯერ დაყვირება სცადა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მკერდზე საბანი აიფარა. გადაიფიქრა ან იმიტომ, რომ წვილ-კვილი უფრო გაუტეხდა სახელს, ვიდრე დუმილი, ანდა იმიტომ, რომ შეარცხვენდა და აიძულებდა უკან გაბრუნებულიყო. არშიყოფის, ქალის გულის მოგების დრო რომ ჰქონოდა, მოძალადესავეთ კი არ დაადგებოდა თავზე, არამედ რამდენიმე დღეს მოიცდიდა და საწადელს ნაცადი გზით ეწეოდა, მაგრამ ახლა საარშიყოფ დე სალაპარაკოდ არ ეცალა, დილით ქსნის ხეობაში უნდა გადასულიყო, იარაღი უნდა გადაეტანა. ამიტომაც არ დაუწყია ყოყმანი, კარი სწრაფად ჩაჩაზა, საწოლისაქენ დაიძრა და სანამ ღრუბლებიდან გამოცურებული მთვარის სხივები ოთახში შემოიჭრებოდა, ქალი უკვე მკლავებში ჰყავდა გამომწყვდეული. წინააღმდეგობას სხვა დროსაც წასწყდომია, მაგრამ ასეთი არაფერი უნახავს. ქალი თავგამეტებით იბრძოდა, იბრძოდა კბილებით, ფრჩხილებით, მოქნილი სხეულის ყველა ნაკვითით, ყველა კუნთით, იბრძოდა უხმოდ, შეუპოვრად. ყიზილბაშებთან ზღოჩართულ ბრძოლას ისე არ დაუღლია, როგორც ამ თითქოსდა უმწეო არსების დამორჩილებამ დაღალა. ლოგინი აირ-დაირია, საბანი და ბალიშები იატაკზე ეყარა, გაკაწრული ყელიდან სისხლი ყონავდა. ბოლოს, როგორც იქნა მისწვდა მის მკერდს, მის ტუჩებს და როცა გახელებული დააცხრა, ქალმა გასისხლიანებული ხელები კისერზე მოხვია და აკვნესდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რა აშუქებდა ღეთის ხელით შემკულ სხეულს, რატომ იზიდავდა ასე მძაფრად, ქალს ალერსი და სიყვარული სწყუროდა. იმ დამეს თვალი არ მოუხუტავთ, ზედ არაფერი გადაუფარებიათ, ერთმანეთი არ დაუნდვიათ.

დილით ქალს ჩაეძინა და როცა უკვე ფეხაკრფევით გამოვიდა ოთახიდან, ისეთი გრძობა შეეკმნა, თითქოს უჩვეულო ჩვეულებრივმა დაჩაგრა.

● ამილახვარმა მარჯვენა ხელი რამდენჯერმე მოხარა მაჯაში და ისევ გაშალა. კანის ნაკეცებში ჩამჯდარი მტვერი ოფლმა აზილა, გააშავა. ამ სქელი ტალახის ჩამოსარეცხად ერთი დოქი წყალი არ იკმარებდა. ყველაზე მეტად წყალი სწორედ იქ სჭირდებოდა ადამიანს, სადაც წყლის ნასახივ არ მოიპოვებოდა. ყანდარის ლაშქრობის დროს ერთმა აბადანელმა სპარსელმა უამბო, ხიჯრამდე არაბებს ისე უჭირდათ, რომ როცა ბედუინებს უდაბნოში წყალი ან საკვები შემოაკლდებოდათ, უწლოვან გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ ქვიშაში და იმ ადგილას ნიშანსაც კი არ ტოვებდნენო. საქართველოდან სპარსეთში მიმავალი მხედრები ბედუინები არ იყვნენ, მიწაში ცოცხლად დამარხვა არავის ემუქრებოდა, მაგრამ აქ არც არსებობა იყო სიკვდილის საწინდარი და არც სიკვდილი არსებობის საბაზი.

გაზაფხულამდე სპარსელებს ფეხი არ გამოუდგამთ თბილისიდან, მაგრამ გაზაფხულზე ორი ისეთი ამბავი მოხდა, რამაც ქართლი გათიშა, ერთმანეთს დაუბირისპირა. ასი წლის შემდეგ ქართლის წაბილწულ, მუსლიმანთა სუნით გაყენებით ტახტზე პირველად ავიდა ქრისტიანი მეფე და მისი კურთხევა ქართველებმა ისე იზეიმეს, როგორც მეორედ მოქცევა. კათალიკოსმა თეიმურაზს და თამარს საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი თავზე, თავადებმა ერთგულების ფიცი დასდეს, მოქალაქეებმა სამკაულები და ფარჩეულობა მოართვეს. ლხინი სამ დღეს გაგრძელდა. თბილისში შემოიხიზნულ უცხოელებს არაფრით არ ეგონათ, ქართველებს თუ კიდევ შეეძლოთ ასეთი ბრწყინვალე დღესასწაულის გადახდა. უკმაყოფილო მხოლოდ ის თავადები იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ თეიმურაზს ქარ-



თლის ტახტზე ასვლის უფლება არ ჰქონდაო, მაგრამ უფლებას მოპოვებდა უნდა და არა დამოწყება. თეიმურაზი წინდახედული კაცი იყო და დროზე მიხვდა, რომ ნადირ-შაჰი თავს იოლად არავის დააჩაგვრინებდა, სპარსეთის გათიშვის უფლებას არავის მისცემდა. ამიტომ მთლიანად მის მხარეზე გადავიდა, ხარკსაც უხდიდა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაშიც ეხმარებოდა. სახელმწიფოს მართვის ნიჭი თამარსაც აღმოაჩნდა. სწორედ იმ დროს, როცა იგი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყდა, დედოფალმა ნადირ-შაჰი ინახულა, ხარკის გადაუხდელიობისათვის კახეთის აოხრებაზე ხელი ააღებინა და ბოლოს იმაზეც დაიყოლია, რომ მამამისის დაცარიელებულ ტახტზე მისი ქმარი აეყვანა. ნადირმა პირობა მისცა და აღასრულა კიდეც. სპარსეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა ელჩებმა თეიმურაზს ტახტზე ასვლა მიულოცეს და ძვირფასი საჩუქრები შიართვეს. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას ბოლოს და ბოლოს ეღირსა მეფე, მაგრამ თეიმურაზის ტახტზე ასვლა იმას ნიშნავდა, რომ მათ შორის შუღლი და ომი დაწყებულიყო. ომის საბაბიც მალე გამოჩნდა.

მაისის ბოლოს ბეჟან ერისთავი ყუმბმა მოკლეს და მისი ოჯახი ხეობიდან განდევნეს. უპატრონოდ დარჩენილი არაგვის საერისთავო ნადირ-შაჰმა თეიმურაზს უბოძა. ეს უკვე მის მიერ შეკონწიწებული სამეფოს ხელყოფა იყო. არაგვის საერისთავოს დაკარგვა მთელი ქვემო ქართლის დაკარგვას უდრიდა. სანამ ჯარს თავს მოუყრიდა, თბილისიდან ამბავი მოუვიდა, თეიმურაზი და ალი-ხანა სალაშქროდ ემზადებიანო. ახლან მთავარი იყო, ვინ ვის დაასწრებდა, ვინ ჩაიგდებდა პირველად ხელში არაგვის ხეობას. შეტევა ორი მხრიდან დაიწყო — ნატახტარიდან და დუშეთიდან. წინ თითქოს არავინ ელობებოდა, თავს არავინ ესმოლა, მაგრამ არაგვის ხეობის დაპყრობა მაინც გაჭირდა. აჯანყებულებს შურისძიების ეშინოდათ და

ამიტომ ციხეებსა და კოშკებში იკეტებოდნენ, თავს იცავდნენ. დღე დღის მისდევდა, კვირა კვირას, მაგრამ საბოლოო გამარჯვება არსად ჩანდა. ამასობაში თეიმურაზმა და ალი-ხანამ მცხეთასთან მტკვარი გადმოლახეს და უკან დაეღვენენ. განახლებული ქვეყანა, რომლის წესიერად დანახვა ვერც კი მოასწრო, ისევ შეიცვალა, ისევ უცხო და ხორკლიანი გახდა. წინ და უკან წანწალი სრულიად არ ჰგავდა იმას, რისკენაც ისწრაფოდა, რის გამოც სისხლს ღვრიდა. აჯანყებამდეც და აჯანყების შემდეგაც მხოლოდ ერთი რამ სურდა, სპარსელები გაერევა ქართლიდან. ეს სურვილი სამართლიანიც იყო და ბუნებრივიც, მაგრამ ხშირად ბუნებაც ისევე ტყუოდა, როგორც მისი შემოქმედი.



მას შემდეგ, რაც განაჩენი წაუქოთხეს და ციხეში გამოამწყვდიეს, მის ირგვლივ უხილავი, მაგრამ გადაულახავი ზღუდე აღიმართა, რომლის მორღვევა მტერსაც შეუძლებლად მიაჩნდა და მოყვარესაც. ბრალდებას, ისევე როგორც სიკვდილს, საკუთარი სახე არ გააჩნია. სიკვდილი ყოველთვის ან უეცრად მოვარდნილი ჰქონდა, ან უკუურნებელი სენი, სასჯელი კი — თავის მოკვება, თვალების დათხრა, ცხვირის ან ენის მოჭრა. ერთიც და მეორეც გარდუვალობის ამოუხსნელ კანონებს ემორჩილება და ამიტომ ადამიანს მათ წინაშე მარტოს ტოვებენ. უკან მომავალნი ერთხელ არ წამოსწევიათ, ერთხელ არ ამოსდგომიან გვერდით.

არაგვის ხეობის დაკარგვის შემდეგ ცხადად იგრძნო, რომ ხელიდან ეცლებოდა ის უპირატესობა, რაც ამბოხების წყალობით მოიპოვა. ჰაერი დამძიმდა, ეკვითა და უნდობლობით გაიჟღინთა. ქართველი თავადები დუმდნენ, ერთმანეთს პირს არიდებდნენ. თეიმურაზი

გივი მაღულაიკია
მამამონძენი



რახის ტახტზე ასელის შემდეგ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა კანონიერი მეფის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა, რასაც შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, რადგან მეფეს მათი აღზევებაც შეეძლო და განდევნაც. ამიტომაც დუმდნენ, მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როცა საეკვო და სავარაუდო აღარაფერი იქნებოდა. მხოლოდ მას და ქართლის ტახტზე თეიმურაზის ასვლით უკმაყოფილო რამდენიმე თავადს არ უტედათ მეფესთან შერიგება. ვერ ერთი იმიტომ, რომ სანამ ქართლში სპარსელები ბატონობდნენ, თეიმურაზის გამეფებას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მეორეც სპარსელების ყმობას ისევ თურქებთან მორიგება ერჩია, რადგან თურქები დიდ ომებს აწარმოებდნენ ევროპაში და საქართველოსთვის დიდხანს ვერ მოიცილდნენ. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი საფუძვლიანი მიზეზი, რასაც ანგარიში უნდა გასწეოდა, იმერეთსა და სამცხე-საათაბაგოს თურქები არასოდეს არ დაინებებდნენ სპარსელებს, საქართველოს გაერთიანებისათვის კი ისევ ის სჯობდა, რომ ერთი ბატონის მოხარვე ყოფილიყო.

ამგვარი და კიდევ უფრო სარწმუნო აზრები მაშინ ბევრი უტრიალებდა თავში, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ გაობრბულ დროში ცხოვრობდა. ბრძოლის წაგება — თავის წაგებას უდრიდა. ქვეყანა ისე იყო არეული, გაღატაკებული და დაქსაქსული, ხოლო რწმენადაკარგული თავადზნაურობა იმდენად უპირო, ხარბი და გამუხანათებული, რომ ეშმაკობისა, თვალთმაქცობისა და დაუნდობლობის გარეშე კაცი ვერც მტერს გაუმკლავდებოდა და ვერც მოყვარეს შეიძენდა. ამიტომაც არ სჯიდა საკუთარ თავს ისე მკაცრად, როგორც ამას მამაზეციერი მოითხოვდა. მისი მიზანი ქართლიდან სპარსელების განდევნა იყო და არა სულის ცხოვნება. ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა ხერხი ვარგოდა — წმინდაც და უწ-

მინდურიც, თურქებთან მოლაპარაკებაც და ლიკების დაქირავებაც.

სოლომონმა და საქურისმა რამდენჯერმე მისი სახელი ახსენეს, მაგრამ რაღაც ისეთთან დაკავშირებით, რაც წარსულს უფრო ეხებოდა, ვიდრე მომავალს. წარსული ყველას ითრევდა, სიცხისა და გათელვისაგან იცავდა. სანამ ამქვეყნად რაიმეს დამტკიცება ან უარყოფა შეიძლებოდა, სანამ დრო სამნაწილად იყო დაყოფილი, მტყუანი და მართალი არ გამოიყოფოდა, მანძილი ციხესა და სასახლეს შორის არ შემცირდებოდა. ეს მანძილი აქ, ამ დანაოშუბული მიწის უბეშიც კი იკრძნობოდა. იგი მართო მიაბიჯებდა მტკრიან გზაზე და წინ ყურებას ისევ ის ერჩია, რომ აჩრდილებისათვის აღვილო დაეთმო, მათთან ერთად გადაეფასებინა გადასაფასებელი.



როგორც კი თეიმურაზმა არაგვის ხეობაში ფეხი მოიკიდა, მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება იმ თავადებთან, რომელთა გადასაბირებლად უვენებლობის ფიცის მეტი არაფერი იყო საჭირო. ყველაზე ადრე, ყველაზე მუხანათურად მკვიდრმა ბიძაშვილმა, რევან ამილახვარმა უღალატა. ქსნის ხეობა გამავრბული ციხეებით და მეციხოვნეებით ისე მიართვა თეიმურაზს, როგორც საკუთარი ხელით დაპყრობილი ქვეყანა. საფასურიც შესაფერისი მიიღო. თეიმურაზმა იგი ქვემო ქართლის ჯარების სარდლად და უახლოეს მრჩეველად დანიშნა. მას რომ სპარსელების ქართლიდან განდევნა თურქებისა და ლეკების დახმარების გარეშე შესძლებოდა, მაშინ რამდენიმე კაცს ან თავს მოჰკვეთდა, ანდა ხეზე ჩამოკიდებდა, მაგრამ მომავალზე ფიქრი მკლავსა და ნებისყოფას აღუნებდა, წამიერი რისხვა დღევარქნილი დიმილის აბლაბუდაში ეხვეოდა. ვახუშტი აბაშიძე და ზაალ ავალიშვილი ბანაკიდან დამით გაიპარნენ და თეიმურაზს ეახლნენ. ირვევოდა, მცირდებოდა მის მიერ თავმოყრილი

სახელმწიფო, შიშვლდებოდა კაცის ბნელი სული, მაგრამ ლალატზე მოულოდნელი მაინც ცხინვალთან დამარცხება აღმოჩნდა. არ ეგონა კახეთის ქაბუკი მეფე თუ ამდენ მოხერხებულობას და სიმამაცეს გამოიჩინდა. დილის ბინდბუნდში როცა ნისლი ჯერ კიდევ არ იყო გაფანტული, მცირერიცხოვანი ჯარით საფარიდან გამოვიდა და მის დაუცველ ბანაკს თავს დაესხა. ბანაკი აირია, არავინ იცოდა, ვინ იყო მტერი, საიდან მოვიდა. მეომრებისათვის რომ გონზე მოსვლის საშუალება მიეცა, უკან დაიხია. უკან დახევა ურბნისამდე გაგრძელდა. იმდღევანდელმა დამარცხებამ ცხინვალი და გორი დააქარგვინა, მაგრამ ერთ რამეში საბოლოოდ დაარწმუნა. ირავკლი ძლიერი, სახიფათო მოწინააღმდეგე იყო, ისეთი მოწინააღმდეგე, რომელიც ბრძოლას კი არ გაურბის, არამედ ეძებს.

იმ დამეს ბევრი იფიქრა, რატომ აფასებს ადამიანი ცხოვრებასა და მოვლენებს ზოგჯერ სწორად, ზოგჯერ კი მცდარად, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა, ისიც კი ვერ გაიგო, რის უფულებელყოფის უფლება ჰქონდა და რის არა. მარცხი სწორედ მაშინ მოსდიოდა, როცა დროსა და სიკვდილს თვალს არიდებდა, ცხოვრებას არაერთგვაროვანი ნაფლეთებისა და ნამსხვრევებისაგან აკოწიწებდა. წინა დღეს რომ ისე მოქცეულიყო, როგორც ღვთის გაჩენილი არსება უნდა იქცეოდეს, მარცხს გადაურჩებოდა, მაგრამ სწორედ იმ საღამოს არ იცოდა, რა მოეხერხებინა საკუთარი თავისათვის, როგორ უქუთავდო ფეხებთან მოცოცებული ბნელი, უსახური, უსისხლბორცო წყვილი, რომელიც ყველაფრის შთანთქმას, დასაკუთრებას ცდილობდა და მის წინააღმდეგობას, არავითარ ანგარიშს არ უწევდა. შეღამებისას ვის არ შემოსწოლია ნაღველი გულზე, ვის არ დაუშვია შეცდომა, მაგრამ შეცდომის მიღმა რომ კიდევ იყო რაღაც ისეთი, რასაც არსაიდან შემოეკლებოდა, ეს მხოლოდ მეორე დღეს ირწმუნა.

როგორც კი თურქებმა მისი ცხენების ამბავი გაიგეს, მაშინვე აწრილდნენ, აფუსფუსდნენ. სტამბოლიდან დიდი ვეზირის მიერ ხელმოწერილი რაყიმი და ფული მიიღო. ახალციხის ფაშამ მსხვილლულიანი ზარბაზნები, თოფისწამალი, ყუმბარები და მეთოფურები გამოუგზავნა. ლეკთა ბელადმა მალაჩიმ ოთხი ათასი კაცი მოგვარა და დახმარებისათვის მაინცდამაინც დიდი გასამრჯელო არ მოუთხოვია. მარცხი დროებითი აღმოჩნდა, სპარსელებისადმი მტრულად განწყობილი ძალები კვლავ მის ირგვლივ იყრიდა თავს, მაგრამ ხალხი მაინც აკლდა. ხუთი ათასი ქართველით, ენგიჩართა რამდენიმე ასეულით და ოთხი ათასი ლეკით თბილისამდე ვერ მიატანდა, ყიზილბაშებს ქართლიდან ვერ განდევნიდა. საჭირო იყო ჯარი, ნამდვილი ჯარი და არა ბრბო, მაგრამ ასეთი ჯარის შექმნას წლები სჭირდებოდა, მას კი თვეები ჰქონდა სათვლელი. ზაფხულამდე სურამის ციხე აუღებელ სიმაგრედ უნდა ექცია, უცმაყოფილო ქართველი თავადები გადმოგებრიბინა, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მომზადებულიყო. გამარჯვება დროის მოგების, მოლონირების საშუალებას მისცემდა, დამარცხება კი საბოლოოდ გასწყვეტდა წილში.

სანამ თეიმურაზი და ალი-ხანი გორიდან დაიძრებოდნენ, ახალციხიდან უსუფ-ფაშა გადმოვიდა და თან ექვსი ათასი მეომარი გადმოიყვანა. უსუფი ფრთხილი, თავზებელგადაფარებული კაცი იყო, ახალციხიდან ქართლში გადმოსვლა შორეულ, სახიფათო ლაშქრობად მიაჩნდა, მაგრამ მას ჯარისკაცები სჭირდებოდა და არა ფაშები. ფაშების ზნეს კარგად იცნობდა, ყოველთვის თავგასულნი, ხელგასკრიბნი და მუხანათები იყვნენ, თავიანთ დამპყრობლებს ისე ერთგულად ემსახურე-

გიმი მალულარია
მეამბოხენი



ბოდნენ, ისე ხშირად ახსენებდნენ ალაჰს, თითქოს გათურქებამდე, გამაჰმადიანებამდე არც თანამდებობის ფასი იცოდნენ და არც ღმერთის არსებობდა. მბრძანებლის სიდიადე და მონის უნდობლობა უსუფს სახეზე ეწერა, მაგრამ მისი სახე მას მხოლოდ იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ერთად უნდა ებრძოლათ, ერთად უნდა გაემარჯვათ. ხვალინდელ ომში აუცილებლად უნდა შეეპყრო გამარჯვების მაცდური, სისხლისაგან კანგასლაგნილი აჩრდილი, შეეპყრო მანამდე, სანამ თურქები და ლეკები გულში ღალატს გაივლებდნენ.

ბრძოლა გორსა და რუისს შორის მოხდა. მარჯვენა ფრთა თურქებს დაუთმო, მარცხენა ლეკებს, თვითონ კი შუაში გაჩერდა და როგორც კი ინათა, მტრის შუაგულისაკენ დაიძრა. ისე მედგრად შეუტია წინა რიგებს, რომ ყიზილბაშები და ქართველები შედრკნენ, უკუდგნენ. რაც უფრო მწვევდებოდა ბრძოლა, მით უფრო ნაკლებად ახსოვდა საკუთარი თავი, ძველი ცოდვები, ახალი ცოდვების სიმძიმე, ღვთის უსულგულობა და კაცთა მოდგმის უგუნურობა. ხმაღს ისე იქნევდა, თითქოს ცხოვრებაში მეტი არაფერი უკეთებია. წინსვლა აგულიანებდა, ათამამებდა, კიდევ ცოტა და მტრის ჯარს შუაზე გააპობდა, გათელავდა, მაგრამ ამ დროს თეიმურაზმა და ალი-ხანმა პირი იბრუნეს და გორისაკენ გაიქცნენ. გაქცეულებს ფეხდაფეხ დაედევნა. იმ დღეს რომ ყიზილბაშების ჩეხვით არ გართულიყო და მეტი გონიერება გამოეჩინა, თეიმურაზი და ალი-ხანი ციხეში ვერ შეასწრებდნენ. გორის ციხის მაღალი კედელი ისე მოულოდნელად აღიმართა მის წინ, როგორც ღვთის ხელი. ბრძოლა დამთავრებული იყო. გასისხლიანებული ხმალი გაწმენდას და ქარქაშში ჩაგებას მოითხოვდა, გამარჯვება ზემს, მონელებას, მაგრამ მან წინასწარ გაუსწორა დროს ანგარიში.

გვერდით გაჩერებულმა უსუფ-ფაშამ ალაჰს მადლობა შესწირა, გამარჯ-

ვება მიულოცა, მაგრამ გორის ციხის ალემაზე უარი განაცხადა და რუისში დაბრუნება მოითხოვა. გამარჯვების სიხარული მანამდე ამოიწურა, სანამ გულს შეათბობდა. ძნელი იყო მტერთან მოყვრობა და მასთან ერთად ბრძოლა. უნდობლობა გაუქარწყლებელ ექვებს ასაზრდოებდა. ერთი ხელის მოსმით გასაკეთებელი საქმე ქუცმაცდებოდა, ქიანურდებოდა. იმის მაგივრად, რომ გორის ციხის ალემაში მოხმარებოდა, უსუფ-ფაშამ მალაჩი იხმო, სტამბოლიდან გამოგზავნილი ფული გადასცა და მთელი თავისი რაზმით დალესტანში გაგზავნა ლეკთა კიდევ უფრო დიდი ჯარის დასაქირავებლად. სხვისმა უგუნურობამ ხელ-ფეხი შეუქრა, იმდენი დრო დააკარგინა, რომ ვერაფრით ვეღარ აინახაღურა.

ღვთის მონა არასოდეს ყოფილა, არც ის სჯეროდა, რომ მისი გაჩენა აუცილებელი იყო ამქვეყნად, მაგრამ რადგან გაჩნდა და გაჩნდა ისეთ დროში, როცა ძალი პატრონს ვერ სცნობდა, არ უნდოდა უგუნურად წაეგო თავი. ღალატი ყველას შეეძლო, საკუთარ ძმასაც კი და მას უკვე უჭირდა მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევა, სხვის სულში ჩახედვა. თუმცა სხვის სულში ჩახედვა უფრო სახიფათო იყო, ვიდრე გარდუელობის პირისპირ დგომა. ერთბაშად იმდენ ბნელ ზრახვებს, იმდენ მუხანათობას აღმოაჩენდა, რომ ან ყველას უნდა დაპირისპირებოდა, ან და გასცლოდა, მაგრამ რადგან წმინდანი არც თვითონ იყო, ამიტომ არც სხვების საქციელს სჯიდა მეტისმეტად მკაცრად.

ამილახვარს წარბები ისე ჰქონდა შეკრული, თითქოს რაღაცის ახსნა უჭირდა და აზრის აღრევას რომ მეხსიერების ამღვრევაც არ გამოეწვია, გაწყვეტილი ძაფის ბოლოს ჩაებლაუჭა.

ერთი კვირის შემდეგ ამბავი მოვიდა, ირაკლიმ არაგვის პირას ლეკები სასტიკად დაამარცხა, მალაჩი საკუთარი ხე-



ლით მოკლა და სტამბოლიდან გამოგზავნილი ფული თბილისში ჩაიტანაო. ლეკების დამარცხებამ უსუფ-ფაშას თავზარი დასცა. ჯარი იმ დღესვე შეკრიბა და ახალციხისაკენ გასწია. აღმოსავლეთიდან კვლავ დაუბერა მძორის სუნიტ გაყდენთილმა ქარმა, ისევ ახავლდნენ ყორნები. ცხენიდან ჩამომხტარს მუხლის ვაშლა უჭირდა, ხმალი ისე ეკრდა წელზე, როგორც დიდი ლოდო, რომელსაც ვერასოდეს მოიხსნიდა. თუმცა რატომ უნდა მოეხსნა. ქვეყანა ბორკილებით იყო მოფენილი და თუ მათი დაღწევა სურდა, ხმალი წელზე უნდა რტყმოდა. იგი არც ისე სუსტი იყო, რომ მძორის სუნისა და ყორნების ჩხავლისათვის ვერ გაეძლო. ზურგს უკან სურსათ-საწოვავით სავსე, გამაგრებული, ზარბაზნებით შეიარაღებული ციხე ეგულებოდა. ამ ციხის აღებას მტერი ადვილად ვერ მოახერხებდა, შეიძლება წლებიც დასჭირებოდა, მანამდე კი ღმერთმა იცის, ვისი მზე ჩაესვენებოდა და ვისი ამობრწყინდებოდა.

ერთად თავმოყრილი ქვეების რომელიც ხვრელიდან ჩიტი ამოფრთხილდა და იქითკენ გაფრინდა, სადაც სიმწვანე და სიგრილე ეგულებოდა. საქურისმა გაფრენილ ჩიტს წრიბინის თუ სისინის მავკარი ბეგრები დაადევნა. გზა ხეებს გვერდს უვლიდა, იქეთკენ მიემართებოდა, სადაც გახუნებული ბორცვები უცხო თვალისაგან ერთფეროვნებით იცავდნენ თავს. ცხელი ქარი მიწის გულს აშრობდა. მხედართა პატარა ჯგუფი, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა, მან მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა გამომშრალი ქვეყნის მკლავთა ხვევნას თავი დააღწია. ვილაციებს მათსავით ეჩქარებოდათ მწვანე კუნძულისაკენ, მათსავით ენატრებოდათ ჩრდილი და ხის ქვეშ წამოწოლა, სადაც მოგონებებით მოფენილი გზა კი არ მთავრდებოდა, არამედ ინასკვებოდა.

სანამ ციხეს ალყას შემოარტყამდნენ, დაუბრკოლებლად შეეძლო იმერეთში ან თურქეთში გადასვლა — ყარსისა და

ერზრუმის ფაშები ცალ-ცალკე ებეჭებოდნენ, ოსმალეთში გადმოდიდნენ. აქედან შევეუტიოთ სპარსელებსო, მაგრამ საქართველოს ფარგლებს გარეთ ბრძოლას ის აზრი აღარ ექნებოდა, რისთვისაც ცოლ-შვილი მიატოვა. ზამული დაჰკარგა, თავი საფრთხეში ჩაიგდო. გაქცევა სინამდვილეს სახეს შეუცვლიდა, გარდაქმნასა, გადასხვაფერებას მოსთხოვდა, გადასხვაფერება კი ყველა კვალს წაშლიდა, გადარეცხდა. რადგან აჯანყდა, რადგან საქვეყნო საქმე იტვირთა, ბედის ძიების უფლება აღარ ჰქონდა, ბოლომდე მემამობედ უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სისხლის ღვრის გამართლება, კაცობის შენარჩუნება. ეს იყო ხსნის ერთადერთი გზა, მისი ერთადერთი საკუთრება, სხვა ყველაფერი კი დროსა და შემთხვევითობას ეკუთვნოდა. შეიძლება ერთ წელიწადში ვარსკვლავებს ადგილი მოენაცვლებინათ, წალმა დატრიალებულიყო ის, რაც აქამდე უკლებია ტრიალებდა. მიწისძვრით, შავი ჭირით, შუღლით, სიბრყვიითა და სიციფით სავსე საწუთროში აჩქარებას აზრი არ ჰქონდა. ბედი მტრების მიმართაც იმდენივე გულგრილობას იჩენდა, რამდენსაც მის მიმართ.

ციხეში ქართველებთან ლეკთა მცირერიცხოვანი ჯარი და თურქი მეთოფურებიც შეჰყვენენ. ზარბაზნები პირველად საცდელად გაისროლა, შემდეგ კი მათი ქუხილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ზოგჯერ მტერისა და კვამლისაგან ისე იფარებოდა სიგრცე, რომ მოწინააღმდეგე არ ჩანდა. მტრის ბანაკში მდგომარეობა შეიცვალა. თეიმურაზი კი არ ემორჩილებოდა ალიხანს, არამედ ალიხანი თეიმურაზს, მაგრამ სარდლების შეცვლა არაფერს არ ცვლიდა. ყველა, ვინც ციხის გარეთ დარჩა, მისი მტერი იყო, ყველას მისი დამარცხება და დატყვევება სურდა.

გივი მაღულარიძე
მეამბოხისი



ასევე იქცეოდა სათოფურებიდან შემოჭრილი სინათლის შლეგი ნაკადიც, გარე სამყაროს მრუში, უტიფარი მოციქული, რომლის სიკაშკაშე გულისკედლებს ბზარავდა. თეიმურაზმა მეორე დღესვე შემოუთვალა, ციხე ჩამაბარე და არას გერჩიო, მაგრამ დამნაშავედ იგი სხვებს თვლიდა და ამიტომ უფლება ჰქონდა მანამდე დაეცვა თავი, სანამ ძალა შესწევდა. ამ უფლებას ვერც თეიმურაზი წაართმევდა და ვერც ნადირ-შაჰი. სურამის ციხე იმისთვის კი არ გაამაგრა, რომ მტრისათვის ჩაებარებინა.

● ბორცვთა ჩრდილების ზრდა ამილახვარმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა განტოტებული დროის ერთი შტო ამოშრა და ცა, მიწა, სახეებიანი სიმწვანე და მხელართა პატარა ჯგუფი ერთ დიდ წრედ შეიკრა. ამ წრიდან გასვლა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც არსებობის აზრის ამოხსნა, მაგრამ უცვლელი ფერებისა და უსაზღვროების ცქერა მიბეზრდა, სიცხისა და აზრთა წინააღმდეგობებისაგან თავი გაუსივდა. სხვებისათვის ჰაერი მხოლოდ მტვრითა და მზის სხივებით იყო დამძიმებული, მისთვის კი მუქართაც, ისეთი მუქართ, რომლის წარმოდგენა სისხლძარღვებს ყინავდა. უწინ მუსლიმანები დამნაშავეს სახალხოდ, დიდი ზარ-ზეიმით სჯიდნენ. აშენებდნენ ფიცარნაგს, ნიღბავდნენ ჯალათს, უხმობდნენ მოქალაქეებს, რომელთაც შემდეგ მოჭრილ თავს ან დათხრილ თვალებს უჩვენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და თუ სპარსელებისათვისაც დრო იმასვე ნიშნავდა, რასაც სხვებისათვის, ცოტა რამ უნდა გაემარტივებინათ, დამნაშავე აქლემზე ან ცხენზე შემჯდარი კი არ უნდა მიეგვარათ ჯალათისათვის, არამედ ჯალათი წაეყვანათ იქ, სადაც დამნაშავე ჰყავდათ დამწყვედული. თუმცა, როცა საჭირო იყო, შაჰები ასეც იქცეოდნენ, ოთხ კედელს შორის უფრო მეტ დანაშაულს

სჩადიოდნენ, ვიდრე ღია ცის ქვეშ იმ წელიწადს სურამის ციხეში იყვნენ. ფერი დააკლეს, მაგრამ მომდევნო წლის გაზაფხულზე ქაიხოსრო ორბელიანმა და რევან ამილახვარმა ახალდაბისა და კეხვისის ციხეები აიღეს და სურამის ციხის ამარა დასტოვეს. რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. თოფისწამლისა და ყუმბარების მარაგი ილეოდა. ჯარისკაცები დაიქანცნენ, უქალოდ ცხოვრება და მკვდრების მარხვა მობეზრდათ. ზოგჯერ ისეთ რამეზე წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, რომ გაწყრომას აზრი არ ჰქონდა. ოთხ კედელს შორის გამოკეტილი უიმედობა მიღმა დარჩენილი ცხოვრების დარდით იხუთებოდა, ქირვეულობდა, დასასრულისაკენ ისწრაფოდა. სწორედ ამ დროს შემოუთვალა თეიმურაზმა მესამედ, ციხე ჩამაბარე და არას გავნებო. ციხის ჩამარება აზრად არ მოსვლია, მაგრამ მოლაპარაკებაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. სანამ მეფე ყველა მის პირობას შეასრულებდა, ჯარისკაცები დაისვენებდნენ, ციხიდან გავიდოდნენ, იგაქრებდნენ, ილაყებდნენ და როცა უქმად ყოფნა მობეზრდებოდათ, ბრძოლის განახლებაზე უარს აღარ იტყოდნენ, განსაკუთრებით თურქები და ლეკები, რომელთაც ტყვეობა ელოდათ. კარავი ციხის წინ, მწვანე ველზე გაშალეს. ნესტისაგან დამძიმებული დილა იზმორებოდა, ნათელი ფერებით იმოსებოდა. ციხიდან რამდენიმე კაცის თანხლებით მხოლოდ მაშინ გავიდა, როცა თეიმურაზი მთელი თავის ამალით კარვისაკენ დაიძრა. ფეხი მსუბუქად ეხებოდა ცვრიან ბალახს, უიმედობა საწყალობლად წყმუტუნებდა, უპატრონო ძაღლივით მოსდევდა უკან, მაგრამ მისი გასაცოდავება არც ლალატს შეეძლო, არც მარცხს და არც სიკვდილს. რაც უფრო მეტ მუხანათობას იჩენდა ბედი, მით უფრო გამომწვევად შეჭყურებდა თვალეში. კარავში ისე შეაბიჯა, თითქოს სადილზე ყოფილიყო წვეული. თეიმურაზი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა, დიდი ხნის უნახავ



მეგობარივით მოიკითხა. კარავი მართ-
ლაც საზეიმოდ მოერთოთ და მოეკაზ-
მათ. ძვირფას ხალიჩაზე ბალიშები და
მუთაქები ეყარა. დაბალ სუფრას ღვი-
ნით სავსე ღოჭები, თიხის ჯამები, ხი-
ლი და კახური ჩურჩხელები ამშვენებ-
და. თეიმურაზი შესამჩნევად გამელო-
ტებულყო, წვერში თეთრი გარეოდა,
მასთან შედარებით. ჩია, ჯანაყლული
კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საუბა-
რი ერთმანეთის მოკითხვით, ძველი ამ-
ბების მოგონებით და ღვინის სმით და-
იწყეს. ღვინო ჩინებული იყო. ისე სი-
აზოვნებდა, როგორც უკვდავების წყა-
ლი. ერთი წუთით ყველა დაბრკოლება
აღმოიფხვრა, წარსული და აწმყო ერთ-
მანეთში აირია, გადახალისდა. ღვინით
დამტკბარს ისეთი გრძნობა ჰქონდა,
თითქოს არავისი არაფერი მართებდო,
ნით უმეტეს ისეთი გადამთიელისა, რო-
გორც ნადირ-შაჰი იყო. ჯაფრი შაჰები-
სა და სპარსელების სჭირდა, თორემ თე-
იმურაზს უსიტყვოდ ჩააბარებდა ციხეს.
მეფე სხვას არც სთხოვდა არაფერს.
ციხე ჩამაბარე, ერთგულება ხატზე შე-
მომფიცე და დღეიდან შენთვის სახლ-
თუხუცესობა მიბოძებიაო. ხატის შიში
არასოდეს ჰქონია, როგორც კი მოჰკვა-
რეს, ისე ეამბორა, როგორც უცხო, შე-
უცნობელი სამყაროს მკვიდრს, რო-
მელსაც ამქვეყნის აღარაფერი ეკითხე-
ბოდა. თეიმურაზმა ხალათი აჩუქა, ღვი-
ნით სავსე თასი გადმოულოცა, მაგრამ
ჯერ ერთი შერიგება მას დროის მოსა-
გებად სჭირდებოდა და არა იარაღის
დასაყრელად, მერეც მეფე სხვის ნე-
ბას ემორჩილებოდა და ასე ადვილად
ვერ ენდობოდა. ერთხანს უღარდელი
კაცივით ოხუნჯობდა, ხალათის ჩუქე-
ბაზე და მუსლიმანთა წეს-ადათებზე
არაკებს ჰყვებოდა, შემდეგ კი თეიმუ-
რაზს თვალი გაუსწორა და მოურიდებ-
ლად უთხრა:

— ციხეს იმ დღესვე მოგართმევთ,
რა დღესაც ნადირ-შაჰისაგან უვნებლო-
ბის რაყიმს მომიტანთ.

თეიმურაზს მოგვარებული საქმის გა-
დადება არ ესიამოვნა, მაგრამ ჭირვეუ-

ლობა არ დაუწყია. თხოვნა იქვე მიე-
თანდასწრებით შეადგინეს, რევეზის
ლახვარს ჩააბარეს და სპარსეთში გაგ-
ზავნეს. ისპაჰანამდე მისვლა-მოსვლას
სამი თვე სჭირდებოდა, სამ თვეში კი,
ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, მით
უმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც შაჰებს
უფრო ხშირად კლავდნენ, ვიდრე მშ-
ლებს.

●
სიმხურვალისაგან ფერმიხდილი ცა-
მნიმედ აწვებოდა მხრებზე, თვალის-
მომჭრელი სინათლე, რყევა, ნვლრევა,
უკან მოხედვა და წინ ყურება ღლიდა,
ალიზიანებდა, მაგრამ იგი სხვებზე ძლი-
ერი, სხვებზე მეტად ნაჯახირები, ნაწან-
წალები იყო და მოშვების, წელში მოხ-
რის უფლება არ ჰქონდა. მის ზურგს
იმდენი თვალი უყურებდა, რამდენი კა-
ციც მოჰყვებოდა გზას. სანამ მწვანე
მინდვრების, მჩქეფარე მდინარეების
მახლობლად ცხოვრობდა, დამსკდარი,
დაბზარული დრო სურამის ციხის კედ-
ლივით შეკრული ჩანდა, მაგრამ უღამ-
ნოს ცხელმა ჰაერმა დღუღამი წებოსავით
გააღხო, კედელი მიორღვა და დრო
უამრავ ნაკვეთურებად დაიშალა. მათ
შეწებებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ზო-
გიერთი ნაკვეთური მახვილი წახნაგებით
კაწრავდა გონებას და ისე ექაჩებოდა
უკან, თითქოს ქვეყნად შესაცნობი და
დასამახსოვრებელი აღარაფერი იყო.

სამი თვის მანძილზე ციხის კარი არ
დაუყვებია. ზარბაზნების ქუხილი ლო-
დინმა შესცვალა, მტრობა კეთილგანწყ-
ობივითაა. ციხის წინ გაშლილ ტრიალ
მინდორზე საღამოობით ბაზრობა იმარ-
თებოდა. თურქი, ლეკი, სპარსელი და
ქართველი ჯარისკაცები ერთმანეთს
ხვდებოდნენ, ვაჭრობდნენ, ყომარს თა-
მამობდნენ, ხოლო ზოგჯერ ჭიდაობაც
კი იმართებოდა. ჭიდაობის დროს ყველა
თავისიანს უჭერდა მხარს და იყო ერთი
გაუთავებელი ყიყინი, ტაშის ცემა და
„ლა ილას“ ძახილი. ამასობაში ციხე

გივი მაღულაბიძე
მეამბოხანი



ნაგვისა და სიბინძურისაგან გაწმინდა, დაზიანებული კედლები შეუქმნევლად შეაკეთა, სურსათ-სანოვავის, თოფის-წამლის, ყუმბარების მარაგი შეამოწმა და დარწმუნდა, რომ ერთ წელიწადს ისევე გაუჭირვებლად დაიცავდა თავს, როგორც მანამდე იცავდა. ქვეყანა, რომელსაც ათასი ჯურის ურდოები დაუკითხავად ისაკუთრებდნენ და სახეს უცვლიდნენ, არ იყო ისე გარდასახული და განაწილებული, რომ კაცი კაცის კვლისაგან გაეთავისუფლებინა, ძალა სიმართლისათვის დაემორჩილებინა. მას შემდეგ, რაც ლეკებმა მათი მამული ააოხრეს და მან, ჯერ კიდევ ბავშვმა, საკუთარი გამჭრიახობისა და სიმამაცის წყალობით დააღწია თავი ტყვეობას, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ეს ქვეყანა ძალადობის ბუდეა და თუ არსებობა გინდა, უამრავ კაცურ თვისებებზე უნდა აიღო ხელი. ხელის აღება ძნელი არ იყო, მაგრამ უმწეობის უკან დგომა დათმობას თხოულობდა, დათმობა-ყმობას, ყმობა-ხოხვას, ხოხვას კი ისევ საფრთხის წინაშე დგომა და კაცურად ცხოვრება სჯობდა. ამიტომაც ვერ ელეოდა ხმაღს, ციხეს, თავისუფლებას.

როცა რევან ამილახვრის დაბრუნების დრო დადგა, ციხის კარი ჩაქეტა და გარეთ აღარავის უშვებდა. პასუხი შეიძლება დადებითიც ყოფილიყო და უარყოფითიც, უფრო დადებითი, რადგან ნადირ-შაჰი ქკვიანი კაცი იყო და ბრძოლის ვაგრძელებას ერთი კაცის ნიტყვიერად შეწყყნარებას ამჯობინებდა, მაგრამ პირველად მას ზოგჯერ დადებით პასუხს უარყოფითი ერჩია. სამი წლის მანძილზე მას და მის მომხრეებს თავისუფლება ისე გაუჯდათ ძვალ-რბილში, სულის ფსკერიდან ამოხეთქილმა წყარომ ისე ამოავსო სიცარიელე, რომ ზარბაზნების ქუხილისა და ბედთან ჭიდილის ვარეში არსებობა ვერც კი წარმოედგინათ.

რევან ამილახვრის სპარსეთიდან დაბრუნება მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა ციხეში ნადირ-შაჰის მიერ გამოგზავნი-

ლი რაყიმი შემოუგზავნეს. აღმოსავლეთის უძლიერესი მეფე და უსიძველესი სარდალი, რომელმაც ტახტი და ძალაუფლება საკუთარი-ჭკუისა და ვაჟაკობის წყალობით მოიპოვა, დიდკაცური შემწყყნარებლობით წერდა, შენს მიერ ჩადენილი დანაშაული, შენს მიერ დაღვრილი სისხლი, ჩვენი გაძლიერების მოსურნე, ჩვენი ერთგული მეფის, თეიმურაზის ხათრით გვიპატიებიაო. ცოტა ქვევით კი ფიცს დებდა, თუ მომენდობი, არას გავენებო. თავის გადარჩენის უკეთესი შემთხვევა აღარასოდეს მიეცემოდა, ხელში ბეჭედდაკრული, ხელმოწერილი რაყიმი ეჭირა, მაგრამ ბედს ნაინც ეწინააღმდეგებოდა, უნდაღდა ბოლომდე გამოეცადა განგება, მანამდე ევლო უფსკრულის პირას, სანამ ან თვითონ არ ვადაიხებებოდა, ანდა უფსკრული არ ამოივებოდა. ამასვე ამბობდა ის ცაც, რომელიც თავზე ეხურა. თეიმურაზი, ალი-ხანი და ალბათ თვით ნადირ-შაჰიც დარწმუნებული იყვნენ, რომ შეწყყნარების შემდეგ იგი ბედს დაემორჩილებოდა, ციხიდან კისერზე მარყუქჩამოკიდებული გამოვიდოდა, მაგრამ მომავალი ყოფის წარმოდგენით გაღიზიანებულმა ჯარისკაცებს კარები ურდულუბით ჩააკეტინა, მეთოფურებს ყველა ზარბაზანი გაატენინა და ლანძღვა-გინებით ესროლა მიღმა დარჩენილ ქვეყანას.

●
სპარსეთიდან მომავალ მხედრებს წინ ნეტვის სქელი ფენა მოუძლოდა და გარემოს სისადავეს სტაცებდა, აბუნდოვანებდა. ამ ბუნდოვანებაში ვილაცის ბედის ძახილი ისმოდა. იმათ შორის, ვისაც გზადაგზა ტოვებდა, ბევრი გრია ბედდამწვარი, მაგრამ უდაბნო ოთხივე მხრივ ხსნილი იყო და შეიძლება ის, ვინც უკან ჩამოითოვა, კვლავ წინ დახედროდა, გამოლაპარაკებოდა, პასუხი მოეთხოვა. პასუხს თხოულობდნენ მკვდრებიც და ცოცხლებიც, თხოულობდნენ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მის მეტი ცოდვილი არავინ იყო ამქვეყნად, მაგრამ წარსული მარ-



ტო მისი საკუთრება როდი იყო, ყველას უფლება ჰქონდა ისე გადაეთვალა და გადაეფურცლა დასვრილ დღეთა სქელი წეკვრა, როგორც საჭიროდ მიიჩნდა.

სურამის ციხე მრისხანედ უღრენდა ირგვლივ შემომდგარ მტერს, მისი კედლების სისქე და სიმაღლე საიმედო იყო, მაგრამ ვარე სამყაროსთან აღარაფერი აკავშირებდა. შეიძლება სწორედ ეს შებოჰყვა, გარდუვალობასთან ქიშპობა მატებდა ძალას. ზარბაზნები ზოგჯერ ისე ქუხდნენ, თითქოს ციხე უზარმაზარი, საიერიშოდ დაძრული ხომალდი იყო, რომელიც მტრის ბრტყელობრიან ნაევებს ნაფოტებად აქცევდა და სამშვიდობოზე ვაგიდოდა. მზისა და კვამლისაგან სახეგარუჭული ჯარისკაცები იღრინებოდნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს სროლაში ეჯიბრებოდნენ. ყიზილბაშებმა რამდენჯერმე სცადეს ციხის იერიშით აღება, მაგრამ უკან ხელცარიელი ბრუნდებოდნენ. ციხე არ ტყდებოდა, არ ტყდებოდა არც შიგნიდან და არც გარედან. ნადირ-შაჰი კი ჩქარობდა, შიკრიჯს შიკრიჯზე გზავნიდა, მაგრამ სასიხარულოს ვერაფერს ატყობინებდნენ. ბოლოს შიკრიჯების ნაცვლად მხატვრები გამოგზავნა, ციხე ჩაახატვინა და როცა დახედა, თეიმურაზს და ალი-ხანს შემოუთვალა, ციხეს ირგვლივ მაღალი გალავანი შემოავლეთ, ჯარი მიუყენეთ და მეციხოვნენი ნებაყოფლობით დაყრიან იარაღსო. იმ დღიდან მტრის ბანაკი აფუსფუსდა, დაიწყეს მიწის თხრა, ქვისა და დუღაბის მოზიდვა, ციხის ირგვლივ ციხის აგება. ორი თვე გრძელდებოდა ურმების წინ და უკან ტრიალი, ხარაჩობის ზრდა, კალატოზებისა და დურგლების წელის წყვეტა, მაგრამ, როცა გალავნის შეკვრა დაიწყეს, ზარბაზნებს ტუჩი დაახრევიანა და მანამდე ესროდა ჯერ კიდევ სველ კედლებს, სანამ ერთიანად არ დაანგრია.

ბეგრათა აღრევამ, ცხელმა ქარმა და წინათგრძნობის გაბუნდოვანებამ აზრს გზა გადაუღობა, მაგრამ ამილახვარმა გზაში ადევნებულო, წებია შთაბეჭდილებები თავიდან მოიშორა და მხედარ-

თა მოახლოებულ ჯგუფს გახედა. ჯგუფში წინ ყორნისფერ ულაყზე ამხედრებული, სქელი წვერით სახეშემოსილი მამაკაცი მოუძლოდა, რომელიც თავს არც მარცხნივ აბრუნებდა და არც მარჯვნივ. ამ სიშორეზე კაცის ცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩაცმულობით და მიხვრა-მოხვრით მხედრები ქართველებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სპარსელებს. რალაც შეუღმწეველი, თვალით დაუნახავი ცხადყოფდა, რომ ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ბრუნდებოდნენ იმ ქალქში, საიდანაც იგი დასასჯელად წამოიყვანეს. ვილაცამ ვალი თუ სასჯელი მოიხადა, თავი მხრებზე შეინარჩუნა და ტკივილი იმავე დროს შეაჩეჩა ხელში, რომელიც მას დასახიჩრებით ემუქრებოდა. მუქარა იზრდებოდა, მძიმდებოდა, მაგრამ საბედისწერო ღლის დადგომამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა აღრეულ ბეგრათა დალაგება და დახშული აზრისათვის გზის გახსნა.

როგორც კი დათბა, როგორც კი სათოფურებში ცხოველმყოფელი სხივები შემოიჭრა, ნადირ-შაჰმა თავის სარდლებს ტყვიანობა გამოუგზავნა და შემოუთვალა, თუ ციხის აღება ვერ მოახერხებ, მისი დანგრევა მაინც უნდა შეძლოთო. დადგა გადამწყვეტი ბრძოლების ქამი. თეიმურაზს და ალი-ხანს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. რალაც არ უნდა დასჯდომოდით, ციხე ან უნდა აეღოთ, ანდა დაენგრიათ. საქმის გაჭიანურება ღალატის, დანაშაულის ტოლფასოვანი იქნებოდა და ამას ნადირ-შაჰიც ასე ახსნიდა. ბოლო დროს კი მის გალიზიანებას ყველა ერიდებოდა. ტახტზე ასული მწყემსის შვილი აღარ იყო ის კაცი, ვინც ჯარისკაცებთან ერთად ლაშქრობის ყველა სიდუხჭირეს იტანდა, ვინც მართალს მოყვრულად ექცეოდა და მტყუანს მტრულად, ვინც ყველა წინააღმდეგობის მორიგებას, ქვეყნის წუმბედან ამო-

გივი ვაღულარია
მთავრობანი



თრევას ცდილობდა. დრომ, ქაოსის შე-
უმუსერელობამ და ცხოვრების უკუმგ-
დებელმა ძალამ ეკვიანი და ვერაგი გა-
ხადა, ტირანად აქცია, ხოლო მას შემ-
დეგ, რაც საკუთარ შვილს დალატისათ-
ვის თვალები დათხარა და მისი მომხრე-
ები საიჭიოს გაისტუმრა, ქვეყანას მაჯ-
ლაჯუნსავით დააწვა თავზე, ნადირშაჰს
რომ საწოლში ან აბანოში მოკლავდნენ,
ეკვი არ ებარებოდა, მაგრამ ეს დღე შე-
იძლება მისთვის გვიან დამდგარიყო.

თეიმურაზმა და ალი-ხანმა ცინის
აღებას მისი დანგრევა ამჯობინეს. გა-
ხაფხულის ქექა-ქუხილი ცხვრებს, ცხე-
ნებსა და ღორებს აფრთხობდა, ვალუმ-
პული, უძინარი ჯარისკაცები ზეზეულად
თვლემდნენ. ყუმბარები რომ არ გამო-
ლეოდა, მტერს ციხის კედელთან არ
მოუშვებდა, მაგრამ ბოლო დროს მის
ნებაზე ცოტა რამ იყო დამოკიდებული.
თითო-ორიოლა გასროლა დახველებას
უფრო ჰგავდა, ვიდრე გააგებულ ყეფას.
მოწინააღმდეგე აღარ ერიდებოდა, აღარ
უფრთხობდა. ყიზილბაშებმა და ქართვე-
ლებმა მსხვილი მორებისაგან საფარი
გააკეთეს, ზმლის მაგივრად წერაქვები
მოიმარჯვეს და საძირკვლის გამოთხრა
დაიწყეს. ტყვია და ლოდი ვერაფერს
აკლებდა მსხვილ მორებს. კედლებს
რომ სული ჰქონოდათ, ალბათ, იმასვე
იგრძნობდნენ, რასაც მათი დამცველები
გრძნობდნენ — ძალთა თანაფარდობის
დარღვევას და მკლავის მოღუნებას.
დენტით სავსე კასრები ციხემდე ურმე-
ბით მოზიდეს, ძირგამოთხრილ კედელს
ქვეშ შეუწყვეს და პატროქს ცეცხლი
წაუკიდეს. აფეთქებამ მთელი ციხე შე-
არყია, კედელი ერთ-ორ ადგილას გა-
იზნარა, მაგრამ არც დანგრეულა და
არც გვერდზე გადაქანებულა. კედლის
სიმტკიცემ ჯარისკაცები გაახარა, გაათა-
მაშა, ისე იქცეოდნენ, თითქოს ციხეს
ღვთის ხელი იცავდა. ერთხანს მტერიც
გაოგნებული ჩანდა, მაგრამ შემდეგ
ისევ დაიწყეს საძირკვლის გამოთხრა,
დენტით სავსე კასრების ურმეებით მო-
ზიდვა. წერაქვების ყრუ კაქუნი ზოგ-
ჯერ ციხის ეზოშიც კი ისმოდა. იმ დი-

ლით ჯარისკაცებს კედელთან ახლოს
მისვლა აუკრძალა, საკუთარი თავის
დღეების თვლა. თუმცა გარდუვალობი-
სათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა და-
ლამებას და გათენებას, გამარჯვებას და
დამარცხებას, საბედისწერო დღე სხვა
დღეთა რიგს არ გამოაკლდებოდა, თავს
არ დაიჩაგრავდა. ძლიერმა აფეთქებამ
კედელი ჰაერში აიტანა, დაფშვნა და
მტვრად აქცია. სანამ დაქრილთა ღრია-
ლი ცოტათი მიწელდებოდა და მტვერი
გაიფანტებოდა, ყრუ და ბრმა იყო, მაგ-
რამ როცა ქარმა რუხი ფერის ღრუბე-
ლი გადარეკა, მის წინ ღია სივრცე აღ-
მოჩნდა, ციხეს ცალი კედელი მორღვე-
ული ჰქონდა. ფართო ღობიდან მწვანე
ველი და ტყით შემოსილი ფერდობები
მოჩანდა. უცნაური, შემზარავი საყუ-
რბელი იყო კედელმორღვეული ციხე,
მაგრამ გულში შიშის ნაცვლად სევდამ
დაისადგურა, გაურკვეველმა, უტყვმა
სევდამ, რომელსაც არც თავი უჩანდა და
არც ბოლო. ერთი კედლის აფეთქებამ
ოთხი წლის ბრძოლა სასჯელად აქცია, ამ
მტვრთან გზაზე გამოისროლა.

მწვანე ფოთლების შრიალმა შიშვე-
ლი ქვეყანა შემოსა, ჯგუფად დარგული
სეები ეკლესიასავით მყუდრო და ჩრდი-
ლით სავსე ჩანდა. ამ დიდებული ტაძ-
რის მახლობლად ექვნიბიც კი სხვაგვარ-
ად უდერდნენ. ჩრდილისა და სინათ-
ლის ზღვარზე მშით გაბუნდოვანებული
მიწის პირი ცხადად იკვეთებოდა, იკვე-
თებოდა სპარსეთიდან მომავალი მსედ-
რების სახკებიც. წინ მომავალი მამაკა-
ცი ჯგუფად დარგულ ხეებს ყურადღე-
ბეს არ აქცევდა, გზას ისე მოჰყვებო-
და, თითქოს სივრცეს მთარღვევდა.
ყორნისფერი ულავი გარემოსადმი მეტ-
ინტერესს იჩენდა, ვიდრე მისი პატ-
რონი. უეცრად ამილახვარმა ქუჭყიანი
ხელი მოაჩრდილა და მზერა დაძაბა.
ზვიადი, მზერაგაყინული მამაკაცის ერ-
თი ნაკვთი ნაცნობი ეჩვენა, მალე ნაც-
ნობ ნაკვთს სხვა ნაკვთებიც ამოუღ-
ნენ გვერდით და როცა სახე მთლიანად
გამოიკვეთა, ვაკვირვებისაგან ერთი გაბ-
მული ბგერა აღმოხდა. მის წინ შანშე
ერისთავი იდგა.

ბ ა შ რ ე ნ ა

იური გაგარინის ხსოვნას

თითქმის სიზმარში მიკვლეულ მხარის
მოენატრებათ უცხო ბინადართ
ის, ვინც პირველმა შეადო კარი
და უცაბედათ გაუჩინარდა.

კარი არნახულ ხილვებით სავსე...
სხვა სამყაროს გაუძლო მწერას
და წუთისოფლის ურთულეს გზაზე
ვერ გავრკვეულვართ რა მოხდა ჯერაც.

წაშლის რიჟრაჟი სამყაროს დაფას
და ჩნდება გმირი ნათელმხილველი,
ნაცნობ ღიმილით მორიგებს სკაფანდრს
და ისევ ისე მიჰქრის პირველი.

მივიწყებული გმირები

ოდეს თურქი მოგვდგომია, დამაქცევარ ფიქრით,
საქართველოს გაუშლია, რუსთაველის წიგნი,
წიგნი იგი, ფარი ვითა, ფარი უფრო ფარი,
ხაზარები უკუმდგარან დარიალის კარით,
ჟამი ჟამზე გადაშლილა, ბევრათასი რიცხვით,
სამუსლიმო დადრეკილა სააკაძის რისხვით,
მაგრამ ფიქრი მომიხტება და ტკივილით მავსებს,
ვითა გობრონს, ვითა ცოტნე დადიანის მსგავსებს,
არ რგებია მოგონება და პატივიც მცირე,
უსახელოდ გადაგებულ ათასეულ გმირებს,
მიუგნებელ სამარეებს, გადაბარდულს ეკლით,
უდგას მხოლოდ საქართველო — წარუშლელი ძეგლი.

გამარჯვების დღეს

ყური დამიგდე, მე გაეხსენი დაფარული შენი საუნჯე,
მე მივაგენ მღვიმეებს ახალს.
მზე ჩამოვიდა და ჩემი სული ლალისფერად ააელვარა,
ყური დამიგდე, არ გახსენებ გარდასულ დროებს,
მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე გესაუბრები.
ეს ჩემი კერპი დამსხვრეულა — ფუჭი ყოფილა,

ეს ჩემი ლოცვა განბნეულა — ყალბი ყოფილა,
ეს ჩემი ციხე დანგრეულა — ღორღი ყოფილა
და ერთადერთი შემრჩენია ციხე მამულის,
ვიმოგზაურე, ვინახულე მომუშავე მინდვრებში ხალხი,
მეთევზეები მოთმინებით ზღვას მისხდომოდნენ,
აქ საქმეა საოცრად ბევრი.
დამსხვრეულია არნახული ღმერთების ხატი,
დახსნილია ზარების წყება.
მიმოდის ხალხი — გამარჯვების წუთი ყოფილა,
ღმინი ყოფილა გამარჯვების და ჭრიამული
ციხე ყოველი დანგრეულა! — ღორღი ყოფილა,
მხოლოდ და მხოლოდ შეგვრჩენია ციხე მამულის

დახვედრა

ისეთი უნდა დახვედრა,
თურქს რომ ქართველი დაუხვდა,
დიდგორთან მტვერი აღინა,
ყარაიაზე ჩაუხტა.
შენ, სისხლო ჩემო მართალო,
ნაჩქედო წინაპარისა,
მაჩუქე ურთი ბუბუნი
ნისლა საუღლე ხარისა,
მაჩუქე შენი ჯავარი.
სიმხნევე და სიგოროზე
რა ვიცი, ეგებ მეც შევხვდე
ყივჩალს მუხრანის ბოლოზე.

●
მინდა ამ ქედებზე გადავიდე,
სხვანაირი ქვეყანა ვიხილო,
ბეჭზე ყაბალახი გადავიგდო,
ხელში დავიჭირო ღიღილო.
მწყემსი გოგონების ქოხებისკენ
ეითომ შემთხვევით ჩავიარო,
მათ თვალთა კოცონს მივეფიცხო,
ოდნავ სურვილი დავიამო,
აღარ მომეწყინოს ხეტიალი,
ღამე მომეწიოს შედებილი,
მზით გარუჯული და ვნებიანი,
სოფლელი გოგოს ფეხებივით.



ს ი ბ ო ხ ს ლ უ

სიცოცხლე ჩემო, სიცოცხლე სხვისაჲ.
გამოუცლებლო სასმისო ღვთისაჲ.
შენ გაჩენილო სიმღერის წილად,
გათენებულო აღისფერ დილად.

ვლოცაჲ შენს სახეს, შენს ნათელ ფესვებს,
შენი ერთი ხმა, ბალახი ერთი,
მე თუნდაც ხორბლად გამღეწონ დღესვე,
ხვალ ისევ მიწას ავარღვევ მკერდით.

აფეთქებული ვარ შენი კვირტი,
ცვარი ვარ, მიწის გულს დაბნეული,
მუხლზე გეხვევი მდინარის ზვირთი,
შენს სადიდებელს მღერის სხეული.

ფრთებს თქვენთვის ვშლი და თქვენთვისვე
ვემცავ,

ოკვანეთა მიზიდავს სიღრმე...
თქვენი ვარ, ჩემო მზეო და ზეცაჲ,
თქვენთან გაგჩნდები, ოღონდაც მიხმეთ.

სიცოცხლე ჩემო, სიცოცხლე სხვისაჲ,
განუწყვეტელო ძახილო ცისაჲ.

ბ ა გ ა ფ ხ უ ლ ი

თებერვლის საღამო, სუსხი და თქეში...
გლეხის ქაღს იები ეჭირა ხელში.

ჭადრების ძირში, ნაწვიმარ ხიდთან,
იდგა მდუმარე და გაზაფხულს ყიდდა.

თოვლზე ამოსული და შენაცხები,
ჩანთაში ელაგა ლურჯთვალა იები.

გივიდე ყვავილი სიცოცხლის ხალისად,
გამომყვა თვალები მაღლიერ ქალისა...

იების დაცვარულ გულში ჩასახული,
ხელში დროშასავით მეჭირა გაზაფხული.

ილია ჩიჩუა

ფერეიდნული მოთხრობები

1. პ ა პ ა ს ბ ე ლ ი

„ადე, ბერუჩავ, შე ბედშავო შენა!“
პაპამ წამოიჩოქა, დაკოჭრილი ხელე-
ბი მუხლისთავეებიდან სვენებ-სვენებით
წელამდე აიტანა და ხვნეშით წამოდგა.
ბებრულად მოხრილ-გახევებული ხერ-
ხემლიდან ტკაცუნით დაძრულმა ტკი-
ვილმა ტანში დაუარა და სახე დაუღრი-
ჯა. სული ძლივს მოითქვა, ხელის გუ-
ლები მკლავებზე ჩამოისვა.

— ღმერთო, უნამო მიწა იქნება?! —
წამოიძახა გაოცებულმა.

მთის გაღმიდან მზე ჯერ კიდევ არ
ამოწვეერილიყო, მაგრამ პაერს უკვე
მოესწრო გამოშრობა.

თვალი გადაავლო მძინარე ბანაკს.
მახლობლად მდგარი ურმის ქვემოთ და
ბორბლებთან, ნაბდებსა და ჭილოფებ-
ზე, მთელი მისი ჯალაბი ეყარა. ფარდა-
გის სიღრმეში პაპას მესამე მოდგმა
სუნთქავდა. ბერუჩამ ნაბდის ქუდი მო-
ინადა და ჩვეულებისამებრ მკლავზე
დაიბერტყა.

„მტვერიც რო სისხლისფერია ამ ვე-
რანა მაიწზე!.. ვითომ მოვედით, პა?!“

ენიშნა, ტყვედწამოსხმულთა ბანაკი
ციხილბაშებს აქამდე რომ არ წამოუშ-
ლიათ. სხვა დროს, მზის ამოსვლამდე,
კარგა მანძილი ჰქონდათ გავლილი

ხოლმე. შუა დღის პაპანაქება რომ მო-
ატანდა, შეჩერდებოდნენ. დაოსებული
მებადრაგენი კარების ჩრდილს აფა-
რებდნენ თავს, ტყვეებს კი ვინ დაგი-
დევდათ, ვისაც მზე დაჰკრავდა და და-
ვარდებოდა, განწირული იყო. ციხილ-
ბაშები ხმლებით აჩეხავდნენ და
ტყვეებს გზისპირიდან ცოტა მოშორე-
ბით გაატანინებდნენ, ყვავ-ყორნების
საჯიჯვანად და აფთრების ლუკმად.

პაპა ბერუჩას ძილში ჩაყოლილი ამ-
ბავიც მოაგონდა: ციხილბაშების წინა-
მძლოლი კარგა ხანს იშვერდა ხელს
ორგვლივ შემოჯარული ამ მთებისა და
სერებისსაკენ. ბატონის სიტყვებიც გა-
ახსენდა, სპარსელის ნათქვამს თავის
ხალხს რომ უთარგმნიდა.

„ეგ არი და ეგ!.. ამას იქეთ კიდევ
ქვეყანა იქნება?.. შეიდი კვირა გახდა,
რაც მოვდივართ... ვაი დედასა, რა დე-
კარგეთ და რა მოვიძიეთ!.. ნამეტანი
მწირი და ხრიოკი კი უქნია იმ დალოც-
ვილ ღმერთსა!...“

პაპამ პირჯვარი გადაიწერა და ცას
ახედა:

— მაპატიე, შენი სახელის ქირიმე,
საყვედურს რომ ვბედავ!..

გზის სიგრძითა და შიმშილ-წყურები-



ლით დადლილ-დატანჯულ, ნაგვემ-ნაცემ ბანაკს ეძინა ალიონის ძილით. ეძინა კია?!

„ონიკაანთ ნატოი არარი ეგ ბეჩავი, ეგა?“

პაპსაგან რამდენიმე ნაბიჯზე, პირდაპირ შიშველ მიწაზე დაგდებულ ახალგაზრდა ქალს თავი მუხლებში ჩაურგავს და თავისი სირცხვილისათვის დაშლილ-გაწეწილი თმა გადაუფარებია. რომელი ერთი იტიროს ბეჩავმა; შერცხვენა, სანდალას დაკარგვა თუ ნორჩ სხეულში ჩაღვრილი უცხო თესლის მოუნელებელი სიმწვევე? რითი ანუგემოს ბერუჩამ იგი. ნატოს ერთადერთი პატრონი და ქომაგი — სანდალა ბიჭი გუშინ აკუწეს ყიზილბაშებმა, როცა მოძალადეებს გამოენთო...

„ნეტა ვისია ეს ჩვილი, ასე გულსაკადავად რომ ღნავის?“

ბერუჩა თითქოს ხედავს კიდევ პატარას, გამწარებით რომ ღოღნის ცრემლით გაბობილ ცარიელ ძუძუს. უნებურად ისევ თავისი ურმისაკენ გაიხედა. ნაცნობი ხუჭუჭა თავების, ერთმანეთში არეული გარუჯულ-გაძვალტყავებული ხელებისა და ფეხების დანახვაზე მკერდიდან ოხვრა აღმოხდა.

— ბეჩავო, ჩემო, თავო!.. რითილა დავაპურო ჩემი წიწილები?..

ვიდრე დაუსრულებელი გზით მოდიოდნენ, ამაზე ფიქრისათვის თითქოს არც ეცალა ბერუჩას... ჯერ იყო და თავი სიზმარ-ცხადში ეგონა. საკუთარი კერიიდან ამდენი ხალხის ასე უმოწყალოდ აყრა შეუძლებელ და წარმოუდგენელ რამედ ეჩვენებოდა. რალაც უხილავი თოკი სულ უკან, საკუთარი მიწა-წყლისაკენ ეწეოდა, სასწაულის მოლოდინში იყო — ერთი დილაც იქნება, ჩემს ჭერქვეშ გამეღვიძებო... მაგრამ სასწაული არ ხდებოდა... სადღაც, შუა გზაზე ის უხილავი თოკიც შემოეხსნა წელზე და ნაცვლად თითქოს მიძიმე ჯაჭვი შემოაჭედეს. ამ ჯაჭვს ვილაცის მსახვრალი ხელი ეწეოდა... გზას კი ბოლო არ უჩანდა... კიდევ კარგი, რომ ყოველდღე ათასი საზრუნავი

უჩნდებოდა და გულს იმას აყოლებდა შინიდან წამოღებული ხორავი გზამდე გასწვდათ... დაბა-სოფლებში მაინც ახერხებდნენ პურისა და წყლის შოვნას... უფრო საკლავით გაჰქონდათ თავი...

და აი ახლა, უცხო და უკაცრიელი მთების ალყაში მოქცეული პაპა ერთბაშად შეერთა. ავისმომასწავებლად ეჩვენა ბანაკის თავზე ჩამოწოლილი ეს სიჩუმე. აღარ იცოდა რა ელონა, რა გაერიგებინა. იცოდა კი, ხალხი რომ გაიღვიძებდა, პირველად მას მიაჩერდებოდა.

„ღმერთო, რომელი ერთი შეგთხოვო!“

გლესკაცური გუმანით ხედებოდა, რომ ისევ მიწის იმედით უნდა დამდგარიყო. მაგრამ რას პირდებოდა იგი ძველ გუთნისდედას?!

ბევრს ვერაფერს!
ორი მხრიდან მთა-გორების გრებილით შემოზღუდული ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა. ეს ვიწრობი ჩაკეტილი იყო მაღალი მთით, მის თეთრ ქიმს ამომავალი მზის ვარაყი დაფენოდა.

„კარგად კი დგას, პირდაპირ... ტყიანი ჩანს... თოვლის საბანიც კარგა გრძლად ჩამოსთრევეს... ჩამონაყური ზაფხულამდე ეყოფა... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმი, სულ ნუ გაგწირავ!“

მზის პირდაპირ აღმართულ მთას, თოვლიან მწვერვალს რომ მიბჯენოდა მხრებით, ტანზე ხორცი შემოხმობოდა, ცარიელ ფლატეზად იყო ქცეული. სამაგიეროდ, ამომავალი მზისკენ ზურგშექცევით ჩარიგებულ გორაკებსა და სერებს სიმწვანის რილი დასთამაშებდა. სანუგეშოდ ეჩვენა, რომ ბანაკიდან აშლილი პირუტყვი ასე ფართოდ გაშლილიყო ფერდობებზე. თვალეში მოქუიტებული მზე ხელს უშლიდა. მიწის გულს უფრო ჩაჰკვირებოდა, მაგრამ ბერუჩამ თითქოს უკვე მოინიშნა მარ-

ილია ჩურუა
ფიკიიფიფიფი მითხროვაბი

ტოფელთა სარჩო-საბადებლის ადგილი.

„კარგი მყურდოა... დილის მზეს ეფიცება, შუადღიდან ჩრდილი წამოეშველება... დროზე კი იფარავს თავსა“.

ხეობის სიღრმეს პაპა ბერუჩას მხერა ვერ უწევდა, მაგრამ თავიდანვე დალანდა ფერდობებიდან წყლის ნაპირამდე ჩასული ტანწერილი ხეები. მათ ტოტებზე უკვე აფეთქებოდათ სიმწვანე. მდინარეს ვერ ხედავდა, მაგრამ ხმის მიხედვით გრძნობდა, სად როგორ მიარღვევდა მომძლავრებული ზვირთებით ქვა-ლორღიან კალაპოტს. იქედან ნესტისა და ლამის საამო სუნი სცემდა... პაპა უფროდაუფრო ძაბავდა სმენას, რომ მდინარის ზნეც გამოეცნო. ყველაზე მეტად უცხო მიწაზე გაზაფხულთან შეხვედრა ახარებდა.

საქართველოდან რომ აყარეს, ხენათესვა და მყნობა იწურებოდა. აქ კი გაზაფხული ახლა იღვიძებს. ესაიშოვნა, რომ თადარიგის დაჭერა არ გაცუდება.

ურმის კოფოსთან მოვიდა, ფარდავი გადასწია და კარგახანს აფათურა ხელი სიღრმეში.

ფრთხილად დაუწყო გახსნა მკერდზე სასოებით მოხუტებულ საგანს, ნაბდის ნაგლეჯში გახვეულს. ქალამნიან ფეხებზე აჩხაკუნებული გამხმარი გორიხების ხმამ შეაერთო. თავში გაუელვა, რომ ამ მიწის ასე განუკითხავად დაბნევა აქ არ ეგებოდა. მაგრამ ცნობის-მოყვარეობა წვავდა. გაუხეშებულ-გახევებულ თითებში იგრძნო ოდნავი სინესტე.

„ცოცხალია!.. შენი ფესვების ჭირი-მე, შენი!..

რაღაცნაირი შვება იგრძნო, თუმცა

გონებას ჭერ კიდე ვერაფერს ეკითხებოდა. ნერგები ისევ გაახვია და თავის ადგილას შეინახა. ახლა ურმის ხეობის ძირში მიძინებულ შვილიშვილს დააქცერდა. ჭაბუკი ნებთურად ფშვინავდა. გრუზაქოჩორიანი თავი სასათუმლოდ ამოკეცილი ხურჯინიდან გადავარდნოდა.

ქალამნის ჭვინტი მიაჭირა ფერდზე და ჩასძახა:

— სოსან, ა სოსან!.. ადე, ხედავთავე დაგვეთენებია!

დაფეთებული ჭაბუკი ჭერ წამომხართეძოვდა, შემდეგ წამოჭდა. ნამძინარეც სახეზე მკლავი ისე აიფარა, თითქოს ვიდაცის დარტყმას ელისო.

— ადე, პო, სოსან, საქმეს მივხედოთ!

ფეხზე მარდად წამომხმარ ბიჭს გრძელი ბარი შეაჩეჩა ხელში. მეორე თვითონ დაიკავა. უცებ თავში სხვა აზრმა გაუელვა: „არა, პირდაპირ დაბარვა არ გამოვა... ღონე არ გვეყოფა... გასავათავებულები ვართ“...

— ეგ ჭერ აქ დადე! — ბარი ისევ ჩამოართვა და ურმის ბორბალში ჩახი-რა. — მოდი, გუთანი გამოვათრიოთ, გუთნეულისათვის უღლები ავკრიფოთ და მერე ხარებიც გამოვალალოთ“...

ბანაკმა რომ გაიღვიძა, რამდენიმე სვრელი უკვე გატანილი ჰქონდათ; იქ გამოქვაბულის პირდაპირ დაფენილ ფერდობზე, სადაც ლორთქო ბალახი ხასხასებდა და რომლის შუაგულშიც ცივი წყარო მორაყრაკებდა.

წყაროს პირას ამოთხრილ ორმოში ჩასვენებული ნერგები გოაცებული თვლებით შეჰყურებდნენ უცხო ცას. ქართული მიწიდან ამოვდებულნი, ისინი მაინც ქართულ ბაღში შესულიყვნენ — პაპას ბაღში.

2. მარტოშვილები

— ბიჭებო, ქვემო მარტყოფს უნდა ჩახვიდეთ!

სოსანამ და მისომ ჭერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ პაპას მიაშტერდნენ.

— მარტყოფი რომელია რო? — იკითხა სოსანამ.

— იქ თუ მარტყოფელები ვიყავით, აქ რა ღმერთი გაგვიწყრა!

— ერიპა!

— რას ამბობ, პაპავ!
— ენგრეა!
— მაშ, პაპავ, მარტყოფელები ვართ ჩვენა?! — ჩაეძია მიხო.

— ზემო მარტყოფელები!
— ქვემოთური ვინდანი არიან? — თავის ჭერ კითხვას იძლევა სოსანა.

— ვინც რო ჩვენს ქვემოთ დატოვეს ყიზილბაშებმა... თებრო სადაც დარჩა. მიხოს გაეცინა. სოსანა გაწითლდა. ვერ იფიქრებდა, მისი გულის ხეშიალი პაპამ თუ იცოდა.

ჰო, ეხლა კი ხედება ბიჭი სოსანა, სადაც იქნება ქვემო მარტყოფი... ნახევარი დღის სავალზე თუა... სოსანასთვის ამდენიც არ იქნება... კარგად ახსოვს ის ადგილი, როგორ არა... ქალის-პირზეა, საიდანაც აქაური მთები იწყება... მაშინ კისერი მოეღრიცა უკან-უკან ყურებით, ვიდრე მის თვალებს თებროს სახე ელამაზებოდა... ნეტა რასა იქს, ილხენს თუ ტირის მისი თებრო?!.

— ფილო პაპა ხომ იცით?... იმას ჩაუტანთ ამ ნერგებსა. უთხარით, ადგილი საგულდაგულოდ შეურჩიოს... აქ კი ჩაეყარე, მაგრამა მეექვება, მაღალია და ვაი თუ სიცივემ უმტროს... ხიდის-თავური ატმის ნერგი გამომიგზავნოს... ორი-სამი პეშვი მახობელაცა. უნდა ეგეცა ვცადოთ. ჭერ რა ვიცით, ეგ ვერანა მიწა რომელს შეიგუებს...

— სულ ეგა?!
— დაიცა, სოსან!
— ისიც უთხარით, მისი წითელი მოზვერი თუ ამ ღმერთგამწყურალთა დანას გადაურჩა, გაუფრთხილდეს... ვინძლო ნახირი სულ არ წაგვიხდეს.

— წავსულვართ! — აცმუქდა მიხო.
— სული ნუ მიგდით, ყურმუსადებო!.. იქნებ მანდ სადმე რბილი ქვის სატეხი მოიძიონ ბალავრისთენინა... აქ, ხედავთ, სულ ტინებია, რკინაც ვერ ერევა.

— სამაგეოროდ ჩვენა ვართ მაგრები! — მკერდზე მუშტს იბრაგუნებს სოსანა.

— ვართ, მაშ! — იღრიკება მიხოც.

— ხართ, ვინ ამბობს რომ არა ხართ,
— გულს უმაგრებს პაპა. თან ყოველი შემთხვევისათვის კითხულობს. ტევრები ხომ თანა გაქვთ?

ბიჭები ჩოხის შიგნით დამალულ იარაღს უჩვენებენ პაპას და ფეხს მძიმედ იცვლიან.

— კიდევ რა?... ჰო, ერთი კარგი მამალი წამოიყვანეთ... ზო იცით რო სულ ყელბრინწინები შემოგვრჩენ. მანდ-დან, ქვემოდან, უფრო ომახიანად ყივიან... სოფელს თუ კარგი მამლები არა ჰყავ, გუნებიანდ ვერ აღგები...

— კმარა, პაპა! — ველარ ოთმენს სოსანა.

— წავსულვართ! — უმატებს მიხო.
— ჭკუით იარეთ! — დასტურს აძლევს პაპა.

ათი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გაელილი, რომ მოხუცის ხმამ ბიჭები კიდევ ერთხელ შემოაბრუნა:

— ფილო პაპას გადაეცით, მაგრად დადექი, შენს თავს შემოუძახე და სხეებიც გაამხნევე-თქო... ესეც უთხარით, ბერუჩა მალე ჩამოგაკითხავს-თქვო... თუმცა რათა... შენ ჩემზე ერთი წლით უმცროსი ხარ, ჭერ შენ ამოიარე-თქო... ძმები ფრენა-ფრენით დაუყვენე ქვემოთკენ.

პაპა ბერუჩას დაკრული ბარი მადლიანი აღმოჩნდა.

ბაღმა გაიხარა...
ცხვარ-ძროხა მომრავლდა...
ხალხმა კერა დაიდო, სახნავ-სათესი გაიჩინა, საბალახო...

კერიიდან ასული კვამლი წავიდა ზევით და სულ სწორად, რადგან თეთრქუდიანი მთა მაგრად დაუხვდა ქარებს. მაგრამ იმ მთის კალთებიდან ერთხელ ნიაღვარივით დაეშვა ეშმასავით შავი ლაშქარი, პატარა, ბანჯგვლიან ცხენებზე ამხედრებულნი.

ააწოკეს მარტყოფელები.
გაიტაცეს ლამაზი ქალები და ასულები.

ილია რურუა
ფაჩიიღწული მოთხრობები

ცხვარ-ძროხაც ბლომად წაასხეს.
ბევრი გულადი ვაყვანი შეაკვდა
მტერს... სოსანაც მაშინ დაიღუპა.

გაუტყობათ ბახტიარებს. აღარ დაიშალეს თავდასხმა და რბევა.

მარტყოფელები ძალიან გაგვიგულდნენ:

— არა, ავრე არ იქნების, ძმისავე!

ადგნენ და მოანგრის მოუნგრეველი ტინები. ციხე ააგეს შეუღვალი იმ მღვალად მთის პირდაპირ. ხეობაში სულდგმული ვერ გაიჭაჭანებდა დაუთოფავი, იცოცხლეთ. მალე იმათ დღე აყარეს გათამამებულ მარბიელებს.

ქართველთა სიმაჰაციის ამბავი შაჰსაც ვეფგო. ფირმანი გამოეგზავნა: ყოჩად, გურჯებო, ასედაც ვიცოდით! მაგ ბახტიარების ოხტში ამომიყვანეთ. სპარსელების დაუძინებელი მტრები არიან ვგინი, ჩვენი სისხლის გამშრობნიო.

შაჰს აღმოხდა:

— ღმერთო, გმადლობთ შენს სამართალს, რომ ამათაც ჰყოლიათ სისხლის გამშრობნი!

მტრის დევნაში მარტყოფელებს მთისგალმა ადგილებიც მოუვიდათ თვალში

— სხვა სოფლების გასაშენებლად, სხვა ნავსათესის, საძოვრების გასაქმებლად. ბევრმა იქით გადაინაცქოს ახალ სოფლებსაც საქართველოდან წამოყოლილი სახელები დაანათლეს, ვამლოვანი, ჩულურეთი, ჯაყ-ჯაყი...

შეიქნა ნათესავთ ძებნა და დამოყვრება, მაცნეებისა და მამულების გზავენა-გამოგზავნა, ქორწილი და ღვინა, გამძლე თესლისა და ნერგის ჩამორიგება...

გულმცემულებმა აქაური ცაც ქუდად გაიხადეს, მიწა ქალამნად; იქამდეც კი, რომ ერთხელ მიხომ გაბედა და ყიზილბაშს გზა არ დაუთმო ვიწრო ხილზე. თუ გადადგომა, შენ უნდა გადადგე გვერდზე. მარტყოფი ვარ და მარტყოფელი ბიჭი მქვიაო. ყიზილბაშმა რომ არ შეისმინა, მიხომ არც აცია, არც აცხელა: პირდაპირ აბობოქრებულ მდინარეში გადაუძახა. შემდეგ არხეინად გამოსწვია შინისაკენ, ღიღინ-ღიღინით:

— ეს მამაძალი თათარი

ამ ჩვენს სოფელში რათ არის!

თავიდანვე გულმაგრები იყვნენ მარტყოფელები.

3. ტისარყელი

გაზაფხულის ჟამს:

როცა ხანგრძლივი ფერეიდნული ზამთრის სუსხით გათანგული სოფლები თოვლის საბანს გადაიყრიან;

როცა მღვალად მთიდან ლანქერებად დაძრული თოვლი ვიწროყელიანი მდინარის ქვიან კალაპოტში ზათქით მოედინება;

როცა ფერეიდნის ხეობის ნაღვლიანი სერება დამზრალ ფერდობს სპარსეთის მცხუნვარე მხეს მიუფიცებენ და ღორთქო ბალახის ქათიბს მოისხამენ;

როცა უღელტეხილით შემოცურებულ გახალვათებულ ღრუბლებში ეღვა გაიკიფებ და ცის ღია სარკმლიდან გამოვარდნილი ქუხილი სივრციდან სივრცეს გადაუვლის,

ფერეიდნის ცისარტყელაც გამოჩნდება.

„ლამაზი გირის“ ზურგიდან ამოტყორცნილი, იგი თავზე დაადგება გიორგის, გუგუნანის, ლახანანის, თავაზიანის ნაკვეთებს, თათაშვილების გორას, „მდიდარ ხევს“ და ძველი, ქონგურებჩამოშლილი ციხის უკან ეშვება უსაზღვრო ცის რძისფერ ნისლში.

მთელი ფერეიდანი გარეთ გამოეფინება. აკვანში ჩაყრულ პატარებსაც არ ტოვებენ შინ, რათა ქისარტყელას მათაც შეავლონ თვალი.

უკეთეს ტანსაცმელგადაცმული ქაბუკები და ფერად-ფერად კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები სერებს შეეფინებიან. უფრო მუხლმაგარნი და სწრაფნი ძველი ციხის ქარაფს მიაშურებენ.

სოფლის მოედანზე, ხალხის შუაგულში ჩამდგარი ტანმაღალი, ცისფერ-

თვალეობანი თეთრწვერა მოხუცი მე-
ოთხმოცე გაზაფხულია ჰყვება პაპის პა-
პისაგან გადმოცემულს, შვილებისა და
შვილიშვილების გასაგონად:

— ცისარტყელის მეორე ბოლო სა-
ქართველოს მიწაზე დევს... ჩონი სა-
ყუარელი, სანატრელი საქართველოს
შვილები იქედან გვიყურებენყე — რა-
სა ვიქთ, რითი ვლონდებით. თან ყი-
ყინსა სცემენ — ფერიეთლებო, ცისარ-
ტყელას ქვემოთ თავი გამორგეთ, ჩონ-
თან მოდით რო გულში ჩაგვიკრათყე...

გოგო-ბიჭები კისრისტებით გარბიან
ქვემოთყენ — ნუთუ ვერც ერთი ვერ
უნდა გაძერეს ცისარტყელის ქვეშ. თან
რა ახლოსაა, სულ ახლოს, ქალის ბო-
ლოში!

ბავშვების გუნდს თან მოჰყვება ბე-
რი პაპას ლოცვა:

— ღმერთსაყე მინდა ეთხოვო გენა-
ხოსყე საქართველო... ქენ გამარჯობა,
ლონიერობა, ვაჟკაცობა!

ამაო ცდაში დაბერებულ-გაქალარა-
ვებულნი კი დგანან მოედნის შუაგულ-
ში ცისკენ თვალეებაჰყობილნი.

ცისფერთვალეება მოხუცი ერთ ღრუ-
ბელს მისჩერებია. სიზმარში ნანახ საგ-
ვარეულო ციხეს ჰგავს იგი, საქართვე-
ლოში დარჩენილს. ნუთუ ისე ჩავა სა-
მარეში, მის ნახვას ვერ ეღირსება?!

მოხუცს თვალი გაუბრბის გამოქვაბუ-
ლისაკენ, რომლის სიღრმეში ბინა დაუ-
დვიათ თეთრ მტრედებს. იმათში ერთი
პაპას თავისთვის ეგულება. სჯერა,
ოდესმე ეს მტრედი მის სულს საქარ-
თველოში გადააფრენს და მშობლიურ
ციხეს მიჰვკვრის.

„ჩემს ვულს არარა უნდა მეტი... არა
რა“.

ახალგაზრდებს უკვე მიუღწევიათ
მტრედების გამოქვაბულის კარებამდე.
„პაპას ბალი“ ქალიშვილების ნაირფერი
კაბებისა და თავსაფრებისაგან უფრო
აყვავებული ჩანს. „მონადირის წყაროს-
თან“ სიბ ქვებზე ჩამომჯდარი გოგო-ბი-
ჭები წყაროს სარკეს ჩასცქერიან. ვერ
შეთანხმებულან, რომელი უფრო ლა-
მაზია: ცაზე გადაშლილი ცისარტყელა

თუ წყაროს თვალში მოლივლივებ
ორეული.

ერთ შეგქოჩორა ჰბატუს რომ ჰკით-
ხთო, ერთიც კარგია და მეორეც, მაგ-
რამ იმ ვარდისფერკაბიან გოგოზე ლამა-
ზი მაინც არაფერი უქნია ღმერთს. ჰა-
ბუქის გულიდან დაუკითხავად ამოფ-
რინდა ძველებური სიმღერა.

— „შენ რო იჯდე რუვის პირზე,

ხალი გესო გულის პირზე“...

სიმღერა მაშინვე აიტაცეს:

— „მინდა ვიქცე ფრინველად,

მოიდე ქენ სანახველად“.

ქალიშვილების დასს სიცილ-კისკი-
სის ტალღამ გადაუარა.

გახალისებული ჰბატუები წრეს კრა-
ვენ, ფერხულს უვლიან. წრის შუაგუ-
ლიდან ამოვარდნილი სიმღერის ხმა გა-
მოქვებულის სიღრმიდან ეფინება მთელ
ფერეიდანს:

— „გაღიან, გამოღიან კაქები,

მე შენ შეგეკოქები,

მე შენ შეგეკოქები“...

ხეობაში დარჩეული ხმების გუგუნის
ბიჭებს რაღაც ფარული ბრძოლის ყინს
უღვიძებს:

— „გაღიან, გამოღიან, ბიჭები,

მე შენ შეგეკოქები,

მე შენ შეგეკოქები“.

მათი ფეხების ძალუმი ბავუნისაგან
მიწა ირყევს:

— ღმერთო, მომე ბალახი,

აღარ მინდა ტალახი“...

გაღმა მხარეს აღმართულ ქარაფოვან
კლდეს შეჭიდებული ბიჭები უკვე ცი-
ხის კედლებზე მიცოცავენ. აი ავლენ
ქონგურზე და...

ცისარტყელა უცებ შეირხა, აპარ-
ბალდა და თვალდახელშეუა გაჰქრა. და
მერე რა დროს! სულ რამდენიმე ნაბი-
ჯი და ბიჭები საქართველოში გადაიხე-
დავდნენ.

გულდაწყვეტილნი და თავჩაქინდ-
რულნი, გაქვავებულებივით დგანან.

ილია რუჩუა

ფერიდნული მოთხრობები

ტანჯმუხა ჭაბუკი, რომელსაც ჭიუტი და დაუმორჩილებელი გამოხედვა აქვს, კბილებში გამოცრით ამბობს:

- მე ვაჯალ!
- როგორ?
- ჯარში მეძახიან... მფრინავი ვავხ-

დები. — შემდეგ სერიოზულად ეკითხება თანატოლებს. — თვითმფრინავით ხომ დავეწევი ცისარტყელას? — დაეწევიყე, როგორ არ დაეწევი! ძველი, ქონგურებჩამონგრეული ციხე ღუმს.

4. პეზიონარები

შვის მოახლოებას მარტყოფელებს ეს კაცოც აგებინებს. იგი ფერეიდუნშაჰრის გზაზე ჩვეულებრივ ირანული თირის თვის პირველ კვირეულს გამოჩნდება ხოლმე.

— ალა-აკოფა მობრძანდება, ალა-აკოფა!

სახედარზე ყეენივით გადმოძვდარი მოხუცი ხალხის გადამეტებულ ინტერესს ღირსეული სიღინჯით ხედება. თავისი მრავალნაცადი და ერთგული სახედარის მიხვედრილობას მინდობილი, არხეინად მოლიდინებს, თან ძველებური გრძელი სომხური ჩოხის კალთებითა და გამხდარ ფეხებიდან სანახევროდ გამძვრალი ფოსტლებით შარავზის მტვერს მოხვეტავს. ცხვრის წოწოლა ქუდს ქვემოთ მოქცეული ჩოფურა სახე ჩაუანგებელი და უღიმღამო ჩანს უზარმაზარი, გახუნებული შავი ქოლგის ჩრდილში. მაგრამ ეს გარეგნულად ყველამ კარგად იცის, რომ ალა-აკოფა ერთი მხიარული და ენაკვიმატი კაცია.

მოედანზე შეჩარულ ხალხს ალა-აკოფა საერთო ღიმილიან სალაშს დაუხედებს და მისი სახედარიც ვიწრო აღმართს შეუყვება. ეს აღმართი მიდის ალა-იოთამას სახლამდე.

თეთრვკერმანი, ცისფერთვალებიანი და წვერებიანი მასპინძელი კიბის თავში ხედება სტუმარს. ერთმანეთს ძმურად გადახეხვევიან და თავაზიანი კითხვა-მოკითხვით შინ შევლენ. ერთმანეთის პირდაპირ ბალიშებზე მოკალათებულნი, ჩაის, ტკბილეულსა და ხილს შეექცევიან, თან ხამუშ-ხამუშ საუბრობენ.

— რა ამბები ისმის სომხეთიდან, ალა-აკოფ. შეილი რას იწერება?

— სულ მალე არფას სევანში გადავაგდებთო. — სტუმარს უცებ ხმა აუჩქროლდა. — იცი რა კარგი მდინარეა არფა?

— ახლა არ დამიწყო, ალაზანს ვობიო.

— არ იცი რო?! — ძმაკაცის სახეზე დამცინავი ღიმილის დანახვაზე უმალ უკან იხევს, მაგრამ მალე შეტევაზე გადადის. — იქნებ არარატზე დიდი და ლამაზი მთაცა გაქვთ.

— რატომაც არა! — სათნოდ იღიმება ალა-იოთამა.

— ეგრე რომ იყო, კილობანი არარატზე არ გაჩერდებოდა.

— რაც არი არი! — შემრიგებლურად ამბობს ქართველი.

სტუმარი მოულოდნელად ამოიხრებს. მასპინძელი თითქოს გულში უხის:

— შენი დარდიც მაგაზე დამდგარა, ალა-აკოფ, მე შენ გეტყვი, ვინმე ზურგზე მოიკიდებს და სადმე წაიღებს. ხომ ისევ იქა დგას!

— საქმეც ეგ არი, რომ იქა დგას! ალა-იოთამას საუბარი სხვა რამეზე გადააქვს:

— ეიზას როდის ელოდები?

— ვიცი რო?!.. ჯერ აქაური საქმეები უნდა დავაწყო. ანგარიშები გვაასწორო... ვინც აქ რჩება, იმათ ხომ ეგრე, ალალებზე ვერ დავაგდებთ... თქვენი რა ისმის?

— არ გვიშვებენ!

— ვითომ რატომ?

— გურჯები ადრე იყავით. ახლა პარსელები ხართო... ჩვენს ქეთაბებში ეგრე წერიო... ამას ზოგიერთები გვეუბნებიან, თორემ განათლებული პარსე-

ლები ჩვენს მხარეზე ყოფილან... ვაკმა-
როთ ამათ, რაც ადრე დაემართეთ... ახ-
ლა მინც ვიყოთ ძმურად გურჯებთან,
ვისი ნებაც არი, შინ გაუშითო.

— კარგი დაემართოს! — ალა-აკო-
ფამ მოჭუტული თვალებით გახედა თა-
ნამოსაუბრეს. — გინდა იცოდე ვინ არ
გვიშვებთ?

— ვინა?

— პატარა, პატარა... რა ქვია იმასა...
ჩინონიკები.

— ვითომ რათა?

— თქვენ რო წახვიდეთ, ამათ ვინდა
ვაამდიდრებს.

— აბა ჩონ ვისი გამდიდრებლები
ვართ.

— აი, ხედავ? ხომ გახსოვს ამ გაზა-
ფხულზე ცხვარი რამდენად მიყიდეთ
შეგათა?

ალა-იოთამამ მოიგონა.

— ასტვაც, ეგ ხომ ნახევარი ფასიც
არ არის!.. ვინმე მინც გამოგვეზავნათ
და მაზანდა გეკითხათ... ან თქვენ თვი-
თონ ისპაჰანში რომ ჩაგელალათ, ღმერ-
თი გიწყენდათ?.. სამ ამდენს აიღებდით
თითო ცხვარში.

— როდის გვივაჭრია რო ახლა ვი-
ვაჭროთ.

— თავი მოგაქვთ მაგით არა, თავი?..
ასტვაც!.. შენ ჯულა გავგონია?.. ჰოდა
იცი რა უყო ჯულელებსა შაჰ-აბასამ?..
დედბუღიანად აყარა და ისპაჰანში
გადმოსახლა... ჯულა გადახეწევიანა,
მის მიწაში მარილი დაათესვინა... მერე
რა?! ჩვენც ავდექით და ახალი ჯულა
გავაშენეთ... სად?.. ისპაჰანში!.. როგორ
გავაშენეთ არ იკითხავ?.. ვაჭრობა ვი-
ცით და იმით!..

— ეგ მეც კარვად მომეხსენება.

— ახლა ისიცა გკითხო: ხოჯა-ხაჩიკა-
სა და ხოჯა-ასრაფის ამბავი გსმენია?..
აი ვაჭრები ისინი ყოფილან... შაჰ-აბაზი
იმათთან ისე დადიოდა სტუმრად, რო-
გორც მე შენთან... სულ დოსტებივითა
ყოფილან... რითი?.. ფეშქეშით... ერთ-
ხელ, თურმე, ხოჯა-ხაჩიკას შაჰის ამა-
ლისათვის ხუთი ტომარა ოქრო-ვერცხ-
ლის ჯამ-ჭურჭელი დაურიგებია. —

აკოფა-ალამ მასპინძელს ხელით ანაშნა,
ყური ახლო მომიტანეო და საიდუმლო
ხმით დაუმატა. — თურმე შაჰ-აბასა
ჩვენს ეკლესიებში წირვებსაც ესწრე-
ბოდა... არა ვჯერა?

— როგორ არა მჯერა, მაგრამ ჩვენ
რა?.. ხომ გავიგონია, არა შეჯდა მწყე-
რი ხესაო.

— მე კილევ იცი რას გეტყვი?.. რო-
მელ სოფელშიც შეხვალ, იქაური ქული
დაიხურე... გაიცინე, ჰო, გაიცინე!.. იმი-
ტომაც იჩაგრებით უცხოობაში ვრაცე-
ბი. იბნევით, ხელიდან ბევრი არაფერი
გამოვლით.

— აბა, ძალიან კი ნუ მოგვდგები,
ალა-აკოფა!.. ჩვენსავით მიწის ყადრი
ვინ იცის.

— მაგას ვინ ამბობს... სულ ეს მხა-
რე თქვენი აყვავებულია. მაგრამა მარ-
ტო მიწის იმედით რას გახდები.

— ჩვენი ბიჭები ახლა ისპაჰანში
მრავლად არიან, თეირანშიც.

— მერე რა რო არიან!.. ოქროს კა-
რავი რომელს დაუდგია... ლექსებიც
გაცდენთ. სულ რალაცეებს იგონებთ:
ეს ცისარტყელაო, ეს ფერადი ღრუბე-
ლიო და მისთანანი... მაცალე, ალა-იო-
თამ, საწყენად კი არ გებნებო.

ალა-აკოფა გრძნობს რომ შესტობა,
ამიტომ თავდაც ნაცარს იყრის თავზე:

— არა, ისე არც ჩვენა ვართ ეჩმი-
ძინის ანგელოსები. მაგრამ რაცა ვართ,
ესა ვართ. ღმერთს ასე გავუჩენივართ.
ჩვენ ერთმანეთის იქით გზა მინც არა
გვაქვს. მე ჩემი მოკლე ჭკუით ერთ რას-
მე ვარ მიხვედრილი: გურჯი და სომეხი
რო სულ ერთად ვიყოთ, ჩვენი მომრე-
ვი არავინ იქნება... რუსიც თუ წაგვეხ-
მარა?! რამდენი წაგავეთ ქვეშ-ქვეშო-
ბითა... —

— შენ რა, წუხელ ძილში მოციქული
გამოგეცხადა?

— ყური მიგდე, ალა-იოთამ... ახლა
ჩემზედაც გეტყვი. მინც არა ვარ კარ-
გი კაცი. აქეთ მივედე, იქეთ მივედე,

ილია რურუა

ფიციფიციფიცი მოთხრობები



ვიქაქანე, ვიუბედე... მერედა რისთვის? გავიგო წლებადნელ ხორბალს რას უპირებთ... შე ტუტუტო ჩემო თავო, აბა ძმასთან ეგეთი რამეები რათ გინდა. ადგ და პირდაპირ უთხარი: ალა, ცხვარი ხომ ტყუილად დაქარგეთ და დაქარგეთ. ესლა ხორბალიც არ მიაყოლოთ... რასაც სპარსელი მოგცემს, იმდენს მეც მოგცემ... ცოტა მეტსაც მოგცემ (ნამუხი არ არის?!)... შენც მოიტა... აი ეს იქნება საქმე... განა შენც არ იცი, რომ ეგრე აჯობებს. მაგრამ არც შენა ხარ კარგი კაცი. გინდა სული აქ მომიყვანო. — აყოფ-ალამ საჩვენებელი თითი ყანყარატოზე მიიღო. — თუ კარგი ხარ, ადექი და მოთხარი: ჭკუით ნუ მატყუებ, ალა-აყოფა, პირდაპირ მოჭერი... განა მე არ ვიცი, რომ გურჯის მოტყუება არ შეიძლება?.. ხათრით კი მოიტყუილებს თავსა... აი ამითა ვარ დამწვარი, ჩემი ქისიანი ღმერთის მადლმა... ეგეთი საშოვარი გვერდზე გჭონდეს და ხელი ვერ გაანძრიო?.. არადა ვაჭრის საქმე

ეგ არი... ვერ გამიბედია. გავაჭრებულ გულზე იტყვი — ალა-აყოფამ გამეცმინაო. სპარსელი კი გპარსავს ცხვარით... თან გიკვირთ, გურჯისტანში არ მიშვებენო. ვინ გავიშვებს. გიყია, გავიშოს?!
კიდევ დიდხანს გრძელდება პატრიარქების მასლაათი, ხან მშვიდი, ხან გაცხარებული.

დადლილ აყოფ-ალას რული ეკიდება. თავის კანტურით ამოდ იგვრიებს საიდანაც მოვლენილ სიზმრებს...
გაღვიძებულს, სიცხადის წიაღში მხოლოდ არარატის სახე შემოჰყვება, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, ფიქრიანად ამბობს:

— სიკვილისა არ მეშინია, ალა-იო-თაშა. იმის შინი კი მაქვს, ჩემი სული არარატს რომ გადაუფრენს, ასკერმა თოფი არ მესროლოს... ნეტა მესროდეს და იქ ჩამომგადებდეს?..
ოთაშში სპარსული საღამოს ბინდი შემოდის.

5. ღოზვის პარაჩენა

შუაღდე იქნებოდა, ყაფლანიშვილები თავსახლს ერთი უცხო ახალგაზრდა ქალბ რომ მოადგა. მკერდზე ატლასისპირიან საბანში გახვეული ბავშვი ჰყავდა მიხუტებული. ნამგზავრი ჩანდა, დადლილი და შეწუხებული.

ყაფლანიშვილების კარის ღედამ, ფერიდენშაჰრში ყველაზე უხუცესმა ქალმა ექვამ სტუმარი შინ შეიწვია — მოქარგული ბალიშებითა და მუთაქებით მოფენილ ოთაშში.

ქალი მთის გაღმა მდებარე ქართული სოფლიდან — ჩულურეთიდან აღმოჩნდა. ექვამს ტირილით უამბო თავისი გასაჭირი: ერთი კვირა იქნება, ბავშვი აიციხით იწვას. სოფლის ფერშლის გამოწერილი წამლებიც ბევრი ვაყლაპე, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობაო... თქვენთან მომასწავლეს — ქართულად შეულოცავს და მოარჩენსო.

ღედაბერმა ბავშვს საბანი გადაუფურჩნა და სახეგავარებულს ყუ-

რადლებით დააცქერდა. ჩველი გაბმით ჩხაოდა. ექვამ იგი ახლა ტანტზე, ბალიშებში ჩააწვინა. თან ტკბილი ხმით უაღერსებდა:

— ნუ, ნუ, ჭუნჭურუკელავ!
პერანგი აუწია და პატარა ვარდისფერი მუცელი ფრთხილად შეუზილა. ბავშვმა ტირილს უკლო და თანდათან დამოშმინდა.

— თქვენსეც ეს ჩემ მოთხოვა არი,
— ქართული არცრა ლოცვა ვიციო. ღებით მოავონა ღედამ.

მოხუცმა წარბი შეიკრა:
— რა კალთას მიჰხვებ!.. ჩულურეთში დაგვიწყდათყე?

ქართული ლოცვა უთხრათ, — მორი — მერიემ-ხანუმი შარშა მიკვდაყე,
— მერიემ-ხანუმ ხომ იქა გყავთ?
დიდთოვლობას.

— მოკდა ფური, გარდაჰყდა ხარმულობა, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა, მაგრამ მაშინვე გამოენთო. —



მელას რო ჩონ საბძელში ბარტყები დაუყრია, ამ ჩონ ძაღლის გლახობით არის... ქართოლ ლოცვა დაკარგეთ... ახლა რაფერ ვიყნეთ...

ახალგაზრდა ქალი აიწურა.

— სირცხვილი, დიდი სირცხვილი, — არ ცხრებოდა ექეფა. — დედას რძეს მოპხოზოვენ ჩუჩუტელები. აკვანში ნანას გლობასა, ქართოლ დედა ენასა... ლოცვა დაკარგეთყე! ჩვენს ღმერთსა რას ეუბნებით!..

ექეფა მეორე ოთახში გავიდა. მართო დარჩენილი ქალი სასოებით დააცქერდა თავის პირმშოს, რომელიც ოდნავგასაგონი ხიხინით, მაგრამ მშვიდად სუნთქავდა. ეს ამბავი დედამ ექეფას ხელმადლიანობას მიაწერა და იმედმციემულს სახე გაეშალა.

ცოტა ხნის შემდეგ ექეფაც შემოვიდა. ახალგაზრდა ქალმა გოცებისაგან პირი დააღო და ფეხზე წამოიჭრა. მოხუცს ახლა სხვა კაბა ეცვა, აი ისეთი, მერიემ-ხანუმის ტანზე რომ უნახავს ხანდისხან. ექეფას თავსაბურავიც უჩვეულო იყო: მხრებამდე ჩამოშვებულ და გაშლილ რაღაც თეთრ, გამჭირვალე ქსოვილს თავზე ჩამოცმული შავი ხავერდის რგოლი იმაგრებდა. ამ რგოლზე, შუბლს ზემოთ, მოზრდილი ქინძისთავი ბრწყინავდა.

მოხუცმა აივანზე ვიღაცას გასძახა:

— არავინ შემოუშვავყე ჩონთან!

კარი ჩაკეტა და აღმოსავლეთის კედელში დატანებულ თახჩასთან მივიდა. ახალგაზრდა ქალმა თვალები დააჭყყიტა. თახჩაში საიდანღაც გაჩნდა ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ლამაზი ქალის სურათი. მას ვარდისფერი მოსასხამი ჰქონდა მოხვეული მხრებზე, მტრედისფერი პერანგიდან გამოცურებულ საცე ქუქუს ორივე ხელებით ჩაფრენოდა დედის მუხლებში ნებიერად ჩაგორებული ბუნჩულა ბიჭი.

— აქ დადექი! — ბრძანა ექეფამ და დედა თახჩის პირდაპირ დააყენა. დატყუპებული ხელების გულეები მკერდზე მიუსვენა. თვითონაც ასე დადგა. — ერთ რამე ლოცვასა ვიტყვი, ქართულს,

შენცა თქვიყე... მერე მესახლე ქალმა
შენცა თქვიყე... მერე მესახლე ქალმა

— ჩემგან ბევრი მადლობელი ვარ! — ამოილულულა ჩულტრეთელმა და ისევ გაინაბა.

ექეფამ ტუჩები ააცმაკუნა. იგი მეხსიერებაში ჩარჩენილ ძველისძველ სიტყვებს იხსენებდა.

„მომავონდისყე... ქე რო მინდოდესყე... მომაგონდის“.

ჰო, მოავონდა!

— „ყოვლად წმიდა ღვთისშობელო, მე შენ კარზეგან მოველო,

ზურგზეგან გულა მკიღია, შენგან წყალობას მოველო“...

ახალგაზრდა დედამაც რამდენჯერმე გაიმეორა ეს გაუგებარი და თან რაღაცით გასაგები სიტყვები.

— „იწილო, ბიწილო, შრომანო, გვრიტო“...

დედას უნებურად გაელიმა: „რა ლამაზი სიტყვებია, სულ ჩემი ბიჭის სათქმელი“.

— „ღმერთო, ნუ გამირისხდები, ნუ მოკლავ ჩუჩუტელასა!“

ამას თითქოს თვითონ ამბობდა, ექეფას დახმარების გარეშე.

— „ჰოი ელია, მელია, ბულბული მგალობელია,

ზეცას დარეკეს ზარები, ალავერდ მწყალობელია,

რა შიგ ხატები სვენია, სულ ჩვენი მგალობელია“...

საოცარი ამბავი ხდებოდა. ჩულტრეთელ დედას ამ სიტყვების რამდენჯერმე გაიმეორება აღარ ჰქონდა. უმალ იმახსოვრებს. ექეფას დაღარულ სახესაც კმაყოფილებს შუქი გადაეფინა. მანაც გაიხედა ტახტისაკენ. სიჩუმეში კარგად ისმოდა ბავშვის მშვიდი და თანაბარი სუნთქვა. გაჭრა სოფლის ფერშლის წამალმა დედათა გულმხურვალე ლოცვის ქამს.

ილია რურუა
ფეხიღწეული მოთხრობები



— ღმერთს დიდება, თქვენ მშვიდობა, ამინ! — ამთავრებს ექეფა.

— ამინ! — უდასტურებს დედაც.

მოხუცი კიდეც ერთხანს დგას თახჩის პირდაპირ. იმედი აქვს, კიდეც მოაგონდება რამე. მაგრამ სულში სიტყვები აღარ ფუსფუსებენ, მორჩა, დაილია!..

ექეფამ სტუმარს ჩაი და ტკბილეული გამოუტანა. ვიდრე ბავშვს ეძინა, სულ წვრილად გამოჰკითხა ჩუღურეთელი ქალების ამბავი... მრავალი დარიგება მისცა... შიგადაშიგ ლოცვასაც ამეორებინებდა... აბა შენ იცი, როგორ შეასწავლი ყველას.

— ეს არი ჩემი ლაპარაკი ქენთანა.— დაასვენა ბოლოს,— დაეხმარიეთ ერთმანეთს კარგად შეინახოთ ქართოლი... მღერაც ქენით... ჩემი ხმა გესმათყე— ერთ ოჯახისევი ვართ!..

მარტყოფელებმა პირველად ნახეს, რომ ფერეიდუნშაპრის ადგილის დედამ

ასე შორს, ვზისპირამდე მიაცირობს მარი.

დიდხანს ვასცქეროდა ექეფა მთის ფერდობს, რომელსაც ჩუღურეთელი დედა მიჰყვებოდა. მისი დაბლანტული თვალები ბევრს ვერაფერს ხედავდა. უფრო გულით, გუჟანით ხედავდა. ის იყო მიბრუნება გადაწყვიტა, რომ გაახსენდა დამძიმებული მეხსიერების სიღრმეში ჩარჩენილი სხვა სიტყვებიც.

— „შენ საით, ჩემო ქედანო?“

— კახეთისაკენ, ბატონო!“

ახლა ისე მოეჩვენა, რომ ეს ლამაზი ახალგაზრდა ქალი, ბუნჩულა ბიჭით ხელში მიდიოდა შორს, ძალიან შორს და მოხუცის ბაგეები თავისთავად აჩურჩულდა:

— ნუ დაგვაგდებ აქ, დედა მერიემ... გაგვიყვანე შენი შვილები ფერიეთიდან შენს მიწაზე... საქართველოჩი... საქართველოჩი!“



გუდანის ჯვარის ნაყმევი

I

არაგვის სათავეში, ტიტველ ქედებს შორის ჩაზვინულ, დეკით დაფარულ გორზე მთელ საარაგვოს მოეყარა თავი.

გორის ქიპზე, ხავსიანი ლოდებით შემოფარგლული მოზრდილი მოედანი ფეხზე სადგომლად ძლივს იტევდა გუდანის ჯვარის „მეზღენე-მეხვეწურს“.

მოედნის გალავნის გარეთ ერთიმეორეში ირეოდა ხატში და საკლავად მოყვანილი საქონელი: ქორფა ბატკნები, ქედილები, დუმეური ყოჩები, მოზერები, ყველაზე წკრიალა ეყენებშებმული ორი-სამი ხარიც დინჯად დააბოტებდა აბლავლებულ წვრილფეხობაში.

მოედნის ზემოთა მხარეს ბროლის ქვებით ახუნულავებულ ნიშზე მიყუდებულ, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ხელმანდილებით აქრელებულ დროშებს ქარი აფრიალებდა.

ხელმანდილების ქვეშ მიმალული, ნიავის ენაგაყრული პატარა ზარები კანტიკუნტად წკრიალებდნენ: ზოგი როყიოდ, ბოხად ყდრიალებდა, ზოგი კი მწკებრად და ბრაზიანად გაიწივლებდა.

ხატობას საოცრად მორგებული ზარების ეს იღუმალი ხმები მორწმუნეთა გულებს უცნაური იმედითა და ხატი-სადმი მოწიწების გრძნობით აღავსებდა.

ღროშების მახლობლად ვარცლა ქვაზე „ჯვარის თას-განძი“ ელაგა: სხვადასხვა ზომის ვერცხლისა და სპილენძის თასების ჯღრე იყო.

ნიშის მარჯვნივ ხუცესთან ერთად რამდენიმე თეთრწვერა მოხუცი იჯდა ქვასკამებზე, მათ ქვემოთ კი — „ახალუხლის ჯარი“ ჩამწკრივებულიყო.

გალავნის გაყოლებით ჩაჯარებული ხალხის წინ ქვის მაგიდებზე დახვევებულიყო მოხარშული ხორცი, ქადაპურები, შუღაშუ სანთელდაკრული ლუდიანი საწდეები იყო ჩადგმული.

დასტურ-ზედამდეგები თასებით იღებდნენ საწდეებიდან ლუდს და ჯარზე მსხდომთ სთავაზობდნენ.

მლოცველები თანდათან ემატებოდნენ სანეს გორს, ბუზივით ირეოდა ქუდოსანი-მანდილოსანი, დიდი და პატარა.

— სამი ძმა მოსულა ბარიდან ურჯულოს მოძღვარებას გამორიდებული, — ყვებოდა ხუცესის გვერდზე მჯდომი, ყალიონის ბოლში ქონდრის კაცივით ჩამალული ჩია ტანის მოხუცი, — ჭინქარა, გოგოჟა და არაბა.

— მანამდე არავენ ცხოვრებულა ხევსურეთში? — იკითხა მოხუცის წინ ცალ მუხლზე დაიოქილმა ახალგაზრდა ხევსურმა და დაცლილი თასი გამოართვა მოხუცს, ხელახლად რომ შეეცსო.



— არაეინ. დასახლებულა ის სამი ძმა გულანში, — განაგრძო მოხუცმა, — ერთხელ, ღამით ძმები „ცისკარგახსნას“ შესწრებიან და სამივეს თითო ნატრა მოუსწრია.

ახალგაზრდა კითხვად იქცა.

მოხუცები კი ისეთ იერით უსმენდნენ მოსაუბრეს, ეტყობოდათ მასზე უკეთესად იცოდნენ ეს ძველის-ძველი გადმოცემა.

— რა უნატრიათ? — ვედარ მოითმინა ახალგაზრდამ.

— ჭინჭარას უნატრია: ჯარზე პირველი სკამი ჩემი იყოსო.

ხუცესი ჩაერია:

— მართლაც, გულანის ჯვარში პირველი სკამი ჯარის სათავეში საჭინჭარა-ულოს ეკუთვნის ახლაც.

— გოგოქას უნატრია: ჩემი ვალი ნურავის შერჩესო, ჰოდა აუსრულდა მასაც ნატრა: გოგოქურების ვალი არავის შერჩება — ავი გვარია, სულ ხმაღზე უღვეთ ხელი.

მოხუცმა ჩაიციხა და ყალიონი გააბოლა.

— სალუდე ქვების ძირივით შეაფეფრა არაბას უნატრია, — განაგრძო ისევ, — კატრიელიმც ვიქნებიო: აუნდა ნატრი: ნახევარი ხევსურეთი საარაბულოს უჭირავს. ასე გამრავლდნენ თავის წინაპრების სახელზე ჭინჭარაულები, გოგოქურები და არაბულები.

— დანარჩენი ხევსურული გვარები? — იკითხა ვილაყამ.

— ეგენი ან ამ სამი გვარის განაყრები, ან მერე შემოხიზნიან მთას, — დასვა წერტილი ჩიამ და ჩამქრალი ყალიონი ფრჩხილზე დაბერტყა.

— მურათ ბაქყურა მოდის! — დაიძახა ვილაყამ.

ამ სიტყვებმა ხალხი უცბად ააჩოქოლა.

ყველამ ფერდობზე ამომავალი ბილიკისკენ გაიხედა.

— მუჩათ ბაქყურა!

— მავიდა, მურათ ბაქყურა!

— მეზღუნე ხალხს აგვირეცს, — თქვა

ხუცესმა და ფეხზე წამოდგა უშულლარად არ გაჩერდება.

მოხუცებმა ხელები მოიჩრდილეს და მათკენ მომავალ ცხენოსანს ლიბრიანი თვალები მიაკირკიტეს.

— კაი ყმაა, ნამეტანი იარაღის ქნევა რომ არ უყვარდეს, — თქვა ჩია მოხუცმა და ღიმილით შერხეულ უღვაშზე ცერი ისეთ კილოზე გადაისვა, რომ ეტყობოდა ბაქყურაში „იარაღის ქნევის“ უფრო აფასებდა.

— მსუბუქად ქნევა იცის, — თქვა მეორე მოხუცმა, — მაგისგან გახეიბრებული არაეინაა საარაგვოზე, თავადაც რომოცამდე ნაჭრევი სჭირს, ცხრა-ათამდე ნაწვერწაღმართალი!...

მურათ ბაქყურამ გამოქნებული ცხენი ჯიქურ მოაგდო ხატის გალავანთან.

თამაშვერცხლილ, ვეება ტანის ხევსურს თუშური ქუდივით კეფაზე მოეგდო პრიალა ხევსურული ჩაჩქანი. თითბერით ნაზიკი ხმალი მარჯვენა თეძოზე ეკიდა: ხევსურებმა იცოდნენ, რომ მურათ ბაქყურა ცაცია იყო.

ფართე მკერდზე „ხუთძროხიანი“ ვერცხლის აშურმა თვალის მომჭრელად უკიაფობდა.

მან ფოცხვერით კრელი, მწვანედ გამწკინებული თვალებით ზემოდან გადახედა ხატის მოედანზე გაფენილ მეხვეწურს და ჩახლეჩილი ხმით გადაისროლა:

— მურათ ბაქყურა მოვიდა, ყმაწვილებო, საწლეები შეიჭიკეთ!² — მერე დამცინავად ჩაიჭიქილა და აცმუქებული ცხენიდან ზანტად ჩამოხდა.

დასტურები შეეგებნენ, ცხენი ჩამოართვეს და მოხუცებისაკენ ცალყბად წაიბატიყეს შეღმენილი³ ბაქყურა.

— გამარჯვებათ ჯვარსაც, კაცსაც! — ბაქყურა დამხვდურთ მეხვეწურის წესზე მიესალმა.

¹ ნაწვერწაღმართალი — წვერით ნაკრავი (ხეც.)

² ზვანჯრები მოიჭირეთ (ხეც.)

³ ღმინი — ირონული ღმილი (ხეც.)

— წყალობა გქონდეს გულანის ჯვარისა! — შეაგებეს მოხუცებმა და ქვასკამი შესთავაზეს.

ბაჭყურას დაჯდომისთანავე ლუღიანი თასი მიართვა ზედამდეგმა.

მესამე თასი რომ გამოცალა მურათ ბაჭყურამ, მერე მოხედა ჯარზე ჩამწყვრივებულ, სმა-ჰამაში გართულ ახალუხალს.

კარგა ხანს მიაღვენებდა თვალს ბაჭყურა გრძელბერანგა როშკიონებს, ტრექლქუდა ბაცალიგოვლებს, თხისტყავიან მიღმახეველებს და შეაეხალუხა ფშაველებს, აქა-იქ მითიულ-გულდამაყრელებს, ბარელებს, და „ფართლის ტალავრიან“ ქალაქელებსაც მოჰკრა თვალი, რომლებიც სიმრავლით ხევესურებს სკარბობდნენ.

მოხუცები თავის სასაუბროს განაგრძობდნენ.

ბაჭყურამ ბოლოს ისევ ზურგი შეაქცია ხალხს, ხელი ნაღვლიანად ჩაიჭნია და ჩაფიქრდა.

...თითქმის ყველა ხევესურულ ხატს ჰქონდა თავისებური „ფილიალი“ რომელიმე მთაზე, სადაც ღამის თევით ულგამოშვებით იმართებოდა დღეობა — „მთობა“, ძირითადი ხატის სახელზე.

ასეთი „სამთობო“ ადგილი გულანის ჯვარსაც ჰქონდა, სოფლის ზევით, მთებში — სანე.

სანეობა სხვა ხევესურული დღეობებისაგან განსხვავდებოდა თავისი შინაარსით.

გარდა იმისა, რომ სანეობაზე მთელი ხევესურეთი იყრიდა თავს, აქ იმართებოდა შეჯიბრებები სროლაში, ცხენოსნობაში, სირბილში, სიმძიმის აწევასა და ფარეკობაში.

აგრეთვე, სანეობაზე ხდებოდა ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის „გამორჩევა“, მათი მოხდენილი გარეგნობისა და მდიდრული ჩაცმულობის მიხედვით. რა თქმა უნდა, კარგი „ჩამომავლობის“ და სათანადოდ დაფასებულნიც უნდა ყოფილიყვნენ ეს ახალგაზრდები ხევესურეთში.

ხევესურთა თავკაცებისაგან შემდგარი

„უიური“ აღმოაჩინდა ხოლმე „საწიკს გამოსარჩევით“.

კაცს საკარგუმოს და ქალს ლუღიან თასს მიართმევდნენ — „სწოროთ სამეტოს“...

ერთი თვალის გადავლებით მიხვდა ბაჭყურა, რომ სანეობას ძველებური ელფერი დაკარგვოდა, აღარაეის აინტერესებდა მუხლის, თვალის თუ მკლავის გამოცდა, ცხენით ჯირითი.

ხატის მოედანზე ზარმაცად, დონდლოდ მიყრილ-მოყრილი ახალგაზრდები ლულ-არაყით იყვიებოდნენ. ბევრ მათგანს ნაჭრევიც არ სჭირდა, — „დღდათ ჯარზეით“ არ ამდგარიყო...

ყველაზე მეტად კი რატომღაც გული იმან ატკინა ბაჭყურას, რომ სანეობაზე სხვადასხვა კუთხეებიდან თუ ბარიდან მოსული ხალხი უფრო ბევრი იყო, ვიდრე ხევესურები...

დასტურს თავისი ტიკჭორა მოატანიდა და მერე ხუცესს მიუბრუნდა:

— აგრემც ჰირს მოგპარავ, ჩემო იმედავ, ი გმირების მოსაგონარი თასები მომიტანე აქ...

ხუცესი მიხვდა ბაჭყურას გუმანს, წამოდგა, ნიშთან მივიდა და ხუთი თანაბარი სრდიდის, კუქუმიანი შიბებით დახუნძლული ვერცხლის თასები მოუტანა.

— ვაჟო, წინწარაქარი გექნება მაგ ჰინთში! — შეიშმუშნ-შეიღიმა ჩია მოხუცი, — ამ სალულე თასებში უნდა ჩამოასხა?..

— დაცლა არ უნდა მაგ თასს, კაცო?! — ახლა სხვა მოხუცი გაოცდა.

— მოგიკვდესთ მურათ ბაჭყურა, თუ ისე არ გამოცალოს, რა თასის ძირში ბუზმა ენაც ვეღარ დაისველოს!.. — ჩაიცინა ბაჭყურამ.

თასები ჟიპიტაურით შეაესო და ხუცესს შეხედა:

— იმედავ, კარგად იცი თ ყველამ,

1. ჰინთი — ტიკჭორა (ხევეს.)

შოთა არაბული
გულანის ჯვარის ნაყვები

რომ იმათ მოსაგონარად სანებობაზე თასები კი არა, კოდები ივსებოდა წინათ!...

ხუცესი უხერხულად შეიშმუშნა.

ბაჭყურამ სანთლებს მოუკიდა და თასებს სათითაოდ მიაკრა.

— უთხარი ახლა შენდობა! — კვლავ ხუცესს შეხედა მან.

იმედა ფეხზე წამოდგა, ერთი თასი ხელში აიღო და ბუტბუტით დაიწყო:

— ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლობა შენდა, სააქაოს ნათქვამი თუ საიქიოს მიდიოდეს, წესი მართებული იყვეს, სულს შენდობა მიუდიოდეს, ერგებოდეს, ეხმარებოდეს, სადაც თქვენ ხართ, მარტიავ მისურაულო, მამუკავ ქალუნდაურო, ბერდიავ ბაბურაულო, ნადირა ხოშურაულო და ძალიკავ ხიმიკაურო! თქვენიმც სახმარია ეს თასები, დანთებული სანთელი ცოდვისამც მსხნელია, ცოდვისა მაღლად მჭენლია... შეგინდოსთ სულეთის გამჩენმა ღმერთმა, გარვოსთ და გახმაროსთ!..

— ამინ! — დაამატეს მოხუცებმა და თასები აიღეს.

მურათ ბაჭყურამ ვეება პეშვში ჩამალა სავსე თასი და მიძიმედ, გაბზარული ხმით წარმოთქვა:

— ხსოვნა და არდავიწყება ყოფილიყოს იმ ხუთი ხევსური მოყმისა, ვასაქირში მამულს აბჯრად რომ ესხნენ და ქუდად ეხურნენ, ლხინში მზედ დაპნათოოდნენ...

გაუჭირდათ ლიტრიანი თასების დაცლა ბებერ ხევსურებს, თალხად ნაქარგ პერანგებზე ჩამოიქიციეს ნახევარი.

ბაჭყურამ თასი სულმოუთქმელად გამოცალა და ქვაზე დადგა.

ქეიფი გახურდა.

ზაფხულის თაკარა მზე ქანგიან კისრებზე აჭერდა გარრევებულ არაგველებს, მათ დაცლილ თასებს ხარბად აშრობდა და ახალავსებულებში მაცდურად ციმციმებდა.

ფუტკრის სკასავით აზუზუნდა ხატის მოედანი, აქა-იქ კაფია კაფიას გადაება.

გვარიანად შეზარხოშებულმა ბაჭყურამ ეშმაკურად მოწყორული თვალე-

ბით გახედა მლოცველებით საესე მრედანს და ვერძის რქებზე თქვა გრეხილი ულვაშები დამცინავმა ღმირმა შეურხია.

— თავს შეუგმე, ვაჟო! — თქვა წყნარად ხუცესმა, — ვიცი, ახლა შენ ქერქში ვეღარ ეტევი...

ბაჭყურამ ყინჩად ჩაიციხა.

— აღარა ხარ შუღლის დროს, — ახლა ჩიამ ჩაახველა, — თმაში თეთრი მოგჭარბდა, აცალე ახლებს ხმალ-ხანჯარაობა...

მოხუცების ჩაგონება უფრო აღიზიანებდა ბაჭყურას და ჩხუბის ქინს უღვივებდა.

მისი ჯერ კიდევ დაუბერებელი, უსაზღვრო მამაკაცური ვნება ვერ ეტეოდა თავის ბუღეში, უცნაური ძალით მოითხოვდა რაიმეში დახარჯვას, კიდილს, ბლავილს, შეჯახებას, შეცვლას რალაციას, ამ მოღუნებისა და ერთფეროვნების ადგილიდან დაძვრას და სულ სხვა რალაციის, ახლის, საოცრისა და ლამაზის აღმოჩენას...

მთვრალი ხევსური მხოლოდ ფარკაობაში, „მკლავის დაცდაში“, შუღლში და კეჭნაობაში ხედავდა ერთადერთ გამოსავალს.

— მაინც არ იშლი შენსას განა? — უთხრა ჩიამ, როცა ბაჭყურამ ჩაჩქანი შუბლზე ჩამოიფხატა და ფეხზე წამოდგა.

— შენი მიკვირს, გაგავ, ყველაფერს ნაცადი და ნახადი ხარ, ბევრსაც ხარ გადანაყარი, — გაუღიმა მოხუცს ბაჭყურამ, — როდის ყოფილა, რომ მურათ ბაჭყურას ხევსურთათვის ცუდი სდომებოყოს? ავკაცობა გაეკეთოს? აბა მითხარი?! ამ ახალუხალს თუ ხმლის ქნევას დაავიწყებ, ფარკაობას გადააჩევე, ნაჭრევის ტკივილს დაუძვირებ, აღარც სამტროდ ივარგებენ და აღარც სამოყვროდ!...

ჩია გაგამ ისეთ კილოზე ჩაიციხა, სხვები მიხვდნენ, რომ მას ჭკუაში დაუჯდა ბაჭყურას ნათქვამი.

ბაჭყურა კი უკვე ხალხში მიარხევდა სამადლიან ბეჭებს და სარქენლად გამ-



ზადებული მოზვერავით იქეთ-აქეთ
იბღვირებოდა.

ქალები და ბავშვები მოწიწებით უთ-
მობდნენ გზას, მოხუცები თავიანთ სუ-
ფრებზე ეპატივებოდნენ და ლუდიან
თასებს სთავაზობდნენ.

ამაოდ ცდილობდა ხევსურების საჩ-
ხუბრად აყოლივას მურათ ბაჭყურა:
თავის კბილასა და ტოლს, მასავით
ჩხუბს მოწყურებულს თვალი ვერავის
მოჰკრა. ახალგაზრდები კი თავილობდ-
ნენ მამის ტოლ კაცთან საფარაკაოდ
გასვლას. თვალს შორიდანვე არიდებ-
დნენ და ყურს იყრუებდნენ ბაჭყურას
საშარო კაფიაზე, რომლის ღიღინითაც
ჯარზე მსხდომებს აუვლ-ჩაუვლიდა
ხოლმე.

ლოდზე ბეჭმობრჩენილი ერთი ვალე-
შილი გუდამაყრელი უბღვეროდა მედ-
ლეობე ხალხს, მაგრამ ვერც ბაჭყურას
და ვერც მის შარიანობას ვერ ამჩნევ-
და. კალთაში ორადლიანი ხანჯალი
ედო, ქონიან თითებში გაყვითლებულ
გაზეთში გახვეული, ცერის სიმსხო ჩა-
მქრალი პაპიროსი ეჭირა.

დროდადრო ასლოკინებდა და გვერ-
დზე იპურტყებოდა.

აღრენილ სიფათზე და ავად გაწვრი-
ლებულ თვალეზე ეტყობოდა, რომ
შუღლი იმასაც ეწადა, მაგრამ სანამ
ბაჭყურას დალანდავდა და მის გუმანს
ჩასწვდებოდა, ძილმა მიუსწრო და
გუდამაყრელს ნაჯდომს ჩამოეძინა.

ბაჭყურა ბოლოს ისევ ნიშისკენ გა-
მოემართა დაბოლმილი, თან მუქარია-
ნი ხმით წამოიმღერა:

— ხევსურო, ხმალი გალადებს,
ფშაველო, ენა გრძელიო,
გუდამაყრელო მეთარი,—
ტყვია რომ იცის ცხელიო,
მოხევევ, ცოლთან ტრაბახი,
წესად გაქვს ძველის ძველიო!...

— მოხევისაგან რაილა გინდა, ბი-
ქავ? — გაიგონა ბაჭყურამ, სიმღერა
რომ დაამთავრა და შემობრუნდა.

— აა, ამას დამიხედეთ ერთი, კარ-
კუჩელი ძუგარაც აქ ჩამჭდარა ჯარ-

ზე!... — ჩაიცინა ცალყბად ბაჭყურამ
და სოკოსავით ბოხობში შემალულ-
ბევეს წინ გაუჩერდა.

— გონჯად ნუ მიცქერ, გეხუმრე, —
თქვა შემფრთხალმა ძუგარამ.

— ეგ „ბიქავ“ მეორე აღარ წა-
მოგცდეს, ძუგრიკავ!...

— რაისთვის? — გაუკვირდა მოხე-
ვეს.

— „ბიქს“ ჩვენში ნაბიჭვარს ვეძა-
ხით!...

— მაშ რაილა დაგიძახო?

— რა და ვაჟი! — შეუღრინა ბაჭყუ-
რამ.

ძუგარა ნაძალადევად დაეჭყანა და-
ბღვერილ ხევსურს.

— იარადის დასაკრავად მიინც ღირ-
დე, ძუგარავ, — დანადვლიანდა ბაჭყუ-
რა უცბად.

— ოიშე, ცხო აღარა იცი რა?!... —
კვლავ ნაძალადევად გაუცინა ძუგარამ,
თან თვალი მოშორებით ნაგდები კომბ-
ლისკენ გააპარა.

ბაჭყურამ ხელი ჩაიქნია და გზა გა-
ნაგრძო ბურტყუნით:

— საქონელივით ჯოხით საცემია ეს
მტყუნანი და მკვეხარა კარკუჩელი...

— ნაგეგო, კარკუჩაში თუ როდისმე
მოგასწარი გაწვენევენებ ჯოხის გემო-
სა!... — ისე ჩაიხურჩულა თავისთვის
ძუგარამ, რომ არავის გაეგონა და გა-
მოხრული ძვალი გალავნის გარეთ და-
ყუნცებულ თავის ძალს ვადაუგდო.

ნიშთან მხოლოდ ხუცესი და ჩია გა-
ვა ისხდნენ.

მათგან მოშორებით ქვაზე ჩამოჯდა
ბაჭყურა და თავი ხელეზში ჩარგო.

— ბაჭყურო, ი საკლავი რომ მოიყ-
ვანე, დაკვლა არ უნდა? ღმერთს ხსე-
ნება?! — მიუჩოჩდა ხუცესი ბაჭყუ-
რას.

ბაჭყურამ თავი აიღო და ხუცესს
უაზრო თვალეებით შეხედა.

— რისთვის უნდა დაკვლა? — იკი-
თხა მან ყრუ ხმით.

შოთა არაბული
გულანის ჯჰარის ნაშენი

— რისთვის და გუდანის ჯვარისთვის!

ბაჭყურამ უცხო ხმაზე გადაიხარხარა:

— სადღაა გუდანის ჯვარი, ხუცესო?!

— რას ამბობ, ვაჟო? ჯვარი არ შე-
მოიმღებო! — თქვა ხუცესმა და პირ-
ჯვარი გადაიწერა.

ჩია მოხუცი გამოღონებული სიფა-
თით ცალთვალმოკუტული ეკირკიტე-
ბოდა ბაჭყურას, სასმლისაგან ხელდა-
რეული ვერ გარკვეულიყო, თვითონ
აღარ იყო ამ ქვეყნისა თუ მურათ ბაჭ-
ყურა გადარეულიყო.

— დამღუბებაზე ნუ მიდგება, თო-
რემ დასამღურები მე მაქვს ჯვართან,
მე! — კიდევ ჩაიცინა ბაჭყურამ და იქ-
ვე ნადგამ ლუდიან თას ხელი წამოავ-
ლო.

— რა დასამღურები? — გაუკვირდა
ხუცესს.

— რა და, სადა ჰყავს საყმო? რად
გაათავა ხევსურეთი?!...

— სათქვამს თავ-ბოლოს ვეღარ ამ-
ამ, — შეიკრა შუბლი ხუცესმა, — სას-
მელი გარახუნებს!...

ბაჭყურას ღიმილი უცბად გაუქრა
სახიდან და მგლის ფერი გადაეკრა.

მისმა ათრთოლებულმა თითებმა ვერ-
ცხლის თასი ნელნელად გააბრტყელა,
მოჭმუტუნა და ლუდგადამდინარ მუჭში
ჩამალა.

ხუცესი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუ-
ვიდა და დაყვავების კილოზე თქვა:

— დააფასე, სანეობაა, ხევსურთა
დღეობაა...

— სადაა სანეობა, ბერიკაცო?! —
წამოიძახა გაბზარული ხმით ბაჭყურამ
და ხუცესისაკენ წაიძვარა, — ამას გი-
ქვია სანეობა?!. სადაა ხევსურები? აბა
თვალი მიაყოლე ჯარს, სად არიან შა-
ტილივნები? არხვატივნები? ბისო-ხახ-
მატელნი?! სადაა საკინძარაულოს, სა-
გოგოკუტროს, საარაბულოს სადასტურო
კოდები? სად?!.. ათასი ძაღლ-დორი
მოთრეულა მხოლოდ მუცლის ამოსა-
ყორავად!...

ხუცესმა ნაძალადევი ღიმილი მოი-
ფინა სახეზე.

— ჯერ ერთი, გუდანის ჯვარი აქ რა
შუაშია? მეორეც, ყველა ჩვენი მოძმე-
ები და ქართველებია, სალოცავად მო-
სულნი...

ბაჭყურამ ამ სიტყვებზე ნაძალადე-
ვად გახსნა ღუქმომღვარი, გაფითრებუ-
ლი ბაგეები — გაიღმასავით, მერე მი-
სი თვალები კვლავ უზომო მრისხანე-
ბით აენთნენ, ნახმლევი ფოცხვერის
მზერა გალქებულ ბრბოს ესროლა და
ფეხზე წამოიჭრა.

— უშატილოდ და უარხვატოდ სად
გავიწილა საქართველო, ხუცესო?! —
იქექა არაადამიანური ხმით, — მე ხე-
სურები მინდა, მამაცი ხევსურები, ხმა-
ლივით ვაყვები!...

მერე მუჭში მოკყლეტილი თასი მო-
იქნია და ნიშის ქვევს შეანარცხა.

ღედროვანს შიშის ქრუანტელმა გა-
დაუარა: მურათ ბაჭყურამ საშვილიშ-
ვილოდ გადაიმტერა „ხევსურეთის ბა-
ტონი“ — გუდანის ჯვარი.

ამ დროს მოედნის ბოლოდან ომახია-
ნი ფერხისას ხმა მოსწვდა ბაჭყურას
ყურს. მას იერი უცბად შეეცვალა, ცე-
რი უღვაშზე ამაყად გადაისვა, დაიხარა
და ჯღნის თასმები თითო აღლზე შე-
მოიხსნა ფეხებიდან.

ხუცესი მიხვდა: ბაჭყურა შარის ყვე-
ლაზე გამომწვევ საშუალებას მიმარ-
თავდა: ათრეულ თასმებზე ვინც ფეხს
დაადგამდა, თუნდაც შემთხვევით, ბაჭ-
ყურას რისხვაც იმას დაატყდებოდა.

ახლომახლო მყოფი ხევსურებიც მი-
ხვდნენ ბაჭყურას გუმანს და ფარხმლე-
ბი მოიმარჯვეს.

ბაჭყურამ ხელი ფარის საბლუჯში
გაუყარა და იქით გაემართა, საიდანაც
ფერხისას მღერა ისმოდა.

ირგვლივ ხალხი ბუზივით ირეოდა,
ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მაგრამ
მეხი გავარდნას აგვიანებდა...

ჯღნის თასმები კი მზაკვრულად მის-
რიალებდნენ პატრონის ვეება ქუსლე-
ბის უკან და კუდებს ბალახის ფოთ-

ლებზე იქეთ-აქეთ გამომწვევად ათამაშებდნენ.

ბაჭყურამ ხალხით სავსე მოედანი ისე გაანახევრა, რომ საწადელს მაინც ვერ ეწია.

წუთიც და იგი ადგილზე გაქავდა, თავისი ცაცია ხმლის ვადას წაავლო და დინჯად შემობრუნდა.

იქვე, მის ფეხებთან სამიოდე წლის ბიჭუნა გამხლართულიყო ბალახებზე და ბოჩოლსავით მშვიდი, დიდრონი თვალებით გაოცებული შეპყურებდა ბაჭყურას, მერე ბავშვმა ფეხებთან გაძვრულ თასმას დახედა, რომელმაც ის წააქცია, ფეხი შემთხვევით რომ დაადგა, როცა მახლობლად მყოფი დედი-სკენ მიფაჩუნობდა.

ბაჭყურამ ხმლის ვადას ხელი ნელა შეუშვა, მეორე ხელში ნაჭერი ფარიც ხელუკლამა მიაგლო ბალახებზე და ბავშვთან ცალმუხლზე ჩაიჩოქა.

ბიჭუნამ კვლავ გაკვირვებით შეხედა უცხოს და ვალიმება სცადა.

ბაჭყურამ ბავშვს ხელები ნაზად მოხვია და მუხლზე შემოისვა.

— ბუძიასავ, ქვე მეშულღები? — ჰკითხა ღიმილით ბავშვს და ხუჭუჭა თმებზე ხელი გადაუსვა.

მთელი ხალხი მოედნის შუაგულში ჩაჩოქილ გოლიათ ხევსურსა და მის მუხლებზე მჯდომ ბავშვს მიშტერებოდა.

— ჩემთან ფარიკაობა თუ გწადის? — კიდევ იკითხა ბაჭყურამ, თან დაღვინებული თითებით ბავშვს ლოყებზე ეფერებოდა.

ბავშვმა ბაჭყურას ბრჭყვიალა აბჯარს შეხედა.

— მე ლო ქმალი ალა მაქვ? — თქვა მერე და გულდაწყვეტით ამოიხვნეშა.

— ხევსურმა უზარმაზარი ტორებით მიიხუტა ბავშვი მკერდზე და ირგველივ მოჭარულ ხალხს ამაყად გადახედა:

— კარგ ყმა გაიზრდების!.. — წამოიძახა მან ალტაცებით.

მერე ხმალი მოიხსნა, წამით ნაღვლიანი მზერა მიაშტერა ხმლის შევერცხლილ ვადას, რომელიც მრავალ წელს

მკვიდრად ეჭირა რკინის ხელში ისევ ბავშვს შეხედა.

— ბუძიასავ, მითხარი, სადაური ხარ?

— ლოშკიონი, — თქვა ბავშვმა, თან თვალი ბაჭყურას ხმალზე რჩებოდა.

— შენ ბაბუას რაი ჰქვია?

— ბელდია, — უპასუხა ბავშვმა და მორცხვად გაიღიმა პაპის ხსენებაზე.

— ეჰე! — კმაყოფილებით ჩაიციხა ბაჭყურამ, მერე ყველას გასაგონად ამაყად წარმოთქვა, ბუძიასავ, შინ რომ მიხვალ, ბაბუაშენს ბერდიას ი ნაჭრე-ვეებით აჭრელებულ კოსროზე აკოცე და ისიც ჰკითხე, მურათ ბაჭყურაის ნახე-პი რამდენი სჭირს!..

— ბავშვმა ვერაფერი გაიგო, დაბნეული მიაჩერდა უცნაურ „ბუძიას“.

ბაჭყურამ ბავშვი ისევ ბალახებზე დასვა, მერე თავისი ხმალი კალთაში ჩაუღო და წამოდგა.

„იარალ აყრილ“ მურათ ბაჭყურას ასამდე წყვილი თვალი გაოცებული მისჩერებოდა.

იგი დანადგლიანებული და თავდახრილი მძიმე ნაბიჯებით წავიდა გალაენის გარეთ ნაბაში თავისი ცხენისაკენ.

ხევსურები მიხედხენ, რომ სადღეობოდ და ხატისთვის ღამის სათევლად მოსული ბაჭყურა ტოვებდა სანეობას...

გალაენის გარეთ გასულს ხუცესი იმედა წამოეწია ბანცალით, ხელში არყით სავსე თასი ეჭირა.

— ბაჭყურას ჰკირიმე, — თქვა მოხუცმა ვედრების კილოზე, — რად აქცევ ზურგს გულანის ჯვარს? შეიღბოლოს მაინც რას ერჩი?!

ბაჭყურამ ცხენს მოსართავები მოუჭირა და მოხუცს დაუდევრად მოხედა:

— მომეცი ეგ თასი აქ, ხუცესო, ჩემ ცხენს გულანის ჯვარის შესანდობარი უნდა დავაღვივინო!

ცხენმა სავსე თასი რომ დინახა პატრონისკენ შემობრუნდა.

ბაჭყურამ თასი ბოლომდე გამოაც-

შოთა არაგული
გულანის ჯვარის ნაყმევი



ლევინა ცხენს, მერე ისევ მოხუცს და უბრუნა და უზანგში ფეხი შედგა.

რამდენიმე ხევისური რომლებიც ბაჭყურას კარგად იცნობდნენ, არყით სავსე ყანწ-თასებით გაეშურნენ მისკენ, რომ საგზაო კარახანა დაეღვეინებინათ და თავადაც გზა დაელოცათ. მაგრამ ბაჭყურა უკვე ცხენზე იჯდა.

მან გასაფრენად აცმუკებული ცხენი ხალხისკენ შემოაბრუნა, გუდანის ჯვარის შეთხელებულ საყმოს ნაღვლიანი მზერა მოავლო და თავისი ჩვეული გამკილავი ხმით ჩაილაპარაკა:

— ხევისურნო! მურათ ბაჭყურა ამის მეტად აქ აღარ მოვა და აღარც ჯარს

აგირევსთ სანეობაზე... თუმცა... ვერც ხევისურთ ჯარს ვხედავ აქ დღეს... სანეობას, — მან წამით იყუჩა. მერე მის მახლობლად მიმდგარ ხელთასიან ახალგაზრდებს გაუსწორა მზერა, — ცოლებსთან წოლას მოუხშირეთ, ვაჟებო, ცოლებსთან! თორემ თავდების ხევისურეთი!... ჯვარსაც და მამულსაც ეშმაკი დაეპატრონება ბოლოს... გუდანის ჯვარი ველარას უშველის გადაშენებულ საყმოს!...

მერე ცხენი მკვეთრად შეაბრუნა, გამეტებით გადაუშხუველა მათრახი და ცხენმხედარი ქარიშხალივით გადაენთო არაგვის ხეობისაკენ...



ნოზარ შამანაძე

მუშობლიური ენა

ყოველგვარ ფრინველს, ყოველგვარს,
თურმე აქვს ენა თავისი.
ენა ყველას აქვს თავისი,
მიტომ ფრინავენ ხალისით.
მტრედი მტრედს მტრედულ ენაზე
გასძახის გადალულუნებს.
ორბებს აქვთ ენა თავისი.
თავისი ენა-ბულბულებს.
მეც ჩემს ენაზე ვლივინებ,
ქართულად მომდის სათქმელი.
ქართველს ქართული ენა აქვს.
მიტომაც ჰქვია ქართველი.

ჩეხაიონი ჩიტი

ჩიტი, ჩიტი, ჩიკოტელა,
ჩიტუნია, ჩიორა.

ერთი მთიდან მეორეზე
გადაფრინდა იოლად.

მეორედან მესამეზე
ფრენას უკლო ჩიორამ,

მესამედან მეოთხეზე
უკვე დალლას ჩიოდა.

მეოთხედან მეხუთეზე
გაუჭირდა ძალიან,

მეხუთედან მეექვსეზე
ლამის სული დალია.

მაგრამ გული არ გაუტყდა,
მოიკრიბა ძალები,

მეექვსედან მეშვიდეზე
გადაფრინდა წვალეებით

ფრენას მაინც არ მოეშვა,
სძლია გულის ფრიალი,

მეშვიდედან მერვესაკენ
გაფარფატდა ქიანით.

მერვე მთას რომ მიაღწია,
იცით, უცებ რა მოხდა?

ფრთებში ძალა შეემატა
და სიმღერა აღმოხდა.

მეცხრე მთისკენ გაეშურა
და მეთვც დაიპყრო,

მასზე უფრო ბედნიერი
ქვეყნად ჩიტი არ იყო.

ჩიტი, ჩიტი, ჩიკოტელა,
ჩიტუნია ჩიორა,

ჯაფამ, ბრძოლამ გამოაწრო,
ას მთას იპყრობს იოლად.



ზუკაბ კუხინიძე

შ ა ტ ი ლ ე ლ ი შ ა ვ ლ ე გ ე რ

შატილი გინახავთ? გატყდით, ნუ გრცხვენიათ. თქვენ კი არა, ამ ხნის კაცები ვართ მე და ძია ოთარი და შარშან ზაფხულში...

მძიმე, სატალახო ბათინკები ჩაეიცვით, საძილე ტომრები და საწვიმარი ლაბადები მოვიმზადეთ, ვერცხლისფერი კარავი შევხვით, ზურგჩანთები მოვიკიდეთ და ჰაიდა!

ჩარგალს რომ მივუხალოვდით, მანქანის კაბინის სახურაზე ბრახუნი ავტეხეთ. მძლოლმა მანქანა შეანელა და კაბინიდან თავი გამოჰყო:

- რა ამბავიაო.
- უნდა ჩამოვიდეთ-მეთქი.
- აკი ბარისახოში მივდივართო. მანამდე კარგა ოთხი საათია სავლელი.
- ვიციო, მეგობარო, მაგრამ ჩარგალს ჩაუაროს და ვაჟა-ფშაველას სახლი არ მოინახულოს, „ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს“ — თქვა ძია ოთარმა.

მთავარი გზიდან ჩარგლამდე სულ სამი კილომეტრია ფეხით სავლელი.

მოიმღერის პატარა მდინარე ჩარგლულა და მალლიდან გადმოყუნტული მთები ბანს ეუბნებიან. მწვანედ აბიზინებულ კორტოხზე პატარა სახლია მიყუყუელი. სახლის გვერდით ვაჟას წყარო მორაკაკებს. იქაურობას თვალი გადავაველეთ, წყაროზე გული გავიგრილეთ, ვაჟას ვაჟიშვილს ვახტანგ რაზი-

კაშვილს დავემშვიდობეთ და წავედით.

გზად გეოლოგების მანქანა დაგვედარა და ბარისახოში რომ ვაპირებდით ღამის გათევას, ხახმატსაც გავცდით და დათვისჯვრის უღელტეხილზეც გადავიარეთ. გადაღმა ლებაისკარს ჩაეუარეთ და კისტანში სამანქანო გზა დამთავრდა.

ნაშუადღევს შატლს მივალწით. ჩვენს წინ კედელზე საოცრად ნაგები ერთმანეთს გადაბმული ციხესახლები აიმართნენ, რომლებიც ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად განათებულიყო.

თავშესაფარი არ გვიძებნია. მდინარე არღუნის მარჯვენა ნაპირზე, პატარა მინდორზე კარავი გავჭიმეთ, ზურგჩანთები გავხსენით და წავეხემსეთ.

დალილები ვიყავით, მე წამოწოლას ვაპირებდი, მაგრამ ოთარს ერთ ადგილზე შენ გააჩერებ? არ მომცა საშველი. მეც რა მექნა, წელი ავითრიე და ჩელტის ხილით გაღმა გავედით, შატლის ვიწრო შეუებს ავეყვეით.

აქაურები — შატილიონი, როგორც აქ ეძახიან, მდინარის ნაპირას ცხოვრობენ პატარა აივნის სახლებში, ციხეები კი მიტოვებულია და აქ მთაში სამოვარზე გაურეკავი თხები დაბაკუნობენ, ისიც საღამოობით, როცა ნეკერი გამაძლარნი ახლომახლო ფერდობებიდან შინ ბრუნდებიან.

მალლა მივდიოდით და გვიკვირდა



რა ხელმა აიტანა ამოდენა ლოდები და კედლებად აქცია, სად მოჭრეს ამსისხო ხეები და როგორ გადეს სახლების დირეებად.

ყველაზე მაღალ ციხესახლს რომ მივადექით, ჯირკზე ჩამომჯდარი პატარა ბიჭი დავინახეთ. ბიჭი სასხლავით ხის როკს თლიდა და ისე იყო თავისი საქმით გართული, — ჩვენი მისვლა გვიან შეამჩნია.

მივესალმეთ და ამ დროს ბანზე თმა-გაწეწილი გოგონა გადმოდგა:

— შავლეგ, შავლეგ, შემოხვალ თუ არა სახლჩი, ფაფა გავიცოდების.

— დიახ! — გაეპასუხა ბიჭი.

— შენ შავლეგო გქვია, ბიჭიკო? — ვეკითხები.

— დიახ!

— კინჭარაულთა გვარისა ხარ?

— დიახ!

შატილში მარტო კინჭარაულები ცხოვრობენ და ადვილი მისახვედრია საიდან ვიცოდით შავლეგოს გვარი.

— ის გოგონა შენი დაა?

— დიახ!

— ამ ციხესახლებში მარტო თქვენი ოჯახი ცხოვრობს?

— დიახ!

ამას ვის გადავეყარეთ, — გავიფიქრე, — მარტო „დიახ!“ „დიახ!“ იძახის და სხვას არაფერს ამბობს?!

— შავლეგ, ის მდინარე, მარცხნივ რომ ჩადის შატილია? — ეკითხება ოთარი და თვალებს ეშმაკურად ქუტავს.

— დიახ! — პასუხობს შავლეგო.

— აქეთ, მარცხნივ, ალბათ, არღუნის.

— დიახ!

— შავლეგ, არღუნში ბევრი თევზია? — ახლა მე ვეკითხები და ოთარს თვალს ვუკრავ: — ნახავ ისევ „დიახს“ თუ არ იტყვის-მეთქი.

— დიახ!

— სათევზაო ადგილები გეცოდინება?

— დიახ!

— მდინარის გაღმა კარავს ხედავ?

— დიახ!

— იმ კარავში მე და ეს ძია ვცხოვრობთ.

— დიახ!

„რა მოუვიდა ნეტავ ამ ბიჭს. ამ თი სიტყვის მეტი არაფერი იცის?“

— ხვალ დილით ადრე ჩვენთან ჩამოდი კარავში; ჩამოხვალ, შავლეგო?

— დიახ!

— სათევზაო ადგილები მიგვასწავლე და საჩუქრად შოკოლადსაც მიიღებ და ანკესებსაც, ისეთ ანკესებს, როგორც კი წყალში გადისვრი, მაშინვე თევზი წამოეგება.

დუმილი.

— რაო, უარს გვეუბნები?! — ახლა ოთარს გაუფართოვდა თვალები.

ისევ არ გვიპასუხა.

— ეჰ, არ მეგონა, — მხრები ყურებამდე ავიტანე, — ხალხი ცხრა მთას იქედან მოვსულვართ და ასეთი მასპინძელი დაგვხვდებოდა.

დუმილი.

— ეს რომ მცოდნოდა აქეთ ფეხს არ გამოვდგამდი! — თქვა ოთარმა და ნახშირით შავი წარბები მალდა აზიდა.

შავლეგომ თავი ასწია და ისე შემოგვხედა. ცოტა არ იყოს შეგვკრთი. ბიჭი დამცინავად იღიმებოდა. ღრმად ჩამჯდარი თაფლისფერი თვალები ისე უტემციმებდა, თითქოს ამბობდნენ: ეს რა ხალხი ჩამოსულა, რომ არაფერი გაეგებათო.

ოთარმა ისევ მოჭუტა ბრიალა თვალები და უკან გაბრუნება დააპირა.

— მოიცა, შევაჩერე ოთარი, რაო შენც მაგის მხარეზე ხარ? — მერე თავი სინანულით გადავაქნიე: — რა ძუნწი ბიჭი ყოფილა. მარტო მას უნდა ბევრი თევზი დაიჭიროს, ჩვენ კი კონსერვები ვჭამოთ?

— რას იზამ, ასეა! — შავლეგოს მხარე დაიჭირა ოთარმა.

— მეტი რომ არაფერი, მოგვწამლავს ყოველდღე კონსერვის ჭამა! — ისევ ბიჭს მივუბრუნდი: — რაო, არ მიგვასწავლი ხომ?

ზურაბ კახიანიძე
მოთხრობები



— არა! — მოჭრით თქვა შავლეგომ.

— იიფ! სტუმარ-მასპინძლობაც ასეთი უნდა!

ჩემი მეგობარი სულ განზე გადა და გულიანად გაიცინა. ოთარი კი როცა იცინის, გამხდარ, ყავარივით გახეშეშე-ბულ ლოყებზე იმოდენა ღარები უჩნდება, შიგ ლიფსიტა ჩაეტევა.

ახლა მასზე გავბრაზდი.

— შენ რაღა ვაციხებ. მოგწონს ამ ბიჭის საქციელი? თუ ასეა, უთქვენოდაც მივავნებ კარგ სათევზაო ადგილებს.

— მივინებთ კი მიაგნებ, — ისევ გაიციინა ჩემმა მეგობარმა, მაგრამ ეს ბიჭი მართალია და შენ ტყუილბრალოდ წყრები.

— რაო! — შევხტი, — მასპინძელი, ისიც მთის კაცი, სულ პატარა თხოვნაზე უარით იცილებს სტუმარს და შენ ამართლებ?

— ახლა რა თვეა დაგავიწყდა? — აიჩემა ღმიილი ოთარმა.

— ასეთ ბალღურ შეკითხვას მაძლე და კიდევ იღრჩებები? —

— ჰო, რა თვეა მიპასუხე.

— ჰო, რა თვეა იელისია, რა გინდა მერე!

— რა მინდა და...

უცებ თავში ხელი ვიტკიცე. „აჰ! როგორ არ გამახსენდა. ახლა ხომ ივლისი იწურება. თევზისთვის ტოფობა-ქვირითის დაყრის დროა.“

ამ დროს თევზაობას სახელმწიფოც კრძალავს და ბუნების კანონიც.

მაპატიე, შავლეგო, რა არ ვიფიქრე შენზე. რა არ დაგწამე, სიძუნწეც და გაბრაღე, სტუმართმოყვარეობაც დაგიწუნე, ძია ოთარი რომ არა, დაგვემდურებოდა, ალბათ ხვალ ხმასაც არ გავცემდი.

მაპატიე, შენმა გავრდამ და გახარებამ. გერგილიანი, დაკვირვებული და ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ.

ღიაახ!

ქალაქში ნაკოვნი ლიბილი

კვერა დღის ბაზრობა იწურებოდა. ყაყანი, ხმაურით, ფუსფუსით სავსე ბაზარი დღის ბოლოს წყნარდებოდა. უზარმაზარი ბურთივით იჩუტებოდა. პაერს მეეზოვების სასტვენის ხმა ჰკვეთდა: — მემწვანილეებო და მეხილეებო, მექათმეებო და მეფქვილეებო, მექოთნეებო და მეთესლეებო, გეყოფათ დღევანდელი დუგდუგი, მუშტრებთან ლაციცი, დაცალეთ აქაურობა, ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვიტოვეთ!

მეეზოვეები სტვენდნენ და დანაგვიანებულ ბაზარს თავისარას ეკლიანი ცოცხებით ჰკვიდნენ.

ბელურები დიდად არც მანამდე ეკრძალებოდნენ ვინმეს და ახლა ხომ მთლად მოედნენ ნარჩენებით სავსე დახლებს. როცა თავისარას ეკლიანი ბუჩქი მათ ჯგუფს ფხაკაფხუკით მიუახლოვდებოდა — ქშიო! და თვალის

დახამხამებაში ყივყივით წამოიშლებოდნენ, ფარდულის სახურავზე დაეფინებოდნენ და კალმებივით წამახუნისკარტებს ზარმაცო მოსწავლეებივით შიფერზე უფხაკუნებდნენ.

მეხილეების რიგში ორიოდ კოლმეურნე შემორჩენილიყო. ერთი უღვაშებგაწინწილებული ჭადარა ვაცი — საზამთროების გამყიდველი, რომელიც უკვე მუშტარს აღარ ელოდა. საზამთროების გროვაში ჩამჯდარიყო, წინ გაზეთის ნაგლეჯზე ყველი, პური, წიწაკის მწნილი ეწყო და დოქიდან წელში გამოყვანილ ჭიქებში ალისფერ ღვინოს ასხამდა. ერთს მისთვის, მეორეს, აგერ, მის გვერდით ვაშლს რომ ყიდდა, იმ აყლაყულა ახალგაზრდა კაცისთვის.

— ბიქტორა, გადმეიწიე ჩემკენ, შე კაცი. ერთი ჭიქა გადავკრათ. ბაზარი ქე იკეტება და ვილა მოვა. კიდევ მოვი-



დეს ვინმე, მაგ ნარჩიელა ვაშლს მაინც არავინ გაასაღებს. ტყეში რომ ნახოს დაყრილი, მაჩვიც არ გაეკარება.

— ამ წუთში, კოწია! ბიჭო, — მიუბრუნდა მისთან ერთად სასწოროთან მდგარ უმცროს ძმას, — ცოტა ხანს ნუ აალაგებ, იქნებ ვინმე მოვიდეს და ხელი დაგვიცალოს.

ეს თქვა თუ არა, მათკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი ქალი გამოჩნდა. ეტყობოდა ჩქარობდა, უნდოდა ბაზრის დაკეტვამდე სანოვავის ყიდვა მოესწრო.

ქალი მაღალი და ლამაზი იყო. გვერდით მოხდენილი კოხტა გოგონა მოჰყვებოდა. გოგონა დედას ჰგავდა. ხელში ნოტების შესანახი მუყაოს ოთკუთხა საქალაღდე ეჭირა, რომელსაც უდარდელად მოაპორწიალებდა, თანაც წყნარად უსტვენდა რაღაც მელოდისას.

— ამიწონეთ ორი კილო ვაშლი. — თქვა ლამაზმა ქალმა და საფულე გახსნა.

— ორი მანეთი! — წამოიძახა აყლაცუნდა ახალგაზრდა კაცმა. სასწორიდან ჯამი აიღო და განურჩევლად ახვეტა ვაშლი.

— ბიქტორა, ბიჭო, — არ ისვენებდა კოწია, — ყელი გამიშრა, მივაჭახუნოთ, მაგ ბაღლი მოუვლის საქმეს.

— არა, გენაცვალე, — ტუჩები აიბზუა ქალმა, ერთ კილო ვაშლში მანეთი გადვიხადო და ნახევარი გვერდშემპალი და მოხრუქული შემომასალო?! —

— აუწონე, ბიჭო! — უთხრა ბიქტორამ ძმას. ჯამი გადმოაპირქვევა და კოწიას მიაშურა.

გოგონა სახურავზე მოფართქალე ბელურებს შესცქეროდა, მერე მზერა სასწოროზე გადმოიტანა და ბიჭის თვალებს შეეფეთა. ბიჭი გაწითლდა, თვალები აარიდა გოგონას. გოგონამ ლამაზი ბროწეულისფერი ტუჩები დედამისივით აიბზუა და ისევ ბელურებს დაუწყო თვალთვალი.

— ახლავე, დეიდა, — თქვა ბიჭმა; ჯამი აიღო, დახლს ქვევით ჩაიმალა და კალათში შემორჩენილი მოხასხასე ვაშლებით აავსო.

ორ კილოზე მეტი გამოვიდა, ერთი ვაშლი. მაინც მეტი იყო. აიღო მერე, არ უშველა. ბიჭმა ორივე ვაშლი უქანვე დააბრუნა და ჯამი ლამაზ ქალს გაუწოდა, რომელსაც ხელჩანთა უკვე მოეპირღლიავებია.

სანამ ვაშლებს ხელჩანთაში გადაუძახებდნენ, გოგონამ მოასწრო და ერთი ბრიალა ვაშლი აიღო.

— ნუ იღებ, — გაწყრა დედა, — გაურეცხავია!

— სუფთაა, დეიდა, ხეზე მოკრეფილია და ფუჩიჩში გახვეულია ჩამოტანილი.

გოგონამ ვაშლი მადიანად ჩაკბინა, შუქიანი თვალები ბიჭს შეანათა და ისე შეჭლიმოდა, რომ ბიჭს სახე აელანდა.

— მადლობთ, ბიჭიკო! — თქვა ლამაზმა ქალმა და ცარიელ ჯამზე ორი თითო მანეთიანი დადო, გოგონას ხელი ჩაავლო და გასასვლელისაკენ გაემართა. გოგონა დედას ერთხანს ასკინკილით მისდევდა და თან ნოტების ჩასაწყობ საქალაღდეს მიაპორწიალებდა. მერე უკან მოიხედა, ბიჭს ხელი დაუქნია და ისევ გაუღიმა, გოგონას ღიმილი ბიჭის სახეზე ვეღარ დაეტია, საკინძეში ჩაუძვრა და უბე ქრუანტელით აუვსო:

ნიავემა დაუბერა, მანეთიანები აიტაცა და კოწიას საზამთროებისკენ წაფრიალა.

— გამოშტერდი, ბიჭო, წამოხტა ბიქტორა, — ფულთა ეს დასაწყავი თუ კვანხის ფოთოლი! — მანეთიანები აკრიფა, ერთმანეთს დაადო, შუაზე გაკეცა და გულისჯიბეში იტყცა.

— ასე თუ ფანტე სიმწრით ნაშოვნი ფული, ბაზარში წამოსაყვინად არ გამოდგები, ბიძია. — დაუმატა კოწიამ და ჭიქა გადაჰკრა.


ფარდულის სახურავიდან ბელურები აფრინდნენ და თავიანთ ბუღდებს მიაშურეს. ბაზრის ქვიტკირის გალავანს გადაღმა ხმაშეწუხებულ ბოჩოლა ბლაოდა. საიდანაც დახლზე თავუნა გამოცუნტულდა, იქაურობას თვალი

ზურაბ კახიანიძე
მოთხრობები

მოველო ესენი კიდევ აქ ყოფილანო და ფაცნაფუცხით ხვრელში ჩაძვრა. თავვისარას ზღარბუნა ცოცხები მათ ადვილსამყოფელს ფხაკაფხუკით უახლოვდებოდნენ და მტერის კორიანტელს აყენებდნენ.

სოფლის გზას მთვარე ანათებდა. წინ ბიჭი მიდიოდა, რომელსაც ხელში ცხენის ადვირი ეჭირა. უკან გიდევლებგადაკიდებული ცხენი და ბოლოს აყლაყულა ახალგაზრდა კაცი მილაყუნობდა.

გორაკის ფერდობზე შეფენილი სოფლიდან სინათლეები ციციანათლებივით ციმციმებდნენ. ბიჭმა მთვარეს ახედა.

მთვარემ გაუცინა, შუქიანე  შეანათა და ბროწეულივით წითელსაქსაქს ჩებთან ბრიალა ვაშლი მიიტანა ჩასაკბეჩად.

— გამოშტერდი, ბიჭო, — იყვირა ბიჭტორამ, — რაღა შუაგულ ტყლაპოს უპირდაპირე მაგ ბანდალა ფეხები. მომეცი აქ! — ხელიდან ადვირი გამოსტაცა და ცხენს თვითონ გაუძღვა წინ.

ბიჭი ჩამორჩა. ბუჩქებში რომელიღაც ღამის ფრინველი ჩაჩუნობდა. შორიდან ბაყაყების კრუალი ისმოდა. გზისპირას ღამურები დაფარფატობდნენ და მთვარის შუქზე ღაღობდნენ.

მიდიოდა თავჩაღუნული უსიტყვო ბიჭი და უბით ქალაქში ნაპოვნი ღიმილი მიჰქობდა.



საქართველო

პოეზია

ილიადა

პეზა I

ნ. მღერე, ღმერთქალო, რისხვით ვით აღიძრა აქილევსს პელისძე,
აქაველთ მხედრობას რაოდენ ეძვირა მისი განრისხება,
რაოდენ მკლავმაგარ მებრძოლთა სულეები ჩადენა ჰადესში
და მათი გვამები გასწირა ძაღლთა და ფრინველთა საჯიჯგანად:
და მით აღასრულა ნება ზევესისა

ჟამსა მას, ოდესცა ურთერთს წაგვიდნენ და გადაემეტრნენ
ატრისძე, მამფალი სპათა და აქილევსს, ღმერთთა შესადარი:

ვინ იყო ღვთაება მათში ჩამომგდები შუღლის და მტერობის?
ლეტოს და ზევესის ძე განრისხებული აგამემნონისგან,
ფოიბოს, რომელმან ლაშქარს მოუვლინა სასტიკი სახადი
მუქაფად ატრისძის უდიერებისა ქურუმ ქირიზესადმი,
რამეთუ მსცოვანი ქურუმში აქაველთ აფრამალ ხომალდებს
ეწვია ტყვექმნილი ასულის სახსნელად უსახო ურვადით,
ხელში აპოლონის წნული ვარშამანგით და ოქროს კვერთხითა,
ჰხადოდა აქაველთ, ხოლო უმეტესად ჰხადოდა ატრისძეთ,
ორთა ძმათ, აქაველ სპათა უფროსობით მუნ გამორჩეულთა:
„ჰე, ატრისძენო და საბარკულმშვენვარე ყმანო აქაველნო,
ოლიმპის მკვიდრთაგან ნუმც შემოგკლებითა შეება და წყალობა!
მალე დაგეცით პრიამეს ქალაქი და შინ გაგეწიოთ,

მე კი დამითმობდეთ ძეს ჩემსას უსახო სასყიდლის სანაცვლოდ
და მით აამებდეთ ზევესის ცერმართალ ძეს, დიად აპოლოს“.
იხუვლეს აქაველთ ერთხმად და თანხმობა ესრეთ განაცხადეს,
პატივი მივგოთ ქურუმს და ვილოთ ყურად ვგ ვედრება,
გარნა აგამემნონ, გაგულისებულმან, სიტყვით უდიერით,

შიმართა ქურუმს და უბრძანა: „მოხუცო, უწყოდე დღეიდან
ნულარ გამოჩნდები გემთა სიახლოეს, რამეთუ ვფიცავარ,
ვეღარც ვარშამანი და ვეღარც ფაენი ვეღარ დაგიხსნიან
ჩემის რისხვისგან. ხოლო ქალს წარტყვევნილს არ გავააზატებ.
დე, იგი დაბერდეს ჩემს მსახურებაში, მე დამრჩეს ჟამისად,
შორეულ არგოსში, სად მამა-პაპანი ჩემნი ცხოვრებულან,
სამყოფს მოწყვეტილი ბეჭდეს სელსა და კვლა ჩემთან სარეცელს
მუნ იზიარებდეს; შენ კი გამეცალე, რისხვას განერიდე“.

154

რქვა მან და მოხუცი ძრწოლით განერიდა რისხვას ხელმწიფისას,
მიჰყვა აბორგებულ ზღვის ნაპირს მდუმარედ, წელში გადრეკილი,
და რა გაეცალა ხომალდებს მოხუცმან ლალად-ჰყო მჭეუენარემ,
ფოაბოსს, ლქროსთმიან ლეტოს ძეს მიჰმართა ამგვარის სიტყვითა:
„უფალო, ვერცხლისმშვილდოსანო, მისმინე, პატრონო ქრიზისა,
კილის, ტენედოსის წმინდა ადგილების დიდო მბრძანებელო,
სმინთოს! სამახვერპლო შენი თუ შემემკოს ოდესმე ქებული,
ანუ შემეწიროს ოდესმე მსუქანი ბარკლები ზვარაკთა,
და ცმელთა პოხილთა, გვერდი, შეისმინე ჩემი ლაღდისი
და ჩემი ცრემლების მუქაფად მიაგე დანაელთ ისრები“.

ესრეთ ლაღადებდა იგი და სტიროდა და ესმა მეუფეს,
დაეშვა ოლიმპით პირგამეხებული ფოაბოს აპოლონ,
მშვილი და კაპარტი ისრებით აღესილი მოეკო მხარილივგ,
მომიქედ ხმაურობდნენ ფრთოსანნი ქიბურჯნი, ურთურთს ესლებოდნენ,
მოემართებოდა მრისხანე ღვთაება, ვით ღამე პირქუში,
ბოლოს ხომალდების ახლოს ჩაიმუხლა და სტყორცნა ისარი,
მშვილდის ამაზრუნეი ზრიალი გაისმა ვერცხლზარნიშოიანის,
პირველ კარაულებს უწია მახლობლად, ძაღლებს სწრაფმორბედთა,
მერმე დაერია მხედრობას და მუსრი გაავლო ისრებით,
კოცონებს აგუნებდნენ ბანაკად დამდგარნი და სწავადნენ დახოცილთ.

ცხრა დღეს იმუსვროდა ლაშქარი მძვინვარე ღმერთის ისართაგან,
მეცხრე დღეს უწოდა პელისძემ აქაველთ და იწყო თათბირი,
პერამ მიაწოდნეგ აზრი ღმერთქალმან თეთრმკლავებიანმან,
ჩანჯვით იდაგვოდა იგი დანაელთა გაქლუტის მხილველი.
ქემოკრბა ლაშქარი და რა განემზადა თათბირის სასამენად,
კრებულს გამოეყო მუხლმარდი აქილევს, და აგრე იტყოდა:
„ატრისძვე, ვეების ჟამმან მოაწია შინმბირუნებისამ,
ზღვანი გადავლახთ, კერებს დაეუბრუნდეთ, თუ დავეთით ცოცხალნი,
ცალკერძ ომი გემუსრავს, ცალკერძ დაგვერია უწყალო სახადი,
იქნებ დავეკითხოთ, ატრისძვე, ქურუმს ან მუცლმოვგს ვისამე,
ან თუნდაც მესიზმრეს (რამეთუ სიზმართაც ზვეესი მოგვიღვენს),
გვამცნონ, რა შეეცოდეთ ღვთაებას, აპოლონ რით გავაგულისეეთ,
გებ დავივიწყეთ აღთქმა, ან ზვარაკი რამ დაეუგვიანეთ,
ან იქნებ წალთა და ტარიგთა შებოლვას ელის სუნენლოვანს,
ნუუკვე გვაშოროს აქაველთ მხედრობას მომწყველი სახადი“.

წარსთქვა და დაბრძანდა აქილევს და მყისვე კრებულს გამოეყო
კლხას თესტორიდეს, ყოვლთა უმჯობესი მფრინველთამისანი.
მან, ბრძენმან, უწყოდა ყოველი წარსელში, აწყოში, მყოფადში,
აქაველთ მხედრობას ზღვა-ზღვა მოუძლოდა ილიოისსაკენ,
წინათქმის უნარი აპოლონისაგან ჰქონდა ნაბოძები,

აქველ მხედართა კრებულს მან მიმართა ქველის განზრახვითა:
„შენ ბრძანე აქილღევს, ზევისს სანუკველო, გვამცნეო მიზეზი,
დიდი აპოლონის, მშვილდფიცხელ ღვთაების გაგულისებისა,
გამცნობთ ყოველივეს, თუკი შემოფიცებ ფიცით ზენარულით,
აღმითქვამ მწეობას აქ, ერის წინაშე, მკლავით თუ სიტყვითა,
რამეთუ ვიშიშვი, თქმით გავაგულისებ კაცსა მას, რომელსაც
თავის უზენაეს ხელმწიფედ რაცხავენ სრულად არგველნი,
რისხვას ხელმწიფისას ხამს ერიდებოდნენ მისნი ქვეშეერდომნი,
რამეთუ დაფარულ დრტვინვას დაატარებს პატრონი მათდამი,
თუმც და არ გაამხელს, პირველ დაიურეებს და მერმე უეცრად
შურს იგებს. ამადაც განსაჯე, თუ ძალგიცს აწ ჩემი მწეობა“.

ფიცხლავ მიუბრუნდა მუხლმარდი აქილღევს მისანს და მიუგო:
„გრწმენინ ჩემდა მომართ, გაბედე და გვამცნე რაც არს ჭეშმარიტი,
ვფიცავარ აპოლონს, ზევისისთვის სანუკველს, რომელსაც შენ, კალხას,
ესავ და დანაელთ მიწყვი განუცხადებ ნებას ღვთაებისას,
ამ ხომალდების წინ, სანამ სული მიდგას, ვერავინ გაპბედავს
ამ დანაელთაგან აღმართვას მკლავისას შენდა საზინოდ,
თუნდაც რომ ეგ იყოს თავათუ აგამემნონ, ლაშქართა მპყრობელი,
რომელიც იქადის აქაველთა შორის მარად პირველობას“.

გამხნედა ბიწმუხებელი მისანი და იწყო ცხადება:
„არათუ მსხვერპლისთვის, არც თუ აღთქმისათვის არს განრისხებული,
არამედ ქურუმის მიმართ გამოჩენილ უდიერებისთვის,
ატრისძემ უარპყო ურვადი ქურუმის ასულის სანაცვლოდ,
ამადაც მოგვიზლა აპოლომ მუქაფა და კვლავაც მოგვიზღავს,
კვლავაც არ დააცხრობს იგი მძვინვარებას მწვავე სახადისას,
ვიდრემდის არ მივგვრით მამას მოხუცებულს სასყიდლის გარეშე
ასულს თვალმშვენიერს და წმინდა ქრიზეში არ შევაწირვინებთ
საღვთო მსხვერპლს, მაშინდა მოვალბოთ ეგების გამწყყრალი ღვთაება

რქვა მან და კვლავ ადგილს თვისას მიაშურა. აღსდგა აგამემნონ
ატრისძე, მრავალთა მათ თემთა მპყრობელი, აღძრული რისხვითა,
დრტვინვით აღესებოდა შავბნელი გული და თვალნი ცეცხლოვანი
რისხვით უელავდნენ. კალხასს მიუბრუნდა სხვათა უწინარეს
შეავლო პირქუში მზერა და შესტყორცნა სიტყვა პირბასრული:

„გამომცხადებლო უკეთურებისავ, აროდეს გითქვამს
სიტყვა სასიკეთო, ნიადაგ სიავეს ელტვის შენი გული,
ფარსავი აროდეს გვსმენია შენგან და არც გარდაგვხდენია.
დღესაც დანაელთა შვერებას აუწყე ეგ შენი წინათქმა,
თითქოს ფათერაკი იმად მოგვივლინა ვერცხლისმშვილდოსანმა,
რომ მე არ ვინებუ ქრიზეს სასყიდელი სანაცვლოდ ქალისა,
თუმცა კარგად უწყი, რომ მე სახლის წულად მსურდა ეგ ასული,
მას ვამჯობინებდი თავათ კლიტემნესტრეს, ჩემს თანამეცხედრეს,
მას არ ჩამორჩება იგი არც სიტურფით, არც ცნობასრულობით,
ხილვად არს კეთილი, ტანად მოყვანილი და მოხელსაქნარე;
გარნა განუტყევებ, აწ საჭიროება უკეთუ მოითხოვს,
მიჯობს განრინება აქაველთ მხედრობის, ვიდრედა წარწყმედა,
თქვენაც განმიმზადეთ სხვა რამ საზღაური, სანაცვლოდ ქალისა,
ნუსად არგველთა შორის დავშთებოდე წილჩამორთმეული,
ეგ მოყვინება თქვენთვისაც, ამადაც არმაღანს მოველი“.

W



მკისვე მიუბრუნდა მუხლმარდი აქილევს მეფეს და ეტყოდა:
 „ატრისძვე დიდებით მოსილო, კაცთ შორის უმოშურნევსო,
 ვით უნდა შესთხოვდე საუღლიდთა აქაველთ საზღაურს რაიმეს?
 ანუ გვაქვს საუნჯე ერთგან შეკრებილი, ყოვლთათვის სახმარი,
 ხომ გავანაწილეთ წარხმულ ქალაქთაგან ნატყვევნი ალაფი,
 განა შეჰაძლოა კვლავ უკუმიღება უკვე გაცემულის?
 სჯობს დასთმო დიაცი, მოაღბო ღვთაება, ხოლო აქაველნი,
 სამეზის და ოთხეზისაც გიზღავენ საზღაურს, თუ ზევსმან მოგვმადლა-
 აწ გალავანსრული ტროას დაქცევა და ალაფის მოზიდვა“.

გარნა აგამემნონ, მამფალმან სპათამან, მიუვო აქილევსს:
 „ღმრთებრო აქილევს, თუმც წყობათაშიგან ხარ გამორჩეული,
 ამოდ მიელტვი აწ ჩენს მოლორებას, ამაოდ მაცდუნებ;
 ან იქნებ გვეონოს, თვით შეინარჩუნო შენი საზღაური,
 მც კი მაიძულო დათმობა ქალისა და ესრეთ დაშთენა?
 არა, აქაველნი უკეთუ მოემცმენ საზღაურს რაიმეს,
 ჩემთვის შეჰაგვანსა, მაშინ თუ დავშთები ოდენ კმაყოფილი,
 უკეთუ არ იქმენ, თავათ გარდამოვალ და დავისაკუთრებ
 საზღაურს შენსას ან ტელამონის ძისას, ან ოდისევსისას,
 და ჩემად წარვიხვამ. ძრწოლა მას, ბედკრულსა, ვისაც მივადგები.
 გარნა ამ საქმისთვის მერმისში ვიზრახავთ. დღეს სხვაა საშურო,
 აწ შავი ხომალდი ჩავუშვათ სასწრაფოდ ზღვის მწვანე მორევში
 დასი ნიჩბოსანთა შეგვრიბოთ რჩეულთა, წარვიხვანთ ზვარაკნი,
 ქრიზეს ღვაწმშეწენიერ ასულსაც ვუწოდოთ აფრამალ ხომალდში,
 განმბრტობელთაგანი ვინმე აღვირჩიოთ გემის წინამძღოლად,
 იდომენეოსი, აიას, ოდისევს, გმირი სახიერი,
 თუნდაც შენ, პელისძვე, ყოველთა დევგმირთა შორის ამაზრუნვო,
 აღგვალე მიერ და შესწირე მშვილდფიცხელ ღვთაებას ზვარაკი“.

ქუში მზერა სტყორცნა ხელმწიფეს აქილევსს, წარბშეკვრით ეტყოდა:
 „ეპა, შემოსილო ურცხვობის სამოსით, გონებით მზაკვარო,
 სრულად აქაველნი მხედარნი შენს სიტყვას ვით უნდა ისმენდნენ,
 ან ლაშქრად წვევისას, ან წინააღმდეგობთა ზედან მიტევისას!
 მე როდი მოვსულვარ ტროელ შუბოსანთა შუღლოზად შორიდან,
 იოტისოდენი ბრალი არ მიუძღვით ტროელთ ჩემს წინაშე;
 ჩემთვის არ წარუხვამთ აროდეს ზროხანი და ცხენდა რემანი,
 აროდეს ყოფილან მათი ურდოები პოხიერ ფტიაში,
 არ უთარეშნიათ ხვარეიელ მინდერებზე, რამეთუ გვითმავენ
 ურთიერთისაგან მთანი ჩრდილოვანნი და ზღვა ბორგნეული.
 ურცხვო და უმადლოვ, შენდა საამებლად ვართ მიერ რებულნი,
 რათა დაგიბრუნოთ, ძაღლისსახიანო, შენ და მენელაოსს
 თქვენი დანაკარგი. შენ კი ყოველივე არად მიგაჩნია,
 მიქადი წარხმევას აწ იმა ძღვენისას, რომელიც მაშვარკმა,
 ბრძოლით მოვიპოვე, რომელიც მიბოძა აქაველთ მხედრობამ,
 უწყი, რომ არავინ მაღირსებს შემდგომში საზღაურს შენოდენს,
 თუნდაც რომ წარვიხვანთ მალე ხალხმრავალი გოდოლი ტროისა,
 წყობის სიმარცხენი მე უნდა ვიტვირთო, გავსარჯო მარჯვენა,
 წილს რაქამს განვიგდებთ ნადავლზე, შენ ხდები უმაღვე პირველი,
 შენი საზღაური ნიადაგ აჭარბებს ჩემსა მონაპოვარს,
 ოდეს დამშვრალი მივალ ხომალდისკენ მცირედის ნადავლით.“

აწ გავემართები ფტიაში, რამეთუ მიჩანს უმჯობესად
მამულს მიუბრუნდე სომალდებთანად, ვიდრეღა შევსძინო
შენთა საუნჯეთა უხვი ნატყვენავი პატივდაკლებულმან“.

ხოლო აგამემნონ მიუგო აქილევსს, მპყრობელმან თემთამან:

„განივლტე ამიერ, უკეთუ ლტოლვისკენ მიგიწევს ეგ გული,
არ შეგვედრები ჩემთვის აქ დაშთენას, სხვანი ხომ შთებიან,
და მწედ მეჭმნებიან, უადრეს ყოველთა ზევსი სახიერო.
შენ კი, მის ცხებულთა ხელმწიფეთა შორის ჩემთვის საძულველო,
მარადის შულლობად, წყობად და ჩალსობად მიიწევ შმაგქმნილი,
თუ ხარ გულოვანი, უფალმან მოგმადლა ეგ გულოვანება,
წარისვენ სპანი და ხომალდნი შენნი და მამულს მიუბრუნდი,
განაგე საქმენი მირმიდონთ ქვეყნისა, შენსას არას ენალვობ,
შენი მრისხანებაც არად მიჩნს. ისმინე აწ ჩემი მუქარა:
ფოთბოს აპოლომ წარისხვან ამჯერად ჩემი ქრისიდე.
ხომალდი გავმართე და თანვე ვაახლე ჩემნი მონასპანი,
შენ კი შენს საზღაურს, ტურფა ბრისვიდეს დამითობ, გასსოვდეს,
მე თავათ წარვისვამ მას შენი კარვიდან, რათა შენ უწყოდე
ჩემი ძლიერება და ამიერიდან გაფრთხილდნენ სხვანიცა,
ალარ შემომბედონ თავის გატოლება გაკადნიერებულთ“

რქვა მან და პელისძეს ანაზღად მოედო ალი მრისხანების,
გული მერყობდა ფაჩვენიერ მკერდში ორთა ზრახვათ შორის,
ეშიშვლა პირბასრი მახვილი იჩქითად, წელზე რომ შეერთკა,
ბრბოში გაეკაფა გზა და აეკუწა მყის აგამემნონი,
ანუ მრისხანება დაეურგებინა და გული დაეცხრო;
ესრეთ იწრახებთა იგი თავის გულში და როს ამოზიდა
ვეება მახვილი უკვე ქარქაშიდან, ანაზღად ზეცადან
გარდმოსდა ათენე თეთრმკლავებიანი ჰერას მოციქული.

ჰერას სიყვარული ჰქონდა ორთავესი, ურვიდა უსაზღვროდ,
ღმერთქალი ზურგიდან მიუდგა პელისძეს, სხვათათვის უჩინრად,
შეაგლო ხელები მის ოქროს კულულებს და დააშოშინა.
განცვიფრდა აქილევსს, ვარეშემოიქცა, იხილა ღმერთქალი,
შეიცნო ათენე, ცეცსლებერ უელავდნენ თვალნი ამაზრუნენი,
და სიტყვა ფრთოსანი ღმერთქალს შეაგება:
„რად მობრძანებულხარ ასულო ეგისმპყრობელის ზევსისავ,
ნუუკვე ზვავობა გნებაეს რომ იხილო აგამემნონია?
გეტყვი ჭეშმარიტად, აქვე, შენს წინაშე იმსხვერპლებს ატრისძეს
ეგ ამპარტანება დაუოკებელი“.

ირისესთვალება ღმერთქალმა ათენემ მიუგო აქილევსს:

„უკეთუ შეისმენ, შენი გულისწყრომის მსურდა დაცხრომა,
ამადაც გარდმოველ ზეცით, თეთრმკლავება ჰერას მოციქულად,
მას გულით უყვარხართ შენ და აგამემნონ, არს თქვენთვის ურვილი,
კმარა, ნუღარ შულლობთ, ნუღარ ამოზიდავ მახვილს ქარქაშიდან,
სიტყვით მოაყენე ამჯერად ატრისძე, რამდენიც გენებოს,
გეტყვი ჭეშმარიტად, თავადაც გახდები მხილველი ამისა,
სამგზის უკეთესი გელის საზღაური ახლო მომავალში,
უკეთუ შეისმენ ჩვენს რჩევას ამჟამად და რისხვას დაიცხრობ.“

მაშინ მიუბრუნდა მუხლმარდი აქილევსს ღმერთქალს და ეტყოდა:

„კაცმან გონიერმან ხამს რომ შეისმინოს თქვენ ორთა თათბირი,

ხამს რომ გულისწყრომა თვისი დაიურვოს, რამეთუ ღმერთები
ნას უფრო უსმენენ, ვინაც ყურად იღებს მათ სიტყვას ამსოფლად“.

რქვა მან და დევური მარჯვენა დაუშვა დავერცხლილ ვადაზე.
ჩააგო ქარქაშში ვეება მახვილი, ნებას ქალღმერთისას
ალარ გარდავიდა, მანაც მიაშურა ეგისისმპყრობელის
ზევესის სრა-სადგომს და კვლავ მიუბრუნდა ღმერთთა ანდუხოზას..

ხოლო აქილევესი პირგამეხებული მიეჭრა ატრისძეს
და რისხვით აღძრულმა კვლავ და კვლავ შესტყორცნა სიტყვა

პირბასრული:

„ჰე, ბილწო მემთვრალეე ძაღლისსახიანო, სიმფრთხალით ირემო,
არვის უხილავხარ საჭურველასხმული, ლაშქართა მლაღავი,
ან სადარნოდ მყოფი წყობის ჟამს, სპიანად, მტერთა მომლოდინე
სხვა ასრსთავებში — მარადის სიკედლიად გიჩნდა ეგ ყოველი.
უფრო საამოა აქაველთ ბანაკში გულმშვიდად რონინი,
ნადავლთა წარხმევა მათთვის, ვინც შეგებდავს სიტყვის შებრუნებას,
მეფეე გულარძნილო, ვრთა მარბეველო, მხდალთა განმგებელო,
ვაგლახ, ეგ ზვავობა შენთვის იქნებოდა დღეს უკანასკნელი!
აწ გესმას ჩემიცა, სიტყვას დავამტკიცებ ფიცით უტყუელით,
ვით ამიერიდან არ შეიფოთლება ეგ კვერთხი აროდეს,
რამეთუ ძირს თვისას მოსწყვიტეს მთაში და მწვანე შემოსძარცვეს;
აროდეს იბარტყებს დვრიტა, არც ყვაველი, რამეთუ ბრინჯაომ
ქერქი შემოაძრცენა, დაუბშო მერქანი და აწ აქაველთა
ხელთ იპყრეს, რამეთუ ბრჭობა აღასრულონ ზევესის შთაგონებით,
გეტყვი ჰემმარიტად: შენთვის ჩემი ფიცი ფრიად დაძიმდების,
მოაწვევს ჟამი და აქაველთ მხედრობას ლტოლვა აღედგურება
აქილევესისათვის, შენც ვერას გააწყობ ურვით შეპყრობილი,
მწედ ვეღარ ექმნები აქაველ მხედრობას, ვეღარც განარინებ,
მას სპათამშუსრავი ჰექტორის ხელისგან, თავს შენსას დაჰქენჯნი,
რამეთუ განდევნე აქაველთა შორის უძალგულოვნები“.

ესრეთ სთქვა პელისძემ და ოქროცურვილი კვერთხი მიყსეულად
მიწას დააკვეთა. მერმე მიაშურა ადგილს და დაბრძანდა;
ხოლო აგამემნონ კვლავაც ბოზოქრობდა. მაშინ წინ წამოდგა
ტკბილად მოუბარი ნესტორი, მესიტყვე თემთა პილოსელთა,
სიტყვა იღვრებოდა მისთა ბაგეთავან გოლის უტკბილესი,
მას ორი თაობა უკვე მოელია ამსოფლად მოკვდავთა,
და აწ განაგებდა მორჭმით და სვიანად მესამე თაობას,
თვით საღვთო პილოსში მკვიდრობდა სვერსული. აწ ქველის განზრახვით
გმირთა ანდუხოზას მიმართა ნესტორმან და აგრე იტყოდა:
„ჰოა მოყენებავ! ვაება ეწვია აქაველთ ქვეყანას!
შეებას მიცემმა პრიაზე უცილოდ, ძენი პრიაშენი
და ყოვლინი ტროელნი აწ იზვიმებენ დიდის განცხრომითა,
ოდეს შეიტყობენ თქვენ ორთა შუდლობას, რომელნიც დანაელთ,
სასოდ მიაჩნხართ, ომში წინამბრძოლად, ზავეში განმბრჭობელად,
აწ ჩემიც ისმინეთ, თქვენზე ხანდაზმული გეტყვით ბურკაცი,
თქვენზედ უმტკიცესნი მცნობიან დევგმირნი, ვინაც ჩემს ნაუბარს
შეისმეოდნენ ხოლმე. აბურად მიგდებდნენ ისინი აროდეს,
აროდეს მინახავს მსაგავსნი მორკინალნი, ალბათ ვერც ვიხილავ,
ვით პეირითუსი იყო და დრიასი, ლაშქართა სანთელი,

V

—

V

ქ

გმირი ექსადიუს, კანეუს, პოლიფემ ღმერთთა დასადარი, თეზოს პირბადრი, უკვდავთ შესაგვანი, ძე ვეგოსისა; აროდეს შობილან, უწყოდეთ, მამაცინი ქვეყნად უჩალხესნი, გმირნი უძღველნი, მარადის მკლავმაგარ მებრძოლთა მმუსარაგნი, მთაში დამკვიდრებულ კენტავრთა ნათესაგს არბეფდნენ უწყალოდ, მსგავსთა მორკინალთა ვიყავ მეგობარი, და როს პილოსიდან მათ მიერ ხმობილი მუნ გამოვეშურე, დავაგდე სამკვიდრო, ლაშქრადაც ვვიდოდი, გარნა ამ მორკინალთ წყობის საქმეებში ვინ შეედრებოდა ოდესმე ამსოფლად მოკვდავად შობილი? ხშირად ამ დევემირთაც რჩევას ვაწოდებდი, იგინიც მისმენდნენ, თქვენც გმართებთ შესმენა, რამეთუ თქვენთვისვე არს ეგ უმჯობესი. ეპა, აგამემნონ, თუმც გაქვს ხელმწიფება, ნუ ართმევ აქილევსს, ასულს თვალმშვენიერს: აქაველთ მხედრობამ უძღვნა ეგ ასული, შენაც პელისძეო, ხელმწიფეს ზევაობით ნუ შეედავები, ჯერაც არ შობილა ამსოფლად ხელმწიფე ფაენისმყრობელი, ზევსისგან მორჭმული ამგვარის დიდებით და ძალმოსილებით. თუმც ხარ გულოვანი და შემმართებელი, ღმერთქალის შობილი, ხელმწიფეს სვიანსა, მრავალთა განმგებელს წინ ნუ აღუდგები, შენაც ატრისძეო, რისხვა დაიურვე, გვედრი ბერიკაცი, ნუ განურისხდები აქილევსს, რამეთუ სისხლიმმღვრელ ომებში, იგია შემწე და უებრო ქავ-ციხე აქაველთ მხედრობის“.

მამონ მიუბრუნდა ნესტორს აგამემნონ და ავრე ეტყოდა: „მოსუცო, ჭეშმარიტს ბრძანებ და გონიერულს, არვისგან სადაოს, გარნა ეგ მამაცი აღზავადა, ყოველთა სურს გარდამეტება, სურს აქ ბატონობა, თუმც ერთი ვინმეა აქაველთ შორის, ვინაც მის ბრძანებას აროდეს შეისმენს, არც ყმად გაუხდება. ან იქნებ ღმერთებმა, რომელთაც მოჰმადლეს მას ეგ სიგულოვანე, სხვათა დამცირების უფლებაც მოჰმადლეს, აბუჩად ავადების?“

ხოლო აქილევსმა მყის გააწყვეტინა სიტყვა და შესძახა: „დე, მზდალად ვიწოდო, დიაცთა სადარად, უკეთუ ვისმინო, შენი ნაბრძანები, ანუ აღვასრულო შენი მითითება, დე, სხვებმა უსმინონ შენს ნება-სურვილებს და შენნი ნაბრძანნი სხვებმა აღასრულონ; მე კი ნურას მეტყვი, აღარად ჩავაგდებ, აწ კი მოისმინე ჩემი ნაუბარი, გულში შთაიბეჭდე: დღეს მკლავს არ აღემართავ, დიაცის გულისთვის, და არ შეგებმებით, არც შენ და არც სხვათა, რამეთუ წარისხვამთ იმას, რაც მიბოძეთ. გარნა ჩემს აფრამალ, კუპრისფერ ხომალდთან მოგროვილ ნატყვენავს, შენ ვედარ შეჰბედავ და ვერც წარიტაცებ აწ ჩემგან უჩუმრად, უკეთუ გენებოხ, მოვედ, დააპირე, იხილონ ყოველთა, რარიგ გეძგერება ეგ ჩემი პოროლი, შავ სისხლს ვით დაგადენს“.

აღსდგნენ ორივენი, ეკვეთნენ ურთიერთს ცხარე სიტყვისგებით, აშალეს შეგრება აქაველთ აფრამალ ხომალდთა წინაშე, ზელისძემ გასწია თავის გზით, ხომალდს და კარვებს მიაშურა, მენოტიკუსის ძე ახლდა აქილევსს და თვისნი მხლებელნი, ხოლო ატრისძემან ხომალდი ჩაუშვა ზღვაში და გასწია, ოცი ნიჩბოსანი იახლა, წარისვნა თან კეკატომბები, ქრიზეს ღმერთმშვენიერ ასულსაც უწოდა აფრამალ ხომალდში, ხომალდის გაძლოლა ჭკუით მრავალნაცადს მიანდევს ოდისევს.



ჩასხდნენ და გასწიეს ზღვა-ზღვა აგამემნონ და მისთა მონათა შემდეგ ხელმწიფემან უბრძანა ქვეშევრდომთ სხეულთა განწმენდა, მათაც განიწმინდეს სხეულნი, წყალს მისცეს წვირე და ნარეცხი, მერმე შეურიჩიეს აპოლონს ხართა და ვაცთაგან ზვარაკნი, და ზორვად შესძინეს მუნვე ბორგნეულის ზღვის მონაპირეთა, კვამლი და სუნელი ცად აღიწყოდა მათ მიერ ზორვილის.

ამრიგად სწორავდნენ ლაშქარნი საღეთო მსხვერპლს, ხოლო აგამემნონ როდი ივიწყებდა მტერობით აღძრული მუქარას თავისას, არამედ ეზრახა იგი ტალითიბოსს და ევრიბატოსს, (ორნიც მალემსრბოლნი იყვნენ და მაცნენი) და აგურ ეტყოდა:

„წარვედით ამიერ, ეწვიეთ აქილევსს პელისძეს კარავში, ჩააკიდეთ ხელი და ფიცხლავე მომგვარეთ ტურფა ბრიზეიდე, უკეთუ არ დასთმობს, უწყოდეს: მე თავად ვეწვევი სპიანად და ქალს წარმღვიცვამ — ეგ უარესია მისთვის გაცილებით.

რქვა მან და ორნივე მსწრაფლვე წარავლინა სასტიკის, ბრძანებით, მიჰყვნენ მალემსრბოლნი ხალისწართმეულნი მღელვარე ზღვის პირსა, და მალე უწიეს მირმიდონთ სომალდებს და კარავთ სადგომებს.

მუნვე გამოსძებნეს აქილევსს პელისძე კარვის წინ მჯდომარე, თვისივე სომალდის მახლობლად, დანახვა მათი არ ეამა, იგინიც შესდგნენ და შეძრწუნდნენ ხელმწიფის მხილველნი ანაზლად, უტყვნენ, ზარგანხდილნი აარას ჰკითხავდნენ, არცა მიუგებდნენ; გარნა გულისხმაჰყო აქილევსს პელისძემ მაშინვე ყოველი,

ვ.
 ვ.

და პრქვა: „გიხაროდენ, ზევსის და მოკვდავთა მაცნენო რჩეულნო, მრმეატლენით და მეზრახეთ, თქვენა ხართ გარნა ბრალეულნი, ხელმწიფემან თქვენმან რახან მოგავლინათ ბროსეს ასულისთვის, პატროკლემ, ზევსის რჩეულო, მომგვარე ასული, დე, თან წარიტანონ. გარნა დავიმოწმებ ამ ორთა მაცნეთა, კურთხეულ ღმერთთა და ამსოფლად ყოველთა მოკვდავთა წინაშე, აავათ იმ გულარძილ ხელმწიფის წინაშე: ვედარ მისილავენ ოდეს დავეჩრდები აქაველთ მხედრობას მწვავე განსაცდელში.

რამეთუ წარმწყმედელ აზრთაგან ბორგნის და ამაღაც არ ძალუძს ძველის გახსენება და ხვალეს განჭვრეტა, რათა აქაველთა შეიძლონ უშიშრად წყობა და შეტევა სომალდთა წინაშე“.

რქვა მან და პატროკლემ მყისვე ყურად ილო მეგობრის ნათქვამი, შევიდა კარავში და გამოიყვანა ტურფა ბრიზეიდე,

მალემსრბოლთ გადასცა, მათაც მიაშურეს მუნთქვესვე სომალდებს, ქალიც უხალისოდ მისდევდა მაცნეთა. ხოლო აქილევსი მხედრებს განერიდა, მუნვე განმარტოვდა ვერცხლისფერ ზღვისპირად, დაჯდა ტირილად და თანაც ჩასცქეროდა მორვეს ქაფმორეულს. მერმე შეჭლალადა დედას ხელაპყრობით ამჯერის ლოკითა: „დედაო, უხანოდ გიშვივარ ამსოფლად, მცირედის ქამისად, ხამდა ოლიმპიელს პატივი მოგვო ჩემთვის და დიდება, ზევსს, ელვათმპყრობელს, მან კი უმცირესიც ვედარ გამიმეტა, რამეთუ ატრისძემ მრავალთა მათ თემთა მპყრობელმან წარხხენა ჩემი ნატყვენავი. ამყარა პატივი, აღარად ჩამაგლო“.

ესრეთ დალადებდა აქილევსს გოდებით, ისმინა დედამან, თავის მოხუცებულ მამასთან მჯდომარემ ზღვის მწვანე მორვეში ნისლივით მოცურდა რუხი ზღვის ნაპირთან ღმერთქალი თეტისი,

ნაზად დაუყვავა ვაჟს ცრემლმუეშრობელს, ხელი გადაუსვა,
სახელი უწოდა და აგრე მიჰმართა საამო სიტყვითა:
„რად სტირ, ძეო ჩემო, რადა ხარ ჭმუნვისგან აგრე დაზაფრული?
ნურას დამიფარავ მაგ შენს გონებაში, მითხარ ყოველივე“.

მუხლმადრდნან აქილლევს მწარედ დაიგმინა და აგრე მიუგო,
შენ უწყი ყოველი, დედაო, რა გამცნო ყოვლისმცნობს, გულთმისანს,
ვილაშქრეთ თებუში, გტიონისეულ წმინდა სამკვიდროში,
იგი დეფარბეთ, თან წარმოვიხვენით ურიცხვი ნადავლი,
აქაველთ ყოველი განიყვეს ტოლფარდად, წილი ყველას ერგო, V
ატრისძეს ასული არგუნეს ქრიზესი, ლაწე-ბადახშოსანი,
გარნა მშვილდფიცხელის აპოლოს ქურუმი, ქრიზე მსციტმოსილი,
აბრჯოსან აქაველთ წარუდგა აფრამალ ხომალდთა წინაშე,
სურდა გამოსყიდვა ტყვექმნილი ასულის უსახო ურვადით,
ხელში აპოლონის წნული ვარშამანგი ეპყრა და ფაენი,
ქსადოდა აქაველთ მხედართ ანდეზობას, ხოლო უმეტესად
ქსადოდა ატრისძეთ, ყოველთა თემთა და ლაშქართა მპყრობელთა.
იხუვლეს აქაველთ ერთხმად და თანხმობა ამცნეს ანდეზობას,
პატივი მივაგოთ ქურუმს და ვიღოთო ყურად ეგ ვედრება;
გარნა აგამემნონს მხალოს არ ეწადა ამის აღსრულება,
ქურუმი განდევნა რისხვით და მუქარით, გაგულისებულმან.
მოხუცი განშორდა გემებს დაღრეჯილი, ილოცა მხურვალედ,
უსმინა ვერცხლისმშვილდოსანმა აპოლომ, დია სთნევეს ქურუმი,
მერმე დაასია მომავრელი ისრები არგველთ მხედრობას,
გაგულისებულმან. მრავალნი მოისრნენ ღმერთის ისართაგან
რჩეული მხედარნი აქაველთ ბანაკში. მაშინ წინამთქმელმან
კალხას ბრძენთაბრძენმან ნება განგვიცხადა დიდის აპოლონის.
ეურჩიე მუნთქვესვე მოვლებით ღვთაება გაგულისებული,
აღსდგა აგამემნონ პირგამეხებული, მუქარით ზრახვიდა,
აწ კი აღასრულა მუქარა თვისი და არს ძღვევამოსილი,
ქურუმის ასული მიჰყავთ ქორისთვალა აქაველთ ქრიზეში,
ზღვაზღვა მიაფრენენ, თან მიაქვთ ზვარაკნი მუნ შესაწირავად,
გარნა მეც მიახლნენ წელან მოციქულნი და ბრიზეს ასული
წარმიხვენეს კარვიდან, რომელიც მიბოძა აქაველთ მხედრობამ.
დედაო! უკეთუ ძალგიძს, შეეწიე ძეს შენსას ამჯერად,
აღვედ ოლიმპოზე, ზევებს ყოვლისშემძლეს ეაჯე მხურვალედ,
უკეთუ ოდესმე სთნეოდი საქმით თუ სიტყვითა
ყრმობის ჟამს მამენია მამისქელ სახლში, შენ ხშირად უბნობდი
თუ ვით განარინე ძეა კრონოსისა ღრუბელთამალაღვი,
მხოლომან აუწყე უკვდავთ ღმერთთა შორის მეუფეს კურთხეულს,
ოდეს სხვა ღმერთებმა შებორკვა იზრახეს მისი და დამხობა,
პერა, პოსეიდონ და პალლას ათენე ურთერთს განეზრახნენ,
ხოლო შენ ეახელ ზევებს და იხანეი იგი ბორკილთაგან,
თან დაუყოვნებლოე უწოდე ოლიმპზე დევგმირს ასმკლავიანს,
რომელს ბრიარეოსს უხმობენ, ღმერთნი და ეგეონს მოკვადენი,
რამეთუ აჭარბებს იგი მამას თვისას! ძალგულოვანებით;
აღჯდა ბრიარეოს კრონიონის გვერდით, ზვიადი დევგმირი,

1 მამამისი იყო პოსეიდონი.

შედრკნენ კურთხეულნი და ვედარ შებორკეს ზევსი ზარგანხდლითა, აწ შეახსენებდე ამას ყოველივეს, მუსტთშემოხვეული, ეაჯე, მიემხროს ტროელთა მხედრობას, რათა აქაველნი, ზღვასთან მიიმწყდიონ და მოსრან თვისთავე ხომალდთა წინაშე, რამეთუ იხილონ თვისისა ხელმწიფის რაობა ყოველთა, ხოლო აგამემნონ ყოველთამპყრობელმან თვისივე სიბრძავე თვით განიცადოს, რახან მოაყენა ბურჯი აქაველთა“.

მაშინ მიუგებდა გულმდურად მტირალი ძეს თვისას თეტისი, „ეჰა, ძეო ჩემო, რად გშობე ამსოფლად სვეგამწარებულმან, მთენილმცა ყოფილხარ ხომალდთა წინაშე ვაების კიდევან, რახან მოვიგიეს ვგოდენ მცირედი ყავლი სააქაოს!

ეგზომ უხანო ხარ და გულგასენილი ყოველთა უმეტეს, სვე-კრულის ჟამისთვის გშობე მამისეულ სასახლის პალატში, აწ აღვალ ოლიმპოს თოვლიან მწვერვალზე, ყოველს მოვასხენებ ზევსს ელვითამპყრობელს, დიდებულ მეუფეს, მისმინოს ეგების შენ კი შეიცადე, ნუ ახსნი ამჯერად აფრამალ ხომალდებს, წყობას განერიდე, რისხვას აქაველთა მიმართ ნუ დაიცხრობ, ზევსი ეწვია გუშინ ეთიოპთა, ბიწმეუხებელთა, თან ახლავს უკვდავთა ღმერთთა ტაძრეული, აწ მუნ ნადიმობენ, გარნა ათორმეტ დღეს დაჰყოფს და ოლიმპზე კვლავ შემოიქცევა, მაშინ მივაღებ ბრინჯაოსზღურბლიან სასახლეს ზევსისას, ფერხთ დავეუარებები, წყალობას გამოვთხოვ ლოცვით და ვედრებით.

// მისი!

რქვა მან და გზას თვისას გაუდგა. დაადო ვაჟი მარტოხელა, ურვიდა აქილევსს, მეწამულ ვარშამანქმოსილი ქალისთვის, რომელიც წარუხენეს ძალით აქაველთა, ხოლო ოდისევსი იმჟამად მიადგა ქრიზეს და მიართვა საღვთო ჰეკატომბი, და ოდეს შეეკურდა ხომალდი მორევში, ნავთსადგურს მიადგა, ჩამოსხნეს აფრები, შემდეგ შეფუთეს და ხომალდში ჩააწყვეს, ანდა წააწვინეს სხვილი ბოგირებით, ბაქანზე მიაბეს, დააცხრნენ ნიჩბებს და აგრე მიაყენეს ნავი ნავთსაყუდელს, მერმე გადაჰყარეს მორევში ლოდები, დააბეს ხომალდი და თავათ გარდახდნენ ყველანი ხმელეთზე, აღგვალეს ზღვისპირად, მიიხუნენ ჰეკატომბს მშვილდფიცხელ ღმერთისას, დიდის მეუფისას, ზღეურში ნაცადი ხომალდი დასტოვა ქურუმის ასულმაც, ბრძენმან ოდისევსმან იგი მიაცილა სახორველ ბომონთან, მამას ჩააბარა ქალი და მიმართა ამგვარის სიტყვითა: „ქრიზევე, წარმომგზავნა შენთან აგამემნონ, მამფალმან სპათამან, რათა დაგიბრუნო ასული შენი და შეესწირო აპოლონოს ყოვლად დასაწველი დანაელთ სახელზე, რათა მეუფემან გვაგმაროს ურვა და ვაება ეგზომი არგეელთ მხედრობას“.

რქვა მან და მკლავგაშლილ მამას ჩააბარა ქალი სანუკვარი, იშვებდა მოხუცი; ხოლო აქაველთა განაწყვეს მაშინვე მუნ მკვიდრად ნაგების ბომონის გარშემო ყოვლად დასაწველი, ხელნი გადებანეს, მსხვერპლისთვის მოიხვნეს ქერის მარცვლეული, დააპყრო ქრიზემან მკლავნი და ღაღად ჰყო მყის ხმითა დიდითა: „ვერცხლისმშვილდოსანო, მისმინე მეუფვე ყოვლისა ქრიზისა, რომელი განაგებ სვიანად ტენედოსს და კილლას კურთხეულს, ვითარ შეისმინე ჩემი ღაღადისი, მოჰყავ ყური შენი,

V

ოდეს განმადიდე და ტანჯვა მოჰხადე აქაველთ მხედრობას,
აწცა შეისმინე აჯა დღევანდელი მსკოვანის მონისა,
არდღე ამჯერად დანაელთ მხედრობას მომწყვლელი სახადი“.

ესრეთ ღაღადებდა იგი და ისმინა ფოჯბოს აპოლომომ,
ხოლო აქაველთა ქერი მიმოჰფანტეს უმაღვე საღვთოზე,
მერმე შეუქციეს ზვარაკებს თავები, ყელნი გამოლადრეს,
ჩამოჭრეს ბარძაყნი, ცმელი მოახვიეს ორმაგად გარშემო,
მერმე დაალაგეს მათზე სხვა ასონი, უმად ჩამოთლილნი,
მონუცმან შთაუგზნო ცეცხლი და ზორვიდა, ღვინოს აპკურებდა,
ჭაბუკნი განმწყრიდნენ გარშემო, ხელთ ეპყრათ ხუთბილა ჩანგლები.
ბარძაყნი დასწვეს და თავათაც შეექცენ შიგნეულს მსხვერპლისას,
ხოლო დანარჩენი დაჰკეპეს მუნვე და შამფურზე ააგეს,
მწვადი შეამზადეს, შესწვეს ნაღვერდალზე, შემდეგ გარდმოიხვნეს,
სუფრას შემოსხდნენ მოყმენი ირგვლივ და დაიწყო ნადიმი,
იშვებდნენ ყოველნი, არვინ დაშთენილა გულნაკლულეგანი.
და ოდეს დაიცხრეს აქაველთ წყურვილი და განძღენ ყოველნი,
მოიღეს ჭაბუკთა დიდ-დიდნი ბარძიმნი, პირთაძღელ აღავსეს,
თავნი წაუქციეს, მერმე დაურიგეს მუნ თანადამსწრეთა,
მთელს დღეს ადიდებდნენ სიმღერით აპოლონის აქაველთ შვილები,
დიდების პანათი ამკობდნენ მშვილდფიცხელ ღვთაებას ჭაბუკნი,
იგიც იხარებდა და გულით იშვებდა მათის სიმღერთა.

მზე როს გარდავიდა და ქრიზეს სანახებს ბნელი დაეუფლა,
გემთა სიხალთეს წამოწვენენ ჭაბუკნი, ბაგირთა მახლობლად
და როს ვარდისფერი დიდი ალიონის გამოძინდა ზეცაზე,
ხომაღდში ჩასხდნენ და გასწიეს აქაველთ სპათა სადგომისკენ.
შორსმტყორცნა აპოლომომ მათ გამოუვლინა ზურგქარი კეთილი,
აღმართეს ანძა და გაშალეს მაშინვე თეთრი იალქანი,
ქარმა გამობერა მუცელი მისი და გემის ქიმს ტალღანი
შეასკდნენ ხმაურით, ხომალდიც გაფრინდა ლანდის უსწრაფესად;
და მიჰყვა გეზს თვისას. მალე დაინახეს ზღვაოსან ჭაბუკთა,
ვეება ბანაკი აქაველთ მხედრობის გარდმოსხდნენ ყოველნი,
მერმე აათრიეს კვლავ შავი ხომალდი ქვიშიან ნაპირზე,
ვეება საყრდენნი შეუდგეს ფსკერს მისას, ესრეთ განამკვიდრეს,
ბოლოს მიაშურეს თავიანთ გემებს და კარვებს მუნ გაშლილთა.

მას უამს აღიძროდა რისხვით აფრამალთა ხომალდთა წინაშე,
ზევისი ნაშიერი მუხლმარდი აქილევს, პელევსის შობილი,
ალარ ესწრებოდა გმირთა ანდუზობას, დიდებით შემოსევებს,
ალარც ბრძოლის ველზე ჩნდებოდა, არამედ ჰქენჯნიდა გულს თვისას
საომარ ყვირნას, წყობის შემართებას, ხმალს მოწყურებული.
დღესა მეთორმეტეს, ოდეს აციალდა ცისკარი ზეცაზე,
ოლიმპოდ მოიქცა ღმერთთა ტაძრეული, მარადისცხოველთა,
ზევისი წინამძღვრობით, თეტისმაც ძის აჯა როდ დანივიწყა,
ალიმსთო დილით და დასტოვა მორვეი ზღვისა ბორჯენულისი,
ფიცხლავ მიაშურა ცას უკიდევანოს და ოლიმპს ეწვია,
მუნ ჰპოვა კრონიონ, რომლის სიღიადევ შორს არს განსმენილი,
მრავალქარაფიან ოლიმპოს მწვერვალზე სვიანად მჯდომარე,
მის გვერდით ჩამოჯდა, მარცხენა მოჰხვია მუხლებს მეუფისას,
მარჯვენა ხელით კი მოესიყვარულა, ნიკაპზე შეეხო,

და როს ვარდისფერი დიდი ალიონის გამოძინდა ზეცაზე

და ესრეთ შეჰვედრა ზევსს, დიად მეუფეს, კრონოსის ნაშიერს:
„მამაო ზევსო, უკეთუ ოდესმე საქმით თუ სიტყვითა
შეწევნა ძალმედვა შენის მეუფების, მისმინე ამჟერად,
მოხედე ძეს ჩემსას, რამეთუ მცირედი ჟამი აქვს ამსოფლად,
იგი მოაყენა ატრისძემ, მრავალთა მათ თემთა მპყრობელმან,
მას ძალმომრეობით წარუხვნა ჯილდო და თავათ მიითვისა,
ქე ოლიმპიელო, მეუფევე ძლიერო, პატივ ეც ძეს ჩემსას,
და ძლევა მოჰმადლე ტროელთა მხედრობას, ვიდრე აქაველნი,
არ შეინანებენ, პატივს არ დასდებენ აქილლევის ხელახლა“.

ესრეთ რქვა თეტისმან. სდუმდა კრონიონი ღრუბელთა შემკრები,
დიდხანს მდუმარება. თეტისმან მოჰხვია მუხლებზე ხელეზი
და კვლავ შეესიტყვა აგრე მუხლმხვევით ზევსს ხელმეორედ:
„მიბრძანე თანხმობა სრული და ურყევი, გვედრი ნუ აყოვნებ,
ან მითხარ უარი, რამეთუ უშიშო ხარ და უძრწოლველი,
და მაშინ შევიტყობ, რაოდენ გეთნევი ყოველთა ღმერთთაგან“.

წარბშეკრით ეტყოდა ღრუბელთამალაღვი, დიდის შეჭირვებითა
„ცუდად დამთავრდება ჩემი წაკიდება ჰერასთან ამჟერად,
ოდეს კადნიერად შემომესიტყვება ბასრობას ჩვეული,
რახან დაიგულებს ღმერთთა ანდეზობას, მებრძვის დღენიადაგ,
გაალმასებული მყვედრის რომ შემწე ვარ ტროელთა მხედრობის“.
აწ ზღვად მიიქეცი. ეცადე როგორმე ჰერამ არ დაგლანდოს,
განვსჯი ყოველივეს, თავათ აღვასრულებ, რაც არს მოსაწვევი,
თუ გსურს, თავს დაგიკრავ, წამგიყოფ და მაშინ ირწმუნებ უფრორე,
რამეთუ ნიშია ეგ უხესთაესი, ღმერთთათვის ცნობილი,
რაზედაც „ჰო“ მითქვამს მე თავის დაკვერთა ოდესმე წარსულში.
არს გარდაუვალი. უქცევი, არ ფუჭი და არცა სათუო“.

ესრეთ განიზრახა ძემან კრონისისამ, შეჰყარა წარბები,
დაჰხარა თავი და უხრწნელნი კულუნნი წინ გადმოიღვარნენ,
უკვდავი შუბლიდან — შეირყა დიადი ოლიმპო ანახლად,
დასრულდა ბჭობა და ურთერთს განეშორნენ. ღმერთქალი თეტისი
დაემევა ოლიმპით და ზღვას მიაშურა. ზევსიც გაემართა
სრა — სადგომისაკენ. მყის წამოიმართნენ უკვდავი ღმერთები
თვისთა ადგილთაგან, არვინ დაშთენილა მუნ ფეხზე მდგომარე,
არამედ გასწიეს და გამოეგებნენ მამას და მეუფეს
და იგიც დაბრძანდა თავის სრა-საჯდომზე. ჰერამ ყოველივე

უწყოდა რამეთუ ყველასგან უჩუმრად განდმსტრო თეტისი
შოსუცის ასული ვერცხლისტერფიანი, ზევსთან თათბირისას,
ამადაც ბასრობით მიჰმართა მეუფეს, კრონოსის ნაშიერს:
„მაუწყე, მცბლდავო, უკვდავთა ღმერთთაგან ბჭობა ვისთან აგე,
მარადის გჩვევოდა შენ ჩემგან უჩუმრად ზრახვა იდუმალი
და განზე თათბირი. ჯერაც არაოდეს გითქვამს გულახდილად
შენნი განზრახვანი, ნებისთ არ გიმცნია შენი ჩანაფიქრი“.

ესრეთ მიუგებდა მას მამა ყოველთა ღმერთთა და მოკვდავთა:
„ჰერავ, ამოდ გსურს შეიტყო ყოველნი ჩემნი განზრახვანი,
ფიცხელ არს ეგ შენდა, თუმცა და მეუღლედ ჩემად იწოდები,
დალათუ მე გამცნობ, რაცა ჯერ მიჩნდეს შენდა საუწყებლად,
დასჯერდი, რამეთუ ღმერთთაგან პირველი ისმენ ყოველივეს.
უკეთუ ღმერთთაგან მსურს რამე დავფარო, თავათ განეაჩინო,

ამოდ ნუ იღწვი, ვერასგზით შეიტყობ, ნურც დამეკითხები“.

მაშინ მიუგებდა ჰერა დედუფალი კუროსთვალისანი: #

„ჰოი ამაზრუნეთ ძეო კრონოსისავ, ეგ რა სიტყვა ბრძანე!
შენთვის არაოდეს მიკითხავს რაიმე, რაიც არ გენება,
ბჭობაც თავით თვისით გჩვეოდა ოდითგან, ყოვლის აღსრულებაც,
ღღეს კი გული მითქვამს რატომღაც ძალუმად, რომ შენ გაცთუნებდა
ვერცხლისტერფიანი ჭალმერთი თეტისი, მოხუცის ასული,
დილიდან აქ ეგო, მუხლთშემოხვეული გეთათბირებოდა,
ვგონებ, მას დაუკარ ნიშნად თანხმობისა თავი, რომ აქილევესს
მიაგებ პატივს და აქაველთ მხედრობას მოსწყვედ ხომალდებთან.

მაშინ მიუბრუნდა მეუღლეს ზევესი, ღრუბელთამალავი:
„ჰე საწყალბებლო, მარადის ქენჯნილო და იჭვით სნეულო,
ვერასგზით შევიძელ შენგან განრინება, გარნა ველარას იქმ,
ეგრეც ყოფილიყო, როგორაც შენ უბნობ, ეგ ჩემი ნებაა,
გირჩევ მშვიდად იყო და დაემორჩილო ჩემს ნაბრძანს უსიტყვოდ,
თორემ ვერ დაგჩხნის ოლიმპოს უკვდავთა ღმერთთა ტაძრეული,
ჩემთა უძლეველთა მკლავთაგან ვერასგზით, გახსოვდეს ბედკრულო!“

რქვა მან და შეძრწუნდა ჰერა კუროსთვალა, დადრკა შიშნეული,
გულათრთოლებულმან ადგილს მიაშურა თვისას და დაბრძანდა,
დამწუხრდნენ უკვდავნი ღმერთნი, მსხდომარენი ზევესის დაბრაზონში,
მაშინ ხელოვანი ჰეფესტო აღსდგა და იზრახა პირველმან,
სურდა დედის თვისის, თეთრმკლავება ჰერას გულის დაამება:
„დიდად სამწუხარო მოგველის ამბაჩი, გეტყვით ჭეშმარიტად,
უკეთუ თქვენ ორნი მოკვდავთა მიზეზით დაიწყებთ ცილობას,
ხომ აიშლებიან მაშინ ღმერთებიცა, ნადიმიც წარსდება,
შვებაც განქარდება, ოდეს დაივანებს შუღლი და მტერობა.
მე დედას ვურჩევდი, თუმცადა ბრძენია და მალლადმხედია,
მამას აამებდეს ამჯერად აღერსით და კვლავინდებურად
ნუღარ განარისხებს, ნუღარ ჩაგვაშხამებს სერობის სიამეს,
რამეთუ ოლიმპოს მრისხანე მესთამტეხს ძალუმს ყოველივე,
უკეთუ ისურვებს დაგვამხოზს ყოველთა, რამეთუ ძლიერ არს.
აწ მიუალერსე, დაუცხრე კეთილის სიტყვით მრისხანება,
რათა კვლავ მოგვხედოს ოლიმპოს მპყრობელმან წყალობის თვალთა“.

ესრეთ რქვა ჰეფესტომ, აღსდგა და აღმართა მარჯბივი სასმისი,
თავის სათაყვანო დედას გაუწოდა და აგრე ეტყოდა:
„დედავ სანუკველო, სევედა განიყარე, იქმენ მხიარული,
არა მსურს გიხილონ აწ ჩემმა თვალებმა სასტიკად გვემული,
რამეთუ მწუობას შენსას ვერ შევიძლებ, თუმც გული დამეწვის,
ოლიმპოს ბრძანებელს ვერავინ შეგბედოს ქვეყნად შერკინება!
მასხოვს, მოვისურვე ერთ დროს, კადნიერემა, შენი განრინება,
ფეძში მწვდა მრისხანე, გამტყორცნა ზეციურ საუფლოს ზღურბლიდან,
მთელი დღე ვიფრინე და როს მოაწია ჭამმან მიმწუხრისამ,
ლემნოსის შორეულ კუნძულზე დავვარდი ბოლოს სულთმობრძავი,
კაცთა სინტიელთა მუნ შემვივრდომეს და მომასულიერეს“.

რქვა მან და ღიმილი დაეტყო სახეზე ჰერას თეთრმკლავებას,
თასი ჩამოართვა ვაჟს პირმოციწინარემ, მანაც დაუარა
მარჯვნიდან დანარჩენ ღმერთებს სათითაოდ, ყველას ჩამოუსხა,
ღღდის სამწუხურით საამო ნექტარი, ღმერთების სასმელი.

საქართველოს
განათლების

შერმე ახარხარდნენ ნეტარი ღმერთები დარბაზში ხმამაღლა,
 როდესაც ჰეფესტომ ხელში სამწვეურით დაიწყო ფუსფუსი.
 ამრიგად ღრუობდნენ, მზის გადაწვერამდის არ შეწყდა ნადიმი,
 ვველა იხარებდა დიდად და იშვებდა, სერობდნენ ღმერთები,
 მუნვე აპოლონის ქნარი ჯადოსნური სმენას დაატკობდა,
 მუზათა ხმამწობრი გალობა ისმოდა გულისწარმტყვეველი,
 და როს მიიღია ცაზე ჰელიოსის ნათელი ბრწყინვალე,
 ყველამ მიაშურეს თავიანთ სრა-სადგომთ განსასვენებელად,
 რომელნიც ჰეფესტომ, ხელოვან-მხატვარმან, სიმარჯვით ქებულმან,
 ალაგო ღმერთთათვის, რათა თითოეულს ჰქონოდა სადგომი.
 აღსდგა თვით ზევესი ელვათამბყრობელი, საწოლს მიაშურა,
 სად განისვენებდა იგი ღამლამობით, აღვიდა საწოლზე,
 და ღრმა ძილს მიეცა, ჰერაც მასთან ეგო, ოქროსსაყდროსანი.

ძველბერძნულიდან თარგმანა, ჯვიალ გამსახურაძემ.



თავისუფალ ერთადერთ ქვეყნად ქვეყნი

1936 წლის

ქართული და ჩრდილო კავკასიის ხალხების
რევოლუციური თანამეგობრობის საკითხი
ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში

კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციურმა თანამეგობრობამ. ამ საბრძოლო თანამეგობრობის შესწავლა საბჭოთა ისტორიული მკვლევების საპატიო ამოცანაა.

ჩრდილო კავკასიაში დღეიდან თვითგვარდელი ბანდების განადგურებით დამთავრდა ჩრდილო კავკასიის ხალხების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ეს გამარჯვება მოპოვებული იქნა რუს და სხვა მოძვე ხალხებთან ერთად ბრძოლით.

ახლა საჭირო იყო ამ ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. ჩრდილო კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა, ხოლო შემდეგ რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გააჩაღეს ამ მიმართებით.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნელეებთან: ჯერ ერთი, სამოქალაქო ომმა, რომელიც რამდენიმე წელს მიმდინარეობდა, ჩრდილო კავკასიას მოუტანა ნგრევა და გამარტახება. 45-მდე სოფელი დანგრეულ იქნა, 60000-ზე მეტი ოჯახი უსახლკაროდ, შიმველი და მშვირი დარჩა.¹

ჩრდილო კავკასიის სინამდვილე ბრწყინვალე ილუსტრაცია იყო ლენინის დებულებისა იმის

შესახებ, რომ ჩამორჩენილ რაიონებში უფრო ადვილია რევოლუციის მოხდენა, ექსპლოატორთა ხელისუფლების დამხობა, ვიდრე ახალი ხელისუფლების აშენება და განმტკიცება.²

ჩრდილო კავკასიის ხალხებს დახმარების ხელი გამოუწოდა საბჭოთა რუსეთმა, კომუნისტურმა პარტიამ და პირადად ვ. ი. ლენინმა. მხედველობაში იღებდა რა იმ სპეციფიკას, რაც დაღესტანს ახასიათებდა, ვ. ი. ლენინი 1920 წლის 2 აპრილს ს. ორჯონიკიძეს წერდა: «Еще раз прошу действовать осторожно и особенно проявить максимум доброжелательности к мусульманам, особенно при вступлении в Дагестан. Всячески демонстрируйте и притом самым торжественным образом симпатии к мусульманам, их автономию, независимость и прочее»³.

რკპ (ბ) დაღესტნის საოლქო კომიტეტი და დაღესტნის რევკომი წარმართავდნენ დაღესტნელი ხალხების ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელმაც ამ დროს წამოაყვო თავი დაღესტანში.

კონტრრევოლუციური და ნაციონალისტური ელემენტები, რომლებმაც თავი წამოაყვეს ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ახალ გეგმებს აწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ ის კონტრრევოლუციური ძალები, რომლებიც დაღესტანში მოქმედებდნენ.

¹ Разгон И. Мелчин А., Борьба за власть Советов в Дагестане (1917—1921 гг.), Махачкала, 1945, стр. 109.

² Ленинский сборник, т. 34, стр. 291.

³ В. И. Ленин, Полное собрание сочинений, 5 изд., т. 51, стр. 175.



მენშევიკური საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდებოდა დაღესტნელ კონტრრევოლუციონერთა რაზმები, რომლებსაც ყოველგვარ დახმარებას უწყვედნენ როგორც ანტანტის იმპერიალისტები, ისე ვრანკელი და საქართველოს მენშევიკური მთავრობა. კონტრრევოლუციური ამბოხების დაღესტანში, რომელიც 1920 წ. სექტემბერში დაიწყო, სათავეში ედგა ნ. გოცინსკი. იგი ისტორიაში ენობილია „მოთებში აჯანყების“ სახელწოდებით. ბრძოლა დაღესტანში კონტრრევოლუციური ამბოხების ჩასახშობად და მისი საბოლოო განადგურებისათვის თითქმის 8 თვის გაგრძელდა.

ანტისამბოხთა ამბოხებები მოეწყო აგრეთვე ყუბანში, თერგის ოლქსა და აზერბაიჯანში.

დაღესტანში ანტისამბოხთა ამბოხების მოთავეები იმედოვნებდნენ, რომ ეს ამბოხება საბოლოო გაშში მოიცავდა მთელს დაღესტანს და შემდეგ გავრცელდებოდა მთელს ჩრდილო კავკასიაში.

გოცინსკის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოყალიბდა პარტიზანული რაზმები, რომლებიც 10000 კაცს აერთიანებდა. პარტიზანული რაზმების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა არა მარტო ფრონტზე გამარჯვებისათვის, არამედ მოსახლეობაზე გავლენის მოსახდენად. ისინი დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობის ფართო მასებს შორის⁴. დაღესტნელ კომუნისტთა 75 პროცენტზე მეტი მოზილიზებული იყვნენ გოცინსკის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაღესტნელი ხალხების ბრძოლას ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) დაღესტნის საოლქო ბიურო. მთელს პარტიულ მუშაობას ჩრდილო კავკასიაში ხელმძღვანელობას უწყველად რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, ხოლო 1920 წლის აპრილიდან — რკპ (ბ), ცკ-ის კავკასიის ბიუროს ს. ორჯონიკიძის, ს. კირაფის, მ. ორაბელაშვილის და სხვათა შემადგენლობით.

გოცინსკის წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებდა ოლხენგით „შორის ყველაფერი რუსული“, აღსდგა დაღესტნელი ხალხი.

პარტია ეხმარებოდა დაღესტნის პარტიულ ორგანიზაციას კადრებით და ხელმძღვანელობდა ადგილებზე სამბოხთა ხელისუფლების ორგანოების შექმნას და განმტკიცებას. დაღესტანში გაიგზავნა პარტიულ და სამბოხთა მუშაკთა დიდი ჯგუფი. წითელი არმიიდან მთებში სამუდამოდ დემობილიზებულ იქნა დაღესტნელი ხალხების 150 წარმომადგენელი⁵.

გოცინსკის ბანდების წინააღმდეგ რევოლუციურ ძალთა მობილიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა დაღესტნელი ხალხების პირველმა საგანგებო ყრილობამ, რომელიც შედგა 1920 წ. 13 ნოემბერს თემირ-ხან-შურაში. ამ ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე. ი. სტალინმა პარტიის ცკ-ისა და სამბოხთა მთავრობის სახელით გამოაცხადა დაღესტნის სამბოხთა ავტონომიის შექმნა.

გოცინსკის ბანდების განადგურებაში დიდი როლი ითამაშა შაბათობების მოწყობამ, „მთიელ ლაიხთა ერთიეურის“ ჩატარებამ.

ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური ძალების განადგურებასა და სამბოხთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ქონდა საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დაცემას. საქართველოში სამბოხთა ხელისუფლების გამარჯვებას⁶ აღფრთოვანებული შეხედნენ ჩრდილო კავკასიის ხალხები. ქალაქებში, აულებში და აგრეთვე ფრონტზე მეომართა შორის ტარდებოდა მიტინგები და კრებები, რომლებიც მიძღვნილი იყო ამ გამარჯვებისადმი⁷.

კონტრრევოლუციონერი მემამბოხეები, გამოეცალათ რა მატერიალური და მორალური ბაზა მენშევიკური საქართველოს საბოლოო აღმორჩნდნენ სრული განადგურების წინაშე. 1921 წლის მაისისათვის დაღესტანსა და თერგის ოლქში წითელი არმიის ნაწილების დახმარებით მოღიანად იქნენ განადგურებული კონტრრევოლუციური ბანდების ნარჩენები. ეს იყო არა მარტო წმინდა სამხედრო გამარჯვება, არამედ ეს იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და სამბოხთა ხელისუფლების გამარჯვება, მშრომელ მთიელთა გამარჯვება. ეს იყო დაღესტნის მთებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

დიდი მუშაობა გაჩაღდა აგრეთვე თერგის ოლქში (ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩეჩნეთი-ინგუშეთი) სამბოხთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

სერიოზულ დაბრკოლებას სამბოხთა ხელისუფლების განმტკიცების გზაზე წარმოადგენდა ბანდიტიზმი. რეკომენდმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, გურდნობოდნენ რა მშრომელ მასებს, გადაწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს შეიარაღებული კონტრრევოლუციური ბანდების ნარჩენებთან.

⁶ Вагабов М. В., Борьба партийной организации Дагестана за интернациональное единство трудящихся в годы гражданской войны, Махачкала, 1967, стр. 224.

⁷ Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане (под редакцией Г. А. Аликберова), Махачкала, 1960, стр. 559.

⁴ Вагабов М. В., Партизанское движение в Дагестане, Махачкала, 1959, стр. 92.

⁵ Октябрьская революция и решение национального вопроса в Дагестане, Махачкала, 1967, стр. 60.

თერგვარდიელთა განადგურებული ბანდების ნარჩენებისაგან, რომელთაც შეუერთდა კაზაკობის ნაწილი, შეიქმნა ბანდითა ახალი რაზმები. გიზელის მახლობლად მოქმედებდნენ გოლიევის, ტუვანოვის, ვანიევის ბანდები, ხოლო ალაგორის ხეობაში — პოლკ. ჯანაიევის, ზაშაყელის რაიონში — პოლკ. კოჩისოვის ბანდები. ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ აგრეთვე პოლკოვნიკების ბროტოვის, პასიუვის და სხვათა ბანდები. ვრანკელის არმიის შტაბისადმი გენ. მელიქოვის მოხსენებშია იტყობა, რომ თერგვის ოლქში მოქმედი სხვადასხვა ბანდები 5000 კაცს ითვლიდა⁸.

ამ კონტრრევოლუციურ ბანდებს სისტემატურ დახმარებას უწევდა მენშევიკურ საქართველოს მთავრობა. რსფსრ-ს სამხედრო ატაშე მენშევიკურ საქართველოში არაერთგზის ატყობინებდა ს. კირიოსსა და რსფსრ სავარტო საქმეთა სხაბო კომისარს გ. ჩინჩინს, რომ საქართველოს ხელისუფალნი რეალურ დახმარებას უწევენ ოსეთსა და ინგუშეთში ანტისაბჭოთა აჯანყებებს, ამარაბებენ მათ აუცილებელი იარაღით⁹.

კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა სხაბო მილიციის შექმნამ და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებმა (ЧОН). თერგვის ოლქში ამ დროს ბანდითში ატარებდა აშკარა პოლიტიკურ ხასიათს. მისი მიზანი იყო ხელი შეეშალა სოციალიზმის მშენებლობაში მთიელი მოსახლეობის ჩაბმაში. ბანდითში სავარძლო ზიანს აყენებდა მთიელთა რესპუბლიკის ეკონომიკას. 1921 წლის 18 მაისს მთიელთა ასსრ-ის სხაბო კომისართა საბჭოს დეკრეტით ბანდითშიდან საბრძოლველად შეიქმნა საგანგებო ცენტრალური კომისია¹⁰.

ჩრდილო კავკასიაში მოქმედ ბანდებს კავშირი ჭონდათ პარიზში არსებულ ე. წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის ხალხების კავშირთან“, რომელშიც შევიდნენ ქართველი მენშევიკები, სომეხი დამნაყები, მუსავატელები, ყუბანისა და თერგვის კაზაკი „დემოკრატები“, მთიელი თავადები და სხვა ანტიხალხური ელემენტები, რომლებიც გაჟვებულ იქნენ კავკასიიდან. ეს „კავშირი“ მოუწოდებდა ყველა მიმართულების ბანდითურ რაზმებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაკენ, რათა ხე-

ლი შეეშალათ მშვიდობიანი მშენებლობისათვის. 11.

პოლიტიკური ბანდითში ჩრდილო ოსეთში-ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. რაც შეეხება სისხლის-სამართლის დამნაშავეობას, იგი სულ უფრო და უფრო კარგავდა თავის ფებქვეშ ნიადაგს. ყაბარდოსა და ბალყარეთის ბევრ რაიონში, მათ შორის ნაღიჩში, მოქმედებდნენ თერთ-გვარდიულ-ნაციონალისტური რაზმები. ამ ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა სპეციალური ორგანო («Военное совещание»). მილიციაში სამუშაოდ პარტიულმა ორგანიზაციამ მოზილიზაცია უყო თავისი შემაღდენლობის მეთხედს. გააძლიერეს განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები. წითელი არმიის დახმარებით ყაბარდო-ბალყარეთის შშრომელებმა შესძლეს კონტრრევოლუციური ბანდების განადგურება¹².

კონტრრევოლუციური ბანდები მოქმედებდნენ აგრეთვე ჩენეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე — შატროში, ვედნოში, ურუს-მარტანში, ზღლისში, ზაკან იურტში, სლუპკოვსკოში, ასინოვსკოში და სხვ.¹³ 1920 წ. ოქტომბერში კაზაკთა სტანიცებში — კალინოვსკოში, ერმოლოვსკოში, მიხაილოვსკოში, ზაკან იურტში და სამაქინსში იფეთქა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულმა ამბოხებებმა¹⁴. მაგრამ მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა კაზაკ შშრომელებს შორის და მალე იქნა ჩახშობილი.

ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური ბანდების განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს სერჯო ორჯონიკიძე უწევდა ხელმძღვანელობას.

ამგვარად, ჩრდილო კავკასიის შშრომელებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთისა და პირადად ვ. ი. ლენინის დახმარების შედეგად, საბოლოოდ გაანადგურეს კონტრრევოლუციური ბანდების ნარჩენები ჩრდილო კავკასიაში და შეუდგნენ ახალი სოციალისტური ცხოვრების შენებას.

¹¹ Кулов С. Д. Из истории классовой борьбы в Северной Осетии (1920—1924 гг.), Орджоникидзе, 1964, стр. 37.

¹² Очерки истории Кабардино-Балкарской организации КПСС, Нальчик, 1971, стр. 80.

¹³ Очерки истории Чечено-Ингушской АССР (1917—1965 гг.), т. II, макет, Грозный, 1967, стр. 124.

¹⁴ ЦГАЧИ АССР, ф. 79, оп. I, ед. хр. 307, л. 15, 16.

⁸ История Северо-Осетинской АССР, Советский период, Орджоникидзе, 1966, стр. 115.

⁹ ЦГАОР Грузинской ССР, ф. 62, оп. I, д. I, л. 124.

¹⁰ Кулов С. Д., Из истории классовой борьбы в Северной Осетии (1920—1924 гг.), Орджоникидзе, 1964, стр. 29—30.

ანბონ ლეჟამა

პართიული და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამებრძობა

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ პარტიის წინაშე დასვა პრაქტიკული პრობლემა განაპირა რაიონების ნაციონალური მოწყობის შესახებ. პარტიის ნაციონალური პოლიტიკის მთავარ საკითხს მაშინ წარმოადგენდა საკითხი სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თვითგამორკვევისა და მათთვის საბჭოთა ავტონომიის მინიჭების შესახებ.

1920 წლის ოქტომბერში რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტიბიურომ განიხილა საკითხი „ამოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში რკპ (ბ) ამოცანების შესახებ“ და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის პროექტიც დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ — «Признать необходимым проведение в жизнь автономии, в соответствующих конкретных условиях форм, для тех восточных национальностей, которые не имеют еще автономных учреждений»¹⁵.

1920 წლის 27 ოქტომბერს ელადიკავკაში დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირის დაწყებამდე რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმმა განიხილა საკითხი „მთიელთა ავტონომიის შესახებ“. ეყრდნობოდა რა რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტიბიუროს დადგენილებას, მან „დროულად ჩათვალა ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტიპის თერგისა და დაღესტნის მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა“¹⁶.

ჩრდილო კავკასიაში ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის ცხოვრებაში გასატარებლად კავკასიაში გამოგზავნილ იქნა ი. სტალინი. რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ ი. სტალინის მოწვევით განიხილა ჩრდილო კავკასიის ხალხების ავტონომიის საკითხი და 1920 წ. 27 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება: „რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტიბიუროს ა. წ. 14 ოქტომბრის დადგენილებათა საფუძველზე ადგილებში, რომლებიც დასახლებული არიან ამოსავლეთის ხალხებით რკპ (ბ) ამოცანების შესახებ, კავბიურომ დროულად მიიჩნია თერგისა და დაღესტნის მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა“¹⁷.

რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურომ თავისი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად შეიტანა რკპ (ბ) ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე. გადაწყვეტა მოწვეულიყო დაღესტნისა და თერგის ოლქის ხალხების ყრილობები. დაღესტანში ყველა ხელმძღვანელი ამხანაგი როდი უპერდა

მხარს ამ გადაწყვეტილებას. დაღესტნის ავტონომიის მოწინააღმდეგეებს პასუხად 1920 წ. 13 ნოემბერს მოწვეულმა პარტიული აქტივის კრებამ. იმავე დღეს თემირ-ხან-შურაში გაიხსნა დაღესტნის ხალხების სავანებო ყრილობა, რომელსაც 300-მდე დღეგატი ესწრებოდა. ყრილობაზე პარტიის ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის სახელით დაღესტნის საბჭოთა ავტონომია გამოცხადდა რსფსრ ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისარმა ი. ბ. სტალინმა. ეს ნიშნავდა დაღესტნელი ხალხების ცხოვრებაში ახალი ერის დაწყებას. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ს. ორგანიცი, რომელმაც მიუღო ცკ დაღესტნელ ხალხს მათთვის საბჭოთა ავტონომიის მინიჭება.

1921 წ. 20 იანვარს რსფსრ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც დააქონდა დაღესტნის ასსრ-ს შექმნა.

ჩრდილო კავკასიის ხალხების შემჭიდროვებასა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტნისა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიის გამოცხადებას.

სავარაუდოდ განამტკიცა რა თავისი რიგები, ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწყო მხადება რეკომენდიან საბჭოებზე გადასასულელად. მათშივედა იმის აუცილებლობა, რომ მთელი ძალაუფლება გადაეცათ პროლეტარიატის დიქტატურის მუდმივმოქმედი ორგანოებისათვის — საბჭოებისათვის.

1921 წლის 1 დეკემბერს ბუიანკსკში გაიხსნა სრულიად დაღესტნის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობა. ამ ყრილობაზე დადგინდა იქნა შეფასებული დაღესტნის რეკომების მოღვაწეობა. ყრილობაზე მიღებულ იქნა დაღესტნის ასსრ-ის კონსტიტუცია.

რეკომებიდან საბჭოებზე გადასვლა ნიშნავდა დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრას. იგი მზერვალედ მიესალმა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნას, დიდ დახმარებას უწყევდა მათს განმტკიცებასა და განვითარებას.

ვ. ი. ლენინი 1921 წლის 14 აპრილს თავის წერილში „ზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“, ურჩევდა მათ განვითარებინათ საბჭოთა ხელისუფლება და არავითარ შემთხვევაში არ მიემართათ რუსეთის კომუნისტების ტაქტიკის შაბლონურად გადაღებისათვის და დაბეჭითობით ურჩევდა „обдуманно видоизменить ее применительно к различно конкретных условий... более медленный, более осторожный, более систематический переход, — вот что возможно и необходимо для республик Кавказа, в от-

¹⁵ Ж. «Вопросы истории КПСС», 1958, № 2, стр. 17.

¹⁶ Архив Ростовского обкома КПСС, ф. Кавбюро ЦК РКП(б), д. I, св. I, л. 5.

¹⁷ ЦГА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 17, оп. 2, д. 232, л. 3.



лично от РСФСР. Вот что надо понять и уметь осуществить в отличие от нашей тактики»¹⁸.

დალესტინისათვის ავტონომიის მინიჭების შემდეგ დალესტინის პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა გააჩაღა მტრის წინააღმდეგ ყველა რევოლუციურ ძალთა მობილიზაციისათვის. უფრო გააქტიურდნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დალესტინელი მშრომელები.

1920 წლის 17 ნოემბერს ვლადიკავკაზში გაიხსნა თერჯის ოლქის ხალხების ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ მთიელი ხალხების 500-ზე მეტი დელეგატი (ყარაიიდან, ყაბარდოდან, ბალყარეთიდან, ოსეთიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან), ქალაქები — გროზნოსა და ვლადიკავკაჟის და მშრომელი კაზაკების წარმომადგენლები. ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ და ს. კიროვმა. ყრილობაზე გამოცხადდა მთიელთა ასსრ-ის შექმნა.

სრულიად რუსეთის ცაჟ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისარმა ი. სტალინმა გამოაცხადა მთიელთა ასსრ-ის შექმნა. იგი მოხსენებით გამოვიდა მთიელთა ავტონომიის შექმნის შესახებ, სადაც ამბობდა: «Автономия должна вас научить ходить на своих собственных ногах. — в этом цель автономии»¹⁹.

მთიელი ხალხების წარმომადგენლებმა მშრომელთა სახელით დიკი დასდეს, რომ იბრძობდნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

მთიელთა ასსრ-ის გამოცხადება იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტი. მთიელთა ავტონომიის წინააღმდეგ გალაშქრეს ადგილობრივმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა, ფეოდალურ-კლერიკალურმა ძალებმა და მენშევიკებისა და ესერების ნარჩენებმა. ისინი მოითხოვდნენ რსფსრ-საგან გამოყოფას და „ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის შექმნას“. თერჯის ოლქის კომუნისტებმა ს. კიროვის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარეს მასებში მშრომელი ხალხის მტრების გამოსაშვარავებლად²⁰.

1921 წლის 20 იანვარს სრულიად რუსეთის ცაჟ-მა გამოსცა დეკრეტი მთიელთა ასსრ-ის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში

ნაციონალური ოლქების საბით შეყრტილნი ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო, ბალყარეთი, სუბკასპის ჩაი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, სუნჯის ოლქი კაზაკი მოსახლეობით; ქალაქები ვლადიკავკაჟი (მთიელთა ასსრ-ის დედაქალაქი) და გროზნო წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს და უშუალოდ ემორჩილებოდნენ მთიელთა ასსრ-ს²¹.

1921 წლის 16-22 აპრილს ჩატარდა საბჭოების დამფუძნებელი ყრილობა ს. კიროვის ხელმძღვანელობით. ყრილობაზე არჩეულ იქნა მთიელთა რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები — მთიელთა რესპუბლიკის ცაჟ-ი და სახალხო კომისართა საბჭო.

იყვენ რა გაერთიანებული ერთ ავტონომიაში, ჩრდილო კავკასიის მთიელები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენასა და კულტურის ამაღლებაში. ურთიერთხმარაქვერა და დახმარება ზრდიდა მთიელებს ინტერნაციონალური სელისკვეთებით, უფრო განამტკიცებდა მათ კავშირს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობასთან.

სამეურნეო და კულტურის განვითარების შემდგომში ინტერესებმა, რსფსრ-სთან უფრო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ინტერესებმა მალე დასვეს დღის წესრიგში საკითხი მთიელთა ასსრ-დან ყაბარდოს და ბალყარეთის ცალკე დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფის შესახებ. საოლქო პარტიული კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის გადაწყვეტილებების შედეგად მოწვეულ იქნა ყაბარდოს ოლქის საბჭოების IV ყრილობა (1921 წ. 11-13 ივლისი), რომელმაც ერთმანდალია ყაბარდოს ავტონომიური ოლქის შექმნის აუცილებლობა.

1921 წ. სექტემბერში რსფსრ-ს ცაჟ-მა მიიღო დეკრეტი მთიელთა რესპუბლიკიდან ყაბარდოს გამოყოფისა და ყაბარდოს ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წ. 16 იანვარს სრულიად რუსეთის ცაჟ-ის დადგენილებით მთიელთა რესპუბლიკას გამოეყო ბალყარეთი, ხოლო 1922 წ. დეკემბერში საბჭოების საოლქო ყრილობამ საბოლოოდ გააფორმა ერთიან ავტონომიურ ოლქად ყაბარდოსა და ბალყარეთის გაერთიანება.

1922 წლის 30 ნოემბერს მთიელთა რესპუბლიკას გამოეყო ჩეჩნეთი დამოუკიდებელ ავტონომიურ ოლქად.

1924 წ. 7 ივლისს სრულიად რუსეთის ცაჟ-მა

²¹ История Северо-Осетинской АССР, Советский период, стр. 138—139.

ანბონ ლეჟანა

ქართული და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამებობობა

¹⁸ В. И. Ленин, т. 43, стр. 198—199.

¹⁹ И. В. Сталин, Соч., т. 4, стр. 406.

²⁰ Рехвиашвили И. И., Осуществление ленинской национальной политики в горской республике (1920—1924 гг.), Автореферат диссертации на соискание ученой степени, кандидата исторических наук, Орджоникидзе, 1967, стр. 9.



თავის დეკრეტით, საბჭოთა სახელმწიფოებრივი მართვის საქმეში მშრომელთა ფართო მასების უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით გააუქმა მთელთა რესპუბლიკა და შექმნა რსეთისა და ინგუში ხალხების ავტონომიური ოლქები²².

ჩვენი ქვეყნის მცირე ხალხების ეროვნული სახელმწიფოებრიობის სწრაფ გაფორმებაში ვ. ი. ლენინი ზედავდა კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ გამარჯვებას. «Мы дали, — писал он, — всем нерусским национальностям их собственные республики или автономные области»²³.

ამგვარად, მთიელთა ასსრ-მ თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე გააერთიანა თერგის ოლქის ხალხების ეროვნობითი და პოლიტიკური რესურსები და განამტკიცა მათ შორის თანამშრომლობა და მეგობრობა. მთიელთა ასსრ-მ თავის მხრივ ერთგვარად მოამზადა პირობები მთიელი ხალხების — ოსების, ყაბარდოელების, ბალყარელების, ჩეჩნების, ინგუშებისა და ყარაჩაელთა ნაციონალური ავტონომიის შექმნა. 1921-1924 წ.წ. ჩრდილო კავკასიაში შეიქმნა 6 ავტონომიური ოლქი. ეს იყო ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი გამარჯვება.

1936 წ. 5 დეკემბერს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ამ კონსტიტუციის 22-ე მუხლის საფუძველზე ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ჩრდილო ოსეთის ასსრ-ად, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი — ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ად, ხოლო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ად.

• • •

ჩრდილო კავკასიის ხალხებმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში მნიშვნელოვანი რევოლუციური დახმარება მიიღეს საბჭოთა რუსეთის, ამიერკავკასიისა და საბჭოთა ბავოსიდან.

ჩრდილო კავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწყევდნენ საქართველოს მშრომელები. მრავალი ქართველი რევოლუციონერი იღებდა ამ ბრძოლაში მონაწილეობას. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ვ. კ. ორჯონიძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩრდილო

კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეს.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ საჭირო იყო კავკასიისა და ყუბანში კონტრრევოლუციური ბანდების უმოკლეს ვადებში განადგურება და მას ეს მოიწინადა «ახსოვლტურად საეროოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმელ»²⁴. კავბიური ს. ორჯონიძის ხელმძღვანელობით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ პრობლემას. იგი არაერთხელ ჩავიდა დაღესტანში (ჩაატარა პასუხისმგებელ მუშაკთა და დღესტანულ ღარიბთა თათბირები, პარტიულ ორგანიზაციის აძლევდა კონკრეტულ მითითებებს), 1920 წ. 6 ოქტომბერს ს. ორჯონიძემ კვლავ ჩავიდა დაღესტანში, რათა ადგილზე გარკვეულიყო დაღესტანში არსებულ ვითარებაში, გამოეწერებინა როგორც ადგილობრივ მუშაკთა, ისე სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა და მოეხდინა ყველა ძალის მობილიზაცია მტრის განადგურებლად.

ს. ორჯონიძემ მონაწილეობა მიიღო 9 ოქტომბერს სოფ. ლევაში ღარიბობის წარმომადგენელთა ყრილობის მუშაობაში. აქ იგი გამოვიდა სიტყვით, სადაც მთიელებს განუმარტა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები. იგი მიუთითებდა, რომ მათი მთავარი ამოცანა მთიელთა თავისუფლებისა და უფლებების დაცვა მშრომელი ხალხის მტრების ხელყოფისაგან²⁵.

1920 წლის 13 ნოემბერს თემირ-ხან-შურაში შეიკრიბა დაღესტნელი ხალხების საგანგებო ყრილობა, რომელმაც დაღესტნელ ხალხებს მოუწოდა სასწრაფოდ ჩაეშობთ კონტრრევოლუციური აჯანყება მთებში და მთელი ძალები გადაესროლათ დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ამ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ს. ორჯონიძემ. მან დაღესტნელ ხალხს მოულოცა დაღესტნის ავტონომიის გამოცხადება. 17 ნოემბერს კი ს. ორჯონიძემ გამოვიდა ვლადიკავკაში თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაზე და მიესალმა მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას.

მენშევიკების ხელისუფლების დაცემას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ქონდა კონტრრევოლუციურ ძალთა განადგურებასა და კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. მეამბოხეებმა დაკარგეს თავისი მატერიალური და იდეოლოგიური ბაზა. «დაღესტნის ავანტიურამ, — წერდა ს. ორჯონიძემ 1921 წლის 8 მარტს, რომელსაც თბილისიდან აღვივებდნენ, მენშევიკური ხელისუფლების დაცემის შემდეგ მყისვე დიწყო დამ-

²² ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 216, ед. хр. 282, л. 70.

²³ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 44, стр. 146.

²⁴ В. И. Ленин, Военная переписка, 1917—1920 гг., М., 1943, стр. 108.

²⁵ История Дагестана, т. III, М., 1968, стр. 125—126.



ზობა გასაოცარი სისწრაფით და ამჟამად იგი თითქმის ლეგიტიმირებულია²⁶.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბ. კვიციანი. იგი სათავეში ედგა თერგის საოლქო რევოლუციურ კომიტეტს, რომელიც შეიქმნა 1920 წ. 8 აპრილს მთელს თერგის ოლქში მტკიცე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად²⁷.

1920 წლის 4 აგვისტოს გაიხსნა საბჭოების საოლქო ყრილობა, სადაც კოსთის, ყაბარდოს, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლებმა, მშრომელი კახაკობის წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამეს საოლქო რევოლუციური მიერ ჩატარებული მუშაობა და აირჩიეს თერგის ოლქის აღმასკომი 18 კაცის შემადგენლობით. აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. კვიციანი, მოადგილეება ნ. გიკალო და ვ. ელერდაშვილი (ელერდოვი)²⁸.

ამ პოსტებზე ყოფნისას ბ. კვიციანი დიდი მუშაობა გასწია თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. საარქივო მასალების სიმცირე საშუალებას არ იძლევა ყველა ქართული რევოლუციონერის ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქსა და დადაღესტანში) მოღვაწეობის სრული სურათის წარმოსადგენად. მაგრამ მათი რევოლუციური საქმიანობის თუნდაც იმ ზომით წარმოდგენა, რის საშუალებასაც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები იძლევიან, უმეპველად სასარგებლო საქმედ მიგვაჩინა.

ქართველმა რევოლუციონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში კონტრარევოლუციური ბანდების წარჩენების საბოლოო განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს რევოლუციების თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რევოლუციურ ხელმძღვანელი პოსტები ეკავით. მაგალითად, საქართველოს რევოლუციის წევრი და საქართველოში კონტრარევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისარია კ. ცინცაძე 1920 წელს იყო თერგის ოლქის რევოლუციის წევრი და თერგის ოლქში კონტრარევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისარია; საქართველოს რევოლუციის წევრი და თბილისის რევოლუციის

თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი 1920 წელს მუშაობდა ვლადიკავკავის საქალაქო რევოლუციის თავმჯდომარედ²⁹. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში თავი გამოიჩინა ილია გომბედაშვილი. იგი აქტიურად მონაწილეობდა მტრისაგან ჩრდილო კავკასიისა და ბაქოს განთავისუფლებაში. ბაქოს განთავისუფლების შემდეგ ილია გომბედაშვილი იგზავნება ყაბარდო-ბალყარეთში ესკადრონის უფროსის პოსტზე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (1924 წლის აგვისტო).

1921 წლის ივნისში პარტიის საოლქო კომიტეტი ილია გომბედაშვილს წინაშე ცხენოსანი რაზმის მეთაურად, რომელიც შეიქმნა ბანდიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მრავალი უძილო ღამე გაატარა ი. გომბედაშვილმა ყაბარდო-ბალყარეთის მთებსა და ტყეებში, ანადგურებდა რა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ნაშთებს.

1917-1922 წლებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის იგი 1967 წელს დაჯილდოვებული იქნა ლენინის ორდენით³⁰.

როგორც ცნობილია, მრავალი ქართველი რევოლუციონერი იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. 1919 წლის თებერვალში, თერგის ოლქის დენიკინელთა მიერ დროებითი დაკავების შემდეგ, ქართველ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი საქართველოში გადმოვიდა. მაგრამ 1920 წლის მარტში ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ბევრი ქართველი რევოლუციონერი კვლავ დაბრუნდა ჩრდილო კავკასიაში და ჩაება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ სერგო გუბელი (მემბარიაშვილი), ვასილ ელერდაშვილი, აკაკი ქავთარაძე, ალექსანდრე (ალექსი) აჰარაული, სიმონ ჭულევი, ნოე ლევაია და მრავალი სხვა.

სერგო გუბელმა ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის დაჯალბებით მოახერხა ბათუმის ანადგურება და წასვლა და კვლავ ჩრდილო კავკასიაში გადასვლა. 1920 წ. აგვისტოში იგი

²⁹ Ахалая И. Д., Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921—март — 1922 гг.), Сухуми, 1968, стр. 16.
³⁰ Газ. «Кабардино-Балканская правда», 1967, 24/X.

²⁶ გ. კ. ორჭონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910-1926 წწ. თბილისი, 1957. გვ. 222

²⁷ Партархив СО обкома КПСС, г. Орджоникидзе, ф. История партии.

²⁸ История Северо-Осетинской АССР, Советский период, Орджоникидзе, 1966, стр. 118—119.

ანბონ ლევაია
ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამებრძოლა

ხელმძღვანელობდა პარტიზანულ რაზმს, რომელიც ვრანგელის ზურგში მოქმედებდა³¹.

პატივობიდან განთავისუფლების შემდეგ ვასილ ელურდავილი გაემგზავრა ვლადიკავკაში, სადაც იგი აირჩიეს თერგის ოლქის საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და პრეზიდიუმის წევრად. 1920 წ. 9 აგვისტოდან 1921 წლის 26 მარტამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგედ³².

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიაში კომკავშირის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი აკაკი ქავთარაძე. იგი 1920 წლის მაისში საქართველოს ფარგლებიდან გადაასახლეს. აკაკი ქავთარაძე გადავიდა ვლადიკავკაში, სადაც მუშაობდა რუსეთის კომკავშირის ვლადიკავკაის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. ამავე დროს იყო რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კავკასიის ბუროს წევრი. ვლადიკავკაიდან იგი დღევანდელ ვაგზანგის კომკავშირის III ყრბოლაზე. 1920 წ. ნოემბერ-დეკემბერში აკაკი ქავთარაძე მუშაობდა პარტიის თერგის საოლქო კომიტეტის მდივნად³³.

ვლადიკავკაის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა ალექსანდრე ყაზარაული, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლაში (შემდეგ იგი მუშაობდა თერგის ოლქის კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ³⁴).

ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე იყო სიმონ ჭულელი. იგი 1920 წლის მაისში გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან და გადავიდა ჩრდილო კავკასიაში. ს. ჭულელი მუშაობდა ვლადიკავკაის პარტიული ბუროს წევრად. იგი აქტიურად ჩაება ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. აქ მან ჩამოაყალიბა მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირი და არჩულ იქნა მენსანაწარის საოლქო კავშირის თავმჯდომარედ, პროფსაბჭოსა და მუშათა და გლეხთა საბჭოს წევრად³⁵.

³¹ რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიული კრებული), თბ., 1961, გვ. 185.

³² ЦГА СО АССР, г. Орджоникидзе, ф. 852, оп. I, д. 62, стр. 1—2.

³³ Архив СОНИИ, ф. 238, папка 82, л. 33.

³⁴ ვ. იმედაძე, ა. ირემაძე, ს. ცქიტიშვილი, რევოლუციის ქართველი ჯარისკაცები, თბ., 1961, გვ. 41-43.

³⁵ ЦПА ИМЛ, ф. 124, оп. I, ед. хр. 585, стр. 8.

კახაკთა თეთრგვარდიული ბანდების ნაწილისაგან ჩრდილო კავკასიის სოფლებში იმყოფებოდა. სტანიცების გაქმენდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნოე ლევაი³⁶.

საინტერესოა ჩრდილო კავკასიაში ალექსანდრე (სანდრო) მახარაძის მოღვაწეობა. სანდრო მახარაძე სათავეში ედგა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმს თერგის ოლქში, რომელთა მუშევრებით კონტრრევოლუციის მრავალი ბუდე იქნა განადგურებული. სანდრო თავდადებით ებრძოდა კონტრრევოლუციონერებს მოზღოის რაიონში. თეთრგვარდიელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1920 წლის 25 ოქტომბერს იგი და მისი მეუღლე ამალია, რომელიც მუდამ სანდროს თანამგზავრი და თანამებრძოლი იყო, გმირულად დაიღუპნენ³⁷.

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილე ქართველ რევოლუციონერთაგან აღსანიშნავია აგრეთვე პ. აღნაიშვილის, შ. ფალავანდიშვილის, ა. კობახიძის, ილია მგელაძის, ვერა ნანიშვილის, ი. წიფეიაძის, გიორგი ჩხეიძის, თამარ მამულაშვილის (დოსხოვე), შალვა წითლიძის და სხვათა მოღვაწეობა. ზოგიერთი მათგანი იმყოფებოდა სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. მაგ., ილია მგელაძე მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში ჯერ ექლენხოვოდსკის რაიონსკომის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ პარტიის პიატიგორსკის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. მისი მეუღლე ნინო მგელაძე კი მუშაობდა ექლენხოვოდსკის პარტიის რაიონის პასუხისმგებელ მდივნად. ერთდროულად იყო საკურორტო სამმართველოს პოლიტიკური კომისარი და მუშაობას ეწეოდა ბავშვთა სახლების ხაზით³⁸.

1920 წლიდან ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა ვერა ნანიშვილი. იგი მუშაობდა პიატიგორსკში სამხარეო საბჭოთა პარტიული სკოლის გამგედ. 1921 წელს იგი გადაყვანილ იქნა დაღესტანში ქალთა განყოფილების გამგედ და დაღესტნის სამხარეო კომიტეტის წევრად³⁹.

შალვა წითლიძე 1920 წლის აგვისტოში, რათა თავი აერიდებინა მენშევიკური მთავრობის მხრივ დევნისათვის, სოხუმის საოლქო კომიტეტის ნებართვით გადავიდა ტუაფსეში, სადაც მუშაობდა 1920 წლის ბოლომდე პარტიულ კო-

³⁶ რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 359.

³⁷ მ. ტრასკუნოვი, შეთერთმეტე წითელი არმიის სახელოვანი გზა, თბ., 1960, გვ. 69.

³⁸ Государственный архив Ставропольского края, ф. 1919 оп. I, д. 167, стр. 2—4.

³⁹ ЦПА ИМЛ, ф. 124, оп. I, ед. хр. 1362, л. 7.



მიტრტი, სოფლად მუშაობის განყოფილების გამგედ⁴⁰.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ქ. ვლადიკავკაში იყო გიორგი ჩხეიძე⁴¹.

დიდ მუშაობას ეწეოდა ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს მთიანეთში (ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში) შაქრო ფალავანდიშვილი⁴².

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მთელ ქალთა შორის წერა-კითხვისა და კულტურის შეტანის საქმეში დიდ მუშაობას ეწეოდა თამარ მამულაშვილი⁴³.

ასეთია ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქსა და დაღესტანში) საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის არასრული სურათი.

ჩრდილო კავკასიის ხალხებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მშრომლები. როდესაც ჩრდილო კავკასიაში საბოლოოდ გამარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ (1920 წ. მარტი), მათ მეგობრული დახმარების ხელი გამოუწოდეს საქართველოს მშრომლებს, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდნენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

1921 წლის დასაწყისისათვის ჩრდილო ოსეთში იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთიდან გადასული მშრომლები, რომლებიც გამოექცნენ მენშევიკების ტერორს. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მათი სამშობლოში დაბრუნება შეიძლებოდა მხოლოდ საქართველოდან ინტერვენტების განდევნისა და მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემდეგ.

თერგის მხარის მშრომლები დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ დახმარება აღმოეჩინათ არა მარტო თავისი ძმებისათვის სამხრეთ ოსეთიდან, არამედ საქართველოს ყველა მშრომლებისათვის იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ამიტომ 1921 წლის ზამთარში, როდესაც საქართველოში დაიწყო მუშათა და გლეხთა უკუელაო აჯანყება, რომელიც მიმართული იყო უცხოელი ინტერვენტებისა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის აჯანყებულთა და დევნილთა მხარდამხარ ჩაებნენ თერგის ოლქის ხალხები. მაგ., დიგორის (ჩრდილო ოსეთი) მშრომლებმა დახმარება აღმოეჩინეს საქართველოს მშრომლებს, კერძოდ რაჰას. 1921 წელს დიგორია გამოეხატა რაჰის მახრის თხოვნის აღმოეჩინათ დახმარება იმ ბრძოლაში, რომელსაც მახრის გლეხები ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ.

დახმარების აღმოჩენის ორგანიზატორი იყო ძანდარ ტაკოევი. მან მალე ჩამოაყალიბა 300 მეომრისაგან შემდგარი „დიგორის რევოლუციური რაზმი“ და გიორგი ელვაკოეთან (რაზმის პოლიტბელმძღვანელი) ერთად გაემართნენ საქართველოს მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. რაზმმა მკაცრი ზამთრის პირობებში შესძლო გადასულიყო დიგორიდან რაჰაში ღების ვადასასულეთ (300 კაციდან გადავიდა შესძლო მხოლოდ 145 კაცი)⁴⁴. რაჰველი გლეხები მზურვალედ მიესალმნენ თავის კლასობრივ ძმებს ჩრდილოეთ კავკასიიდან. დიგორის რაზმში, ვარდა ოსი მეგრბოლებისა, იყვნენ მეომრებიც ყაბარღო-ბალყარეთიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა ეთნობებიდან, მათ შორის ქართველებიც.

ამ რაზმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ს. მ. კიროვმა ნალჩიკიდან ელადიკავკაში გამოიხანა მიხა ლაში, კანდლ გობედაშვილი, ილიკო ვობედაშვილი, ილიკო ლობჯანიძე, ანგი ელბაქიძე, ჩვენთან ერთად იყვნენ ძანდარ ტაკოევი და გიორგი ელვაკოევი, — ივონებს კანდლი ვობედაშვილი. — ს. კიროვმა მათ გააცნო მენშევიკურ საქართველოში არსებული მდგომარეობა. ჩვენ დაგვევალა ყოფილ ორ წითელპარტიზანთაგან ჩამოგვეყალიბებინა რაზმი და დიგორის (ღების) ვადასასულეთით გადასულიყავით საქართველოში. ჩვენი ამოცანა იყო დაგვეყავებინა სოფ. ღები, ქიორა და რაჰის მახრის სხვა სოფლები. შემდეგ უწერაში უნდა შევხვედროდით 98-ე ბრიგადის და ერ-

⁴⁰ Борцы за Советскую власть в Абхазии, Сухуми, 1965, стр. 230.

⁴¹ ЦПА ИМЛ, ф. 124. оп. 1, ед. хр. 2119, л. 6.

⁴² Архив музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СО АССР, ф. 8, оп. 2, д. 87-а.

⁴³ გაზ. „ლენინელის დროში“ (ქ. მახარაძე), 1967, 31. X.

⁴⁴ С. Такоев, К истории революционного движения на Терек (по личным воспоминаниям), Известия Осетинского НИИ Краеведения, вып. II, июнь 1926, стр. 382—385.

ანტონ ლეჟავა
ჰართმელი და ჩრდილო კავკასიის
ხალხების რევოლუციური თანამებოძრობა

თად დაგვეკავებინა ონი. ამის შემდეგ უხდა წიასტელიყავით ქუთაისისაკენ, რათა გადაგვეჭრა ბათუმისაკენ მიმავალი გზა⁴⁵.

თათბირზე ამ რაზმს ეწეოდა „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმი“. შეიქმნა ამ რაზმის რევოლუციური სამხედრო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ძაძარ ტაკოვეი, მიხა ლაშხი, კანდილ გობედაშვილი, ილიკო გობედაშვილი. რაზმის უფროსად დანიშნა ძაძარ ტაკოვეი.

რაზმმა პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა. აიღეს ღები, ჭიორა, უწერა და იქ გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. შემდეგ აღნიშნული რაზმი დანიშნულ დროს შეხვდა 33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ბრიგადას, რომელთანაც ერთად შევიდნენ ოსში, ტყიბულში, ხოლო 10 მარტს ქუთაისში. მაშინ როდესაც წითელი არმიის გმირული ნაწილები უახლოვდებოდნენ თბილისს, რაჰის მახარაში უკვე ფრიალებდა რევოლუციის წითელი დროშა.

33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ბრიგადისა და „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმის“ გარდა საქართველოს მშრომელების განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ თერგის ცხენოსანი ესკადრონი და ჩრდილო ოსეთში მყოფი ორი რევოლუციონერებისაგან შემდგარი სამხრეთ ოსეთის ბრიგადა, რომელიც 900 კაცისაგან შედგებოდა. ბრიგადა შეიარაღებული იყო შაშხანებით, ხელყუმბარებით და ტყვიამფრქვევებით⁴⁶.

ს. მ. კიროვმა ალაგირის ხეობის კომუნისტებს დაუსახა ამოცანა — დახმარება აღმოეჩინათ 98-ე მსროლელი ბრიგადისა და ოს პარტიზანთა რაზმისათვის, რათა გაეკვლიათ გზა მამისონის უღელტეხილისაკენ.

მიუხედავად ზამთრის მკაცრი პირობებისა, ამ რაზმებმა მოახერხეს ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადასვლა. მათ მიჰყვა სამხრეთ ოსეთის პარტიზანთა რაზმი, რომლის პირადი შემადგენლობა დაახლოებით 500 კაცამდე აღწევდა. ამ რაზმს მეთაურობდა ს. ტ. გაგლოვეი, ხოლო რაზმის კომისარი იყო ალექსანდრე ჯატიევი⁴⁷. ერთდროულად ალაგირის ხეობით სამხრეთ ოსეთისაკენ გამოემართა სამხრეთ

ოსეთის განსაკუთრებული რაზმი მათი თანაკოევის მეთაურობით⁴⁸.

სამხრეთ ოსეთის აჯანყებულმა რევოლუციურმა ძალებმა რკპ (ზ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრის ს. ვაკლოვეის მეთაურობით აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყაზბეგის რაიონში მენშევიკების განადგურების საქმეში⁴⁹. მტერს არ ეგონა, რომ წითელი არმიის სარდლობა გადაწყვეტდა ზამთრის მძიმე პირობებში კავკასიის მთავარი ქედის გადასვლას დროდესაც წითელი არმიის ნაწილები არტილერიითა და კავალერიით მოულოდნელად გამოჩნდნენ, მტრის ბანაკი პანიკამ მოიცვა; ჯარისკაცები ტყვედ ბარდებოდნენ, ხოლო მეხმე-ვიეტური ჯარების ბევრი ჭეჭევანაყოფი გადადიოდა წითელი არმიის მხარეზე.

ყველა ზემოთ მოხსენებული რაზმები შექმნილი იყვნენ ს. კიროვის მითითებით და დაკავშირებული იყვნენ წითელი არმიის 98-ე ბრიგადის ვლადიკავკაიიდან საქართველოში გადასვლასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 წლის თებერვალში. ვლადიკავკაიიდან თბილისისაკენ მიემართებოდნენ აგრეთვე წითელი არმიის სხვა ნაწილებიც. დარიალის რაიონში მათ წინსვლას ხელს უწყობდნენ მოხალისე ინვეში გაყყოლები.

98-ე ბრიგადისა და პარტიზანული რაზმების მეომრებმა უდიდესი მამაცობა და გამძლეობა გამოიჩინეს მამისონისა და ღების უღელტეხილების გადასვლის დროს, რომელიც ზამთარში მიუვალად ითვლებოდა. მათ დიდი დახმარება აღმოეჩინეს ალაგირისა და ალაგირის ხეობის სოფლების მცხოვრებლებმა. გლეხები ეხმარებოდნენ მეომრებს გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდაში, მიუთითებდნენ მათ ყველაზე ხელსაყრელ გზას წინსვლისათვის, ამარაგებდნენ მეომრებს სურსათითა და ფურცით.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩრდილო ოსეთის პარტიზანთა საბრძოლო დახმარებამ დიდი როლი შეასრულა ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში. ამ დახმარებას მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მშრომელებმა.

საქართველოს რევკომმა „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმი“ დააჯილდოვა წითელი დროშით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „რევოლუციური დიგორიის სახელოვან რაზმს მუშურ-გლეხური საქართველოსაგან“. დროშა რაზმს გადასცა საშა გეგეჭკორმა. ამჟამად ეს დროშა ინახება ს. კიროვისა და გ. ორჯონიკი-

⁴⁵ Гражданская война в Северной Осетии. По воспоминаниям участников, Орджоникидзе, 1965, стр. 361.

⁴⁶ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, სტატიების კრებული, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, თბ., 1957, გვ. 288.

⁴⁷ Агапов Ф. А., По следам Кирова, Махачкала, 1968, стр. 46.

⁴⁸ История Северо-Осетинской АССР, Советский период, Орджоникидзе, 1966, стр. 130.

⁴⁹ იქვე.



ძის მუზეუმში ქ. ორჯონიძეში (ჩრდილო ოსეთის ასრ). ქუთაისისა და რაჭის რეკომბმა, ტყიბულის ქვანახშირის შახტის რეკომბმა, საქართველოს კვ (ბ) რაჭის სამაზრო ბიურომ მადლობა გამოუცხადეს რაზმს იმ აქტიური დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს დასავლეთ საქართველოს მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ტყიბულის მუშახტთა რეკომბის წევრები თავის წერილში მუშათა სახელით პარტიზანთა რაზმის წევრებს ვადასცემდნენ „მხურვალე კომუნისტურ სალამს, როგორც მშრომელთა უფლებების დისციპლინირებულ და პატიოსან დამცველებს“⁵⁰.

საქართველოს მშრომელებმა თავისი მადლობის ვაშლი „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმის“ მეთაურებისადმი გამოხატეს თავიანთ მიმართვაში რაზმის სახელზე.

საქართველოს კვ (ბ) რაჭის სამაზრო ბიურო თავის მიმართვაში „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმის“ უფროსის ძანდარ ტაკოვიის სახელზე დიდ მადლობას მოახსენებდა რაზმის მეთაურებს იმ გმირობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს საქართველოს მშრომელების, კერძოდ მათი მეზობელი რაჭველების განთავისუფლების საქმეში. ასევე მადლობას და კომუნისტურ სალამს უძღვნიდნენ დიგორიის რევოლუციურ რაზმს ტყიბულისა და ქუთაისის რეკომბში⁵¹.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-

⁵⁰ Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе, г. Орджоникидзе, СО АССР, ф. 6, д. 20, л. 2.

⁵¹ С. Такоев. К истории революционного движения на Тереке (по личным воспоминаниям), Известия Осетинского НИИ Краеведения, вып. II, июнь, 1926, Владикавказ, стр. 382—385; ს. ტაკოვიე თავისი მოგონებების ბოლოს ურთავს დოკუმენტებს — რაჭის, ქუთაისისა და ტყიბულის რეკომბების მადლობას „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმისადმი“.

ყარებას აღტაცებით შეეგება ჩრდილო ოსეთი. თავის მისალმებაში საქართველოს რეკომბისადმი ოსეთის ოლქის III ყრილობის მონაწილენი წერდნენ: „ამიერიდან კავკასია მთლიანად მუშურ-გლეხურია, სოციალისტურია. დიდება ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მსოფლიოს პირობარულ ოჯახში შევიდნენ თავის ბედის ბატონ-პატრონად. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს კავკასიისა და მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს“⁵².

იმავე ხანებში, 1921 წლის ვაზაფულზე, თერგის ბოლშევიკების ვაზეთი „კომუნისტი“ მოწინავე სტატიაში „თერგი და საქართველო“ წერდა: „წითელი საქართველო“ და წითელი თერგი. შეხედეთ, თითქმის მთებიც კი უღიმიან და ვაზეთ იწვევენ სულიერად მონათესავე რესპუბლიკების შესახვედრად“.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში ახალი ერის დასაწყისი ვახდა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამავე დროს მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ფუშავდა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმებს და განამტკიცებდა საბჭოთა ქვეყნის სავაჭრო მდგომარეობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაცა კონტრრევოლუციის უკანასკნელი კერა კავკასიაში⁵³. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ კავკასიაში კიდევ უფრო განამტკიცა კავკასიელი ხალხების მეგობრობა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა სამამულო ომის წლებში.

ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელიც მტკიცედ გამოიქცა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მშვიდობიანი განვითარების პირობებში ამ ხალხების მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საფუძველი ვახდა.

⁵² ЦГА СО АССР, ф. 39, д. 44, л. 1.

⁵³ 1920 წ. 28/IV-ს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აზერბაიჯანში, ხოლო 1920 წ. 29/XI-ს სომხეთში.



რედაქციის მიმართ

მწერლის უპირველესი თვისება

მწერალს, უპირველეს ყოვლისა, სამი რამ უნდა ახასიათებდეს: ა) ცხოვრებაში საინტერესო ამბების შემჩნევის უნარი, ბ) მოკლედ თქმის უნარი, ვ) ლამაზად თქმის უნარი. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება იმისთვის გაიხსენებ, რომ ჩვენ მხატვრული ნაწარმოების მედიაციურ-პრობლემატიკურ და ესთეტიკურ-ფორმალურ საშუალებებზე ხელოვნურად გართულებული საუბრებით მკითხველთა ერთი ნაწილი უფრო დაგაბნეოთ, ვიდრე დავეხმარებთ მას ნაწარმოების სწორად გაგებაში. არავითარი ფსიქო-ფილოსოფიური ჭკრება არ არის საჭირო იმის დასადგენად. არის თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები მხატვრული ქმნილება, არის თუ არა იგი მწერლის დაწერილი, ჩვენი ლიტერატურული საუბარი სწორედ აქედან უნდა იწყებოდეს. ჩვენ, კრიტიკოსებმა და ლიტერატურისმცოდნეებმა, ნაწარმოების შეფასების იმდენი ახალი კრიტერიუმი შემოვიღეთ, იმდენი პირობითობა დაეუფვათ მხატვრული მოდელის ლიტერატურული რენტგენირებისას, რომ ჩვენი ყურნალები გაივსო სერიოზულ კრიტიკოსთა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებით ერთსა და იმავე ნაწარმოებზე. ერთი განიხილავს შეფასების თავისებურ მეთოდით და მოსწონს; მეორეს თავისი „მრწამსი“ გააჩნია და არ მოსწონს. გადახედავ არაფერს და თითქოს არც ერთ მათგანს არ აქვია გემოვნება, ერთდროს, ლოგიკურ მსჯელობის უნარი. მაგრამ რა ქნას მან, ლიტერატურულ ლაბირინთებში არც თუ ღრმად ჩახედულმა საშუალო მკითხველმა, ვის დაუჯეროს? საქმე არც ისე რთულად გახლავთ; თუ მწერალი გვიამბობს უმნიშვნელო ამბავს, გვიამბობს გაქიანურებულად და მოსაწყენად, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოები სუსტია.

ჩვენ ყველანაირად ვლაპარაკობთ ამ ბოლო დროს და იმ ამბანურ ჭეშმარიტებაზე კი არა, რომ უმეტესობა ამ ბოლო დროს ჩვენში დაწე-

რილი მოთხრობებისა უსაშველოდ გაქიანურებული, ხელოვნურად გაბერილია. მწერალი იწყება იქ, სადაც მკითხველის მოთმინების დაფასების უნარს შეიძენს; მწერალი იწყება მაშინ, როცა ყველაზე მოკლედ, კომპაქტურად თხრობის ხელოვნებას უზიარება. თორემ, კაცმა რომ თქვას, ყურმოკრული ან თვალთინანახი უღიმღამო ამბის მოყოლა ყველას შეუძლია. როგორც კი შევატყობთ, რომ ჩვენი თანამოსაუბრე გრძელ ამბავს გვიყვება და აღარ ამთვრებს, გადაყვება ათას წერილმანს, ჩაურთავს ათას უმნიშვნელო ეპიზოდს, ჩვენ მაშინვე მთქნარება აგვიტყდება და მოსაუბრეს ბოდიშის მოხდით ვთხოვთ საქმეზე ილაპარაკოს. ლიტერატურაში კი თუ მწერალმა საინტერესო ამბავი გვიამბო, გვიამბო ასატანი ქართულით, მაგრამ საოცრად გადავვალა, სანამ მთავარს გვეტყვოდ, გული გაგვიწყალა ათასი ზედმეტობით — ჩვენ რატომღაც განვაშს არა ეტეხთ. მწერლის ოსტატობის პირველი ნიშანი კი მოკლედ თქმა გახლავთ.

ლიტერატურას თავისი ქანრული კანონები აქვს. ის, რაც ნოველად უნდა დაიწეროს, მოთხრობად არ გაიქიმება, ხოლო რაც მოთხრობის თემა და სიუჟეტი — რომანად თუ გაავარქმელოთ, უსათუოდ დაქარგავს თავის პირველყოფილ მიზნადგელობას. ამ ბოლო დროს ჩვენი მწერლების ერთმა ნაწილმა ეს ჭეშმარიტება დაივიწყა. ქანრის ჩარჩოების გაუთვალისწინებლობა ლიტერატურისათვის მავნე სენია. შეგვიყვალა ხელში გაუთვებელი „ნოველებს“ კითხვამ პაუფინტელა სათქმელით და კომპოზიციის ელემენტარული წესების უხეში დარღვევით დაწერილმა, მოგზაურული ნარკვევის მსგავსმა, ვრცელმა მოთხრობებმა.

მოთხრობები, ქვემოთ რომ შევხებები, ეკუთვნის მწერლებს, რომელთა არაერთ ლიტერატურულ ქმნილებას ბევრჯერ გაუხარებია ამ სტრი-



ქონების ავტორი. მე რომ ამ ავტორებისა არ მყაროდეს, მათი იმედი არა მქონდეს, მათი მოთხოვნების შესასრულებლად ხმასაც არ ამოვიღებდი. აქვე დავურთავ, რომ ამ ნაწარმოებებს მხოლოდ ერთი უმთავრესი კრიტერიუმით — ზომიერების კრიტერიუმით განვიხილავ. რაც შეეხება სხვა ლიტერატურულ აქსესუარებს, ამ მხრივ განსახილველ მოთხოვნებში ყველაფერი რიგზეა.

გურამ გეგეშიძის „აპრილი“ („ცისკარი“, 1971, № 12) აღმიანის მორალის უძველეს და მარად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება. ეს მოთხრობა თავისი ფსიქოლოგიური სიღრმით და ცხოვრებისეული სიმართლით გამოირჩევა და ავტორის შემოქმედებითი ზრდის უძველესი საბუთები გახლავთ. „აპრილის“ სიუჟეტური ჭარბა ასეთია: სამი წლის წინათ სოფელ ბიქს — ჭიჭიკოს მებობლის ლამაზი გოგო — ქუქუნა (რომელიც შემთხვევის გამო მითან ღამის გასათევად დარჩა), ლოგინზე ჩამოუქდა და გენებისაგან თავბრუსდამხვეული ყმაწვილი ზვევნიკოვს გაახელა. დღემდე მკლავზე ეწვა ჭიჭიკოს ქუქუნა, ბოლომდე ენერგიულად იცავდა გოგო თავის ქალწულობას და ბოლოს ენებადამცხრალ ჭიჭიკოს ლოგინიდან გაუსხლტა და გაუჩინარდა. მეორე თუ მესამე დღეს ჭიჭიკო ქარში წაიყვანეს. მთელი სამი წლის განმავლობაში ჭიჭიკო მხოლოდ ქუქუნაზე ოცნებობდა. მან იმ ღამით პირველად იგრძნო ქალი, პირველად იგეგმა მისი სუნი და სითბო, და ბუნებრივია, მას ქუქუნა იმ პირველყოფილი ეჩინო უყვარდა, რაც ყმაწვილურ გატაცებას და დაუკმაყოფილებელ სურვილს მუდამ თან სდევს ხოლმე. სამი წლის შემდეგ, ჭარიდან დაბრუნებულმა ჭიჭიკომ შეიტყო, რომ ქუქუნა ბუქუნისას ცოლი გამჟღარა. ჭიჭიკოს სამწუთის ოცნებას და სიყვარულს ახლა შეურაცხყოფის თუ პატივმოყვარეობის შეღავათის გრანობაც დაერთო და ერთხელ, აღდგომა დღეს, მთვარალმა ჭიჭიკომ ქუქუნას ნახვა მოიწადინა. აღარც ახსოვდა როგორ აღმოჩნდა ქუქუნას ვეერდით, როგორ წაეპოტინა ქალს შიშველ მკლავებზე, მაგრამ ქუქუნამ იგი ხელისკვრით მოიშორა. გამჭრალიყოს იმ ქუქუნა, ჭიჭიკოს ხათრით შეუღამისას აივინს რიყულეებზე რომ ამოქვარა, ახლა მის წინაშე იდგა სულ სხვა — გათხოვილი ქალი, რომელიც შეურაცხყოფას არავის აპატიებდა. ჭიჭიკომ ერთხელ კიდევ ამოიღ ვაიწია ქალის დასამორჩილებლად, მაგრამ უეცრად ყმაში შექუნას ღონიერი სილა იგრძნო და პარმალზე მთვარალი ბუქუნიაც გამოჩნდა. შერცხვენილი, თვალფლანგული ჭიჭიკო ორღობეში მოიძურწებოდა, მაგრამ მას ზურგიდან ბუქუნის ტყვია წამოეწია. ამ მოთხრობის იდეის ოქანის ხელშეწყობების და ქმრის წინაშე მოვალეობის ტრადიციულ გაგებაზე დაყვანა სწორი არ იქნება. ამ მოთხრობაში აღწერილ მოვლენებს უფრო ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური საფუძველი

აქვს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას ჭიჭიკოს გამოკვეთილი ხასიათი მიიპყრობს. იგი გახლავთ ერთი გაუბედავი, გადაუწყვეტელი, მომთმენი და დამცდელი კაცი. ერთხელ სცადა მან ამხედრებოდა საკუთარ ბუნებას, ერთხელ აიწყვიტა და მაშინაც დამარცხდა. ჭიჭიკოს სიკვდილი მოთხრობაში მხატვრულად მოტივირებული და ლოგიკურად შემზადებულია. რამდენადაც საგრძნობია „აპრილის“ თემატიკური გამჭვირვალობა და ორიგინალური ჩანაფიქრი, იმდენად თვალმისაცემია ამ მოთხრობის სერიოზული ნაკლი; იგი გაქიანურებულია.

„აპრილი“, მისი მხატვრული ლოგიკით, იწყება მაშინ, როცა ბუქუნია, ჭიჭიკო და კიდევ ორი მათი მოგობარი სასაღილაში ღვინოს სვამენ. მერე სასაღილაში უქუქუნა გამოჩნდა. ჭიჭიკომ სწრაფად აღიღვინა გონებაში სამიწლისწინანდელი ღამე და როცა ძალიან დათვრა, მიატოვა სუფრა და ქუქუნას გამოუღდა. დანარჩენი მჭითხველმა უკვე იცის. ეს არის მთელი მოთხრობა; გ. გეგეშიძის თავისი სათქმელი ამ ეპიზოდთა ქაჭვიში უნდა ჩაეტია. მაგრამ, სამწუხაროდ, „აპრილის“ დანარჩენი ორი ნაწილი (და ის დანარჩენი გაცილებით მეტია), მოთხრობის სიუჟეტთან სრულიად დაუკავშირებელ ამბებს და განყენებულ მსჯელობებს უქირავს. მაგალითად, მოთხრობა იწყება მოხუცი ბახვას ავადმყოფობის აღწერით. ბახვა სიკვდილისპირასაა მისული; მერე მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ბახვა და მისი ცოლი ანთონიში, როგორ დაეარგეს წლინახვერის ბავშვი, როგორ შეაფარეს თავი ბათუმს და ა. შ. ბახვას ავადმყოფობის დაწერილებით აღწერას მოთხრობაში ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს, მაშინ როცა ამ ეპიზოდებს ძალიან სუსტი კავშირი აქვს მოთხრობის შთაგარ ამბავთან. შედეგად ძალიან ჩაღრმავებულმა მჭითხველმა ბახვას სიკვდილისა და ჭიჭიკოს სიკვდილს შორის რაღაც სიმბოლური პარალელი გაავლოს, იქნებ ერთის მხრივ დახატულია კაცი, რომელიც ოთხმოცს გადასცილდა და თავის უკანასკნელი ძალეებით მაინც სიცოცხლეს ებღაუჭებოდა ხოლო მეორეს მხრივ — სიკვდილი-სიცოცხლისადმი ინდიფერენტულად განწყობილი კაცი, რომელმაც სიცოცხლის ფასი კარგად არც კი იცის და სიკვდილისაც არ ეშინია. მაგრამ ამ ორ სიკვდილს შორის, მოთხრობის მიხედვით, ძალიან სუსტი მხატვრული ძაფებია და ამიტომ ეს ჩვენი ვარაუდით უფრო მოთხრობის ამგვარი კომპოზიციის გამართლებების ხელოვნური ცდაა და სხვა არაფერი.

მოთხრობის მთელი რიგი პერსონაჟები თავისთვის, ცალ-ცალკე არსებობენ და მწერალს ისინი „აპრილში“, რომ იტყვიან, მხოლოდ

რეზან მისხველაძე
მწერლის უპირველესი თვისებაა



„სიტყვის მასალად“ ჰყავს შემოყვანილი მაგალითად:

მოთხრობას არაფერს მატებს შალიკოს ამბავი; შალიკოს ჯერისწერიდან ცოლი გაექცა და ეილაღ მერონგურეს გაჰყვა. შალიკომ ერთი თვის შემდეგ შეირიგა ცოლი და ახლა ხუთი შვილი ჰყავს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჰიქიკო-ქუქუნა-ბუქუნისას ხანთან?

ასევე მხატვრული ფუნქციის გარეშეა სანდრო. რატომ უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ სანდრო ამ ოცდახუთი წლის წინათ საშოვარზე ოსეთში წავიდა. მერე იქიდან ფრონტზე გაემგზავრა. რომ სანდროს პირველი ცოლი გარდაეცვალა და მეორე შეირთო, რომ სანდროს უმცროსი ბიჭი მდინარეში დაეხრჩო?

ზედმეტია გვიანი, მისი ხანმოკლე ცხოვრების მკითხველისათვის გაცნობა, მისი ავადმყოფობის (პლევრიტი, ქლექი) უზედმური ისტორია.

რა როლს ასრულებს მოთხრობაში მეზობლის ვერჩიკა?

ქვედ მეტი, მოთხრობის ძირითად ლეიტმოტივთან თვით ბავჯას შეიღს მამიასაც კი არავითარი კავშირი არა აქვს.

თუ ამ ზგას გავუვებოდით, მოთხრობის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება. არის კი საჭირო მოთხრობაში ამდენი ზედმეტი პერსონაჟის შემოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ აღამიანების სხვადასხვა გზითა და საშუალებით კვდებიან? ეს ხომ ისეთივე უქვეელი ჰეშმარტებაა, როგორც თვით აღამიანის არსებობა ამქვეყნად?

ამ სტრიქონების ავტორმა გურამი გვევწოდებს ალბათ თავი მოაბეჭრა იმაზე მითითებით, რომ ახალგაზრდა ნიქიერი პროზაიკოსი სალიტერატურო ენის კანონებს ზოგჯერ ჰპიპარად ექცევა. საგანგებოდ დაეაკვირდით ამ მხრივ „აპრილის“ ქართულს და ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა დაბასკუნთ, რომ ეტყობა გ. გვევშიც ნაწარმოების ენობრივ მხარეს მეტის გულსეულობა და სიფრთხილით ეკიდება. მაგრამ მანაც უნდა მივაქციოთ მისი ყურადღება მოთხრობის გამომსახველობით საშუალებათა რამდენიმე უხერხულობაზე. „აპრილი“ ასე იწყება: „უნიულავდა, მერე წვიმამ გადაიღო. ჰაერი აივსო ფრინველთა უფილით. გალობდა შაშვი. ბულბულიც გალობდა. სტ-სტ-სტ-სტ ეს რაღაა? ალბათ სკვინჩა! შორიდან, დროგამოშვებით მამლებიც ყივილი ისმოდა. ჩიტები კი განწყვეტლივ სტვენდნენ. ვალობდნენ, ტიპკუნდნენ“. — ეს მხატვრული ფრაზა არ არის. მოკლებულია იგი ლაკონიზმსაც და გაუთავებელი ტავტოლოგიით ვერც სრულყოფილ სურათს ხატავს და ვერც სათანადო განწყობილებას გვიქმნის. ვერც ასეთ წინადადებებს მოვეწონებთ ავტორს:

„ის ისე ბუნებრივად ესაუბრებოდა თვალით არხილულ მოჩვენებებს, როგორც თავის მეუღლეს, გვერდით რომ ეჯდა უმწეო მეთვალყურე-

სავით, თვალით ხილული, რეალური, ფიქტური სხეულის მქონე“.

„დილა ხმაურით იჭრებოდა ცნობიერებაში“. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ნაბიჯი“ დაწერილია ერთ უხმაურო და გამოუსვლელ ბიჭზე. გოგი კიბირია ცხოვრებას არ იცნობდა. დედის კალთას არ ვაცლილებოდა იგი და ირგვლივ მყოფ სამყაროს უშუაბანდში გაზრდილის მჭრჭალი მხერით შესეკებოდა. გოგიასთვის პროტესტის გრძნობა უცხო იყო. მას აღამიანების პირველყოფილის სიალაღი სჯეროდა. ვერ წარმოედგინა ტყუილი, ფლიდობა, არ იცოდა თუ აღამიანებს შეეძლოთ ეთვალთმაქცათ. იზრდებოდა ასეთი, ეთიკის ნორმებიდან გამოსული, ზედმიწევნით მართალი კაცი და თავისი გულუბრყვილობაგარეული სიმართლით ცხოვრების სინამდვილესთან შეკიდებულს სამარცხვინოდ ამარცხებდა ელოდა. გოგია აღმსრულლებული იყო. გოგიას საკუთარი ცხოვრება არ გაანდა; მას ეგონა აღამიანი იმისთვის არის გაჩენილი, რასაც ეტყვიან, უნდა შეასრულოსო. მაგრამ კვლევითი ინსტიტუტის უმცროსმა ლაბორანტმა ერთხელ ნახა ფილმი „მიქელანჯელო“. დიდი კაცის დიდი ცხოვრების ეკრანზე ნახვამ მაგიურად იმპრეზია ახალგაზრდა კაცზე. მან პირველად შეიტყო, რომ არსებობს ასეთი სიმართლეც, რომ აღამიანი ასეთი საქმეებისათვისაც არის გაჩენილი. ცხოვრების მოჩილი და მის მდინარებას ბრმადმინდობილი გოგია იმ დღეს „საკუთარ თავს შეექიდა, დაეჯაჯგურა და წამით მოერია“. მოთხრობის დედაზრი, როგორც ხედავთ, საინტერესოა. არსებობენ ასეთი გოგიებიც და მათი უფერული ცხოვრებაც ერთი, სულის შემაძვრელი მოვლენის გამო შეიძლება ცოტა ხანს მაინც აიძვრეს, შეიცვალოს, აფორიაქდეს. მოთხრობისათვის ავტორს სჭირდებოდა: გაეცნო ჩვენთვის გოგია, გამოეკეთა მისი ხასიათის ნიშნები და მერე, „მიქელანჯელოს“ ნახვისას, დაეხატა ის სულიერი გარდატეხა, რაც გოგიას ბუნებაში მოხდა. ეს არის და ეს. მოთხრობის ის ეპიზოდები, რაც ამ ორ მიზანს არ ემსახურება, ზედმეტია.

მწერალი თავიდანვე გვიანტერესებს გოგიას პიროვნებით. გოგიას ყველაფერი გულთან მიჰქონდა. თეატრში „მძიმე სცენების“ ხილვისას გული აუჩუყდებოდა და თვალზე ცრემლი მოადგებოდა. ეს გოგიას ხასიათის ერთი შტრიხი. გოგიას სკოლის ამხანაგები დასცილოდნენ, ზემოდა დაჰყურებდნენ, „წელი ახლა შენ, გოგია, და თუ ვინმემ რამე ეთხრა, მე აქედან გიყურებ და თუ გაგიჭირდა, ხელად გამოგქანდები“ (ციტატები მოტანილია გურამ დოჩანაშვილის ახალი, საინტერესო მოთხრობების წიგნიდან „მზიარული ბორცვი“, „ნაკადული“, 1971 წ.). ირონიულად უთხრა ქუჩაში შეხვედრილმა სკოლის მეგობარმა. ესეც გოგიას ხასიათის მეორე შტრიხი. გოგია ღარიბულ ოჯახში გაიზარდა. გურამ



დონანაშვილი ერთი ხელის მოსმით, ოსტატურად გვიხატავს გოგიას ოჯახურ ატმოსფეროს, რომ წუთით მის ბინაშიც შეგვახედოს და გოგიას არაჩვეულებრივი ბუნების ახსნის ვასალები იქნებ იქ გვაპოვნინოს: „ზამთრობით ციოდა ოთახში. დილა-საღამოს მამა ლუმელს ანთებდა. შეაწყობდა კოხტად შემს, შეუკეთებდა ძველ ვაზეთს, ვაჰკრავდა ასანთს, აანთებდა. აციაგდებოდა ლუმელის წინ, იატაკზე სინათლე; მიუშვევრდა მამა დამზრალ თითებს, იფშენებდა ხელებს, სიამოვნებდა. — მოდი გოგია აქ; ვაძახებდა. მოდიოდა გოგია ლუმელთან, თებებოდა ისიც“. ეს გოგიას ხასიათის მესამე შტრიხი. ნაწილობრივ ჩვენ უკვე გავიცანით გოგია კიზირია. ამას მოსდევს ის, რაც მოთხრობაში, ჩვენის აზრით, ზედმეტია:

„ხანდახან წვიმდა. ატყვებოდა ეზოში პატარა ალიაქოთი, ჩამოხსნიდნენ სარეცს, ფანჯრებს ხურავდნენ, სველდებოდა გარეთ ყველაფერი, მავთულზე ოდნავ ჩამოიბრუტებოდნენ წვეთები, გადილივდა წვიმა, კლებულობდა ხმაური; გამოვიდოდა მზე, ორთქლი ტიტებდა დაბლა, ასფალტზე, გააღებდნენ ფანჯრებს, მშენებრივი კარგი ჰაერი იყო“. ეს იმდენად ჩვეულებრივი სურათია, რომ ამ მოთხრობას არაფერს მატებს. მოთხრობის ყველა დეტალი ხომ დასახულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ასევე ზედმეტია მომღვეწო აბზაციც: „ღედა და მამა ხანდახან კინოში დიარებოდნენ, ქართულ ფილმს მაინც ხომ არ გამოსტოვებდნენ არაფრით. რჩებოდა გოგია შინ, ჩართავდა რადიოს, მუსიკა უყვარდა. „პაი-ი, მუხრანბატონის ყმობითაა, ფქვილი ვერ დადევდა გოდრითაა“, წამოიწყებდა პირველი და წარმოუდგებოდა გოგიას ღარიბი კაცი, ჩამოკონკილი, მშვიერი, მწყურვალი, აუჩუყდებოდა გული (გოგიას ხასიათის ამ თვისებაზე მწერალმა ზემოთ, ერთი ეპიზოდი უკვე გვიამბო. — რ. მ.), ხანდახან უცხოურ სიმღერებსაც ისმენდა, დიდი, უცნაური სიტყვებით: — „სტუ-უ, სლატუ-უ...“ მაინც მოსწონდა. მუსიკას ააყოლებდა ხოლმე თავს, კარგი იყო, კარგი სიმღერის მოსმენა“.

გოგია კიზირია ცხოვრების პირისპირ დგება. აი, ამის საილუსტრაციო ერთი მოხდენილი დეტალი მოთხრობიდან: „ღედა ავად გახდა ერთხელ, ლოკინად ჩავარდა ქალი („ქალი“ არ უნდა, — რ. მ.), იმის ნაცვლად გოგია დიარებოდა ბაზარში, ერთი ორჯერ არ ეყო ფული—რასაც ეუბნებოდნენ („დაუფასებდნენ“ სჯობია, — რ. მ.), იმას იხდიდა („იმას“ ზედმეტია, — რ. მ.), დაარიგა მერე ღელამ და ბაზარში რომ შევიდა („რომ შევიდა“ ზედმეტია, — რ. მ.) ამოდგა ვიღაც ქალს უკან, იმას ექვს შაურად დაუფასეს კარტოფილი, მაგრამ ქალი შევიკვრა და ოთხ შაურზე დააყვანინა. სინამ ქალი ჩანთაში ჰყრიდა კარტოფილს, გაუწოდა გოგიამ გამყიდველს ოთხი შაური... აუწონა იმ კაცმა ერთი კი-

ლო, გადაზოგა ასე გოგიამ ორი შაური, ამოუფხვამერე უკან ვიღაც წუნია კაცს, სღია აქეთ-სქეთს მერე, როგორც იქნა, ააწონინა იმ კაცმა ერთგან ხახვი და იყიდა გოგიამაც იმ ფასად ხახვი... ერთ კვირაში უკვე თვითონ ევაჭრებოდა გამყიდველებს, ვაივო გოგიამ ფულის ფასი, მოიზოგავდა ხოლმე ცოტას, ვაზებთან ყიდულობდა“. რამდენადღე საჭიროა მოთხრობისათვის ეს ეპიზოდი, იმდენად ზედმეტია დასაწყისი: „შინ რომ დაბრუნდებოდა, რადიოს უსმენდა, კარგი ვადაცემა თუ იყო, წიგნსაც კითხულობდა ხანდახან“. მოთხრობაში არის ერთი შთამბეჭდავი ადგილიც — „ვირთხის ამბავი“. ამ ამბავმა გოგიას სულზე დიდი ზემოქმედება იქონია, მაგრამ ძალზე დაწვრილებით და აშკარად გაკიანურებულადაა მოთხრობილი გოგიას ავადმყოფობის შესახებ. არ იყო საჭირო დაწვრილებითი აღწერები იმისა, თუ როგორ გამოუღეს გოგიას სამაჭერ სითხე, თუ როგორ ესტუმრა ანზორს „წითელბერანგა“ („წითელბერანგა“ მოთხრობაში არაფერს არ ნიშნავს, მწერალმა მნახველის სხვა გარეგნულ ნიშანზე უნდა მიგვანიშნოს ერთი, ორი სიტყვით. — რ. მ.) ბოთი, არც ორი ვაგონს სტუმრობის ეპიზოდი ფუნქციონირებს მოთხრობაში. გურამ დონანაშვილს შეუძლია ასე კომპაქტურად და ლამაზად დახატოს გოგიას თვალთ დახახული საავადმყოფო: „გათენებისას, როცა საავადმყოფო ჰკრავნიოდა ხველებით იდგიძებდა და ექთნები ჰერში დამიზნებული ნემსებით შემოდიოდნენ პალატაში, მაინც უხარბო, და ოდნავ სახეაღეწილი, პირქვე წვებოდა — დილის ჩხელტა სრულებითაც არ იყო მტკიცეულო“. საერთოდ, ავადმყოფობის ეპიზოდს მოთხრობაში მისი „იდეურ-მხატვრული ხასიათით და მხატვრული ლოკის რკინის კანონით დიდი ადგილი არ უჭირავს. სინამდილეში კი, გაუგებარი მიზეზის გამო, იგი ერთ-ერთ ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს. ასე, ბევრი ზედმეტი ადგილი და უფუნქციო სცენებით მიაღვავებია იმას, რაზეც მოთხრობა დაიწერა: გოგია კიზირიას მიერ „მიქელანჯელოს“ ნახვა და ამ ფილმით გამოწვეულ ახალგაზრდა კაცის სულიერი პერიპეტია. ეს მთავარია. მწერალი იწყებს მიქელანჯელოს დიდებულებს და უცნაური ცხოვრების თხრობას. მართალია, იგი მიქელანჯელოზე დაწერილი წიგნების ლამაზ კონსპექტს ადგენს, მაგრამ ზოგჯერ უხერხულობის გრძობა ვეპყრებას. ეს მიმზიდველი ამბავი მწერალს მოთხრობისათვის დასჭირდა, თუ ჩვენს ვასანათლებლად შემოგვაბაო. მოთხრობის თხრობის მიქელანჯელოს ცხოვრების (თუ ამ ცხოვრების ამსახველი ფილმის) სრულ შინაარსი კი არ უნდა გადმოეცა, არამედ იმ ერთ ისეთ ეპიზოდზე უნდა შეჩერებულიყო, რომელიც განსაკუთრებით გულს

რეპეზ მიხველამი
მწიარლის შპირველსინ თვისება



მობედებოდა გოგის, რომელიც თავისი შთამბეჭდაობით შესრავდა და აფორიაქებდა მას. რომელიც გულგატეხილ ყმაწვილს საყუთარ თავთან დააქიდებდა. გოგის „თავის თავთან დეაქავრების“ მომენტიც ბუნდოვნად და გაჭიანურებულად არის დახატული.

გურამ დოჩანაშვილის ეს მოთხრობა გლღოა. სანამ მის საინტერესო დედობას ჩაეწვდებოდა, თავი უნდა გაიტენოთ ათასი ზედმეტი ფტრით, ხანდახან არ იცით, რა დაიჭიროთ, რომელ აზრს გამოედევნოთ — და მხოლოდ იმიტომ, რომ მწერალს ზომიერების გრძნობამ უღალატა. თავისუფლად ეწერებოდა და გაცეკვა ხელი. მერედა რა კარგად შეუთქია გურამ დოჩანაშვილის მოკლედ და სხარტად ფერწერული პროზული სურათის შექმნა. საილუსტრაციოდ ამავე მოთხრობიდან ერთ ადგილს მოვიტანთ: „და როცა გოგია გონზე მოვიდა, ვისაც კი შესწავდა თავალი, ყველას მშვიდად შეაძევებდა და იმ სიყვარულის რაღაც ერთი უმნიშვნელო, პაწაწინა წვეთი ყველას თვალზე დაინახა; იქამდე შესტყვროდა თითოეულს, სანამ ამ სიყვარულს არ შეამჩნევდა და მერე სხვაზე გადაჰქონდა დადლილი, მომლოდინე მზერა. იქც, პალატაში რომ დაბრუნდა, დედას უყურა, უყურა და ცდილობდა წამით განეშორებინა ის უხარმზარი, განსხვავებული სიყვარული, რომელიც ყოველ მოყვარულ დედას აქვს და სამაგიეროდ უფრო კარგი, უფრო საერო სიყვარული შეემჩნია, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო.“

კარლო კობერიძის ახალი წიგნი — „ვერცხლის ნაქაღვლეზი“ წაიკითხე. პროზაიკოსს აქვს თავისი მწერლური სამყარო, მახვილი თვალი და ძალდატანებლად, ლალად თბობის უნარი. კრებული, რომელიც მკითხველს უსაოფლოდ დაინტერესებს (განსაკუთრებით მომეწონა „ნამზითვი ჩაქვი“ და „ვერცხლის ნაქაღვლეზი“) შედგენილია კარლო კობერიძის მიერ ამ ბოლო დროს დაწერილი ახალი მოთხრობებით. სხვათა შორის უნდა გამოეყოთ „მუნჯი მოძღვარი“, რომელზეც ორიოდ სიტყვის თქმას ვაპირებ:

ოთხმა მეგობარმა სკოლა დაამთავრა. „უმადლესში ჩაბარებამზე“ არც უფიქრიათ, ოთხივემ ხიდის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. აამუნეს ხიდი. ბუკებმა პირველი ხელფასი ჩაიჭივეს და რადგანაც დრო ბევრი ჰქონდათ, ქვიცს მიეღწენ. გაუთავებელი სმა და ღრეობა მალე მოსწყინდათ. ყველა სადღეგრძელო თქვეს, ყველაფერი, რაც გასასვენებელი ჰქონდათ თავიანთი ახალგაზრდული ცხოვრების მანძილზე, გაიხსენეს და ბოლოს იმდენად უინტერესო გახდა ყველაფერი, რომ ისხდნენ ჩუმად სუფრაზე და ამოქნარებდნენ. ამ დროს შემოესწროთ სუფრაზე მუნჯი ნიკა. მუნჯს თამადა დააკისრეს. და სუფრაზე, რომელსაც მუნჯი თამადაბდა, ოთხი მოწყენილი ახალგაზრდა საოცრად გამოიცვალა. თურმე

ზოგჯერ მკვერამტყველება სრულიად არ არის საჭირო, რომ ახალგაზრდობის მოძღვრებულნი, ბიჭები ყურადღებით უსმენდნენ მუნჯს (რაცაა რომ თქვას, ისე, მოსასმენი არა იყო რა, რადგანაც სადღეგრძელოებისათვის მუნჯი, რომ თქმა უნდა, თვალსაჩინოების მეთოდს იყენებდა. — რ. მ.). ხიდის ახალგაზრდა მშენებლებს მუნჯისა შესანიშნავად ესმოდათ. ისინი ნიკას თითოეულ ექსტს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს და მის ააღლ სადღეგრძელოებსაც გულის ფიცარზე იწერდნენ. მუნჯი ნიკა თავისი პიროვნებით — გამარჯე, დონიერი ხელებით და კეთილი დიმილით იქცა მათთვის კაცური კაცობის მაგალითად. მოთხრობას „მუნჯი მოძღვარიც“ ამიტომ ჰქვია.

როგორც მკითხველმა უკვე დაინახა, ამ მოთხრობაში მთავარია მუნჯი და მასთან დაკავშირებული სიტუაციები. მოთხრობა უნდა დაწყებულყო იქიდან, რომ მოწყენილობისაგან მთქნარებამოთუღლ ახალგაზრდობთან მუნჯი მივიდა. სულერთია ვინ იქნებოდნენ ეს ახალგაზრდები — ხიდის მშენებლები თუ მწარეელები. ის რაც ამ მოთხრობით უნდა გვითხრას მწერალმა, სწორედ მუნჯს ეხება და რა შორს გზებითაც მოთხრობის აეტორმა მუნჯე მოძღვართან მივიყვანა, ფუჭად გავალი, ძალით ვაგრძელებული გზა გახლავთ. ასე, მაგალითად, სკოლის დამთავრების შემდეგ ოთხ მეგობარს საქმე არაფერი ჰქონდა, „მალე ბანაობაც მოებზრდათ. მალახიის წინ მზესუმზირას კნაწაქუნწი და „ბაში-აიუ-ჯი“ კინოზე სიარულიც.“ ერთ დღეს ერთ ერთმა მათგანმა ხიდის მშენებლობაზე ჩაიარა და ასეთი სურათი ხილა: „ერთი ბერიკაცი ცემენტს ურევს ხრეშში, ისეა მოფაფავლებული, ნიჩხს რომ მოიჭენეს, თუ ის მოქნევაა, მგონია თან გადაჰყვება. გულმა აღარ მმოითმინა, მივიეზმარე. ეგრე, შვილო, ეგრე, ძალა შენშია, მერას მაწვალე და მასაცოდავებ, დადექი და იმუშავე, დაიჭერო ფული ყორედ ასაქუნებელი გაქვსო?“ ყმაწვილს შერცხვა, ინეინერთან მიიჭრა და ჯიუტრ სთხოვა სამუშაოზე მიმიღეო. ეს ეპიზოდი ყაზობის შთაბეჭდილებას სტოვებს. რა ხელალებით, ჰიპიარად გააკეთებინა მწერალმა უსაქმურ ბიჭს, ის რისთვისაც ჩვენი დიდაქტიკურ-ფილოსოფიური აზრი აქამდე თავს იმტვრევს და დღემდე ვერ გადაუწყვეტია, რისთვისაც ჩვენი უზარმაზარი აღმზრდელობითი მანქანა ამოძრავებული. ეს არაფერი. მალე დანარჩენი სამი ამხანაგიც გამოჩნდა და მათი ძმაკაცი ხიდის მშენებლობაში ჩაბმული რომ დაინახეს, მასხრად აიგდეს და ჭირქილი დაუწყეს. მაგრამ მათი „პარბაში“ დიდხანს არ ვაგრძელებულა. მუშა ახალგაზრდამ თავის უსაქმურ ახალგაზრდებს ხიდის მშენებლობასთან არსებულ უხუცესთა საბჭოში (?) უჩივლა, უხუცესთა საბჭომ კი არც აცია, არც აცხელა და დაადგინა:

„მუხლი პირველი: — მშენებლობაზე მეორედ



ალარ მოეთრიენენ უსაქმურები, საშიშია, სხვა-საყ არ ვადადლოს იმათი მოქნარებათ.

მუხლი მეორე: — თუ მართლა ახალგაზრდები არიან, ამდენს რაღას აბოლებენ? არ უნდა გააბოლონო.

მუხლი მესამე: — შობლებს დაევალოთ, წელიწადში ერთხელ მაინც მიხედონ დასაქორწინებულ და გასათხოვარ შეილებსაო.

მუხლი მეოთხე: — გათხოვილებსა და დაქორწინებულებსაც არ აწყენთ მიხედვით.

მუხლი მეხუთე: — ახლანდელმა გამოსაზრდელებმა ზომ საერთოდ არაფერი იციან, ეს სალამი რაღაა, სალამი მაინც ისწავლნო.

მუხლი მეექვსე: — პირველი მუხლი ჩამოტანილი იქნას სულ დაბლაო.

დღიანს ვუტრიაოდ სათითოდ ყველა მუხლს, და გუგუნივით უნდა ვითხრაო, ბოლოს გაოცებისაგან მხრები ავიჩეჩე. თუ ეს იუმორია, ძალიან უხერხემლო განხლავთ და პროვინციალიზმის სენი ასდის, თუ ფანტასტიკაა, მაშინ უფრო დიდი გაუგებრობის მოფიქრებაც შეიძლებოდა. თუ სერიოზული დეტალია, დღერთში დაგვიფაროს... მოთხრობის ხასიათი უნდა იმყოფოდეს ასეთი „იუმორის“ ჩართვის საჭიროებას. „მუნჯი მოთხარა“ თავისი სიუჟეტით და ენობრივი ჭსოველითაც სულ სხვა ხასიათის მოთხრობა ვახლავთ და რა უხუცესთა საბჭო, რა არაფრისმთქმელი და უგემოვნოდ შედგენილი მუხლები, რა „გათხოვილების და დაქორწინებულების მიხედვა“ დასკირდა ამ სერიოზული მოთხრობის ავტორს? ვარდა ამისა, ზედმეტია (და ყალბიც) სამი ბივის შემობრუნება და ხილვის მშვენილობაზე დასაქმება, ზედმეტია „ვილაცას“ ხუმრობაზე ამ ბივის გაგულისება და მერე ისევ „მოკვიანება“, ზედმეტია და არაფრისმთქმელი ყოველ ფეხის ნაბიჯზე სანაძლეობის დაღება და მერე სათითოდ ყველა სანაძლეოს შესრულება. ეს ყველაფერი, იქნება, სხვა მოთხრობებს სჭირდებოდეს, მაგრამ ამ მოთხრობას ნამდვილად არ სჭირდება. სულ ტყუილად გავგაცდინა მწერალმა ბიჭების „შრომითი ცხოვრების“ სუსტად დაწერილი ეპიზოდებით. ამაოდ დასაქმა და დაღალა ჩვენი ყურადღება საეჭვო იუმორით და ჭირვეული შეგონებებით. და ბოლოს, მოთხრობის დასასრულს, იწყება მოთხრობა. შემოღის მუნჯი, „მაგან თუ იცის, ნიკა რო პქეია? — მკითხა შოთამ. — არა მგონია. საიდან ეცოდნება წერაკითხვებზე უმარხად განხლავს“. აქ უკვე მწერალი მტყუყვლებს. აქ იუმორიც არის და მკითხველის დამაინტერესებელი მხატვრული შტრიხიც. აი, რა დამაქერებლად და ოსტატურად ვეხიბატავს პროზაიკოსი მუნჯის სადღვგრძელოებს:

„მუნჯმა ქეია აილო, ვერ დეზებიანი მამალი დაგვანახვა და მერე — კრუხი და იმ კრუხის წიწილეებიც, აბა, ბა, ბაო და დალია.

— რა მინდაო? — წამიქიმუნჯა შოთამ.

— ეს მამალი და ეს დედალი რომ არ ყფფილიყენსაო ლიყენენ, ეს წიწილეებიც ზომ არ იქნებოდნენ? პოდა, ჩვენს შშობლებს გაუმარჯოსო.

შობლებს გაუმარჯოსო და ჩვენც დაელიეთ. ან კიდეც:

„მუნჯმა საეცე ქეია ასწია: თვალს ხუჭავს, ვაშლილ ხელს ლოყაზე იღებს და თავი მოწყვეტით უვარდება ზედ, — აბა, ბა, ბა, ბაო, — დეინის პურზე აღვენთებს.

— ვინც ამ ქვეყნიდან წავიდა, მათი მოგონებისა იყოსო“ და ა. შ. ჩემთვის გასაგებია ამ ეპიზოდების ხედვანარევი იუმორი და მუნჯის პორტრეტის რამდენიმე დეტალიც მხატვრის თვალითაა დანახული. მკითხველში სითბოსა და სიყვარულს სტოვებს მოთხრობის ის ადგილიც, სადაც ირყევია, რომ ამ გამარჯვ, ალალ და პატოსან მუნჯს სოფლის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ვაგო (რა თქმა უნდა არა მუნჯი) მიჰყვება ცოლად. როგორ სჭირდება ამ, თავისთავად, არც თუ ურიგო მოთხრობას უღმომბელი მაკრატელი, რომელიც მასში ზედმეტს და ყალბს ამოჭრის და მართალს და საჭიროს დასტოვებს.

ახალგაზრდა პროზაიკოსმა მირონ ხერგიანმა უკვე მოთხრობების რამდენიმე კრებული შესთავაზა მკითხველს. ვარდა ამისა, იგი ხშირად იბეჭდება ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში და მკითხველის ყურადღების საგანი ხდება. მირონ ხერგიანი სრულიად სამართლიანად ვახლავთ პრეტენზიული იმ საქმეში, რაც თავის მოწოდებად მიანიჩა და ეს კი გვაიძულებს აწილიანი ლიტერატურული პრაქტიკა სამწერლო ვარჯიშისათვის საკმარის პერიოდად ჩაუთვალოთ და მისი შემოქმედებისადმი უფრო მომთხონევი ვიყოთ. ჩემთვის ამ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლის თითო-ორილა სუსტი ნაწარმოები კი არ არის გასაკვირი, გული იმაზე მწყყდება, რომ მირონ ხერგიანის პირველმა წიგნებმა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის სრულიად უხმაროდა ჩიარა. არაინი არ ითავა სერიოზულად განხილა მირონ ხერგიანის პირველი მოთხრობები, ამით, ერთის მხრივ, მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო იგი და მეორეს მხრივ — დამწყები ავტორისათვის პროფესიული რჩევადარგებით დახმარება გაეწია.

მირონ ხერგიანის მოთხრობა — „მოხუცი ბას სიკვდილი“ („მნათობი“ 1971 წ. №7) მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ სძლევს ხოლმე ზოგჯერ ახალგაზრდა პროზაიკოსს ხელოვნური, განუცდელი ამბის რომანტიულ ფერებში დანატვის ცდუნება და როცა ამ ფაქტს, ბუნებრივად, ხელგაუწყაფავი მხატვრის კალამი დამატება, რა ცტაა რჩება ხოლმე რამდენიმე საინტე-

რამაზ მისხმელაძე
მშმარლის უპირველესი თვისება

რესო მოთხრობიდან გულუბრყვილო ნაწარმოებამდე.

ქაულ მოხუცს — ბას შვილები ქალაქში გამოეკენენ. მოხუცი მარტო დარჩა, მაგრამ მან არ მიატოვა სვანეთი, ახალგაზრდებზე კი (მათ შორის თავის შვილებზეც) გული სამუდამოდ გაუტყდა; სოფელს, შრომას გაურბიან და იოლ ვახს ეძებნო. ერთხელ შვილებმა ჭებუბრხინჯში წაიყვანეს. მოხუცმა მხოლოდ ერთი თვე გასძლო „ტყვეობაში“. გაიყვებით მოუნდა მშობლიური სანახების ხილვა და სვანეთში მიმავალ საბარგო მანქანას გაყვა. მარლით დატვირთულ, ბრუნუნენად გადახურულ მანქანაზე ყანყალით ილაგა წყვეტილმა მოხუცმა დანით გადაფხრიწა ბრუნუნენტი, ნახვრეტში თავი ასწარა და ეჭე ჰე ჰეო გასძახა მთებს. მოხუცის აღტიენება ხანმოკლე გამოდგა: მანქანა თავდაღმართზე შექანავდა, ბრუნუნენმა ბას კისერზე მოუჭირა და დაახრია. მანქანის ძარბაზე სხვებიც ისხდნენ, მაგრამ მათ ხელის განძრევა ვერ მოასწრეს. ასე მოკვდა მოხუცი ბა. მართალია, ამ სიუჟეტს, ცოტა არ იყოს ხელოვნურის ელფერი დაკარავს, მაგრამ ამბავს ნუ გამოეკიდებით. ყოველ შემთხვევაში სხვათა სიტყვით გადმოცემული ეს სიუჟეტი უფრო არ ტოვებს ლიტერატურული ტყუილის შთაბეჭდილებას, როგორც ჰემინგუეის ერთი მოთხრობის ქარბა, ჭმარმა რომ მშობიარე ცოლის კვირის ვერ გაუძლო და ყელი გამოიღარდა. „მოხუცი ბას სიკვდილის“ სიუჟეტი ასატანად მივიჩნით, მთავარი ხომ ის გახლავთ, მოახერხა თუ არა მხატვარმა დამაჩერებლად და ნათლად გადმოეცა იგი. რამდენადაც ეჭვიმოტანელი სისასხით გადმოსცა. ჰემინგუემ თავის მოთხრობაში გამოგონილი სიუჟეტი და ამ ამბავს მხატვრულობის საიმედო საფარი უფარა. იმდენად სუსტად და პრიმიტიულად დახატა შირონ ხერგიანმა მოხუცი ბას სიკვდილის, ერთი შეხედვით, სავსებით რეალური სურათი.

მოთხრობა იწყება იმით, რომ მგზავრები მანქანის ძარბაზე სხედან და სვანეთისაკენ მიდიან. ავტორიც ასე იწყებს და სრულიად სწორად, მაგრამ მაღე უკან იხევს და ვეიამბობს, როგორ ელოდნენ ჭუთაისის აერობორტში სადრენ ამონად, როგორ გაიცვენს სამი გოგო, რომელთაც აგრეთვე სვანეთში მიეჩქარებოდა. მანქანის გარეთა ეპიზოდების რეპორტაჟული აღწერა ამ მოთხრობისათვის საჭირო არ არის. ხელოვნურობა მოთხრობის ენობრივ ქსოვილსაც ეტყობა, სამავალითოდ ერთ ადგილს მოგვიტანს: „ახლა ცნებებისადმი დამოკიდებულება საპირისპიროდ შეიცვალა. არავენ ახსენებდა, თვითმფრინავს ერთ დროს ოქროს ჩიტვით რომ ვეკლებოდით თავს, ვუფრთხილდებოდით და ველოლიავებოდით კიდეც. ახლა იმას ენატრობდით, შემოხვევით მთებისაკენ, მიმავალ მანქანას წვეწყდომოდით სადმე. აღარავენ ფიქრობდა მოსალოდნელ ხიფათზე, არც იმ სავალალო ამბებს

ვისხენებდით, ჩვენს გზებთან რომ იყო დაკავშირებული და აი, ბედნიერი შემთხვევა: უცნაოდ უფროსმა ძმამ თვლი მოპტრა მეზომბლს სოფელის სავარიონის სატვიტო მანქანას“. „უფროსი ძმა“ მოთხრობაში თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, თუ არ ახსენი, ვინ არის და რას წარმოადგენს იგი. აქ ბოლო ფრაზაში ერთი-მეორეზეა მიყვლილი მკითხველისათვის უცნობი მოვლენები: მკითხველმა ჯერ უნდა გაიხაროს ვისი უფროსი ძმა — „უფროსი ძმა“, მერე „მეზომბელი სოფელი“ და მეზომბელ სოფელი სავარიონი, რომელსაც სატვიტო მანქანა მიჰყავს სვანეთში. ენობრივი ნატურალიზმი და პათეტური სიყალბე, რასაც ასე ენერგიულად ვრეტყება თავის ფურცლებიდან თანამედროვე პროზა, მოთხრობის სხვა ადგილებშიც იგრძობა: გარდაიცივალა მოხუცი ბა თუ არა — „მთა გლოვობდა თავის ერთგულ მეგობარს“. კიდეც მეტი, „სამგლოვიარო ღრიალით მოხვეცილებდა ადიდებული მდინარე“. შირონ ხერგიანი ერთგან წერს „სოფელში სინათლეები არ ენთო და უყუნ სინათლემი გახვეული სახლები ტალახიანი მორენებით მოჩანდა“. მწილი შესამჩნევი კია უყუნ სინათლემი ტალახიანი მორენები. მთავარი სიყალბე მოთხრობის კელმინაციურ მომენტში იგრძნობა. ეს მოხუცი ბას სიკვდილი გახლავთ:

„მანქანის ჯაყაჯუზე ბრუნუნენში თავიარობმა ბამ ტანი ვეღარ შეიმარგა, ტიკინასავით მიეწარცხ-მოეწარცხა საბარგულის კელდებს, ბადეს მოყოლილი თევზვით აფარებლდა. ერთი ძალუმად ამოიხიილა, ხელებით ბრუნუნენის გაწევა სცადა, მაგრამ თავი ვეღარ დაიძვრინა. ბრუნუნენი დაიწეა, სხვადასხვა მხრივ დაიჭიმა, მხხრჩინავით შეეშეშალა მოხუცის ნიაქებიანი ყელ-კისერს. სუნთქვა შესვა ბას, სული შეეგუბა, საფეთქლებზე სისხლი მოაწვა, ყურებმა ბაგაბუგი დაუწყო, თითქოს უროკვერის ურტყამდნენო. ხროტინებდა, ყელგამოჭრილი ხაროვით ხროტინებდა და ქშინავდა... მერე როგორღაც ქარქაშს მოეჭაჭურა, ეტყობა დინის ამოდებას ლამობდა, ალბათ ნახვრეტის გავანიერება თუ ეწადა, მაგრამ აღარ დასცალდა, ვაბე-რილი კისრის ძარღვები დაეჩუტა და ბუბრული მოუსვენარი ტანი მხვარივით ჩამოეკიდა სახურავზე.

გუა მსწრაფლ მის გვერდით გაიხდა, მაგრამ უკვე გვიან იყო ყველაფერი“. კი მაგრამ მანამო მოხუცი რომ ტიკინასავით ენარტებოდა მანქანის კელდებს და ბადეს მოყოლილი თევზვით ფართახლებდა? ბრუნუნენთან თვით რომ ვეღარ დაიძვრინა და ქარქაშს ეჭაჭურებოდა? იქნებ ნახვრეტი გავავანიეროვო, მოთხრობის ლირიკული გმირი და მისი უფროსი ძმა ისხდნენ და სეირს უყურებდნენ? ვანა იქვე, გვერდით არ ისხდნენ ისინი და არ შესეჭვროდნენ როგორ ხროტინებდა მოხუცი და კისრის ძარღვები ეტე-



რებოდა? და ამის შემდეგ რა დაუჭერებლად ისინი ავტორის სიტყვები „გუა მსწრაფლ მის გვერდით გაჩნდა“. აშკარად არ ეყო ოსტატობა ახალგაზრდა პოზოზიკოსს, რომ მოხუცი ბას სიკვდილი მართლად დაეხატა. მე უფრო დავიჭერებდი რომ ეს დასუსტებული, დაჩაჩანაკებული მოხუცი მანქანის გაუთავებელი ჯაყაყაისაგან უკუდად გამხდარიყო და ჩიტვიით, მშვიდად ადგილზე მომკვდარიყო, ვიდრე ბრუნუნტის გახვევას, ეალელი ბას არტისტულ ყვირის და მის სრულიად ულოგიკო, ხელოვნურ სიკვდილს ვიჭერებ. მოთხრობაში დაშვებულია კიდევ ერთი შეტყობა: ავტორი ამბავს გვიყვება მანქანის ერთი მგზავრის პირით. გუას ქვამ თავისი თვალით იხილა ყველაფერი და ვვიამბობს. მაგრამ მწერალი ზოგჯერ ღალატობს ამ პრინციპს და ბას შინაგან მღელვარებას ვადმოგვეცემს. საეჭვოა, მაქვერალს შეემჩნია რომ ბას „მთელი სხეული ბედნიერებით აღვსოდა, თავისთვის გულში იციინდა“. მირან ბერგიანის ამ მოთხრობაში არის ასეთი ადგილი: „გოგონებს მხრები ჩაოქუყართ, თმა ჩამოსწეწოდით, ტალახსა და მტვერში ამოსვრილიყვენ. ისინი დაბრძენებულიყვენ, გამოცვლილიყვენ. ბუნებრივი მართალი იერი ჰქონდათ. ახლა ნათლად ესახება ხეზე, რომ მთიბელთა, ტყის მკრელთა და მონადირეთა შთამომავლები, მათი გვარისანი იყვენ. ჩანმრთელნი, სერიოზულნი და პირქუშნი, უკმაყოფილონი“. ამ სურათს მწერლის ხელი ეტყობა, იგი უშუალოა და ბუნებრივი, მაგრამ მერე „უკუნ სიბუნელში ტალახიანი მორენები“ გახსენდება და ფიქრობ „მოხუცი ბას სიკვდილის“ ზოგიერთ დაკარგულ შესაძლებლობაზე.

„ხელის გაქცევის“ და „ვერ მოზომვის“ სენი ამ ბოლო დროს ზოგიერთ ჩვენს გამოცდილ მწერალსაც შეეყარა.

რევაზ ჯაფარიძის მოთხრობა „უკვდავ სულს“ (ცისკარი, № 10, 1971 წ.) მინდა შევეხო. ჩვენს უფროსი თაობის მწერლების პროზაულ ქმნილებათაგან ეს მოთხრობა შემთხვევით არ გამოიყვია. იქნებ სხვათა სხვა ნაწერები უფრო ნაკლებ მასალას როდი იძლეოდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ გაქვიანებულად ახალგაზრდა პროზაიკოსების გარდა ღიდი ხანია სხვებიც სწერენ, მაგრამ მკრეხელობად ნურვინ ჩამოთვლის და კრიტიკის პრინციპად მიმაჩნია წერა იმაზე, ვისაც სჭირდება, და ვინც თუ არ დავიჭერებს, მოვისმენს მაინც. რევაზ ჯაფარიძე ჩვენს ლიტერატურაში ერთ-ერთ მალაპროვოლიტულ და ხარისხოვან მწერლად და პუბლიცისტად მიგვანჩნია და ვფიქრობთ, რომ მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული აზრი არასოდეს არ იქნება „წერე და იციოთეს“ გულგრილი პოზიციით გაგებული.

რაზე ვვიამბობს „უკვდავი სული“? ალმა-ათაში თბილისიდან ჩავიდა ახალგაზრდა

ენთოგრაფი ვეა. სიმპოზიუმის მონაწილეთაგან, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, პატარა მკვებრული წერე შეიკრა: ერთმანეთს დაუსწროდნენ ყაზახი ხამიდ დუყენბაი, ლიტველი ნიკოლას პალანგოსი, უეგოროდელი გუცალო, ესტონელი ლუქსი და ქართველი ვეა. ერთხელ სიმპოზიუმის კულუარებში მეგობართა შორის ქალის საკითხზე დიდი კამათი ატყდა. გაირკვა, რომ ლიტველი ნიკოლას პალანგოსი „ლედითა სქესზე, ანუ როგორც ეს უწოდებდა — მამა-სოცთა ქინის მოსაკლავად გაჩენილ მოწყობილობაზე — ერთობ დაბალი შეხედულობისა იყო“. ნიკოლასის ამ აზირობამ ყველას გული დასწყვიტა და განსაკუთრებით ქართველ ენთოგრაფს — ვეას. სიმპოზიუმის მთელ მანძილზე ნიკოლას პალანგოსი ისე იქცეოდა, რომ ქალებზე თავის ამ მრწამსს სრულიად აპართლებდა. იგი ქალებს ქედმალურად უქეჩრდა, ირონიით, ამპარტავენულად ელაპარაკებოდა და ხშირად დასციროდა კიდევ. მაგრამ ბოლოს ნიკოლოზმა ალმა-ათაში იბოვა ლიტველი ქალი (მისი ძველი ნაცნობი) ახალგაზრდა მსახიობი იოანა. იოანამ ნიკოლასს თავისი მძიმე ხვედრი გაუზიარა. მან უამბო ეთნოგრაფს, თუ როგორ დაკარგა ორმოცი დღის წინათ უსაყვარლესი ქმარი. ამ ქალის სიტყვებში იმოღენა დარდი, სიყვარული, რწმენა და ძლიერება ჩანდა, რომ ნიკოლას ვაოგნებული შესცქეროდა ამ კეთილშობილ და კდემამოხილ არსებას და „ღამიანკვით წაილაპარაკა: — არა ბიჭებო, იოანა ქალი არ ვეგონოთ, იოანა ღმერთია!“ არც თუ ახალგაზრდა, გამოზრძმედილ და ჰირნანახ ნიკოლას პალანგოსს ამ ქალმა დიაცთა სქესზე თავისი წლების განმავლობაში შემუშავებული შეხედულება ერთბაშად შეაცვლევინა — ასე ნათელი და საინტერესო გახლავთ ამ მოთხრობის დედააზრი.

დავიწყით სათაურით. „უკვდავი სული“, მე ვფიქრობ, ამ მოთხრობისათვის შეუფერებელი სათაურია. იგი მყვირალაა, პათეტიური, მითუმეტეს, რომ აქ მართლა რაიმე სულის უკვდავებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ მოთხრობის მთავარ მოქმედ პირს—იოანას ქმრის სიკვდილის შემდეგ ავადმყოფური პალუცინაციებით დასჩემდა; ეჩვენება, რომ თუთიის დახშულ კუბოში „ანდრიუისის (ქმარი) სული წვალობს, ზემოთ ამოსვლა უნდა და სხეული ვეღარ სცილდება.“ შეიძლება თქვათ, სწორედ ამ უკვდავ სულზეა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ მაინც დავინებით ვავიმეორებთ, რომ „უკვდავი სული“ უფრო ისტორიული და რომანტიული ელერაბუნისია, ვიდრე ამას მოთხრობის დედააზრი გულისხმობს. ახლა „უკვდავი სულის“ პირველსავე ფრაზას ვაუხსინჯოთ კბილი; მოთხრობა ასე იწყება: „ბრგე შესახებლაობის, ცისფერთვალეობა

რევაზ მიშველაძე
მწერლის უპირველესი თვისებაა



ლიტველი ნიკოლას პალანგოსი ცხოვრებაგამოვლადი და ცოტა მოავარო კაცი ჩანდა. „ბრვე“ თავისთავად შესახებდაობაზე მიუთითებს, ამიტომ მეორე სიტყვა სრულიად ზედმეტია, ისეც არ იყოს, კაცი შეიძლება მოავარო იყოს, მაგრამ „ცხოვრებაგამოვლადია“ თუ არა, როგორ უნდა „ჩანდეს“? ასევე ყალბპულციისტურია მომღვინე წინადადებაც „სანამ მეცნიერების მაღალი ეპიზის უდაბლეს საფეხურზე ფეხს შესდგამდა, ნიკოლას პალანგოსს, რომ იტყვიან, ცხოვრების ძირმწარე ექმაა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებოდა მოსწავლის ნივთს“.

მოთხრობის ცენტრალურ ხაზს ნიკოლას პალანგოსი-იოანა წარმოადგენს. იოანა კი, ვისზეც და ვისთვისაც მოთხრობაა დაწერილი, მხოლოდ ნაწარმოების მეორე ნახევარში შემოკვეთს მწერალს. სამაგიეროდ მანამ, მკითხველი რომ როგორღე გაართოს, ვრცლად ჩერდება ენთოგრაფთა ალმა-ათის მსოფლიო სიმპოზიუმზე და მის მუშაობაზე. ამ მოთხრობას სრულებით არ სჭირდება და მკითხველსაც არ აინტერესებს, როგორ გადაიტანა გუცალომ მსჯელობა მშვენიერების პრობლემის ზოგად სინტეზში, არც ვაჟას საბავლო მოხსენების ასეთი მშრალი ინფორმაცია: „სახვლიოდ პლენარული სხდომა იყო დანიშნული. კონგრესის განმეორებით მოისმენდა ღირსშესანიშნავად მიჩნეულ მოხსენებებს. ასოციაციის თათმდომარესთან მოლაპარაკების შემდეგ მე საგანგებო წერილი მომივიდა და ის წერილი ახლაც შენახული მაქვს. დილის სხდომაზე, ვთხოვთ, თქვენი მოხსენების მთავარი დებულებები გავაცნოთო.“ სიმპოზიუმთან დაკავშირებული დაწვრილებებითი აღწერები მხატვრობას მოკლებულია და მას მეცნიერულ-ნარკვევული ხასიათი აქვს. „უკვდავი სულის“ ერთი მიზრდილ ეპიზოდთან ია-თაუს მთას უკავშირდება. მოთხრობის მოქმედი პირნი დიდი სერიოზულობით ემზადებიან ამ მთაზე საქმესტურისოდ. ავტორი კურნალისტური კეთილსინდისიერებით გვაცნობს საქმის ვითარებას. „სხვებმავე საფუძვლიანად გადასინჯეს თავიანთი მარტრუტები. ნიკოლას პალანგოსი და გუცალო, მავალითად, ჩიმქენტის ჯგუფში იყვნენ ჩაწერილი. მათი მატარებელი თერთმეტის ოც წუთზე გადიოდა ალმა-ათის სამკაგარო სადგურთან. ლუქსს, ბევრი რჩევა-რჩევის შემდეგ, ყაზახეთის შუაგულის — ჯამბულის ოლქის მონახულება გადაწყვიტა, ამ ჯგუფს ყარაგანდის მატარებელი უნდა ემგზავრა ბალნაშის ტბის ნაბიერ-ბამდე, აქედან კი მანქანებით მოუხლებოდით გამგზავრება“. კი მაგრამ, ჩვენ რა შუაში ვართ, მოთხრობაში არც გუცალოს აქისრია რაიმე მხატვრული ფუნქცია და არც ლუქსს. ისინი სულ ამოდ შეაწუხა მოთხრობის ავტორმა. ისევე ალმა-თაუს დაეუბრუნდე. იწყება ალა-თაუს აღწერა, მისი, როგორც დასასვენებელი ადგილის მნიშვნელობის დახასიათება, მერე ალა-თაუს დასა-

ლაშქრავად მზადების დაწვრილებითი თხრობა (ნარკვევი! ნარკვევი!) და ბოლოს, როგორღეცა, მაგრამ რაღა, მეგობრები „გულკონით“ მოგვებულ მისწვეულ-მოხვევული გზატკეცილებით“ ალა-თაუსაკენ მიემართებიან. ხომ ეგონა მკითხველს, რომ ალა-თაუზე რაღაც უნდა მომხდარიყო, აბა რისთვის შეგვაშინადა მწერალმა ასე გულდაგულ? ალა-თაუზე არაფერი არ ხდება, გარდა იმისა, რომ ნიკოლას პალანგოსმა ორი მსუბუქი ყოფიქციის ქალმშვილი შემატა სუფრას. კი მაგრამ, ამისთვის იყო საჭირო ამდენი მზადება და ექსკურსიის დაწვრილებითი აღწერა? ვფიქრობ, მოთხრობა ვაცილებით სინატრერესო იქნებოდა, იგი რომ ზედმეტი დეტალუნიზაციან თავისუფალი ყოფილიყო. გამოჩნდა იოანა. მწერალი შესანიშნავად გვიხატავს მის პორტრეტს და მსახიობი ქალის ნაამბობიც არაჩვეულებრივი შთამბეჭდაობით გამოირჩევა. ნიკოლასი გავგებულულია, ნიკოლასმა უკან დაიხია: „ეს ქალი არ არის, ეს ღმერთია“, ამბობს იგი. მოთხრობა ფაქტიურად აქ მთავრდება და თუ მაინცდამაინც გავაგრძელებდით, მხოლოდდამხოლოდ იოანა-პალანგოსის ხაზი უნდა ყოფილიყო განვითარებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. იწყება ისევ ნარკვევული ინფორმაცია: მწერალი გვიამბობს, როგორ ჩამოურივა ვაჟამ მეგობრებს თავისი წიგნები და თბილისის ხელები სამასოვროდ. მერე ნიკოლასს აცილებენ მატარებელი და ქართული ენთოგრაფი — ვაჟას დაავალი დაიჭირა და მეგობრის თხოვნა პირნათლად შეასრულა. თუმცა, როცა იოანა თვალს მიეფარა, ენთოგრაფმა იანა, მაგრამ გვიანდა იყო თითზე ტკენანი. თურმე, ნი იტყვიო, ვაჟას ლიტველი მსახიობი ქალი გულში ჩავარდნიდა, მაგრამ მან რაინდობა შეინარჩუნა და ქერივს ამის შესახებ არაფერი უთხრა. მერე მოთხრობილია, როგორ ვაღვიძა დილით ვაჟა აღმინისტრატორმა, ადგი, თვითმფრინავზე დაგავვიანდებოო, როგორ გამოიტანა თავისი ბარჯი ვაჟამ და ტაქსში ჩაალაჯა. როგორ აირბინა მან თითქმის უკვე გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის კიბე და აი, მოთხრობის ბოლო ტრიტიონები: „ვიდრე მე ახალ ვითარებას შეეჩვეოდი, ჩემოვანდ ვარდრობაში დაგვადმი და ადგილის მოსაძენად სალონს მივაშურებდი, ტურნორატქიულმა ძრავებმა, აქამდე რომ ყრუდ და მშვიდობიანად ღუღუნებდნენ, გაბმულად დაიკვივს, დაიგრუნუნეს და უზარმაზარი თვითმფრინავი ძლივს შესაძენვე ბოძით დაიძრა ადგილიდან“. ეს ყველაფერი მოთხრობას ზედმეტ ტვირთად აწევს. ვაჟას იოანითი გატაცების რომანული „ტრაგედია“ კუს მიერ ფეხის გამოყოფის ამბავია, ხოლო თუ ვაჟა მინილდამაინც არ დაიშლიდა, მაშინ „ჯულიეტის“ როლის შემსრულებელს რაღაც როლი უნდა ეთამაშნა ქართული ენთოგრაფის ცხოვრებაშიც. ახლა კი ვაჟას პლატონიურ გრძნობას მსახიო-



ში ქალისადმი უმეფიარას სიყვარულის ელფერი დაპრავს და უნთოგრაფის ასეთი ფიქრებიც გვლურბრვილოდ გვეჩვენება: „რა იქნებოდა ყოვლის შემძლე ბუნებას ანდრიუსად გვეჩინე, მერე ცხოვრების გზაზე სადმე იონას შემყროდა, ჩემი გამწვანებული სიყვარულის საპასუხოდ ქალური თავდაიწყებით შევეყვარებინე და ბოლოს ჰერმეტულად დახურულ თუთიის კუბოში გამოიმწყვდევდილიყვი ჩემი უყვადვი სული. თვალები მსხვილი კურცხლებით ამევსო. ამ წამში ბედნიერიც ვიყავი და უბედურიც. ბედნიერი იმით, რომ იონას მე მეზარა, იონასავან თითქმის არაფერი მაშორებდა, ხოლო უბედური კი იმით, რომ იონას გული და ავიზიზიზებული ვენება სხვას ეყუთვნოდა, სხვას, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულს და არა მე, ცოცხალს...“ გვგონებათ, თითქოს მწერალმა ვანუშმა მოინდომა, როგორმე გაეჭარწყლებინა თქვენთვის ამ საინტერესო მოთხრობით მიღებული შთაბეჭდილება, ამისათვის მიაპყრო ჩვენი მზერა უამრავ ზედმეტ დეტალს.

აქვი ვერძობის „უყვამლო ბუბრებს“ („მნათობი“, № 10, 1970) აღვლევების გარეშე ვერ წაიკითხავთ. ამ მოთხრობაში აღწერილია მარტოდ დარჩენილი კაცის ტრაგიზმი და უყვამლო ბუბრების სევდა. სოფელი ჩამუხლებით დაცარიელდა. მიატოვეს მამა-პაპათა ეკრა და ქალაქს შეეხიზნენ. გამოყრუებულ სოფელში ერთადერთი აღძვიანი ეზრძვის რაკის გრძელ ზამთარს. ეს ვახლავთ. მოხუცი ქალი ეკა. მასი ქმარი იონა ქალაქში შეიღების მოსანახულებლად წაიქოდა და რატომღაც შევაკიანდა. ირ თვეზე მტრია ეკა მარტოდმარტო ათენ-ალამებს. იგი წუხს, ვერ ისვენებს. დედაბრის სულში გაბმულად რეკავს ავისმოამსწავებელი სიჩუმის ზარი. სოფლად ერთამული აღარ ისმის. თოვლის გამყვამლოც არაივნა. ერთ საღამოს თავის ფიქრებში ვართულ ეკას ძროხამ წიხლი ჰკრა და რამდენიმე დღის შემდეგ შინმობრუნებულმა იონამ ბოსელში მიაგნო უმატრონო მიცვალბულს, რომელსაც ვულზე ხელისდამკრედი არავინ ვამოუწინდა. „უყვამლო ბუბრების“ დედაზრი ნათელია და მოთხრობის მთელი რივი პასაევი საინტერესოდ ვახლავთ დაწერილი. განსაყუთრებით უნდა აღვნიშნო დამის — ეკას და შამშეს საუბარი მოთხრობის ფინალში.

რა არის ამ მოთხრობაში ზედმეტი? სოფელი დაცარიელდა. მოხუცი ქალი მარტოდ დარჩა, გამკითხავი არავინ არის. მარტოდ დარჩენილი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ახლომახლო არავინ იყო, რომ ეკას კივილი ვავგონა და მიშველებოდა. ეს ქარგა სრულიად ლოგიკური და საკამარისია მწერლის ჩანაფიქრის ვადმოსაკემალ. მოთხრობაში ახსნილია ეკას მარტოდ დარჩენის მიზეზი — შეჩვეულ აღვიღს ვერ მოსცილდა, საწონელი ვერ მია-

ტოვა. იონას შემთხვევის გამო შეავვერძეოთ თითქოს ეს მიზეზი ეცოტავაო, ავტორსა მხოლოდ რობაში შემოაქვს რძალ-დედამთილის კინკლაობის ტრადიციული, ბანალური ხაზი. თურმე ნუ იტყვიო, ეკა ქალაქში ავი და უხიავი რძლის მიზეზით არ ჩადის. რძალ-დედამთილიანს მოტრევი კი აუფერულებს და აიაფებს მოთხრობაში ჩადებულ დიდ სოციალურ აზრს და „უყვამლო ბუბრების“ სევდიან პასაეებს აქა-იქ ფელეტონური ინტონაციით აქარწყლებს. ახლა ვნახოთ, დამაჯერებლად არის თუ არა აღწერილი ეკასა და მერის (რძალი) ურთიერთობა:

ჩამოიყვანეს ქალაქელი რძალი სოფლად და პირველადვე, (რითაც მან თავის დედამთილს, „ასიაოვნა“) ასეთი „სიბრძნე“ ვადმოაფრქვია:

— „ზოგ სოფელს ფრჩხილებში მტერი ჭუჭყი აქვს, ვიდრე თავში ჭუჭყა! — მოურდიებლად წამოისროლა მერამ და დედამთილს დამკინავალ ვადახელა, შენ რა ვავგებვა, სხვის საქმეში უტარო კაცხივით რომ ეჩრებიო.“

ახლა ეკას მივუბრუნდეთ: „ეკა ამ საუბრობის ბოსტანში ხახვს იღებდა და ხელუბდათხვრილს ფრჩხილებქვეშ ჭუჭყი კი არა, მიწა ჰქონდა. მიწა სხვა არის, ჭუჭყი სხვა. ჭუჭყიანი ხელი მართლაც სამარცხვინოა, მაგრამ მიწაში მოფუთფუთე სულაც არა“. ამ სიტუაციის გულუბრყვილობას და აღწერის პრიმიტიულობას რომ თავი ვაეანებოთ, თქვენ ვავოცებთ რძალ-დედამთილის ურთიერთობის შემდგომი ვანვითარება: რძალი სხვადასხვა დროს ასეთი სიტყვებით ამკობს უდანაშაულო დედაბერს:

„მერი ვავგება ქმარს და ეკამ ვარკვევით ვაივიანა რძლის ნათქვამი: ვიხაროდეს, ბებერი კუდიანი ჩამოვივილიაო.“

— იმ ხელებით ვავითებულს რა შემაქმევეს, დახედე რას უვავს რომ ვუყურებ, გული მერევა“ (აქვეა მოთხრობელის ასეთი გულუბრყვილო შეფასება: „რატომღაც მერამ თავიდანვე ეკას ხელუბ შეიძულა, ის ხელუბი, რომელმაც საქმრო ვაუზარდა ამ წუნია და მერტიარა ქალს“).

„მაშინ წახდა ჩემი საქმე, როცა სოფელმა ჩინარამ (დედამთილზეა ლაპარაკი, რ. მ.) დამიწყო სწავლება ვაუშეს როგორ ვასვა და ვაჭამო. დურაქი ხარ და მტეი არაფერი“.

„ვითომ ჭურჩულებს მერი, ეკას კი ყველაფერი ისმის. ერთხელ ისიც ვავგონა: ვაუტკება მუქთა ლუქმა, აღარ მიეთრევაო?“.

აქამდე ხომ ნართაულად ელაპარაკებოდა, ბოლოს რძალმა პირდაპირ დაუსვა საკითხი დედამთილს: „შენ რომ სინდის-ნამუსი გქონდეს, აქამდე მიხვედებოდი და მომშორდებოდი, მაგრამ რეგენი ხარ და ვინ რას ვავაგებინებს?“.

რეპეზა მიწვევამაძ
მწიგნლის უპირველესი თვისება



დაკვირვებულ მკითხველს ადვილად მიხვდება, რომ ამ მოთხრობაში აღწერილი რძალ-დედამთილის ხაზი ყალბი და ხელოვნურია. ეკასთან შერის დამოკიდებულება ამ უკანასკნელს შეილების დედად კი არა, კლინიკურ გიჟად წარმოგვიდგენს. ხოლო ასეთი აღქაჩის გაცნობის შემდეგ მკითხველს ინტერესი ეყარება მოთხრობაში დატრიალებული ამბებისადმი. რძალი სრულიად უმიზეზოდ და უსაბუთოდ შხამს ანთხევს დღენადაც. რა პოზიცია უჭირავს ქმარს? მას ეუბნებიან დედაზე — გიხაროდეს, ბებერი კუდიანი ჩამოვიფიქრო, და ედროკო (შვილი) ტკბილი სალამივით იღებს ეკას ამ სრულიად დაუმსახურებელ კომპლიმენტს. რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? რატომ მოგვყვებიან მწერალმა მარტოდაღმწერილი მოხუცის ლირიულ ამბავს და მოყარეუბნულ, ვაცვეთილ სიტუაციებში რად გადაგვიგდოს?

ახლა ეკას გულში ჩაიხედოთ. მოთხრობაში სრულიად ზედმეტია ამ გამარჯვებულ მოხუცის პათოლოგიური ზიზღი ქალაქისადმი. ვინა ეკას სახის გამოყვეთას რაიმეს მატებს მწერლის ახირებულ სურვილი რომ ამ სათნო მოხუცის პირობით გამუდმებით ამტიციოს სოფელში ცხოვრება ვაცილებით სჯობს ქალაქში ცხოვრებასო? აი, ეკას საქალაქო პოზიცია:

„ქალაქში, ეტყობა, მხოლოდ ხელების მოვლაზე ფიქრობენ. დილა-სალამოს რალაკით იხევენ. ჩვენ სხვა საფუძვლი გვაქვს“.

„მოიყვან მოსაგალს და მერე... ღმერთმა იცის, ვინ მიირთმევს... ქალაქელებს ჰგონიათ, ყველაფერი ციდან მზაზარეულად ცვივა ამ თოვლივით“.

ქალაქისადმი თავის დამოკიდებულებაში ეკა ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის: „აღარა მაქვს ღორის დეგნის თავი. ეკ, ამას კი მოვიშორებ როგორც, მაგრამ... ჩემი რძალი ვითომ ნაკლები ღორია? ან სხვები?“.

მწერალმა ჩაიფიქრა მშვენიერი მოთხრობა მარტოობაზე, გამოკეტული სოფლების აქტუალურ პრობლემაზე, იბოვა მისი საინტერესოდ გადაწყვეტისათვის მიმზიდველი ქარვა და ხედნა, როგორ დაამჩივა (კინაღამ ვთქვი გაახუნდა — ბ. შ.) იგი ხელოვნური სიტუაციებით, ზედმეტი პასაჟებით, გულბრწყელი შეგონებებით და ყალბი დეტალებით.

ზემოთ გაჭიანურებულ ეპიზოდებზე და საინტერესო სიუჟეტების ხელოვნურად დასტარება — გააქვებზე ვლაპარაკობდით. არის შემთხვევებიც, როცა ავტორი წერს მომჭირნობით, კომპაქტურად, თხრობა ლაკონიზმით ხასიათდება და მთელ რიგ პასაჟებს შეშარბიტი ოსტატის ხელი ეტყობა, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტი იმდენად ყალბი და ხელოვნურია, რომ ჩაიკითხავით და გული დაგწყყდებათ. „ამაოდ დაშვრა“ ავტორი. მას ამყარად სათქმელი არაფერი (ან თითქმის არაფერი) ჰქონდა და ამაოდ

ეცადა ჩვენი ყურადღება გამოგონილი (ან სტატვის ყველაზე უკუნი გაგებით), ხელოვნურად ამბით მიგყარო.

ლადო ავალიანის „ხის კოვზი“ („მნათობი“, № 12, 1971) ომის პერიოდს ეხება. ნოველაში ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა ადამიანთა შორის ომის მძიმე დღეების შედეგად გაჩენილი ახალი ურთიერთობანი. სასადილოში ორმა მეგობარმა ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ვაჟს, რომელსაც ხელები შეამუშაბა გადაფარებულ მაგიდასათვის ჩაეგლო. დაშაბული, თითქოს გადატბოხს აპირებო, ანთებული თვალებით იციკირებოდა გოგონასაკენ“. მეგობრებს უკვირდოდა ვაჟის უტიფარი მზერა და „ღონ-ქუნანად“ ჩათვალეს, მაგრამ „ამასობაში გოგონამ სუფი დაამთავრა და ის იყო ხის კოვზი ორი თითით წყობად ჩამოსდო თეფშის ნაპირზე, რომ უტხო ჰაბუკი აქამდე თუ თვალუბით სკამდა მას, ერთბაშად წამოიჭრა ზეზე, ერთი ნახტომით იმ გოგონას მაგიდასთან გაჩნდა და ხის კოვზს ხელი სტაცა... ის ჰაბუკი ისევე თავის მაგიდასთან გაჩნდა, კოვზის ტარით გამალებით იწყო კაცური მაგიდაზე: თან კოვზს დროდადრო მალა სწევდა, შორიახლოს მოფუსფუსე ოფიციანტს რომ დაენახა იგი. ეს ზომ ყველამ ვიციოდით, მაგრამ მინც განცვიფრებული ვიყავი, აქამდე რომ ვერ მივხვდი: სადლის მანამდე არ მოგეტანდნენ, სანამ კოვზს არ ჩაიდებდნენ ხელში“. ეს არის და ეს. სიხარულე გითხრათ, მე გამოვიკრდა „ახალი, ჰორიზონტის“ ავტორისაგან ასეთი ყალბი, არაფრის-მთქმელი სიუჟეტი. იმ ვაჟის სულელურ საქციელს ვეადმყოფერი ელფერი უფრო დაკარავს, ადრე შემშლისაგან ილაჩაწყვეტისა. ნოველაში აქა-იქ შეხვდებით ჭეშმარიტი ოსტატის თვლით დანახულ პასაჟებს (მაგ. ლომებთან და ადამიანების ალგოგობა და სხვ.), მაგრამ ისინი ნოველის უხერხემლო ამბავს ვერაფერს შეელონ. ლადო ავალიანი კარგი სიტყვისტი, მაგრამ ფრაზის დახვეწისა და სიტყვების მომჭირნობაზე ამ გამოცდილ პროზაიკოსსაც დიდი დაკვირვება სჭირდება. ავიღოთ

„ხის კოვზის“ ასეთი ადგილი. „სასადილოში ხალხი ცოტაა. აქა-იქ უხხედან ადამიანები მაგიდებს“. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. გრამატიკის კანონებით აქ უხერხულობას არ ვხვდებით, ტაქტოლოგიას ადგილი არა აქვს და წინადადებებიც მოკლე და სხარტია. მაგრამ მხატვრული პროზის მკაცრი კანონებით თუ შევხედავთ, მეორე წინადადება სრულიად ზედმეტია. „სასადილოში ხალხი ცოტაა“, უკვე ნიშნავს იმას, რომ „აქა-იქ უხხედან ადამიანები მაგიდებს“, ხოლო თუ მინცდამაინც დაეტოვებდით მეორე წინადადებას, „ადამიანები“ სრულიად ზედმეტია, რადგანაც მაგიდებს (და ისიც სასადილოში) მხოლოდ ადამიანები უს-



ზედან. ხედვით, რა „ოპერაცია“ მოითხოვა ამ ერთი შეხედვით უწყინარმა ფრაზამ?

როცა ვანო ურჯუმელაშვილის „ეშმაკს“ (ცისკარი“, № 11, 1970) ვკითხულობდი, საინტერესოდ დაწყებულმა ამბავმა და ბუნებრივმა, ძალდაუტანებელმა თხრობამ გამიტაცა, მაგრამ დამითავრე თუ არა კითხვა, ძალიან მინდოდა დამეჭვრებინა, რომ საქმე სრულიად სხვაგვარად იყო, ვიდრე მე ვავიგე, ე. ი. ვიდრე ნოველშია. ეს არც თუ ურიგოდ დაწერილი ნაწარმოებები პროზაიკოსს ფუჭ გასაროლად უნდა ჩავთვალათ, რადგანაც მოკლებულია იმ მთავარსა და არსებობს, რასაც ნოველში უპირველეს ყოვლისა დაეძებს მკითხველი: დამაჭვრებლად გადმოცემულ საინტერესო ამბავს. საბარგო მანქანის კაბინაში ორნი არიან — ახალგაზრდა მძღოლი და მგზავნი. გზაზე შემოალამდათ და მანქანაც ვაფუჭდა. — „ტრაუტერის“ კაბინაში ფეხიფეხ დაწვენი და გათენებას ელოდებინა. მგზავრმა ერთბაშად იგრძნო რომ „იმ საიმისსომავგერელ ნეტარებას ვანიცდილი, კაცს რომ ენებიათ ქალის სიახლოვე ანიჭებს“. მგზავრე დიტანჯა. მთელი დამე თავს ებძობდა, თანაც უკვირდა, ეს რა მემარტებო. დილით „აღმოჩნდა“ რომ მძღოლი სინამდვილეში მამაკაცი კი არა მშვენიერი ქალიშვილი იყო. და ნოველს „ეშმაკი“ ამიტომ უკვირა. ეს სიუჟეტი ყალბი გახლავთ. ასე არ ხდება. ხელოვნურ ამბავს მწერალმა მხატვრული ლოგიკის ფარი ვერ უფარა. მგზავრი გვიამბობს, როცა ტრაულერმა ჩაიჭყქი საღამომხანი იყო, მაგრამ ეტყობა იმდენი სინათლე მიაჩნ იყო, რომ მძღოლის გარეგნობა თვით ყელზე პატარა ხალხმადეც კი გულდასმით შეესწავლა: „ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა, ფუნქულა ლოყები ოდნავ ასწითლებოდა, ყელზე ორი პატარა ხალი ანდა“. და ა. შ. ხოლო თუ მძღოლის „ფუნქულა ლოყები“ და „ყელზე ორი ხალი“ შეამჩნია, ის ვერ გაიგო, რომ გვერდით ქალიშვილი ეჯდა? ლოყებს რომ თავი დაეპრებოთ, განა ხმით, ინტონაციით, საუბრის მანერით ვერ განასხვავებდა ეურნალისტი (მგზავრი ეურნალისტი რ. მ.) ქალს კაცისაგან? ხოლო თუ არ ბნელოდა, განა დილით რაღამ მიხვედრა რომ ქალიშვილთან ჰქონდა საქმე? ხოლო თუ ერთი წუთითაც კი არ დაეჭვებულა მგზავრი თავისი მძღოლის სქესში, მშო რაღამ აუმღვრია სისხლი მამაკაც მძღოლთან (მისთვის ხომ იგი მამაკაცი იყო) სიახლოვისას? კაბინაში მგზავრის შფოთვას და თითების კენეტას პათოლოგიზმისა და უხერხულოების ელფერი უფრო დამკრავს, ვიდრე ბუნებრივობის და დამაჭვრებლობისა.

ოთარ ჩხეიძე რომ ნიჟიერი პროზაიკოსია, ამის შესხენება ზედმეტად მიგვჩანია. მახვილი თვალი, გამოკვეთილი ხასიათები, საინტერესო, მძაფრკონფლიქტური სიუჟეტები, რითაც ო.

ჩხეიძის რომანები და მოთხრობები ხასიათდება ამ მწერალს გამორჩეულ ხდის და მხატვრული სიტყვის პირველხარისხიან ოსტატთა რიგში აყენებს. მნათობის № 5-ში (1970) დაბეჭდილი ო. ჩხეიძის მოთხრობა „გრაგნილი“ თავისი ზომიერი ჰუმორით, სევდანარევი დიმილით, ლირიულობით და სიუჟეტის ოსტატური მობრუნებით ერთ-ერთ საინტერესო მოთხრობად მიგვჩანია: სოფლის სკოლაში გამოსათხოვარი საღამოა. რუსულის მასწავლებლის პენსიაზე აცილებენ. ამ ამბით განსაკუთრებით დირექტორია გახარებული, რადგანაც გამონათვისუღვლებელ ადგილზე თავისი საცოლის დანიშვნას აპირებს. ბოლოს საიუბილეო ქათინაურებით ისე აუჩუყეს გული მოხუც მასწავლებელს, რომ ათრთოლებული ხმით განაცხადა: „თქვენს სიყვარულს... ამ დღესასწაულს... მხოლოდ იმით გადავიხდი, რომ ვიდრე პირში სული მიდგას სკოლას არ დავტოვებო“. ამ მოთხრობისგან მიღებულ საიმოვნებას სავარაზობლად ანელებს ო. ჩხეიძის ენა და სტილი. პროზაიკოსის ენას ძირითადად ორი გამოკვეთილი ნიშანი ახასიათებს — ემფატიკური „ა“-ს ჰარბი ხმარება და სიტყვების ხელგაშლილად, ზომიერების და მოჭირნეობის გარეშე გამოყენება. წლების განმავლობაში ეფიქრობდი მეთქვა თუ არა მწერლისათვის, რომ მისი ნაწარმოებების ენა ხშირ შემთხვევაში მკითხველს საკმაოზე მეტად აღიზიანებს და ნაწარმოების სრულყოფის თვალსაზრისით ენა დაკარგულ შესაძლებლობად რჩება. მოვიტან „გრაგნილის“ პირველივე სტრიქონებს და მკითხველმა თვით განსაჯოს შეიძლება თუ არა ასე წერა:

„უკეთესი არც იქნებოდა, ნწ, არა, არ იქნებოდა, კარგად აეწყო გამოსათხოვარი საღამო, კარგადაც აეწყო, კარგადაც მიმდინარეობდა, კარგადა, დიდებულადა, მშვენივრად, ველარაჟინ ინატრებდა უკეთესსა, ვერა, ველარაჟინა ან სხვას რაღას გამოვედევნოთ, — ეს დირექტორი ველარ ინატრებდა უკეთესსა, აღარც რაი ჰქონდა სანატრელი, ახლომოდა ასახდელი, მოვლენოდა, გამოცხადებოდა, ამით იწყებოდა, ეს იყო, რაც იყო, აღარაფერი დაუდგებოდა წინა, არა აღარაფერი, მოსადევნებელი მოედევნებოდა თავისთავადა, უდავიდარაბოდა, უთავისაყე-მოდა. ცოტა ეს გახდა სადავიდარაბო თუ თავ-შისაკაცმა, მაგრამ საღამო კარგად აეწყო. კარგადა და სანატრელადა, კარგადაც აეწყო და კარგადაც მიდიოდა, სხვა რაღა უნდოდა, რაც უნდოდა, უნდოდა, მოჰყვებოდა თავისთავადა“.

ვთქვათ, ესეც არაფერი. ნახეთ ერთ ექვსგვერდიან მოთხრობაში რამდენჯერ მეორდება ერთი და იგივე ინფორმაცია:

რეზაზ მიშველაძე
 მწერლის უპირველესი თვისება



„მიდიოდა წამსვლელი, მიდიოდა მომსვლელი, ეს ედო გუნებაში. დამდგარიყო დღე მოსვლისა, მომსვლელისა, დამდგარიყო, ამოსულიყო ცისკარი, გათენებულიყო.“ (გვ. 70.)

„მო, ჩაიკითხავს და მოთავდება ყველაფერი, ანუ ჩაიკითხავს და წავა, წამსვლელი წავა, მოვა მომსვლელი, ანუ, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო.“ (გვ. 71).

„მოსცალა ადგილი; მიდიოდა ანუ წასულიყო, მომსვლელიც უკვე მიდიოდა, ალბათ მოდიოდა, გამოაშწებსდნენ...“ (გვ. 72).

„თავდებოდა მოსათავებელი, მიდიოდა წამსვლელი, მიდიოდა, ვეღარაფერი გადაუდგებოდა წინა, მიდიოდა მომსვლელი, ვეღარაფერი გადაუდგებოდა წინა.“ (იქვე).

„გამოვიდოდა, გამოიყვანდა გამოსაყვანსა,

აგერ ე სკოლა და აგერ თვითონა, მომსვლელი მიდიოდა, წამსვლელი მიდიოდა, დამდგარიყო ბოლო წუთები გამოთხოვებისა.“ (გვ. 73).

მოკლე თქმა, სიტყვების ეკონომიურად გამოყენება, მოვლენათა ჩაჭკვიდან უმთავრესის გამოყოფა — მწერლის უპირველესი თვისება უნდა იყოს. უმნიშვნელო ამბებზე გაჭიანურებული სჯა-ბაასი მკითხველს დაგვიკარგვინებს. მინდოდა ამ წერილის დასასრულს ჩემი ზოგიერთი პიპოთეზის გასამაგრებლად რუსთველი მომეშველებინა, მაგრამ მკითხველმა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმაზე ჩვენი მოძღვართმოდერის ცნობილი აფორიზმი შესანიშნავად იცის და ამიტომ თავი შევიკავე.





თამაზ ნიჟნიაძე

პირველი სიხარული, პირველი წყნა

პირველ წიგნს განუზომელი სიხარული მოაქვს ავტორისათვის! მაგრამ პირველი წიგნის გამოცემას მხოლოდ მაშინა აქვს აზრი, როცა იგი მართლ ავტორისათვის კი არ არის სიხარულის წყარო, არამედ მათთვისაც, ვისი რიცხვაც წიგნს, ჩვეულებრივ, ბოლოში აწერია — ტირაჟის სახით. ეს ასე იყო მუდამ, ლიტერატურასა და ხელოვნებაში წარმატებული დებიუტი მთელი საზოგადოების მოწონებას იმსახურებს (ცხადია, არის ვენიალური გამოჩენისებრიც, მაგრამ სავანი, რომელზედაც აქ მოგვიხდება საუბარი, ამ უკანასკნელთა რიგს ვერ მიეკუთვნება). რაც შეეხება წარუმატებელ პირველ ნაბიჯს, ჩვენ ხშირად ვამჩობინებთ, თვალი მოვარიდოთ მას, ან არადა, სულაც მოვეწონოთ ახალბედა ავტორს ჩავარდნა, და ჩვენი ამგვარი გადაწყვეტილება გავამართლოთ ათასგვარი ცრუ მოტივით. ახალგაზრდა ლიტერატორის გიორგი მარკოზიას ლექსების პირველ წიგნზე ნეგატიურ რეცენზიას იმიტომ კი არ ვწერ, რომ „გული გაეუტეხო“ ავტორს, „წერაზე ხელი ავადებინო“ და „ცხოვრებაზე ხელი ჩავაქნევიო“, არამედ იმიტომ, რომ შევადგასო ავტორისა და გამოცემლობის გადაწყვეტილება, პრესაში ათოდე უმწიფარი ლექსის გამოქვეყნებისთანავე ანგარიში ჩააბარონ მკითხველებს. მაშ ასე, რამდენად იყო სწორი ეს გადაწყვეტილება? ხომ არ იქწარეს მათ — ავტორმა და გამოცემლობამ?! ამითავე უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი: ეს წიგნი არ უნდა გამოქვეყნებულიყო! ვიცი, ეს მეტიმეტად გულსატკენი ფრაზაა! ვიცი ისიც, რომ ავტორსა და გამოცემლობებს საშუალება აქვთ, გაიხსენონ უამრავი მავალითი, როცა დასტამბულა ბევრად უფრო სუსტი კრებულები! მაგრამ არც ერთი ეს საბუთი არ იკმარებს საიმისოდ, რომ უკან წა-

ვილო ჩემი სიტყვა. მით უმეტეს, რომ გიორგი მარკოზიას წიგნის უარყოფითად დახასიათება ჩემთვის თვითმიზანი არაა! მე, უბრალოდ, მინდა სწორად შევადგასო პირველი წიგნი, და ამით გულწრფელად დავეხმარო ავტორსაც და მათაც, ათობით ამგვარი წიგნი რომ უწყვიათ სავამომცემლო უჯრეტში.

გ. მარკოზიას წიგნი „აპრილი ატმის რტობეზე“, შარშან გამოვიდა „მერანში“. კრებულს, ჩვეულებისამებრ, წამძღვარებული აქვს მოკლე ანოტაცია: „აპრილი ატმის რტობეზე“ გიორგი მარკოზიას პირველი კრებულა. წიგნში შემაჯალი ლექსები გულწრფელი პოეტური განცდით ასახავენ სამშობლოს სახელოვან წარსულს და კიდევ უფრო ნათელ მომაჯალს.

საქართველოს ბუნების სიდიადე, ხალხის სულიერი სიმდიდრე, წმინდა სიუყარულის გრძნობა და სიცოცხლის მშვენიერება ახალგაზრდა პოეტის შთაგონების წყაროა“.

რახან წიგნის აპარატურიდან დავიწყეთ, აქვე ვიტყვი, რომ ლექსებს თან ერთვის ავტორის პორტრეტი, მაგრამ პოეტს, ეტყობა, ეს პორტრეტი სრული არ მოეხვენება და გადაუწყვეტია შეეცსო იგი ლექსით, რომელიც წიგნის 50-ე გვერდზეა დასტამბული:

ის იყო —
 ზეცა მუხლზე დაეცა,
 მთამ ღამე თავზე გადაითენა,
 და გაჯაფხულმა მიუხალერსა
 ამ ჩემი თემების უდროოდ
 ცვენას...

ატმის რტობის გალაკტიონისეული სიმბოლია, ერთი მხრივ, და აპრილის საქაოდ გავრცელებული და გაიაფებული თემა, მეორე მხრივ, რომელიც სათაურშია გატანილი, გვიჩვენებს, რომ წიგნიდან ბევრს არაფერს უნდა



მელოდთ ახალსა და მოულოდნელს. მართლაც, ეს არის გაცეცხილი სახეების, ათასგზის გადღეული რითმების მრავალგზის ნახშირი შედარებებისა და ბანალური ჭეშმარიტებების ჯამი, რასაც არაფერი აქვს საერთო თამამ პოეტურ აზროვნებასთან. რეცენზენტებს, როცა პოეზიისაგან დაწერილი ვერსიფიკატორული ნაყოფიერების კვალიფიკაცია გავვიჭირდებო, ზმირად გვიყვარს ვალაქტიონ ტაბიძის ცნობილი ფრაზის დამოწმება: „თითქოს ლექსია, მაგრამ მაგრამ მაინც არ არის ლექსი“. ჩვენს შემთხვევაში საქმე ბევრად უფრო მართივითაა, რადგან სარეცენზიო ნაწარმოებები გარეგნული ნიშნების მიხედვითაც იშვიათად ტოვებენ ლექსის შთაბეჭდილებას — მათი სისუსტე იმთავითვე ეცემა მკითხველს თვალში. გამომსახველობითი ნაშუალება ავტორისა მეტისმეტად დარბია. ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, მრავალი სალექსო კომპონენტიდან მოვიყვანთ მხოლოდ რითმებს, რომელნიც ტიპურია მთელს წიგნში:

- მარად—დარად
- დღეთა—ერთად
- სუფთა—სუნთქვა
- მიწას—მისცა
- ეყოფა—მეგობარს
- მოვლილი—გადათოვლილი
- მიჭრია—ფიჭრია
- ტაძარი—ნაცარი
- ფიჭრები—ფიფქები
- სურვილს—სული
- შიზანი—იცანი
- კავკასიონი—ცას აღიონი
- კავკასიონი—სადღაც რიონი
- აწლილი—ბარათშვილი

მკითხველი ალბათ, გვისაყვედურებს, რომ ჩვენ კონტექსტიდან ამოგლეჯილი რითმებით ვცადეთ გვემტყიცებინა ავტორის უმწიობა ვერსიფიკაციის დარგში! და ეს მამინ, როცა რითმის საკითხი თავისთავად დგას ექვის ქვეშ დღეს — ვერლიბრის აღზევების საუკუნეში!

მართლაც, ვნახოთ, რითმისადმი ამგვარი ზეარეულ თუ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იქნებ სულაც გაცნობიერებული ამბავია, და ამ კომპარატივზე შეგნებულად მიდის ავტორი — რაღაც უფრო მნიშვნელოვანისა და ფსიქოლოგის გამოთქმის მიზნით! თუ ასეა, მაშინ მას ისევე მიეტიკება გაცეცხილი, „ორდინარული“ სარიტმიო წყვილების ხმარება, როგორც რითმაზე საერთოდ უარის თქმა აბატიეს ბევრ დიდებულ პოეტს! რამდენიმე მაგალითი, რომელსაც ახლა დავიმოწმებთ, დავგარწმუნებს, რომ ეს ასე არ არის.

საკუთარი თმის ცვენა ზომ გამოიგლოვან ახლა ნახეთ, როგორ მიმართავს ავტორი საკუთარ თვალებს:

შენ —
ჩემო თვალო, თვალო ცისფერო,
თუ სურვილს წმინდა სული არ უჩანს,
შენ იცი, იქნებ რამე მიშველო,
არ დამანახო, თორემ დავხუჭვ. („ფიჭრია“)

ჯერ ერთი, საინტერესოა, როგორა აქვს ავტორს წარმოდგენილი სურვილის დანახვა; მეორეც, თუ მინცადამინც სურვილებსა და ფიჭრების დანახვაზე მიდგება საქმე, ასეთ დროს დახუჭულ თვალებს მეტი შეუძლიათ. დავიმოწმეთ გალაქტიონი:

დახუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი..

ასე რომ შექარა, რომელიც გ. მარკოზია საკუთარ თვალს (და არა თვალებს) მიმართავს — არ დამანახო, თორემ დახუჭავო — უბრალოდ, სასაცილოა. მკითხველი მინდა დავაწმუნო, რომ სტრიქონები, რომლებიც ეს-ესაა გავაყვანი, სულაც არაა გულოდგინე ძებნის შედეგად — წიგნი საგვსა ამგვარი უაზრო და არაფრისმთქმელი „ლექსებით“. ზოგჯერ კაცს გრჩება შთაბეჭდილება, თითქო ავტორის გადაუწყვეტია, ექვის ქვეშ დააყენოს ათადანაბადან ცნობილი ფორმულა იმის თაობაზე, რომ „პოეზია სახევეთ აზროვნებაა“. მართლაც, კითხულობო ზოგიერთ ლექსს და, სანთლით რომ ეძებო, ვერსად ნახვ პოეტურ სახეს, ე. ი. იმას, რამაც ჩვეულებრივი შესიტყვებანი უნდა პოეზიად აქციოს.

ახლა ცოტა რამ პოეტის ენაზე.

ჩვენ რომ ექვი გვეპარებოდეს სულხან-საბა ორბელიანისადმი ავტორის სიყვარულში, ფრაზა, რომელსაც სებასადმი მიძღვნილ ლექსში გვითხულობთ, ირონია გვეგონებოდა: „საიდან სადღო, წმინდა საბაო...“ არადა, აქ ავტორის ქართული ენის ცოდნამ უფალადა — ეს არის და ეს! (ამგვარ შეტდომებს, ჩვეულებრივ, გამოუცდელი მთარგმნელები უშეუბნებ უცხო ნაწარმოებთა გადმოღებისას). ავტორის ისიც უნდა მოვხსენებოდა, რომ სიტყვას „უთავაზე“ მძაფრი ირონიული ელფერი ახლავს. ასე რომ ჯობდა, ეკატერინე ქაქვიასისადმი მიძღვნილ ლექსში „მუსთავაზე“ — ეხმარა. საბოლოოდ კი ერთი დასკვნა შეიძლება კაცმა გააკეთოს: ავტორმა მეტი უნდა იმუშაოს ქართული ენის სრულყოფილად დღეფლებისათვის. მაშინ მის მომავალ კრებულებში ალბათ აღარ შეგვხვდება ასეთი რამ: „მუხლზე დავეჩოქებით“, „ექვებ მიწის რქმუნებას“, „მტრის საჭავრისად“, „მინდა დავემხო მშობელ მიწაზე და ჩემი წილი ფილტვები მივცე“..

გარდა ურიგო ქართულის მაგალითებისა, შემაწუხა იმ ამბავმაც, რომ სარეცენზიო კრებულში შეგვხვდი სტრიქონებს, რომელთაც, ავ-



ტორის ეინაობასა და პორტრეტს არ ვიცნობდე, ვერა და ვერ ვიფიქრებდი ვაჟის ნათქვამად;

ჩამოიქროლებს ახლა ქარები,
ჩამომეშლება თმები ფოთლებად.

(„ფიქრი“)

ვირთვები მიწის მწვავე (?) სიმწვანით,
ვარდთა სურნელით ვდღესასწაულობ.

(„ხეთა სიმწვანე წვება ხვერდად“)

დამეფინოს დაშლილ თმებზე მინდვრისფერი
ბინდი,

მხრებზე გადავინარჩარო მოშრიალე შინდი
„მოდი, დაო, და გულიდან ლექსად ამოფრინდი,
მყარფინე უვაველები დედაურის მინდვრის!
(„დილით, როცა ცას საოცარს...“)

სასეებით ბუნებრივია, რომ ამგვარი ლექსების
ავტორისაგან უსაბუთო პრეტენზიებად ეჩვენება
მკითხველს ეს გაუთავებელი საუბარი
ლექსებზე, პოეტზე, პოეტობაზე:

„მე კი — ვივლი გულიდან ლექსად ამოვარდ-
ნილი!“ („ეკატერინე ქავეკვაძის საფლავთან“).

„მე დავხვეწებ ჩემს სიწყნარეში, სანამდი
ლექსი არ დამხვეწებს“ („ფიქრი“). „სისხლი-
ვით ბორგავს ძარღვებში ლექსი, აღარ მახვეწებს
გაჩენის დღიდან“ („ღედას“) „ვარდებს მოგი-
ტანს მალე აპრილი, შეუნდე პოეტს დანაშაუ-

ლი“. „პოეტის ზედრი ისეც მწელია, ბედნიე
რებაც არის მრავალი“ („თოვლი“). „სიმღერის
უნიით დამიცხრობს სული პოეტის ყველა ბედ-
ნიერებას“. („მინდა სიცოცხლე მოეტაცო სურ-
ვილს“). დაკიდებულ ბილიყებით დავუარო ბე-
ქობს, გრიგალივით გრიგალებდეს ჩემი ლექსის
ექო“ („დილით, როცა ცას საოცარს...“) „მზვე-
რავს თვალების სათუთი მწერა ქუჩაში ჩუმად
მიმავალ პოეტს“...

აი, მოკლედ ყველაფერი, რის თქმაც გიორგი
მარკოზიას პირველი წიგნის გამო გეინდოდა. „ქ-
ნებ მკითხველს ზოგი რამ გაზვიადებული ეჩვენ-
ნოს! იქნებ შეცდომა ჩავიდინე, ის რამდენიმე რი-
გიანი სტროფიც რომ არ მოვიტანე, პოეტის
ერთგვარ შესაძლებლობებზე რომ მიგეანიშნებს!
ასეა თუ ისე, უმთავრესში მართალი ვართ:
წიგნი აშკარად სუსტია და, ამდენად, ნაჩქარევი.
ხოლო ამ სიჩქარეში გამომცემლობასა და მის
რედაქტორებს მიუძღვით უმთავრესი დანაშაუ-
ლი. მე ვთხოვ „ცისკარს“ ტექნიკურ რედაქ-
ციას, ხაზგასმით ააწუოს გამომცემლობა და რე-
დაქტორი.

მაშ ასე: გიორგი მარკოზია, „აპრილი ატმის
რტოებზე“.

„მერანი“. 1971 წ.

რედაქტორი სლოლომონ დემურხანაშვილი



შოთა ბარბიძე

შენიშვნები პროფოსკატაიკისა და მუჰაჯოსის
ეხსვათე ბოილას ანდერძზე

საქართველოსა და სომხეთში შექმნილი პო-
ლიტიკური ვითარების შესასწავლად XI საუ-
კუნის შუა ხანებში — როცა ქართველები და
სომხები მოექცნენ ბიზანტიის აგრესიის ორბი-
ტაში — დიდი მნიშვნელობა აქვს პროტოსპა-
თარისა და ატუპატოსის ეგისტათე ბოილას ან-
დერძის მონაცემებს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემებს
საკუთრივ ბიზანტიური კულტურის, ხელოვნე-
ბის, ენისა და, საერთოდ, ბიზანტიის სოციალ-
ეკონომიური ისტორიის მთელი რიგი საკითხე-
ბის შესწავლისათვის; ამიტომაცაა, რომ შეუნე-
ლებელი ინტერესი ამ ძეგლისადმი უკანასკნელ
ხანებამდეც არ წყდება, რასაც მოწმობს, თუნ-
დაც, ცნობილი საბჭოთა ბიზანტიისტიკის ვ. გ.
ლოტავრინის სულ ახლახან გამოსული ერთე-
რი შრომა¹, სადაც ბოილას ანდერძი კვლავ სა-
განგებო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

ეგისტათე ბოილას ანდერძი პირველად გამო-
აქვეყნა ვ. ბენეშევიჩმა², შემდეგ კი ამ ძეგლის
ორგვლივ შეიქმნა სოლიდური მოცულობის ლი-

ტერატურაც³ მიუხედავად ამისა, ბოილას ან-
დერძის ზოგიერთი ადგილის გაგება მეცნიერე-
ბაში ჯერ კიდევ საკამათოდაა ქცეული, რის გა-
მოც რვენ თავს უფლებას მივცემთ ამ საკითხე-
ზე დამოუკიდებლად.

ბოილას ანდერძი მოთავსებულია პარიზის ნა-
ციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ კუალენის
ფონდის (Coislin, 263)⁴ ხელნაწერში. ანდერ-
ძის ტექსტის წინ ნათქვამია, რომ ეს ანდერძი
შედგენილია ლეთისშობლის მონასტრის ბერი-
სა თუ პრესვიტერის თეოდულეს ხელით ბოი-
ლას თხოვნის შესაბამისად და ხელმოწერილია
მოწმებების მიერაც მე-12 ინდიქტიონს, 6567
წლის აპრილის თვეში (1059)⁵.

ამავე მიწაწერს მოსდევს ასეთი ხელრთვა:
ეგისტათე პროტოსპათარი ბოილა ამ საბუთს ვა-
წერ საკუთარ ხელით.

³ საკითხზე არსებული ლიტერატურა იხ.
შემდეგ ნაშრომებში: Speros Vryonis, The
Will of Provincial Magnate, Eustathius Boi-
las (1059), Dumbarton Oaks Papers, Harvard
University press, Cambridge, Massachusetts,
1957, 33 264—277 ჯ. *წიგნებისა*,
ხქათაშვილი *რიკაშაძის* *კთაყ* (1059) *ირაკლი* *ლა-*
სათათის *ს* *ქრათათის* *აქათაშვილას* *კარტი*
სიყვანაყვიორ, *წანგრე* *შათსნაყარას*, *ბრე-*
ქას, 1960, № 5, გვ. 393—430.

⁴ R. Devress, Catalogue des manuscrits
grecs, II, Le fonds Coislin. Paris. 1945, გვ.
241—242

⁵ ვ. ბენეშევიჩი, *დასახ. გამოც.* 220
6. იქვე.

¹ Г. Г. Литаврин, Относительные разме-
ры и состав имущества провинциальной
византийской аристократии во второй по-
ловине XI в. (По материалам завещания).
Византийские очерки, Москва, 1971, გვ.
154—155; 158—164.

² В. Бенешевич, Завещание византийско-
го боярина XI века, Журнал министерства
народного просвещения, май, 1907, გვ.
219—231.



ანდერძისავე წინ მოთავსებულია ვრცელი მონაწილეობის, შესრულებული იმავე თეოდულე ბერის

ხელით, რომელიც პირველი პუბლიკაციისგან განსხვავებული წაკითხვის მიხედვით შემდეგი სახისაა:

ბერძნულად

ქართულად

ἐτελεσθήη ἡ πανάρητος κλιμαξ προστάξει: Ἐυσταθίου πρωτοπαπιαρίου καὶ ὑπάτου τοῦ Βοήθλα διὰ χειρὸς ἑμοῦ Θεοδοῦλου μοναχοῦ καὶ πρεσβυτέρου τῆς ὑπεραρχίας Θεοτόκου Σαλήμ, ἀμφοτέρου Καππαδοκίαι, ἐπὶ τῆς βασιλείας Ἰσαακίου τοῦ Κομνηνοῦ καὶ πατριάρχου τῆς βασιλίδος Κωνσταντίνου προέδρου καὶ πρωτοβεστιαρίου καὶ Θεοδοσίου Ἀντιοχείας ἔπει, σφξξ' Ἰνδικτιῶνος ἐβ' μηνὸς ἀπριλίου δ', ὠρὰς ζ', τῆρ ἁγίῳ καὶ μεγάλῳ σαββάτῳ, καταπάνω Ἐδέσης Ἰωάννου τοῦ Δουκίτζη, δουκῶν Ἀδριανοῦ Ἀντιοχείας, Ἀαρῶν προέδρου καὶ αὐτῶν δὲ τῆς Ἀδγούστης Μητροποταμίας, Βασιλείου μαγίστρου τοῦ Παραδούναβι, Ἰωάννου Μοναστηριότου Ἰβηρίας, Παγρατίου Βασπρακᾶ καὶ Ἰωάννου κοροπαλάτου καὶ δομαστικῶν τῶν σχολῶν τοῦ βασιλέως Κομνηνοῦ.

„ღამთავარებულა „კიბე“7 პრეტოსპათარისა და იუპატოსის ევსტათე ბოილას ბრძანებით, სლიმის უწმინდესი ლეთისმშობლის ბერისა და პრესვიტერის ხელით, ორივე კაპადოკიელნი, მელთაბასა პროედროსის და პროტოვესტიარის ისაყ კომენენისასა წმინდა ქალაქში, პატრიარქობასა ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის დროს, 6567 წელს 12 ინდიქტიონს, 4 აპრილს, მე-7 სათს წმინდა და ღიდ შებათს, ედესის კატეპანის იოანე დუკივის დროს. ანტიოქიაში აღორიანესა და იმპერატორის მესომოტამიაში პროედროს აარონის ეამს. ბასილი პარადუნაბის მაგისტროსის დუკობასა; აგრეთვე ეამსა იოანე მონასტერიოტი იბერიელისასა, ზაგრატ ვასპურაკანელისასა და იოანე კომენენის კურაპალატობასა“8.

ხსენებული ანდერძიდან ვიკვებთ, რომ ბოილა, მისივე თქმით, იყო ბრწყინვალე წოდებისა, მისდევდა ქვეშაობიტი სარწმუნოების კანონებსა და მუდამ იყო თავისუფალთა წარმომადგენელი. ამავე ძეგლიდანვე ვკვებულვით, რომ ბოილას მუდამ დიდი სიკეთით ექცეოდნენ აწ გარდაცვლილი მისი უფალი დეკა მიხეილი და მიხეილის მეგვიდრე ბასილი.

ბიე მის სიახლოვეს ან მოკილებაში იყვნენ და მის მამულებში ცხოვრობდნენ; ბოილა ასახელებებს თავის მამულებს, როგორცაა: ეუზინა, ისაია, უზიკი, ხოსპაკარტი, ოფიდოვენი, კალმუხი, კუზნერია; მის ახლო აღმიაწებებს კი ჰქვიათ: ანა, მიხაელი, ბასილი, გარიბიონი, მუსესი, ფარსმანი და სხვ.

ანდერძისავე თანახმად, გარკვეული დროიდან ბოილა გადმოსახლდა და დაეფუძნა უცხო მხარეში, თავისი სამშობლოს კაპადოკიიდან მოცილებით, იქ, სადაც ცხოვრობდა უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების ხალხი.

სად დაესახლა ბოილა კაპადოკიიდან წამოსვლის შემდეგ, ან უფრო ზუსტად რომ ეთქვათ, სად მღებარეობდნენ ბოილას მამულები, რომლებშიც იგი ცხოვრობდა თუ მოღვაწეობდა სიციხის ბოლო ხანებში? ამ საკითხზე მკვლევარები სხვადასხვაგვარად პასუხობენ:

პირველად, ვკამენობს ბოილა, ეს ადგილები, რომლებიც მან დაიკავა, ყოველმხრივ გამოუადდეგარი იყო, რადგანაც აქ ჰარბობდა სიმყარალე და მრავლად ესახლნენ საზიზღარი ქვეწარმავლები. ამავე ადგილას შეფობდა ცუდი ჰავა, რის გამოც ამ მხარეს ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და თვით სომხებიც კი, რომლებიც აქედან შორიახლო ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, გადმოგვეხსნოს ბოილა, მან ეს მხარეები აყუკავა და მოაშენა. აქვე ბოილა ზამთვლის თავის მამულებს და პირებს, რომლებ-

ასე, მაგალითად, ჰომონი, ანდერძის პირველი კომენტატორი, ბოილას სამფლობელოებს კაპადოკიაში ასახელებდა, ა. ბერობარხოვი —

* В. Н. Бенешевич, Завещание. гв. 220. ზოგიერთი შესწორებებით იგივე ტექსტი იხ. ამავე ავტორზე, Три Антиийские надписи XI в. из эпохи византийского владычества. Петроград, 1921, стр. 16.

* H. Omont, Facs. des manuscrits grecs du IX au XIV s. «Bulletin de la Societé Nationale des Antiquaires de France», 1890, გვ. 101.

7. ესაა სახელწოდება იოანე კლიმაქის თხზულებისა, რომლის ტექსტის წინაყაა მოთავსებული ეს მინაწერი.

შოთა ბაღრიძე
შენიშვნები პროტოსპათარისა და აშპატარის მესამეთ ბოილას ანდერძზე



ანტიოქიის თემში¹⁰, ვ. ზლატარსკი კი — ედესის სანახებში¹¹.

ბერძენმა ბიზანტინისტმა სპირო ვრიონისმა კი, რომელმაც 1957 წელს გამოაქვეყნა ანდერძის ინგლისური თარგმანი და კომენტარები, ბოილას სამფლობელოთა ადგილად მიიჩნია მცირე აზიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი, კერძოდ ტაო, მისი თემით, ტაიქი, ეს სომხურ-ქართული მხარე (armeno-georgian district)¹².

თავის დასვენას სპ. ვრიონისი იმაზე აფუძნებს, რომ ანდერძში მოხსენებული სახელი კალმები უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში ერთგად ცნობილი გეოგრაფიული პუნქტი კალმახი.¹³ სპ. ვრიონისის აზრით, აეგე შეიძლება ამოცნობილი იქნას ბოილას ანდერძში მოხსენებული მეორე პუნქტიც — კობტერიონი, სადაც, თითქოს, 1049 წელს, ერთმანეთს შეებრძოლენ ბიზანტიელები და სელჯუკები.¹⁴

სპ. ვრიონისის მხარი დაუჭირა რ. ბართიკიანმა, რომელმაც ბოილას ანდერძისადმი მიძღვნილ მთელ რიგ შრომებში სცადა ახალი ფაქტებით გაემკვრებინა ბოილას მამულების ტაოში მდებარეობის კონცეფცია. ამასთან დაკავშირებით რ. ბართიკიანმა ის აზრი გამოთქვა, რომ ბასილი ბერის მიერ მინაწერში მოხსენებულ პიროვნებების რიგში ერთერთი უკანასკნელი, რგოლი ასე უნდა წაიკითხოთო:“...

„Βασίλειος μαγίστηρος, Ἰωάννου Μοναστροῦ τῶν Ἰβηρίων...“¹⁵

თუმცა ამ ფრაგმენტს ადრე ასე კითხულობდნენ: „...“

„...Βασίλειος μαγίστηρος τῶν Παρθύναζης, Ἰωάννου Μοναστροῦ τῶν Ἰβηρίων“¹⁶.

აქედან გამომდინარე, დაასკვნის რ. ბართიკიანი სიტყვა Παρθύναჯი ეკუთვნის არა ბასილის, როგორც წინათ კითხულობდნენ, არამედ პროედროს აარონს, რომელიც ყოფილა აარონ პარადუნაისი — ღუნაისპირელი და ჯაგის მიხედვით თეოდულეს მინაწერში ბასილიზე ადრეა მოხსენებული.¹⁷

რ. ბართიკიანის თვალსაზრისით, ბიზანტიის მინაწერში ბასილი რჩება ერთადერთ პირობად, ვისი სამფლობელოები მითითებული არაა, მაშინ, როცა ყველა სხვა პირი დასახელებულია თავის სავამკვეთ მხარეებთან ერთად. მაგრამ, — წერს რ. ბართიკიანი, — ჩვენი წაითხვისის ეს ფაქტიც ადვილად გასააზრებელია. მართლაც, მინაწერში სიტყვა დღეცა ერთნაირად მიუკუთვნებთ ბასილისაც და იოანე მონასტერიოტსაც, რაც იმას მოწმობს, რომ ორივე ერთად იბერიის დღეები არიან; ეს კი ნიშნავს, რომ ესტათე ბოილას მამულებიც, ბოილასი, ამ ბასილის ქვეშევრდომი რომ იყო — იბერიაში მდებარეობდნენ.¹⁸

მიუხედავად სპეციალური ახსნა-განმარტებისა, რომელსაც რ. ბართიკიანი გვთავაზობს, საკითხს, თუ ვინ უნდა იყოს მინაწერში მოხსენებული პარადუნაისი — ბასილი თუ აარონი, ჩვენის აზრით, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ბოილას სამფლობელოთა ლოკალიზაციისათვის. მართლაც, რ. ბართიკიანის კონტრეტური გაზიარების შემთხვევაში ჩვენ უნდა ბასილიცა და იოანე მონასტერიოტიც — ორივე ერთად — „იბერიელებად“ ვცნოთ. მაგრამ, თუ ჩაუტყვირდებით მინაწერის ტექსტს, დაყრწმუნდებით, რომ ამ მინაწერში ყველა გეოგრაფიული სახელი მოხსენებულია იმიტომ, რომ განსაზღვროს ამა თუ იმ პირის ზღოთ მყოფი ქვეყანა, მისი სამმართველო ობიექტი. ამიტომ, სრულიად უეჭველია, რომ სიტყვა იბერია კი მასში აღნიშნავს იმ სამმართველო მხარეს, რომელსაც ტექსტის მიხედვით იოანე მონასტერიოტი განაგებდა. მინაწერიცელი იბერია კი აქ აღნიშნავს იმ პოლიტიკურ ერთეულს (ბიზანტიურ იბერიას)¹⁹, რომელიც შეიქმნა ბასილი II-ის ღრობიდან, მის მიერ დავით კურაპალატის სამფლობელოთა ანექსიისა და ცოტა უფრო გვიან ამ მხარეების ანისის მიწაწყალთა გაერთიანების ზღოთ. ბოილას ანდერძის შედგენის დროისთვის (1059 წ.) იბერია წარმოადგენდა საღუკოს, ადრე კი ის იყო ჯერ თემი, ხოლო უფრო მოგვიანებით — საეპიტპანო.²⁰

როგორც ვთქვით, გარკვეული დროიდან იბერიაში, ე. ი. ბიზანტიურ იბერიის ერთეულში შედიოდა ანისის ქვეყანაც. ამიტომაცაა, რომ ანისში მოპოვებულ ერთ-ერთ ფრაგმენტულ

¹⁰ П. Безобразов, Завещание Воилы, Византийский Временник, XVIII, 1911, стр. 107—115.

¹¹ V. N. Zlatarski, Една датирана приписка на гръцки от средата на XI век, Byzantinoslavica, I, 1929, გვ. 25.

¹² Sp. Vryonis, The Will of Provincial Magistrate, Eustathius Boilas (1059), გვ. 275.

¹³ იქვე, გვ. 275.

¹⁴ იქვე, გვ. 275.

¹⁵ Р. Бартикян, Относится ли прозвище Παρθύναჯи магистру Василию в памятной записи монаха Феодула (1059)? Изв. Акад. Наук Арм. ССР, Ереван, 1959, 8, გვ. 85.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე, გვ. 85-86.

¹⁸ Я. Бартикян. Относится ли... გვ. 85—86; მისივე, О завещании Евстафия Воилы. Византийский Временник, 1961, XIX, გვ. 37.

¹⁹ მისივე, О значении завещания Евстафия Воилы (1059) для изучения истории Армении и Грузии в эпоху византийского владычества (XI век), Москва, 1960, გვ. 2.

²⁰ О значении... გვ. 2.

²⁰ Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., СПб, 1884, გვ. 201—202.



წარწერაში მოხსენიებულია იოანე მონასტერიოტი:

„Ιωάννης βεσάρτης κατεπάνω Ἀρμενίας καὶ Ἰβηρίας Μοναστηριώτης.“

იოანე მონასტერიოტის, როგორც იბერაის აღმოსავლეთის მმართველის წარმოდგენის შემდეგ შექმნილია იმის დაშვება, რომ თეოდულეს მონაწერში მოხსენიებული სიტყვა „იბერია“ ბასილისაე ეკუთვნოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ რომ ეს სიტყვა ბასილის მსაზღვრე-ლადღად მივიჩნიოთ, გამოვა, რომ „იბერიას“ ერთდროულად ორი „ბიზანტიელი“ მმართველი“ ჰყავს, ეს კი შეუძლებელია იმ უბრალო გარემოებით, რომ 1059 წლისათვის იბერია ერთი საღლეო იყო და მას მხოლოდ ერთი ღლეო შეიძლება ჰყოლოდა. ეს ერთი ღლეო კი, როგორც ვნახეთ, იყო იოანე მონასტერიოტი. ამრიგად, იბერია ვერ იქნება ბასილის განმსაზღვრავი ვერც მაშინ, თუ სიტყვა „პარაღუნაბის“ ბასილის მივსკუთვნებთ და ვერც მაშინ, თუ ამ ზედწოდება-სახელის მატარებლად აარონს მივიჩნევთ. ყველაფერი აქედან კი გამოდინარეობს, რომ თეოდულეს მონაწერში მოხსენიებული ბასილის საღაურობას უნდა განსაზღვრავდეს ანა სიტყვა იბერია, არამედ ანდერძში ასახული სხვა მომენტები.

ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა სახელი ბასილის ძმის ფარსმანისა, რომელიც უკველია, უნდა იყოს ქართველი, ან სომეხი დიდებული, ვინაიდან ეს სახელი, ჩვეულებრივ, ან ქართველებს, ან სომეხებს ჰქვიათ ზოლმე.²¹ ზოლო თუ ეს ასეა, მაშინ ფარსმანის ძმა ბასილიც და მამა მიხაელიც ქართველი ან სომეხი უნდა ყოფილიყვნენ.

ამსვე გვიღვასტურებენ ჩვენ სხვა მონაცემებიც, რომლებითაც მართლაც აშკარაა იმ მხარეების ქართულ ან სომხურ მსოფლიოსთან კუთვნილება, საღაც ევსტათე ბოილა ცხოვრობდა.

ასე, მაგალითად, — თეოდულეს მონაწერში ბასილი იოანე მონასტერიოტთან ერთად მიინც-ღამინც იმიტომაა მოხსენიებული, რომ იგი იყო ბოილას უფალი; ამიტომ ბოილას ანდერძის შემდგენელმაც ბასილი საღანგებოდა და თანაც გამონაღლისის წესით მოიხსენა ანდერძში, თანაც მოიხსენია სწორედ იმ პიროვნების გვერდით, ვინც „იბერიის“ გამგებელი იყო. ეს უკანასკნელი — იოანე მონასტერიოტი კი მონაწერში აუცილებლად უნდა მოხსენიებულიყო, ვინაიდან თეოდულეს, პოლიტიკურად კარგად განსაზღვრული ბერი მიხნად ისახავდა საერთოდ ჩამოგთვალა მხოლოდ ბიზანტიური აღმოსავლე-

თის პირველი რანგის აღმინისტრაციული და საეკლესიო ეგარჩეები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევსტათე ბოილა, როგორც ბასილის ქვეშევრდომი საკუთარი უფლის მსგავსად თვითონაც იბერიაში ცხოვრობდა და მფლობელობდა. ბასილი კი იოანე მონასტერიოტის ქვეშევრდომი იმდენად, რამდენადაც თვითონ „იბერიაში“ იმყოფება.

ახლა კი ვცადოთ უფრო კონკრეტულად შევხებით ევსტათე ბოილას სამფლობელოთა ლეკალიზაციის საკითხს.

როგორც ვთქვით, სპ. ვროინისის აზრით ბოილას ანდერძში მოხსენიებული ორი პუნქტი — კალმუხი და კობტერიონი ისტორიულ წყაროებში კარგად ცნობილი კალმახი და კაპეტრუ არიან.

რაც შეეხება რ. ბართიკიანს, იგი სპ. ვროინისის მიერ დასახელებულ პუნქტებს ახალ სახელებს უმატებს, ერთის, სახელდობრ კაპეტრუს და კობტერიონის იდენტიფიკაციას კი უარყოფს იმ საფუძველზე, რომ, როგორც ეს ჩანსო სკილიცა-კედრენეს ტექსტიდან, კაპეტრუ, საღაც 1049 წელს ერთმანეთს შეეგობრდნენ ბიზანტიელები და სელჩუქები, მდებარეობდა არა ტაიქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არამედ ქ. არწთან კარინ-თეოდოსიუპოლის სანახებშიო.²²

ის პუნქტები კი, რომლებიც ბოილას ანდერძში რ. ბართიკიანს თავის ამოცნობილად მიაჩნია, შემდეგია: ტანქუთი, ოპიზა და ვართა.²³

რ. ბართიკიანის აზრით, ამ პუნქტების ამოცნობა ადვილია იმ შემთხვევაში, თუ გადავხედოთ უაკასიის ხუთვერსიან რუკას, რომელიც გვიჩვენებს; რომ ბოილას შემდგომ ეგობრებოდა კი მისი სამფლობელოების სახელები თითქმის არ შეცვლილა.

ასე, მაგალითად, კაკასიის ხუთვერსიან რუკაზე ქ. არტანუჯის ახლოს აღნიშნულია პუნქტი ტანქუთი, რაც ბართიკიანის აზრით, უნდა იყოს ბოილას ანდერძის ტანქუთი.²⁵

ამავე რუკაზე მითითებულია გეოგრაფიულად ადგილი ვართხელი და ვართის-ხევი, რომლებიც რ. ბართიკიანის მიხედვით, უნდა იყვნენ ბოილას ანდერძის ვართა.²⁶

დასასრულ, — მიუთითებს რ. ბართიკიანი, — კაკასიის ხუთვერსიან რუკაზე მოხსენიებულია ოპიზა და ოპისპალა, რომლის ბაღალიც უნდა

24. იქვე გვ. 2-3.
25. P. Барткиан, О значении... გვ. 2.
26. იქვე გვ. 25.
25. იქვე.

²¹ В. Н. Бенешевич, Три Анийских надписей XI века.. გვ. 19.
²² P. Барткиан, Относится ли... გვ. 2.

შოთა ბაღრიძე
შინიშნვნიბი პრობოსკატორისა და
აშაბატოსის მესტათე ბოილას ანდერძო

იყოს ბოილას ანდერძის ოფიდოვენი. ეტეობა ბოილამ სიტყვა „ოპიზა“ ან „ოპის“ გაიზარა ბერძნული სიტყვის „ოფის“-ის (გველი) მიხედვით, საიდანაც მივიღეთ „ოფიდოვენი“, ე. ი. „გველთა მთა“²⁷

ყველა ამ პუნქტს კი, დასკვნის რ. ბართიკიანი, ჩვენ მივყავართ ტიპიში და მამასადამე ბოილასაც აქ უნდა ეცხოვროს.

ჩვენი შეხედულებით ევსტათე ბოილას სამფლობელოების ასეთი ლოკალიზაცია ზოგადად სწორია, მაგრამ კონკრეტულობის თვალსაზრისით გერ კიდევ დაუსაბუთებელია.

რას ნიშნავს ლოკალიზაციის სისწორე მხოლოდ ზოგადად?

იმას, რომ ბოილას მამულების მდებარეობის ადგილად ზოგადად მართლაც შეიძლება მივიჩნიოთ ტაო, ოღონდ იგულისხმება არა საკუთრივ ტაოს პროვინცია, არამედ ის დიდი ტერიტორია, რომელიც თავის დროს შეადგენდა დავით კურაპალატის სამფლობელოებს, მისა ოკუპაციის შემდეგ კი საფუძვლად დაედო იბერიის თემს.²⁸

ბოილას სამფლობელოების ტაოში მდებარეობის თვალსაზრისს მხარს უჭერს მთელი რივი სხვა ფაქტებიც ბოილას ანდერძიდანვე.

ასე, მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოილას უფლის ბასილის სამყოფელი ბიზანტიის იბერიაშია საძიებელი, რაც ნიშნავს, რომ მის ქვეშევრდომ ბოილასაც აქვე უნდა ეცხოვრა.

გარდა ამისა, ბოილას სიახლოვეს იმყოფებიან ისეთი პირები, რომლებიც მათ ონომასტიკონს თუ გავითვალისწინებთ, უაპელოდ ქართულ ან სომხურ საყვაროს ეკუთვნიან.

ერთ-ერთ ასეთ პიროვნებაზე — ვესტარხ ფარსმანზე, როგორც ქართველსა, ან სომეხზე, ჩვენ უკვე სათანადოდ ვისაუბრეთ.

საინტერესოა აგრეთვე ბოილას ანდერძში მოხსენიებული პირის 'Αβραχῶν-ის (გ. ბენეშევიჩი, გვ. 228-229) ვინაობაც. ჩვენი აზრით, ეს სახელი უნდა გავიგოთ, როგორც „აბახვი“, ე. ი. აფხაზი, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან ეთნონიმებიდან ანთროპონიმების წარმოების შემთხვევები საერთოდ ხშირია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აბახვი წარმოშობით დასავლეთ საქართველოდანაა, ან არაა, მისი სახელი მიუთითებს „აბახვურ“ შთამომავლობაზე. ყოველ

27. იქვე. გვ. 2-3.

28. დავითის სამფლობელოები იყო საკუთრივ ტაოს პროვინციის სამხრეთი პუნქტები (ხაზული, ოშკი), აგრეთვე კარიხის ქვეყანა, ნაწილობრივ მარდალიის პუნქტები, ბასიანი დე, ბოლოს, ზღა-არქუშის სანახები.

29. ბენეშევიჩი, გვ. 228.

შემთხვევაში, რომ აბახვი კავასიელი უნდა იყოს, ამაში ეჭვის შეტანა მწელობა²⁹

ბოილას მამულების ლოკალიზაციაზე მსჯელობის დროს საინტერესოა, აგრეთვე ანდერძის პირდაპირი ჩვენებაც ბოილას მეზობლების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ბოილა გვიყვება, თუ სად და რაწირ ადგილებში დაემკვიდრა იგი მის შემდეგ, რაც სამშობლოდან გადმოსახლა. ამასთან დაკავშირებით ბოილა ამბობს, რომ იგი დაემკვიდრა კლიმატურად მწელად ასატან მხარეში, რომელსაც ამის გამო გაქირავებით იტანდნენ ამ მცხოვრებლები და თვით სომეხებიც, ე. ი. რომლებიც ამ ადგილებიდან ახლოს მოსახლეობდნენ.³⁰

მამასადამე, ბოილას სამფლობელოების ახლოს სომეხები იმყოფებიან!

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ა). ბოილას მამულები მდებარეობენ იბერიაში, ე. ი. იმ მხარეებში, რომლებშიც წარმოადგენდნენ დავით კურაპალატის სამფლობელოებს, ბ). ამ მამულებზე და მის სიახლოვესაც ცხოვრობენ ქართველები და სომეხები — მაშინ ჩვენ უფრო მეტად შეგვიძლია დავაზუსტოთ იბერიის საკუთპანოს ის არეალი, სადაც ბოილას უნდა ეცხოვრა და ვცადოთ იმის მტკიცება, რომ ბოილა მოსახლეობდა დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოების იმ რაიონში, რომელიც ქართული ელემენტებით ძალიან მდიდარი იყო.

აქვე იყო სომხური ელემენტებიც, რაც ადვილად გასაგებია იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ დავით კურაპალატის სამფლობელოთა ისტორიას.

როგორც ცნობილია X საუკუნის პირველი მეოთხედიდან, საკუთრივ ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრის — ტაოს მეთაურობით, მისივე გარშემო თანდათან იკრებოდა ახალი გაერთიანება, რომელიც თავიდანვე ღრმად იყო შეჭრილი სომხური სახელმწიფოებრიობისა და ეთნიკუ-

30. ასევე მწელია ეჭვის შეტანა ბოილას ანდერძის Γαρπίου ვინაობაზეც (იხ. ბენეშევიჩი, გვ. 299). ვინაიდან მისი სახელი უნდა იყოს „ლარიბი“. ეს უქანასენელი კი ქართულ და სომხურ ონომასტიკონში ძალიან გავრცელებული სახელია.

31 სპ. გრიონისს, გვ. 265. ამ ადგილს აიკვადმოსცემს: «The Armenians who dwelled opposite here were not able to have even a little rest». რ. ბართიკიანი კი თარგმნის: ე. ცუდი აღგილება: «не давало покоя даже живущим рядом и охваченным страхом армянам» (В. Вр. XIX. 1961. გვ. 27). ოღნაივ განსხვავებების მიუხედავად, ერთ რაჟაში ორივე წყიოთვა მაინც სწორედ ერთიდაიამვეს გვიტყობს, კერძოდ, რომ სომეხები ბოილას მიწებზე არ ცხოვრობდნენ.

რი მასების გარემოცვაში. სწორედ აქ მმართველობდა დავით დიდი კურაპალატი, შემდეგში კი ამ ტერიტორიების საფუძველზე დაიწყო ფორმირება ბიზანტიის იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა, რომელსაც იბერია ღიერქვა.

ამდენად, ძალიან ადვილია, იმის დაშვება რომ XI საუკუნეში ბიზანტიის პოლიტიკურ საზღვრებში შემავალ მხარეთა შორის, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები იყო ის ზონა, სადაც განლაგებული უნდა ყოფილიყვნენ ესტათე ბოიას მამულები.

დასასრულ, ბოილას სამფლობელოების ზოგად ლოკალიზაციაზე საუბრისას ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოილას სამფლობელოების მიხედვას იბერიის თემში არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ეთანხმება კიდევაც ანდერძის ერთი ცნობა რომ, როცა ბოილამ დატოვა თავისი სამშობლო კაპადოკია და დაემკვიდრა ახალ მხარეში, ეს უცანასკნელი მდებარეობდა მისი სამშობლოდან კვირა ან კვირა-ნახევარის სავალზე.³² ასეთი აღწერება კი იბერიის თემის ტერიტორიებსა და კაპადოკიის შორის საესებთი ნორმალური და ადვილად აღსაქმელია.

ახლა კი გადავიდეთ ჩვენი მსჯელობის იმ ნაწილზე, საიდანაც ჩანს, რომ გრიონის — ბართიკიანის ლოკალიზაციაში კონკრეტული დეტალები ჯერ კიდევ არ არის საკმარის არგუმენტირებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ, ჩვენი აზრით, დასახელებულ ავტორებს, განსაკუთრებით კი რ. ბართიკიანს კონკრეტულად ვერაქვთ წარმოდგენილი ტაოს ერთეულის ცნება.

ასე, მაგალითად, არ ეთანხმება რა სპ. ერიონისს კაპეტრუ-კობეტრიონის იდენტიფიკაციაზე, რ. ბართიკიანი ფიქრობს, რომ ეს კაპეტრუ არ უნდა იყოს ბოილას ანდერძის კობეტრიონი, ვინაიდან კაპეტრუ მდებარეობდა არა ტაოში, არამედ თეოდოსიუპოლ-არწინის სიახლოვეს.³³ მაგრამ რ. ბართიკიანის კრიტიკა ზუსტი არაა. ვინაიდან ის ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ტაოს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც თავდაპირველად ჩამოყალიბდა ბიზანტიის იბერია, მოიცავდა არა მხოლოდ საკუთრივ ტაოს პროვინციას, არამედ — ბევრ სხვა და მათ შორის თეოდოსიუპოლის მხარესაც.³⁴ აღნიშნული გარემოების გა-

მო გასაყიერი არ უნდა იყოს, რომ ბოილას კობეტრიონი და ისტორიული კაპეტრუ ერთეული დაიარაღე ადგილებად მიგვეჩინა, თუ, რაიმე მიზეზით უნდა, ასეთი იდენტიფიკაციის დასაბუთება სხვა მხრივაც (ფონეტიკურად, დოკუმენტურად) იქნებოდა შესაძლებელი.

ჩვენთვის მიუღებელია ბოილას ანდერძში მოხსენებული სხვა პუნქტების ლოკალიზება, რომელსაც რ. ბართიკიანი გეთავაზობს.

აილით, მაგალითად, კალმუხ-კალმახის ერთიდაიგივეობა, რაც ძნელი გასაზიარებელია, რადგანაც, როგორც ჩვენ გვეჩვენება, აქ ხაქმე გვაქვს მართოდენ გეოგრაფიული სახელების ერთგვარ ფონეტიკურ მსგავსებასთან. ამის დასაბუთება იმით შეიძლება, რომ ბოილას ანდერძის შედგენის დროს, ე. ი. 1059 წლის თხლო ხანებში ისტორიულ კალმახს ჰყავდა თავისი პატრონი, ბაგრატ IV-ის მომხრე და ლიბარტი-ბიზანტიის საწინააღმდეგო ორიენტაციის პატრონი სულა კალმახელი.³⁵

სხვათა შორის, ეს სულა კალმახელი კალმახის მფლობელი იმყოფებოდა დიდი ხნის მანძილზე, თვით XI სს-40-იან წლებშიაც კი.³⁶ ეს კი ნიშნავს, რომ კალმახი არ შეიძლება მივიჩნიოთ ბიზანტიელთა საკუთრებად, და მაშასადამე, ის ვერც მოხვედებოდა ესტათე ბოილას ხელში, ევტაიუსი, რომელიც ბიზანტიის იბერიაში ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე ისიც შეუძლებელია, რომ მას ისტორიული კალმახი კალმუხივით ანდერძით გადაეცა ვინმესთვის. ვარდა ამისა, ისტორიული კალმახი იყო ციხე.³⁷ ბოილას კალმახი კი მამულის, სოფლის სახელწოდებას წარმოადგენდა. ყველაფერი ეს შეუსაბამოა იმ თითქოს, საფუძვლიანად უნდა გა-

როვი торговле древних времен. Ереван, 1930, стр. 150—151.

ამ მხარის დავით კურაპალატის ხელში ყოფნა მთელი რიგი ფაქტებითაა ცნობილი. ქართველთა, კერძოდ დავით კურაპალატის ვასალების ამ ადგილებში აქტიური ტრიალი ძალიან კარგად დასტურდება იმითაც, რომ არწინში წარწერიან ჯვარს აღმართავს დავითის ერთ-ერთი უახლოესი და უფალსაჩინოესი ფიგურა იოანე თორნიკე-ყოფილი (იხ. N. Adontz, Thorhik le moine, Buzantyn, Bruxelles, 1938, t. XIII 1, გვ. 155).

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ. 1948, გვ. 62.

³⁶ ი. ჯეჯე, გვ. 144, სადაც მოყვანილია ცნობები სულას საქმიანობაზე 1048 წლის ახლო ხანებში.

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 62.

შოთა ბაღრიძე

შენიშვნები პროტოსლავთარისა და მუჰამედის ეპისტოთე ბოილას ანდერძზე

³² ერიონისის თარგმანში ბოილა ასე ამბობს: «I become an emigrant from the land which bore me, and I went a distance of one and one-half weeks from my fatherland». დასახ. თარგმ. გვ. 264.

³³ P. Бартисян, О значении завещания Евстафия Воиля, გვ. 2.

³⁴ როგორც ცნობილია, არწინ კარიხის ქვეყანაში მდებარეობდა. Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с ми-

შორიკხადენენ კალმუხ-კალმახის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, რასაც ვერიონის — ბართიკიანი უშვებენ.

ასევე ძნელია ბოილას ანდერძისა და კლარჯეთის ტანძუთის, გაიგებება, იმიტომ, რომ ჯერ ეს ერთი, ბოილას ტანძუთი ბიზანტიის იბერიისში, მაშასადამე, კლარჯეთიდან შორს მდებარედ უნდა ვიგულისხმობთ.³⁸ რეალური ტანძუთი კი, რომლის პარალელადც რ. ბართიკიანი მიაჩნია ბოილას ანდერძის ტანძუთი, მდებარეობდა კლარჯეთში.³⁹ ვერადა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ კავკასიის ტოპონიმოგრაფია სახელი ტანძუთი ძალიან ხშირად გვხვდება ხოლმე. ამ მხრივ საკმარისია გადავხედოთ თუნდაც მხოლოდ კავკასიის ზუგდიდისიან რუკას და მისთვის შედგენილ საძიებელს, სადაც სახელი ტანძუთი რამდენჯერმე გვხვდება მოხსენიებული⁴⁰. აღნიშნული ვარაუგობა კი თავისთავად ხელს გვიშლის კატეგორიულ მტკიცებაში, თითქოს ბოილას ანდერძის ტანძუთი, მაინცდამაინც კლარჯეთის ტანძუთი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოილას ანდერძისეული ტანძუთის პარალელური სახელი იყო სალომი⁴¹.

დღისასრულ, რ. ბართიკიანი არც კი თვლის საჭიროდ დაასაბუთოს, იყო თუ არა ტანძუთი პირვანდელი სახელწოდება იმ პუნქტისა, რომელიც, როგორც ვთქვით, თავის დროს ჯერ კიდევ ი. მარს აღწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის შეიძლება გვეი გამოვთვალოთ, რომ ტანძუთი არაა ჩვენთვის საინტერესო პუნქტის თავდაპირველი სახელწოდება, და იგი ჯავახიშვილივით ვიფიქროთ,⁴² რომ ტანძუთი (ასე წერს იგი) შეიძლება იყოს გვიან ხანებში დამკვიდრებული სომხური თარგმანი ტომონი „სხელოვანისა“, რომელიც მექისედეგ კათალიკოზის ცნობილი დაწერილის თანახმად კლარჯეთში მდებარეობდა.⁴³

ჩვენ სიტყვას აღარ ვავარაუდებთ რ. ბართიკიანის მიერ ობიზა-ოფიდოუენის და ვართავართხელის გაიგივების ცდებზე, რადგანაც ამკარაა, რომ ეს გაიგივება მხოლოდ ვარაუდულ და შორეულ ფონეტიკურ ასოციაციებს ემყარება და ასეთი გზით თუ ვივლით, ასევე შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ ბოილას ანდერძის ვართა ვთქვათ, ისტორიული ბერთაა, რადგანაც ასეთი გაიგივება სრულიად არ იქნება ვართა-ვართხელის იდენტიფიკაციაზე ნაკლები, მაგრამ განა ამ იგივეობა ოდნე მაინც ექნება მეცნიერული ღირებულება?

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ბოილას მამულების კონკრეტული ლოკალიზება ჯერ კიდევ შეუძლებელია საბოლოოდ გადაჭრილად იქნას მიჩნეული, მაშინაც კი, როცა საფუძველი გვაქვს, ზოგადად ვამტკიცოთ, რომ ბოილას სამკვიდრებელნი იბერიის თემში, დავით კურაპალატის ყოფილ სამფლობელოში მდებარეობდნენ, XI საუკუნიდან კი ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული და ანისის ვაჭაჭველი სამეფოს ოლქებთან ერთად ჰქმნიდა ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ბოილას ანდერძის შესწავლისას საგანგებო კომენტარებს მოითხოვს, ესაა იმ მოსახლეობის საკითხი, რომელიც ბოილას მამულებზე მკვიდრობდა.

ამის თაობაზე ზოგიერთი მითითება დაცულია თვით ბოილას ანდერძის ტექსტში, სადაც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ის, ე. ი. ეესტათე

³⁸ მხედველობაში ვიღებთ იმას, რომ კლარჯეთი არასოდეს არ ყოფილა მოქცეული იბერიის თემში, სადაც, რ. ბართიკიანის აზრით, მდებარეობდნენ ბოილას ყოფილები. ეს ფაქტი, რომ კლარჯეთი არასოდეს ყოფილა მოქცეული იბერიის თემში (იქიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ეს თემი ჩამოყალიბდა დავით კურაპალატის სამფლობელოთა და იმ ტერიტორიების ბაზაზე, რომლებიც XI სს. დამდგენისათვის მიტაცებული იქნა ბიზანტიელების მიერ. ეს ტერიტორიები, რომლებიც იყო „დავით კურაპალატის ნაქონები“ (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრობდა და უწყება ბაგრატიონიანთა, ქ. ცხ. ტ. I, 1955, ს. ყუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 384) მდებარეობდნენ „ტაოს, ბასიანს და ჯავახეთს, შავშეთს“ (იქვე, გვ. 384-385). „მატიანე ქართლისას“ მიხედვითაც ბასილი მეორემ მიიტაცა „ქვეყანა, რომელიც ჰქონდა დავით კურაპალატს ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს“ (ქ. ცხ. ტ. I, გვ. 288). რაც შეეხება კლარჯეთს, იგი ბიზანტიელებს არასოდეს არ მიუტაცებიათ, რასაც ზემოთცხიტირებული ცნობების გარდა, სხვა ფაქტებიც მოწმობენ, რაზეც ჩვენ საგანგებოდ ვსაუბრობთ წერტილში სათაურით „ი ბ ე რ ი ს თემი“.

³⁹ ტანძუთი აღწერილი აქვს ნ. მარს, იბ. Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПб., 1911, გვ. 105.

⁴⁰ Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского военнотопографического отдела, Тифлис, 1913, გვ. 237, სადაც მითითებულია ტომონიმები «Танзот» (ყაზახის, არეშის მხარეებსა და ელისავეტოპოლის გუბერნიებში) და «Танзут» (ოლთისის მხარეში).

⁴¹ ე. ბენეშევიჩი გვ. 224.
⁴² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. II, გვ. 61.
⁴³ თ. ეორდანაძე, ქრონიკები, წ. II, 1897, გვ. 33.



ბოილა დაესახლა უცხო მხარეში⁴⁴. რომ ამ მხარეში, საცხოვრებლად ძნელად ასატანი მხარეები იყო მხოლოდ,⁴⁵ რომ აქაურობა საველე იყო ქვეწარმავლებით — გველებით, მორიელეებით და გარეული მხეცეებით.⁴⁶ აქვე ნათქვამია, რომ ამ მხარეებს ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და თვით სომხებიც კი,⁴⁷ რომლებიც აქედან ახლოს ცხოვრობდნენ.⁴⁸ უფრო ზევით კი ბოილა ამბობს, რომ ის დაესახლა იქ, სადაც ცხოვრობდა უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების ხალხი.

მკვლევარებს და, მათ შორის სპ. ვრიონისსაც, ბოილას ანდერძის ეს ცნობები პირდაპირი მნიშვნელობით ესმით.⁴⁹

რაც შეეხება რ. ბართიკიანს, მას ეს ჩვენებები სხვანაირად აქვს გაგებული. მისი აზრით, ბოილას ანდერძში მოხსენებული უცხო სარწმუნოების ხალხი უნდა იყვნენ მონოთეიზტი სომხები⁵⁰ და შეუძლებელია, რომ ამ გამოთქმამი არასომხები, ვთქვამთ ქართველები იგულისხმებოდნენ, ვინაიდან, თუმცა ბოილისთვის ქართველებიც უცხო ენაზე მოლაპარაკენი არიან, მაგრამ იმას ვეღარ ვიტყვივით, რომ ისინი მისთვის სარწმუნოებითაც უცხონი იყვნენ. ასეთ ვინიშებად ვერ იქნებოდნენ ქალაქ-ქედონელი ქართველები, ისე როგორც ქალაქედონელი სომხები, ვინაიდან თვითონ ბოილაც, ქალედონელი იყო.

აქედან გამომდინარე, დასკვნის რ. ბართიკიანი, უცხო სარწმუნოებისად ბოილასათვის შეიძლება იყვნენ მხოლოდ სომხები, თანაც ისეთნი, რომელნიც მონოთეისტობას აღიარებდნენ.⁵¹

ამასთან დაკავშირებით რ. ბართიკიანს ახსენდება ნ. მარის ცნობილი დებულება, რომ კლარჯეთი თვით XI საუკუნეშიც კი განიცდიდა დიოფიზიტისაყას. ბოილას ანდერძიდან კი ვხედავთ, რომ ეს პრეტენსი აქ ჯერ კიდევ XI-საუკუნის შუა ხანებშიაც არ ყოფილა დამთავრებული, ვინაიდან ბოილას ანდერძის მიხედვით მის სამფლობელოში, ე. ი. კლარჯეთში

მრავლად არიან საგულელები სომეხი მონოფიზიტები.

დასასრულ, იმ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც წერია, რომ ბოილას მამულეში, როცა ის აქ დაესახლა, მრავლად ცხოვრობდნენ ქვეწარმავლები, რ. ბართიკიანი აკრიტიკებს იმას, ვისაც ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით აქვთ გაგებული⁵² და თვლის, რომ აქ უნდა იგულისხმებოდნენ არა ნამდვილი ქვეწარმავლები, არამედ სომეხი თონდრაკელები⁵³ რომლებსაც მართლმორწმუნე ავტორები მართლაც ხშირად იხსენიებდნენ ხოლმე ღვარძლიანი ეპიტოეტებით და ქვეწარმავლებსაც კი უწოდებდნენ ხოლმე.⁵⁴ ასე, მაგალითად, არისტარკეს ლასტივერტელი თონდრაკელებზე წერს, რომ ისინი არიან „დადიანისმაგვარი მხეცეები“, მათი ბელადი — „ჩოტი დემონი-გველი“, თონდრაკელების ცენტრი თონდრაკი — „გარეული მხეცეების ბუნავი“. ვარდა ამისა, თონდრაკელების წინამძღოლის კუთვნილ მხარეს ეწოდება „ადგილი, რომელიც დასახლებულია გველებით“, თონდრაკელთა საცხოვრებელს კი ჰქვია „გველების ბუნავი“.⁵⁴

რ. ბართიკიანის აზრით, ასეთივე ეპიტოეტებით მოიხსენებენ თონდრაკელებს ეცესთე ბოილას თანამედროვე, მესოპოტამიის დუკა გრიგოლ მაგისტროსი ფაპლავენი (გარდ. 1058 წ.) და სხვა ავტორები.⁵⁵

დასასრულ, შენიშნავს რ. ბართიკიანი, ბოილა წერს, რომ მას შემდეგ, რაც დასახლდა თავის ახალ მამულეში და ხელი მიჰყო ახორებული მხარეების მოშენებას — ცეცხლითა და მახვილით განანადგურა ამ მხარეში მყოფი გველები, მორიელეები და გარეული მხეცეები. ბოილას ამ სიტყვების განმარტებას — განავრთობს რ. ბართიკიანი—სპ. ვრიონისი არც კი ცდილობს. მაგრამ არასწორი იქნებოდა ფიქრი, რომ ბოილა აწარმოებდა ბრძოლას მხეცეების თუ ქვეწარმავლების წინააღმდეგ და უფრო სწორი იქნებოდა ფიქრი, რომ ბოილამ ცეცხლითა და მახვილით განანადგურა ერეტყოსი-თონდრაკელები, რომლებიც მის მიწაყალზე ცხოვრობდნენ, ცეცხლს მისცა მათი საკვიდრებელი.⁵⁶

44. პ. ბენეშევიჩის გამოც. გვ. 222.
 45. იქვე.
 46. იქვე.
 47. იქვე.
 48. იქვე.
 49. სპ. ვრიონისი, გვ. 275, სადაც მკვლევარი შენიშნავს: „As has been mentioned above, the will states that Boilas migrated from Cappadocia to a land one and one-half weeks distant, and settled amongst people who had a different language and religion.“
 50. P. Барткиан, О значении завещания... გვ. 6.
 51. იქვე, გვ. 6.

52. იქვე, გვ. 5.
 53. იქვე.
 54. ციტატები რ. ბართიკიანს ამოღებული აქვს ვარდაგეტ არისტაკეს ლასტივერტელის თბილისური გამოცემის მიხედვით, 1912 წ., თ. XXII, XXXIII (ძველ სომხურ ენაზე) იხ. რ. ბართიკიანი, ნაშრ. გვ. 9.
 55. რ. ბართიკიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 5.
 56. P. Барткиан, Завещания... გვ. 5.

შოთა ბაღრიძე
 შენიშვნები კრიტოსკაპატარისა და ალჰაბოსის მესხათი ბოილას ანდერძზე.

რ. ბართიკიანის მიხედვით, ამის დასამტკიცებლად საჭიროა გავიხსენოთ გრივოლ მაგისტროსის სიტყვები, რომელიც მოაოპოვება სირიის ეპისკოპოსისადმი მიმართულ წერილში. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მრავალმა სამხედრო პირმა მახვილით მოსპო ერეტყოსი თონდრაეკლები, ხოლო მათი სამკვიდრებელი კი ცეცხლს მისცა.⁵⁷

ჩვენ ახლა ან შევხებით იმ კონცეფციას, რომლის თანახმადაც თითქოს XI საუკუნეშიც კი ჯერ კიდევ ხდებოდა კლარჯეთის ქალკედონიზაცია, ვინაიდან ეს კონცეფცია, მაშინაც კი, ის უეჭველობით რომ იყოს დასაბუთებული, ამჟამად ჩვენი ინტერესების მიღება რჩება, ვინაიდან ჩვენი გაგებით ბოილას მამულები მღებარეობდნენ არა კლარჯეთში, არამედ კლარჯეთიდან შორს.

ამიტომ ჩვენ ახლა გადავალთ უშუალოდ ბოილას ანდერძის მითითებული ადგილების რ. ბართიკიანისეული ინტერპრეტაციის განხილვაზე.

როგორც ვთქვით, ანდერძში ნათქვამია, რომ ბოილა დაემკვიდრა „უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო სარწმუნოების მქონე ხალხში“.

ჩვენი რწმენით, ბოილას ასეთი განცხადება ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოილა წარმოშობით კაპადოკიიდან იყო. ამიტომაც, მისთვის იბერია მართლაც რომ სხვა, უცხო მხარე, შეიძლებადა ყოფილიყო.

მაგრამ ეს ოღნავადაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს უცხო მხარე, რ. ბართიკიანის აზრით — კლარჯეთი და ტაო — მოფენილი იყო უსათუოდ მონოფიზიტური სომხური ელემენტებით.

ჯერ ერთი, როგორც ითქვა, რ. ბართიკიანს კლარჯეთი უადგილოდ აქვს მიკუთვნებული ტაოსთან, რადგანაც ტაოს მსგავსად (იგულისხმება მისი ზოგიერთი პუნქტი) კლარჯეთი არ შედიოდა ბიზანტიური იბერიის ტერიტორიაში. მეორეც ის, რომ ანდერძში იგულისხმება არა საკუთრივ ტაო, არამედ ტაოს სახელის მატარებელი დიდი პოლიტიკური ერთეული, რომელიც, როგორც ვთქვით, ტაოსთან ერთად მოიცავდა სხვადასხვა სომხურ მხარეებსაც.

ამრიგად, იმის კატეგორიული მტკიცება, რომ საკუთრივ ტაოს და კლარჯეთის პროვინციებში ცხოვრობდნენ სომეხი მონოფიზიტები იმ არგუმენტებით, რომლებსაც რ. ბართიკიანი ასახელებს, შეუძლებელია.

ამის მტკიცე კატეგორიული ფორმით მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ ვინმეს მოეხერხებინა და უეჭველობით ეჩვენებინა, რომ ბოილას მამულები ნამდვილად ტაოში მღებარეობდნენ, ვინაიდან უცხო ენაზე მოლაპარაკე

57. რ. ბართიკიანი, იქვე, მითითებულია გრივოლ მაგისტროსის „წერილები“, აღქსანდროპოლი, 1910, გვ. 162 (ძველ სომხურ ენაზე).

და უცხო სარწმუნოების მქონე ხალხი, რომელიც ციტატაში არიან მოხსენებული, ქოლას გაგებით სავსებით შესაძლებელია ქარხველეს ბიე ყოფილიყვნენ.

მართლაც, როგორც ეს ცნობილია, ბიზანტიელები, განსაკუთრებით ბოილას ეპოქაში, ძალიან ზშირად სწორედ ერთმორწმუნე ქართველებსაც პირდაპირ სარწმუნოებიდან ვადაღგარადაც კი მიიჩნევდნენ ხოლმე.⁵⁸ ეს კი გვახსენებს ვიფიქრით: ბოილას მამულებში, ეს უკანასკნელები მართლაც ტაოში რომ მღებარეობდნენ, ქართული მოსახლეობის არდანახვა კატეგორიული ფორმით შეუძლებელი იქნებოდა, მაშინაც კი, როცა აქაური მკვიდრნი ბოილას ანდერძის მიხედვით უცხო სარწმუნოებისად არიან წოდებულნი.

საწინააღმდეგოდ რ. ბართიკიანის აზრისა, ვითომც ბოილას მამულებში ძირითადად სომეხები იმყოფებოდნენ, ის დატყბიც მიუთითებს, რომ ანდერძის ტექსტის მიხედვით, ეს სომეხები მისი მამულებიდან მოცილებით ცხოვრობენ. ამის თაობაზე ანდერძში პირდაპირ ნათქვამია, რომ ბოილა დაემკვიდრა უაღრესად ძნელად ასატან მხარეში, რომელსაც ამის გამო ძნელად იტანდნენ ადგილობრივი მოსახლენი და, აგრეთვე, აქედან შორაბლოს მყოფი სომეხებიც კი.⁵⁹ ამრიგად, ჩანს, რომ ისინი, ვინც ბოილას მამულებში ცხოვრობენ და სომეხები სხვადასხვანაირი არიან. ამიტომ, ჩვენ არაფერი გვიწლის ზელს, რომ ამ ადგილობრივი მოსახლეობაში სწორედ ქართველები დაეინახათ, მაშინაც კი, როცა ამ ხალხს ბოილა უცხო სარწმუნოების მქონედ იხსენებს.

ამის შემდეგ, ზუნებრივია, ექვი შევიტანოთ რ. ბართიკიანის იმ მტკიცების სისწორეშიც, თითქოს ის ქვეწარმავლები, რომლებითაც ბოილასვე განცხადებით სავსე იყვნენ მისი ტერიტორიები — მაშინ, როცა ის იქ დაემკვიდრა, მაინცდამაინც სომეხი თონდრაეკლები უნდა იყვნენ.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებდეთ, შევნიშნავთ, რომ რ. ბართიკიანი თონდრაეკლების „აღმოჩენით“, როგორც ეს აშკარად იგეგმობა მისი ზოგადი

58. ასეთი ფორმის ბრალდებები წამოყენებული იქნა, მაგალითად, ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, თუმცა, როგორც ეს ცნობილია, გიორგი მთაწმინდელმა ბრწყინვალედ უარყო ეს ბრალდებები და დაამარცხა კონსტანტინოპოლის „პარტია“. (ქ. ქეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტაულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წ. IV, თბ., 1957 წ. გვ. 120-121).

59 The Armenians who dwelled opposite here». სპ. ერონისი, გვ. 265.



თვალსაზრისიდან, უფრო იმიტომაც ვატყუებულები, რათა დაამტკიცოს, რომ ბოილას მამულზე (როგორც რ. ბართიციანს ჰგონია — კლარჯეთსა და ტაოში) დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ეთნიკური სომხური მასები, რამდენადაც, როგორც ამას არმენისტი მკვლევარები წერენ ხოლმე, თონდრაკელები არსებობდა სომხური საზოგადოებიდან იყენენ გამოსულები.

ამის შემდეგ ჩვენთვის იოლია ასეთი კითხვის დასმა: თუ რას უნდა შეეშალა ბელი ბოილასათვის პირდაპირი სახელით მოგხსენებინა თონდრაკელები და ბუნდოვანი ალტერატივით არ დაეწყო მათზე საუბარი. რა თქმა უნდა, ოფიციალური ეკლესიის თვალსაზრისზე მდგომარეობაში პირები ზნობად ქვეყნარმეულად იხსენიებენ ხოლმე თონდრაკელებს, მაგრამ ვინა ამ შემთხვევაში ისინი ფარავენ ხოლმე, რომ მაინც აღამიანებზე საუბრობენ და არა ნამდვილ ქვეყნარმეულებზე, როგორც ამაზე პირდაპირაა საუბარი ბოილას ანდერძში?

თონდრაკელების შესახებ, ისე როგორც ამას რ. ბართიციანი მიუთითებს, მართლაც საუბრობს არისტარქეს ლასტივერტელი თავისი ისტორიის XXII და XXIII თავებში⁶⁰. მიუხედავად ამისა, ყველგან სადაც იგი ნეგატიური ფრაზებით აქობს თონდრაკელებს, ეჭვი არაა, რომ ეს ეპითეტები მაინც ხალხს, აღამიანებს ან აღამიანთა ჯგუფებს აქვთ მოყუთუნებული.

არისტაკესი ვრცლად ყვება, თუ როგორ ცდილობდა ერეტიკულ საქმიანობით ჰეშმარიტი სარწმუნოების შერყვნას პარკის ოლქის ეპისკოპოსი იაკობი⁶¹. ამ იაკობს თავდაპირველად შეუერთდა ვინმე ესაიაც, რომელიც წარმოშობით კარიელი იყო, მაგრამ მან შემდეგ მიატოვა თავისი მოძღვარი და ეხლა პატრიარქ სარკისის, ესაიამ სარკისის მოახსენა იაკობის საქმენი, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ სარკისმა მოიხმო იაკობი და, როგორც არისტაკესი ვადმოკვეცებს, ჩამოართვა მას სამღვდლო პატრიე, საზე ამოუწვა მელიის ნიშნით და თანაც ასე დაიმოძღვრა, რომ „ვინც ღალატობს წმინდა განმანათლებლის რქულს, უჩიოდება თონდრაკელების ცრუსარწმუნოებას, შეაღწევს ზოლმე აღამიანის სახის მქონე მხეცების ჯოჯოში და ეთიისება მათ — დე იწენიოს ასეთი სასჯელი“⁶².

შემდეგ არისტაკესი ვადმოკვეცებს, თუ როგორ გაიქცა იაკობი ბიზანტიაში, რათა იქაურებს იგი ბერძნულ სარწმუნოებაზე მიეღოთ,

⁶⁰ Повествование Варпаета Аристкаеса Листивертца, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашьяна. Москва, 1968.

⁶¹ არისტაკესი, გვ. 118-129.

⁶² იქვე, გვ. 121.

მაგრამ მას აქ ამაზე უარი განუცხადეს ერეტიკულად, რომ ამის ღირსად არ ჩათვალეს, *არაღმარა* ვილასთვის იყო საჭირო ის პირი, ვინც სომხებმაც კი გამოავლეს თავიანთთაგანში.

აღნიშნული ამბების შემდეგ იაკობი წავიდა აპაჰუნქის მხარეში (ზე ადგილებში, სადაც თავდაპირველად თონდრაკელობა წარმოიშვა) ანუ, როგორც არისტაკესი ამბობს, „სატანის საცხოვრებელში, ღვთისაგან განდგომილთა შეკრების ადგილში, მხეცების ბაქში, რომელიც იწოდება თონდრაკად“⁶³.

თონდრაკელების თაობაზე არისტაკესი საგანგებოდ საუბრობს თავისი თხზულების XXIII თავში. აქ მოთხრობილია ჰრანოიშის, ვრეერისა და სხვათა ერეტიკულ საქმეებზე და მხოლოდ ასეთ ნათლად მოთხრობილ ამბებზე საუბრობს აღნიშნავს არისტაკესი, რომ განდგომილებმა დაანგრიეს ეკლესიები, რომლებიც ოდითგანვე ააშენეს თავიანთ „გველის ბუნავში“⁶⁴. ასეთივე ეპითეტებით იხსენიებს თონდრაკელებს არისტაკესი, როცა ყვება, თუ როგორ დაღვინეს მათ ერთ-ერთ ადგილას აღმათული ჯვარი⁶⁵.

ყველაფერი აქედან ძალიან კარგად ჩანს, რომ არისტაკესი უარყოფითი გამოთქმებით იმიტომ ამკობს მათ, რომ მისი აზრით, თონდრაკელები ღირსნი არიან ყოველგვარი ლანძღვის, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთ ადგილს მის თხზულებაში, რომ იგი უარყოფით ეპითეტებს წარმოთქვამდეს მხოლოდ განყენებულად და ეს საქსებით გასაგებია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვეღარ გაიგებდა, რომ ეს „ბოილები“ თონდრაკელები არიან და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ლანძღვის ობიექტები ნამდვილი მხეცები და ქვეყნარმეულები არიან, ისე როგორც ეს არის ევსტათე ბოილას ანდერძში, ამიტომ მასში მოხსენებული ეპითეტები არაკეთარი საფუძველს არ გვაძლევს იმის საფიქრებლად, რომ სიტყვები: „მხეცები“, „ქვეყნარმეულები“ და ა. შ. გავიგოთ არა პირდაპირი, არამედ გადატანითი გაგებით და რომ ამ სიტყვებში აღამიანები უნდა იგუთულისხმოთ.

ანალოგიურად გვაქვს საქმე გრიგოლ მაგისტროს ფალაუნის წერილებშიც. მართალია, გრიგოლი მუდამ არაჩვეულებრივი, პირდაპირ წრეგადასული ზიზღით ლაპარაკობს თონდრაკელებზე, მაგრამ არასოდეს მკითხველს არ უხდება იმაზე ფიქრი, თუ ვინ იგულისხმება იმ

63. იქვე, გვ. 121.

64. იქვე.

65. იქვე, გვ. 123.

66. იქვე, გვ. 124.

შოთა ზაღრიძე
 შინიშენები პროტოსკათარიასა და
 აშპაროსის მისტათე ბოილას ანდერძზე

ოდიოზური ფრაზების ქვეშ, ვისაც გრიგოლ მაგისტროსი ეხება ხოლმე. ეს ძალიან კარგად ჩანს გრიგოლ მაგისტროსის წერილების ისეთ ადგილებშიაც, რომლებიც თავისი სტილისტური თუ ვარეგნული ფორმებით ერთგვარად ჰგვანან კიდევაც ბოილას ანდერძის იმ ფრაზებს, რომელშიაც საუბარია საზოგადოებრივად აღიარებულ, სამყაროებზე და იმაზე, რომ ბოილამ ყოველივე ამისაგან გაწმინდა თავისი საშეკიდრებელი.

ერთ-ერთ ასეთ ფრაგმენტად გრიგოლ მაგისტროსის წერილებიდან შეიძლება მივიჩნიოთ ნაწყვეტი იმ პასუხებიდან, რომელიც გრიგოლმა გაუგზავნა „თულაელებს, ახალი მანიქვეელები თონდრაკლების წამოშობს, რომლებიც მოვიდნენ სირიის კათოლიკოსთან მისი მოტყუების ბრძანით“. აღნიშნულ პასუხში გრიგოლ მაგისტროსი იქაღინის: „მესამოტყუებამი მოსვლისას მე იქ შევხვდი სიკვდილისმოძრან, ამოხოქრებულ და მღვრიე ნაკიდებს, რომელთაგანაც მოედინებოდა წყველი სმბატ თონდრაკელის⁶⁷ სამკვიდლო ჭირი. მე გავწმინდე ისინი და, გავეშაროე რა, მივალწიე წყაროს, სადაც ჩაბოდებული იყო გველი, ბოროტების ქვეწარმავალი და დრაკონი. მე აღმოვფხვერი ისინი, დავანგრეი...“⁶⁸

ასევე აშკარად იგრძნობიან ადამიანები გრიგოლ მაგისტროსის სხვა ეპისტოლეებშიც, მაგალითად, მის ეპისტოლეში სირიის კათოლიკოსისადმი, სადაც გრიგოლი საუბრობს თონდრაკელების ცნობილ წინამძღოლზე სუმბატ ზარეხვანცზე და ამბობს, რომ ის არის „სისხლის-

⁶⁷ ამ სუმბატ თონდრაკელზე ანუ სუმბატ ზარეხვანცზე იხ. *ს. 9. ღიქანანქიასხ, შირაი ჭარხაქასეხ, სრა ძამანასი ძამანასაქიხეხერ, «ჩახსერ შათსხაგარა-სხა, 1956, № 3.*

⁶⁸ **Р. Бартияня**, Два послания Григория Магистра Пахлавуня (XI в.) относительно Еретигов тондракитов. Палестинский сборник, вып. 9 (72), 1962, стр. 137.

მოყვარული, ბრაზიანი მხეცი, მამათმავალი და გარყვნილი“, „საზოგადოებრივი და წყველმამაობის ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ რ. ბართოკიანის განცხადება, ვითომც ბოილას სამფლობელოში მაინცდამაინც უნდა ვიგულისხმოთ სომეხი მონოფიზიტები და თონდრაკელები, უცქველი არგუმენტებით ვერაა დასაბუთებული. უფრო მეტიც, აშკარად ნაძალადევადაა აგებული და არავითარი სიძლიერე არა აქვს იმათ ძალდაუტანებელ აზრთან შედარებით, ვისაც ამ ანდერძში მოხსენებული ქვეწარმავლები პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გაგებული⁷⁰.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის დასასრული შეიძლება იყოს შემდეგი დასკვნა:

ბოილას მამულების ლოკალიზაცია შესაძლოა მხოლოდ ზოგადად იბერიის თემში, იმ მხარეში, რომელიც ადრე დავით კურაპალატის სამფლობელოებს შეადგენდნენ. რაც შეეხება კონკრეტულ პუნქტებს, რომლებშიც ეს მამულები უნდა ვიგულისხმოთ, ამისი დაბეჭდილებითი მითითება კვლევაში იმის დღევანდელ დონეზე ჯერ კიდევ შეუძლებელია. აზრი, ვითომც ბოილას მიწები მღებარეობდნენ კლარჯეთში ან სასუთრიე ტაოში და რომ ამ მიწებზე მრავლად ესახლნენ სომეხი მონოფიზიტები და თონდრაკელები, ვერაა დამაჯერებელი.

⁶⁹ **Р. Бартияня**, Ответное послание Григория магистра Пахлавуня сирийскому католику. Палестинский сборник, вып. 7 (70), 1962, стр. 134.

⁷⁰ ამავე შეხედულებას გამოთქვამს გ. გ. ლიტვინი, რომელიც წერს: «Нам эта догадка (იგულისხმება რ. ბართოკიანის თვალსაზრისი) представляется маловероятной. Такого рода выражения — общее место в византийской (особенно агнографической) литературе. Это, конечно, преувеличение, имеющее целью прославить труд ктитора или переселенца, но оно означает только это и — ничего больше» (**Г. Г. Литвин**, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 160).



რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის

1. კითხვა, რომელსაც ჩვენ ვეხებით გულის-
ზნობს, რომ შოთა რუსთაველს აქვს გარკვეუ-
ლი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რო-
მელიც პოელობს ასახვას „ვეფხისტყაოსანში“.
ამ ფილოსოფიური მსოფლმხედველობის თავი-
სებურებანი და მისი წყაროები უნდა დადას-
ტურდეს ერთი მხრივ, პოემის და, მეორე მხრივ,
ეპოქის, უმთავრესად ქართული, ფილოსოფი-
ური აზროვნების მონაცემების საფუძველზე.
მაგრამ კითხვის წარმატებით გადაწყვეტა სა-
ჭიროებს რამდენიმე პირობის წინასწარ გარ-
კვევას. პირველი დაკავშირებულია თვით ფი-
ლოსოფიური მსოფლმხედველობის ცნებას-
თან. მეორე — რუსთაველის დამოკიდებულე-
ბასთან ფილოსოფიური აზროვნებისადმი. მეს-
ამე — იღუტრ ანალოგიებისა და მსგავსების
დადგენის მეთოდთან, მსგავსების, რომელიც
აღმოჩნდება რუსთაველის შეხედულებებსა და
ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენელ-
თა შორის.

უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენჯერ-
მე გამოითქვა ჩვენს მეცნიერებაში მოსაზრე-
ბანი, რომლებიც უმთავრესად რუსთაველოლო-
გიაში არსებული ნეოპლატონიზმისა და პანთე-
იზმის თეორიის წინააღმდეგ არის მიმართული
და ცდილობს დაასაბუთოს რუსთაველის აზ-
როვნების „უაღრესად ორიგინალური“, „საე-
ღებით ორიგინალური“, თუ „უკუშპირიტად ორი-
გინალური“ ხასიათი.

ერთ შემთხვევაში რუსთაველის ნეოპლატონი-
ზმისა და პანთეიზმს უპირისპირდება „რუს-
თაველის კომპოზიციური წარმოდგენები და
უაღრესად ორიგინალური რელიგიური კონ-

ცეფცია¹“. მეორე შემთხვევაში ფილოსოფიურ
მიმდინარეობებს უპირისპირდება — პოეტის
ორიგინალური „მოძრაობისა და მოქმედების
ფილოსოფია“². „რუსთაველის ფილოსოფია არ
არის არც პლატონიზმის, არც არისტოტელიზ-
მის, არც ნეოპლატონიზმის და არც პანთეი-
ზმის დოგმატიკური აღიარება, იგი საუკნებით ორი-
გინალური და რუსთაველურია, მოძრაობისა და
მოქმედების ფილოსოფიაა, რომელსაც რუს-
თაველის ფილოსოფია უნდა ვუწოდოთ და თა-
ვისი დროისათვის უაღრესად პროგრესულ მოვ-
ლენად მივიჩნიოთ“³. მესამე შემთხვევაში რუს-
თაველის ნეოპლატონიზმს უპირისპირდება აგ-
რეთვე ორიგინალური „ვეფხისტყაოსანში“
განსახიერებული სიცოცხლისა და ამქვეყნიური
ბედნიერებისათვის ბრძოლის ფილოსოფია“⁴.

რუსთაველის ფილოსოფია რომ არ არის რო-
ბელიმე ფილოსოფიური მოძღვრების დოგმა-
ტიკური აღიარება, ეს საუკნებით სწორი დებუ-
ლებაა და კამათს არ იწვევს, მაგრამ სხვა რომ
არა ითქვას რა, რუსთაველის ფილოსოფიურ
მსოფლმხედველობასთან დამოკიდებულება „რე-
ლიგიური კონცეფციისა“, ან „მსოფლმხედვე-
ლობრივი შინაარსისა“⁴, ანდა რუსთაველის და-

1 გ. ნაღორაძე, რუსთაველის ესთეტი-
კა, 1958, გვ. 30.

2 გ. ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის სა-
კითხები, გვ. 274-275. შიღ. აგრეთვე, ვეფხის-
ტყაოსნის ფილოსოფიური ლირიკა, ვაზ. „კო-
მუნისტი“, 1966, 31 ივლისი.

3 პ. შარია, რუსთაველის მხატვრულ-
იღუტრის სამყაროს ზოგადი მხარე, „საბჭო-
თა ხელოვნება“, 1966, № 18, გვ. 53.

4 პ. შარია იქვე.



პირისპირება პოემის „იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით... ფილოსოფიურ ძეგლებთან“⁵ ცნებათა აღრევას წარმოადგენს და ლოგიკის მარტივი წესების დარღვევაზეა დამყარებული. ცნებათა აღრევაზეა დამყარებული იგივე გამოთქმაც „მომჩაობისა და მოქმედების ფილოსოფია“, ანდა „სიცოცხლისა და ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლის ფილოსოფია“.

„რელიგიური კონცეფცია“ — რელიგიური მსოფლმხედველობაა და ის ფილოსოფიური კონცეფციის როლს ვერ შეასრულებს რუსთაველის სახაროვნო სისტემაში. რელიგიური კონცეფციის გარკვევა, კონცეფცია რომ გაეზიაროთ დასახელებული ავტორის მოსაზრებები ამ კონცეფციის თაობაზე, არ წარმოადგენს რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის თავისებურებათა გარკვევას და ვერ მოხერხდება ნათელს დასმულ კითხვას რაც შეეხება „მსოფლმხედველობრივ შინაარს“ (ამ შემთხვევაში ხაზი ჩემია — შ. ხ.)

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქრისტიანობა თანაარსებობს პლატონიზმთან („რელიგიური პლატონიზმი“), არისტოტელეს მოძღვრებასთან (მაგ. იოანე დამასკელის, თომა აკვინელის და სხვ.), ნეოპლატონიზმთან (ფსევდო-დონისე არეოპაგო, იოანე გრიგენა, მისტერ ეპიპარტო და სხვ.), რომ, მეორე მხრივ, ნეოპლატონიზმი თანაარსებობს ძველ ბერძნულ რელიგიასთან, ქრისტიანობასთან, მამაბაბიანობასთან — ისაა რომ რელიგია და ფილოსოფია ცნობიერების სხვადასხვა სფეროებს განეკუთვნება. მაგრამ სულ სხვა ვითარებაა, როდესაც საქმე საკუთრივ აზროვნებას ეხება. ერთ-ერთი ავტორი წერს: „ეს წარმოდგენა (დმერთის წარმოდგენა, როგორც საკებისა, შ. ხ.) რომ ლოკატურ წინააღმდეგობაშია ძველი აღმშენებელი ცენტრული თვალსაზრისთან... ეს ქრისტიანი მამები-სათვის დაბრკოლებას არ ქნის: ამიტომ ქრისტიანი ავტორების თხზულებებში ორივე ეს ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისი ერთი-მეორის გვერდით მშვიდობიანად თავსდება (ნ. ნათელი, რუსთაველის პანთეონის თეორია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963 წ. 30 აგვისტო, ხაზი ჩემია, შ. ხ.).“

აზროვნებას სფეროში (და „ლოკატური წინააღმდეგობა“ სწორედ ამას გულისხმობს) ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის ერთიმეორის გვერდით მშვიდობიანად არსებობაზე ლამაზიერ, ჩვენის აზრით, გაუგებრობაა. არის, რა თქმა უნდა, შემთხვევები მათი ფაქტობრივ მოთავსებაში ერთიმეორის გვერდით, ერთი რა იმავე ქრისტიანი მამების თხზულებებში, მაგრამ ისინი რჩებიან ორ სხვადასხვა არსებობად განსხვავებულ „თვალსაზრისებად“, და თვითველად მათგანს სრულიად განსხვავებული ისტორიულ-იდეური ღირებულება და მნიშვნელობა აქვს. გამოთქმული იქნება ეს თვალსაზრისები ერთი, თუ სხვადასხვა პირობის შიგნით, ამას მნიშვნელობა მხოლოდ ამა თუ იმ პირობის, ავტორის აზროვნების თანმიმდევრულობის გარკვევისათვის აქვს, და არა თვით თვალსაზრისების ღირებულებისა და მნიშვნელობის გარკვევისათვის აზროვნების ისტორიაში.

ვეფხისტყაოსნისა“), იგი თუმცა მიიჩნევა ფილოსოფიურ შეხედულებებსა და მნიშვნელოვან ფაქტობრივ ცნებათა და მის საფუძველზე გაკეთებულ დაკვირვებებსა და დასკვნებს იმდენად ზოგადია, რომ საკმარისი არაა ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სპეციფიკის განსაზღვრებისათვის, პრაქტიკულად მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის ცნებათა დაუწესებულობა ხელს უწყობს „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეცვლას პოემაში ასახული ზოგადი იდეებით და ამის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს „მომჩაობისა და მოქმედების ფილოსოფია“.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია — ფილოსოფიის ისტორია არ იცნობს, როგორც ესეთს, არც „მომჩაობისა და მოქმედების“, არც „სიცოცხლისა და ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლის ფილოსოფიას“. ხოლო ის რაც „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებულ მკვლევარებს აძლევს საბაზს „ფილოსოფიაზე“ მიიჩნეონ, არ წარმოადგენს ფილოსოფიას.

ემპს გარეშეა, „ვეფხისტყაოსანი“ მოუწოდებს მკითხველს მომჩაობისა და მოქმედებისაგან, სიცოცხლისა და ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ. ამ მნიშვნელობით შეიძლება თქვას, რომ ეს იდეები არის განსახიერებელი რუსთაველის პოემაში. უფრო მეტიც, ეს იდეები შეადგენენ პოემის იდეური შინაარსის მნიშვნელოვან ელემენტებს და შეიძლება ჩაითვალოს რუსთაველის მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან ნიშნებად. მაგრამ ის ფაქტი, რომ ანალოგიური იდეები ამოკითხება კაცობრიობის მრავალ კულტურულ ძეგლში, დამოუკიდებლად იმისაგან — ფილოსოფიურია ეს ძეგლი, თუ არა, ნიშნავს იმას, რომ ეს იდეები სპეციფიკურ ფილოსოფიურ იდეებს არ წარმოადგენენ.

კლასიკური ზანის ეპოსი, მაგ. „ილიადა“ და „ოდისეა“, ისევე როგორც დიდი მასშტაბის ხალხური ეპოსი („გილგამეშინი“, „ამირანიანი“ და სხვ.) შეიცავს ამ იდეას, როგორც ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს მათი იდეური შინაარსისა. რენესანსის ეპოქის ჰუმანისტური კულტურა, როგორც მძლავრი და მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობის იდეურ განვითარებაში, წარმოადგენს ამ იდეის განსახიერებას, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად — რენესანსის სხვადასხვა პერიოდებისა და სხვადასხვა წარმომადგენელთა შესაბამისად: განსახიერებას — დროის დიდ მანძილზე და საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალფეროვან ფორმებში (მწერლობა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და შრ. სხვ.). მაგრამ არსებითადაა განსხვავებული ამ იდეების „განსახიერების“ ფორმები, მათი გამოხატვის თავისებურებანი, რომლებიც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების თავისებურებით არიან განსაზღვრულნი. მოძ-



რაობისა, მოქმედებისა და ამქვეყნური ბედ-
წინაგებისათვის ბრძოლის ფილოსოფია შეიძ-
ლება ეწოდოს უკეთეს შემთხვევაში მოძღვრე-
ბას, რომელიც ამ იდეებს თეორიულ, ფილო-
სოფიურ დასაბუთებას გამოუძენის, მათ თე-
ორიულ საფუძვლებს დაასაბუთებს.

რაოდენაა რომ მსოფლმხედველობას და მის
ჯეულა ფორმას აქვს საერთო ნიშნები, მაგრამ
თუ ეს ვარემოება წარმოადგენს საფუძველს
ვილაპარაკოთ პოეტურ, რელიგიურ, ფილოსო-
ფიურ და სხვ. მსოფლმხედველობაზე, ის არ
იძლევა საფუძველს უგულვებელყოფით მათი
განსახვადებელი თავისებურებანი და ერთი
ცნება მორათი შეეცვალოთ. მხოლოდ ამ შემ-
თხვევაში იქნება ზუსტად განსაზღვრული რუს-
თაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის
თავისებურებათა და მის წყაროების კვლევის
აშკარა.

ერთ-ერთი მკვლევარი შენიშნავს, რომ რუს-
თაველს აქვს „აზროვნების საყოფარი სისტემა,
საკუთარი ფილოსოფია“⁷.

ფილოსოფია, ცხადია, სისტემაა, მაგრამ რის?
თუ არ განვასხვავებთ ფილოსოფია პოეტური
სახეების სისტემისაგან, ანდა, უფრო ზუსტად
რომ ითქვას, პოეტური სახეებით გამოხატულ
იდეათა სისტემისაგან, მაშინ ფილოსოფია გა-
ითქვითება მხატვრულ აზროვნებაში. თუ არ
განვასხვავებთ მას წარმოდგენათა სისტემისა-
გან, — წაიშლება კვალი ფილოსოფიასა და
რელიგიის (და მითოლოგიის) შორის. მისი და
მიხედვით — როგორაა გამოხატული მსოფლ-
მხედველობა, რა „სამუშაოებებში“ არის ის
გამოთქმული — პოეტური სახეებით, წარმოდ-
გენებით, თუ ცნებებით — პოეტური მსოფლმ-
ხედველობა განსხვავდება ფილოსოფიური
მსოფლმხედველობისაგან, ეს უკანასკნელი —
რელიგიური (თუ მითოლოგიური) მსოფლმხედ-
ველობისაგან.

ფილოსოფია ცნებათა სისტემაა, ლოგიკუ-
რად სისტემატიზირებული მსოფლმხედველობა.
ამით განსხვავდება ის მსოფლმხედველობის
სხვა ფორმებისაგან. დასაბუთება წარმოადგენს
ფილოსოფიის სპეციფიკას, რომლითაც ის განს-
ხვავდება ხელოვნებისაგან, რელიგიისაგან, მი-
თოლოგიისაგან. ამდენად, თუ კანონიერია ამა
თუ იმ იდეის განსაზღვრების შესახებ მსჯელო-
ბა, როცა საქმე ხელოვნების ძეგლს ეხება, ეს
გამოთქმა ფილოსოფიის მიმართ, თუ ღვი-
ცავთ სიზუსტეს, გამოუყენებელია. ფილოსო-
ფია იღვას ასაბუთებს და არა ასახიერებს.

როდესაც კითხვა ეხება პოეტის, მხატვრული
სიტყვის წარმომადგენლის თუ ფილოსოფიურ შე-
ხედვლებებს, კითხვა თავისთავად გულისხმობს
მათ ფილოსოფიურ წარმომადგენლს, ფილოსო-

ფიურ წარმომადგენლს შეხედულებების, სიტყ-
ვები შეიძლება გამოიხატოს, როგორც ცალ-
კეული დებულებების სახით, აგრეთვე პოეტუ-
რი განსახიერების საშუალებებითაც.

სხვა საკითხია — რამდენად აქტიურია, რამ-
დენად შემოქმედებითა პოეტური სიტყვის ამა
თუ იმ წარმომადგენლის დამოკიდებულება ფი-
ლოსოფიური მემკვიდრეობისადმი, რა ადგილი
უჭირავს ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას
მის შემოქმედებაში; რამდენად ორგანულია
ფილოსოფიის კავშირი მის მსოფლმხედველო-
ბასთან საერთოდ; რამდენად ღრმადია ვაგებუ-
ლი და ათვისებული ფილოსოფიური მსოფლ-
მხედველობა, რამდენადაა ერთიანობაში, მთლი-
ანობაში შემოქმედის თეორიული შეხედულება-
ნი და მისი მხატვრული სინამდვილე, როგორც
პოეტურად განსახიერებული ფაქტი.

შეცნებებში გამოთქმულია, მაგ. დებულე-
ბა, რომ დანტე, როგორც ფილოსოფოსი, —
მთლიანად წარსულშია, მაგრამ დანტე, რო-
გორც მხატვარი — ახალი ბურჟუაზიული კულ-
ტურის შვილია. რაც შეეხება დანტეს ეპოქის
ხელოვნებას, მეორე მკვლევარის სიტყვით —
ესთეტიკური თეორიების შესწავლა აქ იშვი-
ათად იძლევა გასაღებს ხსენებული ეპოქის ხე-
ლოვნების ვაგებისათვის. მხატვრულ სინამდვი-
ლესა და ესთეტიკურ თეორიებს („ესთეტიკურ
იდეოლოგია“) შორის უფრო ხშირად არსე-
ობს განსხვავება (расхождение) ვიდრე სრუ-
ლი თანხვედრა. და ამიტომ ცალკეულ მკვლე-
ვართა ცდა — გაიგონ ეპოქის მხატვრული შე-
მოქმედების არსი ხელოვნების შემქმნელთა და
მოაზროვნეთა გამოთქმების საფუძველზე, —
წინაწარაა განწირული.

რუსთაველის ინტერესი ფილოსოფიისადმი
რომ პოეტის პირდაპირი, უშუალო მიზნით არ
არის განსაზღვრული, ეს ცხადია. რუსთაველი
პირველყოფილისა პოეტია და არა მგონია რომ
ეს უტყუარი ფაქტი ვინმეს სადავოდ მიარდეს.
მის მთავარ მიზანს სინამდვილის მხატვრული
ასახვა, მხატვრული განზოგადება შეადგენს
და თავის მსოფლმხედველობას გამოხატავს
პირველყოფილისა მხატვრული აზროვნების სა-
შუალებებით. შემოქმედების ამ სფეროშია
რუსთაველის ადგილი და მისი გენიალობის
და ორგინალობის ფარგლებში უმთავრესად
მხატვრული აზროვნებით არის განსაზღვრული.

მაგრამ მწყობარი ფილოსოფიური შეხედულე-

⁷ А. К. Дживелегов, Данте Алигиери. Жизнь и творчество, М., 1946, гл. 367.
⁸ М. В. Алпатов, Итальянское искусство эпохи Данте и Джотто, 1939, гл. 27.

⁷ გ. ჯიბლაძე, ექვსისტყაოსნის ფილო-
სოფიური ლირიკა, გაზ. „კომუნისტი“, 1966
წლის 31 ივლისი.

შალვა ღილაშვილი
რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს
საკითხისათვის



ბანი რომლებიც პოემაში არის დადასტურებული, მათი ერთიანობა, საკმაოდ დასაბუთებული თანამედროვე მეცნიერების მიერ, იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ რუსთაველი დიდი მასშტაბის და ფართე პორიზონტის შემოქმედია. ის არ იფარგლება მხოლოდ მხატვრული განზოგადებით და თამამად ეჭვბუცა სინამდვილის ფილოსოფიური განზოგადების სფეროში.

რუსთაველის ერთ-ერთი მკვლევარი შენიშნავს, რომ თუ ხშირად მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებთან ჩვენ იძულებულნი ვართ ძირითადი იდეები მთლიანად ნაწარმოებში ამოვიკოხთოთ, „ვეფხისტყაოსანში“ ეს იდეები „მოკცემულია აგრეთვე ფილოსოფიურ-პოეტურ აფორიზმებში¹⁰. „ვეფხისტყაოსნის“ ამ თავისებურებას ღრმა საფუძველი აქვს და მკვლევარის დაკვირვება შემთხვევითი არაა. ეს თავისებურება განსაზღვრულია ადგილით, რომელიც რუსთაველის შემოქმედებაში უკავია სამყაროს ფილოსოფიურ მოაზრებას და რომელიც მოაითხოვს ფილოსოფიური იდეების გამოხატვის ადექვატურ ფორმას.

მაგრამ რუსთაველი გამოირჩევა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ დიდი პოეტური ადლოთი, შესანიშნავი ტაქტით, ზომიერების გენიალური გრძნობით, იგი ბრწყინვალედ სძლევს „საშიშროებას“, რომელსაც უქმნის მხატვრულ ნაწარმოებს თეორიული აზროვნებით ზედმეტი ზავბაობა“.

რუსთაველი, თუმცა არაა და არც შეიძლება იყოს მთლიანად თავისუფალი წინააღმდეგობებისაგან, არანეულებრივ თანმიმდევრობას ამქადავებს თეორიული შეხედულებებისა და მხატვრული შემოქმედების ერთიანობის თვალსაზრისით. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ორგანულ კავშირშია პოემის იდეურ შინაარსთან, ჰუმანიზმთან და, შეიძლება ითქვას, ჰუმანიზმის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. ეს კავშირი იმდენადაა აღიარებული მკვლევართა მიერ, ხშირად სპეციალური გაცნობიერების გარეშე, რომ რუსთაველის ჰუმანიზმი მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კვლევის ღრის „საცდელი ქვის“ როლს ასრულებს.

რუსთაველი ბრწყინვალედ აერთიანებს მხატვრულ განზოგადებას სამყაროს ფილოსოფიურ მოაზრებასთან და „ორივე ფეხზე“ დგება ახალი აზროვნებას ნიადაგზე.

რუსთაველს, როგორც ცნობილია, პოეზია სიბრძნის ღარგულშია. პოემის პროლოგში პოეტი კრიტიკულად იხილავს პოემის საგნის, მიჯნურობის სხვადასხვა გაგებას და ადგენს მის

სწორ წარმოდგენას, ე. ი. წარმოდგენას კონკრეტული რუსთაველს მიჯნურობის სწორ გაგებნის მიზნისა და რომელიც პოემაში პოეტურად არის განსახიერებული. ამგვარად, რუსთაველი „აქებს“ ისეთ მიჯნურობას, რომლის წარმოდგენა პროლოგში არის გარკვეული.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ რუსთაველის მიზანს ფილოსოფიური თეორიის პოეტური განსახიერება წარმოადგენს და მის შემოქმედებით პროცესში ფილოსოფიური თეორია წინ უსწრებს სინამდვილის მხატვრულ ასახვასა და სინამდვილისადმი დამოკიდებულებას. ამიტომ, არა მხოლოდ შეეცდომა, საკიონის მიუტევებელი გაუღვარება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფილოსოფიური წარმომავლობის შეხედულებათა ძიება და დადასტურება „ვეფხისტყაოსანში“ უდრის რუსთაველის მიზნებს ფილოსოფიური თეორიის „გამაღწქსავად“. ის უტყუარი ფაქტი რომ რუსთაველი პირველყოფლისა პოეტია, ხოლო მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი, პირველყოფლისა, — ესთეტიკური, არსებითად სცევის საქმის ერთგებას და არკვევს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ადგილს რუსთაველის შემოქმედებაში.

2. ვინც შუა საუკუნეების სააზროვნო ერთგებას იცნობს, მისთვის ცხადია, რომ ამ ენოქის მთელი ფილოსოფიური აზროვნება ანტიკური ფილოსოფიით იკვებება. ანტიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებათა შორის გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პლატონის მოძღვრებას. არისტოტელეს და ნეოპლატონიზმს. სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა პირობებში რომელიმე მათგანი სარგებლობდა უპირატესი ვაღვენით. ვინც იცნობს შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ ვითარებას, რომელიც საკმაოდაა გარკვეული ნ. მარის და განსაკუთრებით შალვა რეუტბიძის გამოკვლევების შემდეგ. მისთვის ისიცაა ცხადი, რომ აქ ნეოპლატონიზმს განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული და, კერძოდ, რუსთაველის ეპოქაში ორი მნიშვნელოვანი მოძღვრების სახით იყო წარმოდგენილი: არეოპაგიტისა (ფსევდო-დიონისე — პეტრე იბერი — ფერმე მკირე) და პეტრიწის სახით. ორივე პროცესს მოძღვრების საფუძველზე იყო აღმოცენებული და ანტიკური ფილოსოფიის ამ ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის ქრისტიანულ გადაქმნაებას წარმოადგენდა.

ეს უტყუარი ფაქტი წინასწარ განსაზღვრავს მკვლევარის ყურადღების მიმართულებას, როდესაც საქმე რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევას ეხება. თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ კვლევის მიმართულება არაა საქმარისი პირობა ნაკითხის გარკვევისათვის. საკითხი მოითხოვს აგრეთვე იდეური ანალიზებისა და მსგავსების დადგენასაც და

¹⁰ И. К. Луянов. Образы и идеи Шота Руставели; «Деятели русской культуры о Шота Руставели», Тб., 1966, გვ. 43.

არ შეიძლება ძიება მხოლოდ ერთი რომელიმეტი შემოიფარგლოს დასახელებულ მომენტთა შორის.

ამა თუ იმ მოაზროვნის იდეური წყაროების (ამ შემთხვევაში რუსთაველის ფილოსოფიური წყაროების) დადგენა გულისხმობს არა მხოლოდ შეხედულებათა აბსტრაქტულ მსგავსებას, არამედ რეალურ იდეურ კავშირებს, რეალურ იდეურ ურთიერთობებს იმ კულტურულ გარემოში, რომელშიც კერძოდ რუსთაველის პოემა შეიქმნა და მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა. ამ გაკრეპების უგულვებელყოფა, ჩვენის აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იქნა, რომ რუსთაველის იდეების მომდინარეობის ფარგლებში უჩვეულოდ გაიზარდა და ხშირად მეცნიერებაში ერთიმეორის გამომრიცხავი და შეუთავსებელი მოძღვრებებით არის წარმოდგენილი. რაკი მაგ, ოთხი ელემენტის თეორია ქვრ კიდევ ინდურ ფილოსოფიაში იყო ცნობილი, ამიტომ ნესტან-დარეჯანის წერილში ასახული ცოდნა ამ თეორიისა ინდოეთიდან მომდინარეობს. ამა, „რომელი ფილოსოფიური დოქტრინა შეიძლება სკოდნოდა ინდოეთის მეფის ასულს“, თუ არა ინდური?!¹¹ რაკი, ერთი, კატაფატიკური და აპოფატიკური თეოლოგია ცნობილი იყო უპანინადებისთვის და სხვაგან, რატომ არ უნდა ვეძიოთ რუსთაველის წყაროები ამ ძეგლებში? და ა. შ. ამ ავტორების წინაშე არ დგება მარტივი საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურია რუსთაველის წყაროების ძიება შორეული და შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისებების, თუ ანალოგიურ შეხედულებებს ღრმა ტრადიციები თვითონ საჭარბოლოში ჰქონდა?

ამას გარდა, ვასთავლისწინებელია ის გარემოება, რომ აზროვნების მკაცრი რეგლამენტაცია შუა საუკუნეების პირობებში იწვევდა დებულებათა უჩვეულო „სტანდარტიზაციას“, დებულებათა დოგმატიზაციას. დებულებანი სავალდებულო აღიარების სავანი ხდებოდა და ფართოდ-ვრცელდებოდა. რუსთაველის ცალკეული ფილოსოფიური იდეები ანალოგიის პოულობის არა ერთ, არამედ რამდენიმე მოაზროვნესთან, რომელთა გავლენა რუსთაველზე თანამართლად შეხამდებელი, თუ მხოლოდ ანალოგიების დადგენით დავკმაყოფილდით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსთაველის ფაქტურ წყაროს ყველა ეს მოაზროვნეები წარმოადგენენ.

რუსთაველის ფილოსოფიური კვლევის დასაწყის სტადიაზე ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი რუსთაველის პოემის იმ ადგილების ასახსნელად, სადაც ღმერთი მოაზრებულია, რა-

გორც „უცნაური“, „უჩვეულო კაცთა ენათა“ „სასვება ყოველთა“, „უფალი უფლებათა“ და სხვ. მოუწოდებდა იოანე დამასკელის „ცნობილი წყაროს“ „დოგმატიკური ნაწილისაკენ“, „ორიგენიდან ამოსული კაბადოკიელი მამებისაკენ“, ანდა ნეტარი ავგუსტინესაკენ¹², ამავე გზით მიიღეს, არსებითად, ერთ-ერთი თანამედროვე ავტორი, რომელიც ფიქრობს, რომ თუმცა „არეოპაგატიკის გავლენა ვეფხისტყაოსანზე ეჭვიმუქანელია“, მაგრამ „ასევე დასაშვებია პოზიტიური და ნეგატიური თეოლოგიის ვეფხისტყაოსანში ქრისტიანულ-დოგმატიკური საფუძველი გამოკვლევის“¹³, ორივე ავტორის მსჯელობაში ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ორივეს შესაძლებლად მიანიჭა მოტიანი შეხედულებათა მომდინარეობა არეოპაგატიკიდან თვით დამასკელის „ცოდნის წყაროში“, მაგრამ მიუხედავად ამისა ორივე მანკლდამიანიც დამასკელის საფუძველზე ცდილობს რუსთაველის იდეების ასხნას. მაგრამ ამავე კლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შექმნება გამართლება — დამასკელი რომ უდავო, ფაქტობრივად დადასტურებული ავტორიტეტი ყოფილიყო რუსთაველთან, ხოლო არეოპაგატიკის ავტორი მხოლოდ საეარუდებელი წყარო.

სინამდვილეში, როგორც ცნობილია, სწორედ სინამდვილეში ვითარებასთან გვაქვს საქმე. რუსთაველს დამასკელი არსად უხსენებია თავის პოემაში, ხოლო ფსევდო-ლიონისეს დამოწმებაც, მიუხედავად იმ „სიძუნწისა“, რომელსაც რუსთაველი ავტორიტეტების დამოწმების მხრივ ამტკიცებს, მან აუცილებლად მიიჩნია. და მიიჩნია ეს პოემის ერთ-ერთი ძირითადი იდეის გარკვევის მიზნით, რომ არაფერი ითქვას არც იმ მასშტაბზე, რომლითაც არეოპაგატიკა განსხვავდება „ცოდნის წყაროსაკენ“, და არც იმაზე, — რამდენად შორსაა რუსთაველი დოგმატიკისაგან და კერძოდ „ორთოდოქსალური რწმენის ზუსტი გადმოცემისაკენ“.

3. არის „ბედნიერი შემთხვევები“, როდესაც ესა თუ ის შემოქმედი საკუთარ შეხედულებათა იდეური წყაროების გარკვევას თვითონვე განსაზღვრავს. „ბრძენი ღიერისის“ დასახელება რუსთაველის მიერ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს. და ბუნებრივია, რომ რუსთაველის

¹² შ. გობეროძე, უზუნაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, „მნათობი“, 1941, № 5. ციტ. რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, 1961, გვ. 37.

¹³ შ. რაფაეა, ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის გაკვებისათვის, კრ. „შოთა რუსთაველი“, ისტორიულ-ფილოსოფიური ძიებანი, 1966, გვ. 112.

შალვა ხიდაშელი
რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის

¹¹ გ. ჯიბლაძე, ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ლირიკა, ვაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლისი.

ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დადგენის თვალსაზრისით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეძღეს.

როგორც ითქვა, რუსთაველი იშვიათად მიმართავს ფილოსოფიის ავტორიტეტების დასახელებას. პოემაში (მხედველობაში) მაქვს 1937 წლის საიუბილეო კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი) ორი ასეთი შემთხვევაა დადასტურებული. ერთ შემთხვევაში პლატონი (სტროფი 789) და მეორე შემთხვევაში დონისე აბოლაგელი (სტროფი 1492). ამ „ხარვეზს“ ავსებს სტროფები (836, 837), რომელშიც რიგი მნიშვნელოვანი და ღრმა მოაზრებების შედეგად მიღებული წარმოდგენების ფილოსოფიური წარმომავლობა არის დადასტურებული.

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად ვთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა, მის უქამოსა, ვამისად, ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად, ბედსა ნუ მიცელი, მიაჭე შეყრამდის ჩემად და მისად, ვის ხატად ღმერთისად მიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი...“

ამ სტროფში ღმერთი მოაზრებულია, როგორც *coincidentia oppositorum*, რაც რთული და ღრმა ფილოსოფიური აზროვნების შედეგს წარმოადგენს, და, რაც მთავარია, მოცემული წარმოდგენები ეკუთვნის იმავე სააზროვნო წრეს, რომლის ავტორიც რუსთაველის მიერ 1492 სტროფშია მითითებული¹⁴.

დაეუბრუნდეთ 1492 სტროფს და გაეარკვიოთ მასში გამოთქმული აზრის მნიშვნელობა.

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი ღიუნოს გააცხადებს: ღმერთი კარგსა მოაქვსინებს და ბოროტსა არ დაბადებს, თავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს, თავსა მასსა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს.“

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ძირითად იდეას სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა წარმოადგენს. აქეთაა მიმართული პოემის ძირითადი სიუჟეტური ხაზი, რომელიც სახიერდება მრავალ დაბრკოლებათა დაძლევათ და „გამარჯვებით“. რუსთაველი რომ შემოფარგლულიყო მხოლოდ მხატვრული განსახიერებით, მხოლოდ „ჩივიებით“, როგორც მხატვრული

შემოქმედებისათვის სპეციფიკური საშუალებით, ამ იდეის ამოკითხვა შესაძლებელი უნდა ბოლო მთელი პოემის, როგორც მთლიანობაში ერთი ტილოს, გათვალისწინების საფუძველზე. მაგრამ პოემის ოპტიმისტური ფინალი განხილულია სიკეთისა და ბოროტების მიმართების გარკვეული გავების საფუძველზე, რომლის იდეურ წყაროს, თანახმად რუსთაველისავე მითითებისა, გარკვეული ფილოსოფიური მომდევნება წარმოადგენს. სიკეთისა და ბოროტების ფილოსოფიური გავების გამოსახატავად „სახიერებით აზროვნების“ ფარგლები საყმარისი აღარაა და რუსთაველი მიმართავს ერთის მხრივ დებულებათა პირდაპირი გამოთქმის საშუალებას და მეორეს მხრივ თვით ფილოსოფიური მომდევნების დამოწმებას.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ (1361) — წარმოთქვამს ავთანდილი, როდესაც ნესტან-დარეჯანის წერილით ტარიელთან ბრუნდება და ნესტანის ქაჩეთის ციხიდან გამოხსნა უკვე მოახლოებულია.

თუ გავითვალისწინებთ ეპოქის სააზროვნო და, კერძოდ, ფილოსოფიურ ვითარებას, შოთა რუსთაველის წინაშე, მას შემდეგ რაც მან სიკეთისა და ბოროტების მიმართება ფილოსოფიური მოაზრების სიმაღლემდე აიყვანა, პრობლემატა მთელი რიგი უნდა წამოჭრილიყო.

სიკეთის მიერ ბოროტების ძლევა თავისთავად წარმოადგენდა პრობლემას, რომლის დადებითი, თუ უარყოფითი გადაწყვეტა, დამოკიდებულია სიკეთისა და ბოროტების რაობის მოაზრებაზე, მათი მიმართების გარკვევაზე.

სიკეთის ბოროტებაზე ძლევის საფუძველი ისაა რომ პირველი — ნამდვილი, მარადიული, სუბსტანციური არსებობის სფეროს განეკუთვნება, მეორე — შემთხვევითი, დროული, აქციდენტური არსებობის სფეროს. სიკეთე თავისთავად არისა, „მყოფია“, ბოროტება — თავისთავად არ არის, უმყოფოა“.

„ოქვეს ბოროტსა: უმყოფოა“... (1509). რუსთაველთან ეს შეხედულებანი ამგვარი გამოთქმებით არის გამოხატული: სიკეთის „არსება გრძელია“ (1361); ღმერთი „კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს“ (1492) და სხვ.; ბოროტების სფერო დროულობაა; „ვეკან სიმოკლე ბოროტისა“ (1435); ღმერთი „ავსა წამ-ერთ შეამოკლებს“ (1492) და სხვ.

ხილულ სამყაროში სიკეთე არსობრივია, რომელსაც აქვს დასაბამი და აქვს ნამდვილი არსებობა, ბოროტება — შემთხვევითია, რომელსაც არა აქვს დასაბამი.

თვალსაზრისი, რომელზედაც შოთა რუსთაველი დგას ამ მნიშვნელოვან და რთულ საკითხში, წარმოადგენს სიკეთის მონიშნს, რომელიც პროკლეს მოძღვრებაში ჩამოყალიბდა, ხოლო შუა საუკუნეების აზროვნებაში არეოპაგიტული გადაშუაებების სახით შევიდა. რამ-

¹⁴ იხ. შ. ხიდაშელი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილი არეოპაგიტის თვალსაზრისით, „მაცნე“, 1965, № 6; ელ გუჯა ხინოთიძე, ერთი საკითხი რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებებიდან, „მნათობი“, 1966, № 9.



დენად დიდია ამ მხრივ მსგავსება პროკლესა და „დიენოსს“ შორის ამის ვასაგებად საკმაოდია გავიხსენოთ ი. შტიგლმაირის ნაშრომი¹⁵, რომელშიც ამ მსგავსების დამატურებამ საბოლოოდ ნათელჰყო დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმურობა, და არეოპაგიტის დამოკიდებულება პროკლეს მოძღვრებისადგან.

პირველ მიზეზი (ღმერთი), არეოპაგიტის მხედვით, სრულია, დაუმოლოველი და განუსაზღვრელი. რამდენადაც ის მიზეზია და სამყარო მის მოქმედებას წარმოადგენს, რამდენადაც მიმართება პირველმიზეზსა და სამყაროს შორის მიზეზის მოქმედებაში გადასვლას გულისხმობს, მასზე ვარკვეული ცნობა შენდება და ვარკვეული პრედისკრებით განისაზღვრება. არეოპაგიტიაში ეს მიმართება გამოთქმულია ონტოლოგიური დებულებით — ღმერთი „ყოველთა შორის ყოველ არს“; მისი შეცნობის, მისი განსაზღვრის საფუძველი დებულებით: იგი „ყოველთა მიერ ყოველთურთ იცნობებეს“¹⁶.

სიკეთე ღმერთის პირველი განსაზღვრებაა, მისი უმაღლესი და უპირველესი პრედისკატი, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის არსებას და მეტად უახლოვდება მის წვდომას. პრედისკატი მის მიმართება სამყაროსადმი პირველყოველისა სიკეთის მიმართებაა, რომელიც პრედისკატი არსებიდან გამოდინარეობს და ამიტომ პირველყოველისა სამყაროზე ის სიკეთეს ავრცელებს: „ეთიარცა არსებითი სახიერებაი (სიკეთე, შ. ხ.), ყოველთა არსთა ზედა იგი განაწვენს სახიერებით“¹⁷.

სიკეთის „განაწვენა“ პირველმიზეზსა და სამყაროს შორის აუცილებელი კავშირი არის განსაზღვრული და არა დამოკიდებული ღმერთის „განზრახვასა“ და „წინა-არჩევანზე“: „ეთიარცა ხილული ესე მზე არა განიზრახავს, არცა წინა — აირჩევს რასმე, არამედ თვით ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა“, ასევე აუცილებელია და ღმერთის „თვის ბუნებით“ არის განსაზღვრული მისი მიმართება სამყაროსადმი.

სხვათა შორის შეიძლება აღინიშნოს, რომ ესაა ვარკვევით გამოხატული ნეცესარიანიზმი, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანული დოგმატიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კრეაციონიზმს და ამიტომ ზწირად გამხდარა შუა საუკუნეების აზროვნებაში მიზეზი ამ თვალსაზრისზე მდგომ მოაზროვნეთა დენისა.

¹⁵ Der neuplatoniker Proclus, als Vorlage des sogen. Dionysius Areopagita in der Lehre von Uebel; Hist. Jahrbuch d. Görresges, XVI, 1895.

¹⁶ „საღმართთა სახელოათვის“, VII, 3; პეტრე იბერელი, შრომები, თბ. 1961, გვ. 72, 17-18.
¹⁷ იქვე, IV, 1, შრ., გვ. 29, 29-32.

სიკეთე არის, არეოპაგიტის მიხედვით, რთვე, პირობა არსებობისა. „ქმნა სიკეთისაგან მომდინარეობს; ყოველივე, რაც არის, სიკეთისაგან არის და ის, რაც მთლად მოკლებულია სიკეთეს, რაც სიკეთეში სრულიად არ მონაწილეობს, ის არც არსებობს. ყოველად უნაწილო კეთილისაგან არცა იყოს, არცა არს, არცა არსთა შორის არს“¹⁸; „უკეთეს ყოველთურთ მოსპო კეთილი, არცა არსება იყოს, არცა ცხოვრება, არცა სურვილი, არცა ძერა, არცა სხუაი არცა ერთი რაი“¹⁹.

მოტიანილი დებულებების შემდეგ ცხადია, როგორი უნდა იყოს მოძღვრების პასუხი კითხვებზე: „რაი არს სიბოროტე? და რომლისა დასაბამისაგან დაბადებულ არს? და ვითარ სახიერმან ინება დაბადებუი მისი?“. ბოროტება არ-არსია („არა არს ბოროტი“, იქვე, IV, 20, შრ., გვ. 45, 5-6); მას არა აქვს დასაბამი, რადგან დასაბამი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. დასაბამი, როგორც სიკეთემ, არ შეიძლება „ინებოს“ თავისი საპირისპიროს „დაბადებაი“; სახიერს (სიკეთეს „არა... ეყვის დაბადებაი უსახურისაი“) იქვე, IV, 19, შრ., გვ. 44, 29); რუსთაველის სიტყვით

„ბოროტიცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (113).

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492).

რამდენადაც სიკეთე სუბსტანციურია, ამდენად ბოროტების აღიარება, როგორც არსისა შეიძლება მხოლოდ ორი დასაბამისი პირობის ქვეშ, ე. ი. თუ მივიღებდით რომ სიკეთე და ბოროტება „სხვისა და სხვისა დასაბამისა და მიზეზისაგან იყენენ“²⁰. მაგრამ დუალიზმი ეწინააღმდეგება თვით დასაბამის ცნებას. „ორობა“ თავისთავად გულისხმობს ერთს, როგორც „ორობის“ საფუძველსა და დასაბამს; ხოლო ერთიდან ორი დაპირისპირებულისა „გამოსვლა“ საერთოდ „უქვერო არს“.

ორი დასაბამის აღიარება ეწინააღმდეგება დასაბამის, პირველ-მიზეზის სისრულეს, მის აბსოლუტურობას და „უცნებლობას“; ეწინააღმდეგება წესრიგსა და ჰარმონიას სამყაროში ორი დასაბამისი პირობის ქვეშ სამყარო იქნებოდა „უწესო და მარადისმბრძოლ“²¹ იქნებოდა უწესრიგობისა და მარადიული ბრძოლის სფერო სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიკეთისა და ბოროტების დუალიზმი პირობის ქვეშ, ორივე დასაბამი იქნებოდა

¹⁸ იქვე, IV, 20, შრ., გვ. 48, 2-3.
¹⁹ იქვე, IV, 18, შრ., გვ. 44, 6-8.
²⁰ იქვე, IV, 21, შრ., გვ. 49, 7-8.
²¹ იქვე, გვ. 49.

შალვა ხიდაშელი
რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საპითხისათვის



„უკნებელი“, რაც გამოირჩევა ერთ-ერთი მთავრის მიერ მეორის, რუსთაველის სიტყვით რომ ეთქვათ, „ძღვევას“.

არეოპაგიტკია ვრცელად ეხება ბოროტების საკითხს იერარქიულად აგებული არსის ცალკეულ საფეხურებზე და უარყოფს მას ყველა მათგანში, დაწყებული უმაღლესი რანგის მოვლენებით და დამთავრებული სხეულებით. უფრო მეტიც: წინააღმდეგ პოტონისა და თანხმად პროკლეს შეხედულებისა, ბოროტება არ შეიძლება მიეწეროს, არეოპაგიტკიის მიხედვით, არც მატერიალში.

მაგრამ წარმოდგენილი დებულებანი არ ნიშნავს, რომ არეოპაგიტკიისა და რუსთაველის მიხედვით ბოროტებას არა აქვს ემპირიული, აქტიუდენიური არსებობა. ასე რომ ყოფილიყო უახრობა იქნებოდა ბოროტების დაპლევრისკენ მიმართული მოქმედება, ისევე, როგორც უახრობა იქნებოდა ეს მოქმედება — ბოროტებას რომ არსობა ჰქონოდა. რას წარმოადგენს ბოროტება მის აქტიუდენტურ არსებობაში, — პასუხი ამ კითხვაზე დაფუძნებულია ნეოპლატონისტურ და არეოპაგიტკიულ შეხედულებაზე არსის, როგორც იერარქიულად განლაგებულ საფეხურთა ერთიანობაზე; რუსთაველის სიტყვით, არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სივრცის“ (790, 884) წარმოდგენაზე ამდენად, კითხვის მოცემული გადაწყვეტა გასაგებია ხდება მოძღვრების ამ თავისებურების გათვალისწინების საფუძველზე.

პირველმიზეზიდან არსის გამოძინარეობა კლებას წარმოადგენს, კლებას როგორც ონტოლოგიური და ესთეტიკური, აგრეთვე ეთიკური ფელსაზისით. პირველმიზეზის სიყვე „ყველგან მიმწევენელია“ და ყველა საფეხურამდე აღწევს: უმაღლესი მოვლენებიდან დაბალი („უღარესისა“) და „უკანაჲსეული“ საფეხურის ჩათვლით. მაგრამ სამყაროს სხვადასხვა რანგის მოვლენები სხვადასხვა „მანძილით“ არიან დაყოფილებული სიკეთისაგან, და მათი „მიმღებლობის“ უნარი ამით არის განსაზღვრული. ამის შესაბამისად სხვადასხვა მათში სიკეთის „ოდენობა“, ისევე როგორც მზის სხივის ძალა მზისგან სხვადასხვა მანძილით დაცილებულ საგნებში; სხვადასხვა მათი მონაწილეობის (ზარევის) „ხარისხი“ პირველმიზეზში.

სიკეთის ეს კლება, ეს „უსრულესობაჲ ეკთილისაჲ“, „განშორებაჲ ეკთილისაჲ“²² არიან ბოროტება მის ემპირიულ არსებობაში. ბოროტება ეთიკურ ასპექტში — არის ადამიანის სულის სიკეთის კლებით გამოწვეული უწყსრიგო მოძრაობა სურვილების განხორციელების („ქმნისა“) გზაზე „ამიტომ ბოროტების განსაზღვრება, არეოპაგიტკიის მიხედვით („ღივ-

ნოსის“ მიხედვით), შეიძლება მხოლოდ სიკეთესთან დაპირისპირებაში და მხოლოდ სიკეთის ყოფითი პრედიატებით: უმიზეზობა, „უარსობა“, უმიზნობა, უკეთურობა, უსიკოცხლობა, უგონობა და ა. შ. სადაც ყოველი ამ განსაზღვრების საპირისპირო, დადებითი ფორმა სიკეთეს გამოხატავს.

რომ სიკეთისა და ბოროტების „უფხვისტყაოსანში“ მოცემული გაგების ფილოსოფიური წყარო არეოპაგიტკიაა, ეს, როგორ ვნახეთ, რუსთაველის პირდაპირი მითითებით დასტურდება. მაგრამ რუსთაველის იდეურ მემკვიდრეობაში არეოპაგიტკია ერთადერთი მოძღვრება არაა, რომელიც სიკეთის მონიშნის ფელსაზისზე დგას.

არეოპაგიტკიის თარგმანში XI საუკუნის მეორე ნახევარის და მისი იდეების დაბრუნებამ ქართულ სააზროვნო სინამდვილეში, გააძლიერა ნეოპლატონიზმისადმი ინტერესი, რომელიც შემზადებული იყო, შეიძლება ითქვას, მთელი იმდროინდელი ქართული იდეოლოგიური ცხოვრებით; განსაუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთო განწყობილებათა ინტენსიურ ზრდას, მათ ფართე ვავრცელებას, რომელმაც მთელი ქართული კულტურული ცხოვრება მოიცა და თავისი ბრწყინვალე დასასრული რუსთაველას ჰუმანიზმში მოიპოვა.

იოანე პეტრიწის ფილოსოფია წარმოადგენდა არა მხოლოდ ნეოპლატონიზმის ინტერესის შემდგომ გაღრმავებას, არამედ ახალი იდეოლოგიური ვითარების ფილოსოფიურ განზოგადებას, პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც წამოჭრა ხილული სამყაროსადმი და ადამიანისადმი ახალმა, შუა საუკუნეების შეხედულებათაგან არსებითად განსხვავებულმა დამოკიდებულებამ. შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში იოანე პეტრიწმა, არეოპაგიტკიასთან ერთად, ძალიან დიდი როლი შეასრულა. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს პეტრიწის შეხედულებანი, რომლებიც სიკეთისა და ბოროტების საკითხს ეხება.

პირველი და საყოველთაო მიზეზი, როგორც „ყოველთაგან ზესთმდებელი იგი უცნაური ერთი და კეთილობა“²⁴ — გარდაუფინება — პეტრიწის სიტყვით — „ყოველსა ზედა ხილულსა“ და ნაწილდება („განაწილებულია“) მთელ არსში („მყოფთა შორის“): გონიერთა, გრძნობადთა და სამგანზომილებიან სხეულთა შორის. არაფერი რჩება, რაც ღვთაებრივმა სიკეთემ არ „გაეკეთილოს“ და თავისი მძალი არ უწილადოს.

ბოროტებას არა აქვს ნამდვილი, სუბსტანციური არსებობა, ის, პეტრიწის სიტყვით, „უარსობაა“.²⁵

²² შტრ. დასახ. თხზულება, IV, 23, 25, 26, 27, 28.

²³ იქვე, IV, 20, 33, 48, 24-26.

²⁴ ი. პეტრიწი, შრომები, II, 1937, 8.

²⁵ იქვე, გვ. 212, 12.



რუსთაველი რომ იცნობდა პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებას, დღეს, განსაკუთრებით შ. ნუცუბიძის გამოკვლევების შემდეგ, ეს არ შეიძლება იწვევდეს ეჭვს. ჭერ კიდევ ნ. მარშა ეს ფაქტი დასაბუთო ტექსტუალური და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო, კერძოდ „სიჩას“ მავალითზე.²⁶

რაც შეეხება რუსთაველის დამოკიდებულებას პეტრიწისადმი განხილული საკითხის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიური ფაქტები, რომლებიც სიკეთესთან, ბოროტებასთან და მათ მიმართებასთან დაკავშირებით გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, არეოპაგიტული კორპუსის ქართულ თარგმანში და პეტრიწის თხზულებაში, ამავე გარემოებას ადასტურებს. რუსთაველი იცნობდა და სარგებლობდა, როგორც არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მციარეს თარგმანით, აგრეთვე პეტრიწის თხზულებით.²⁷

4. რუსთაველის სიკეთის შესახებ შეხედულებისა და განსაკუთრებით მისი ფილოსოფიური წყაროს გაიკვების შემდეგ, შოთას მანიქეელობის საკითხი იმდენად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ საკითხზე კამათი დღეს უკვე საჭიროებას აღარ წარმოადგენს. თუმცა, როგორც ცნობილია, ერთ დროს იგი მწვავე დისკუსიის საგანს წავადგენდა. მანიქეელობის არსი სიკეთისა და ბოროტების დუალიზმში მდგომარეობს. რუსთაველი დგას. ყოველგვარ ეჭვს გარეშე, სიკეთის მონიზმის თვალსაზრისზე, რომელიც ნეოპლატონისტური წარმომავლობისა და რუსთაველის მსოფლმხედველობაში არეოპაგიტული მოძღვრებისა და პეტრიწის მეშვეობით არის ასახული. არეოპაგიტის ავტორი, როგორც ვნახეთ, თეორიულად არღვევს სიკეთისა და ბოროტების დუალიზმს, ამ დუალიზმთან გამომდინარე შედეგს. უარყოფს სამყაროში „უწესობისა და მარადის მბრძოლობას“,

რომელიც შესაძლებელი და დასაშვებია, რადგან და მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების დუალიზმის პირობის ქვეშ.

ამ საკითხზე შეჩერება საჭირო აღარ იქნებოდა, უკანასკნელი წლების მანიქეელობა რომ არ გამოთქმულიყო მოსაზრებანი, რომლებსაც კვლავ შეაქვეთ გურჯეველობა სიკეთისა და ბოროტების მიმართების საკითხში რუსთაველთან და რომლებიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსთაველს მანიქეეულურ დუალიზმთან ახლოებენ. ერთი ავტორის მიხედვით რუსთაველს „ზოგბერთმა“, მანიქეეულობის უარყოფის მიზნით „მიაწერა... ბოროტის რეალობის უარყოფა“. რუსთაველთან კი, ავტორის მიხედვით, ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ბოროტების რეალობას აუცილებლობით გულისხმობს, „ბოროტება რეალური რომ არ იყოს“, მაშინ „მასთან ბრძოლა უაზრობა იქნებოდა“, რუსთაველის პოემის „მთავარ „ხამბარას“ „სწორედ ეს ბრძოლა წარმოადგენს“.²⁸

მეორე ავტორის მიხედვით, თუმცა ილია სიკეთის ხანგრძლივობისა და ბოროტის ხანგრძლივობისა (პირველის „არსების“ გრძობისა“ და მეორის საბოლოო „დაძლივისა“) რუსთაველის პოემაში ფსევდო-დიონისე არეოპაგელისაგან „მომდინარეობს“, მაგრამ ავტორი ცდილობს საკითხში „ერთი კორექტივი“ შეიტანოს და გვიჩვენოს განსხვავება, რომელიც, მისი აზრით, ფსევდო-დიონისესა და რუსთაველს შორის არსებობს.²⁹

„ფსევდო-დიონისეს მიხედვით, — ასეთია ავტორის აზრთა მსვლელობა — ბოროტება „არასად და არაფერში“ არაა, ის — „არაა საერთოდ“. რუსთაველი კი „ჩიხება ამ ქვეყნად, „ტურფა საბაღნაროში“, „კაცთათვის მოცემულ ქვეყანაში“, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ ეშვების წილნაყარია“. რას უნდა ნიშნავდეს „ნაწილობრივ ეშვების წილნაყარი“ — ეს ნათელი ხდება შემდეგიდან: რუსთაველი ამ ქვეყანაში თურმე „კეთილთან ერთად ხედავს ბოროტს“, რუსთაველი თურმე უშვებს „ხატაგონისტურ საწყისთა“ „გამოყენასა“ და „პოლარის-ხატასა“.³⁰

ცხადია, რომ ვინც რუსთაველს რაიმე აზრს მიაწერს საკუთარი დასკვნების დასამტკიცებლად, ის საერთოდ დგას მეცნიერების გარეშე. მეცნიერული კვლევა კვლევის საგანში აზრის ამოკითხვას და არა „მიწერას“. მაგრამ კვლევის

26 ვ. შარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

29 აკ. გაწერელია, დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 10 ოქტომბერი.

30 იქვე, ხაზი ჩემია, შ. ხ.

შალვა ხიდაშელი

რუსთაველის ფილოსოფიური შუაგონი საკითხისათვის

26 Вступительные и заключительные строфы Витязя в барской коже Шоты из Рустава. ТР по арм.-грузинской филологии, XII, 1910, гв. XVIII.

27 „ნეოპლატონიზმის პოზიტიურ ზეგავლენას რუსთაველზე“ სიკეთისა და ბოროტების საკითხში აღიარებდა მ. გოგინბერიძე (იხ. დასახელებული ნაშრ., გვ. 55). მაგრამ რუსთაველის შეხედულებანი მიაჩნდა ამ შემთხვევაში, როგორც „იოანე პეტრიწის ხელით მოწოდებული“. დიონისე არეოპაგელის უგულვებელყოფა, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ არეოპაგიტული მოძღვრება ქართული მეცნიერებისათვის უცნობი იყო. ამ მოძღვრების მეცნიერების ყურადღების არეში მოქცევა და მნიშვნელობის გარკვევა რუსთაველოლოგიისათვის — ქართველი ცნობილი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის ერთ-ერთი უდავო დამსახურებას წარმოადგენს.



ასეთსავე პირობას წარმოადგენს ცნებათა, კერძოდ „რეალობის“, „საწყისის“ და სხვ. ზუსტი განსაზღვრა და მათი ექვივალენტური გამოთქმების გარკვევა, როგორც რუსთაველის პოემის, აგრეთვე რუსთაველის მიერ დამოწმებული მოძღვრების მიხედვით. ფილოსოფიური წარმომავლობის შეხედულებათა განხილვა ფილოსოფიური თეოსოლოგიის განხილვას საჭიროებს, მაგრამ, თუ პირველი ავტორისათვის არეობაგიტულის მოძღვრება, როგორც რუსთაველის შეხედულებათა წყარო, საერთოდ არ არსებობს; მეორისათვის—არეობაგიტუცია მხოლოდ „თეოსოფიური“, „თეოსოფიურ-მისტერიული“ მოძღვრებაა და არა ფილოსოფიური. ამაზე შეიძლება ყურადღება არ გავუქმებოდეთ, რომ აქ ყოველშემთხვევაში ერთ-ერთი მიზეზი არ იქარებოდეს იმ გაურკვევლობისა, რომელიც ორივე ავტორის მსჯელობას ემჩნევა.

ცნობილია, რომ „არსებობა“ ფილოსოფიის, შეიძლება ითქვას, წარმოქმნის დღიდანვე იყო განსხვავებული არსის, როგორც ნამდვილად არსებულის ცნებისაგან. ფილოსოფიის ძირითად ამოცანას სწორედ არსის, ნამდვილად არსებულის ძიება შეადგენდა, განსხვავებით არსებულისაგან, რომელიც ადამიანისათვის უშუალოდ და პირდაპირ არის მოცემული. ამ მხრივ, ე. ი. არსისა და არსებულის განსხვავების მხრივ, განიხილვის არც ერთი ფილოსოფიური მოძღვრება არ წარმოადგენს, იმ შემკვიდრებობიდან, რომელიც რუსთაველმა მიიღო და რომლისგანაც შეიძლება და მოკიდებული ყოფილიყო ამა, თუ იმ პრობლემათა ფილოსოფიური გადაწყვეტის დროს. არ წარმოადგენდა გამოხატვის ნეოპლატონიზმი და მისგან დამოკიდებული შუასაუკუნეების მოძღვრებანი ქართულ ფილოსოფიურ სინამდვილეში. რუსთაველი ამ ფილოსოფიური აზროვნების სინამდვილე დგას და მის პოემაში გამოთქმული შეხედულებანი სიკეთისა და ბოროტების შესახებ არსებულისა და არსის, როგორც ნამდვილად არსებულის, განსხვავებას აუცილებლად გულისხმობს.

ბოროტების „რეალობად“ აღიარება „ვეფხისტყაოსანში“ კვლავ ცნებათა აღრევის ბეჭედს ატარებს. „რეალობა“ ჩვეულებრივ სიტყვაშიარებაში შეიძლება აღნიშნავდეს როგორც არსს, აგრეთვე არსებულს. მაგრამ მეცნიერული კვლევა ამ ორი ცნების ზუსტ განსაზღვრას და განსხვავებას მოითხოვს.

ასეთი პირობის ქვეშ (და მხოლოდ ასეთი პირობის ქვეშ) ხდება გასაგები რუსთაველის შეხედულებანი, რომ კარგი ღმერთისაგან არის მოვლენილი, ხოლო ბოროტება არაა მისგან დაბადებული, რომ პირველი ხანგრძლივადაა „გაკვლადებული“, ხოლო მეორე წამ-ერთ შემოკლებული (1435). და განსაკუთრებით რუსთაველის სიტყვები სიკეთის არსების „გრძელობისა“ (1361) და ბოროტების „უწყობისა“ (1509) შესახებ, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება

დებულებას ბოროტების „რეალობის“ შეხედულებას რუსთაველი „ხედავს“ ბოროტებას ემბრუკულ სინამდვილეში იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ხედავდნენ ბოროტებას აქ პროკლე, არეობაგიტუციის ავტორი, იოანე პეტრიწი. მათ რომ ბოროტება ამ ქვეყნულურში არ დევნებოდა, პრობლემა საერთოდ მოიხსნებოდა და საკვლევი არაფერი იქნებოდა. მაგრამ პრობლემა ეხება არა ბოროტების „დანახვას“, არამედ ბოროტების არსის განსაზღვრას: რა არის ბოროტება? თუ ბოროტების არსებობა ემპირიულ სინამდვილეში მანიჭველობის მიერ დუალისტურ საფუძველზე იქნა ახსნილი, ხოლო დასახელებულ მოაზროვნეთა მიერ — სიკეთის მონიშნას საფუძველზე, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათთვის არსებობას (კონტექსტში „ბოროტება არსებობს“), თუ არაარსებობას (კონტექსტში „ბოროტება არ არსებობს“) სრულიად განსხვავებული აზრი აქვს. ერთ შემთხვევაში „არსებობა“ სწორედ საწყისეულ არსებობას ნიშნავს, რაც ავტორმა სრულიად უსაფუძვლოდ რუსთაველს მიაწერა. მეორე შემთხვევაში „არაარსებობა“ სწორედ საწყისეულ არსებობას გამოირიცხავს. ამის გაუთვალისწინებლობამ მიიყვანა ავტორი დებულებამდე, თითქოს რუსთაველი უშეუბღეს „ანტიგონისტურ საწყისთა“ პოლარიზაციას.³¹ ავტორი ვერ ამჩნევს, რომ საწყისთა პოლარიზაციის დაშვება აშკარა დუალიზმია, რომ მის მიერ „შეტანილმა ერთმა კორექტივმა“ ფსევდოდიონისე და რუსთაველ დააყენა, და დებულებამ — რუსთაველის შეხედულებანი სიკეთესა და ბოროტებაზე ფსევდო-დიონისე-დან მომდინარეობს — საეცებით დაკარგა აზრი.

შეიძლება ითქვას, გარკვეული მნიშვნელობით, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარ „ზამზა-რას“³² ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. მაგრამ პოემის იდეა ბოროტების ძლევაში მდგომარეობს, ხოლო ბოროტების ძლევა რომ შეუძლებელია მისი საწყისეული არსებობის თუ „რეალობის“ პირობის ქვეშ, ეს იმდენად ნათელია, რომ ამაზე კამათი სრულიად ზედმეტია. მოვიტან ყოველი შემთხვევისათვის დამადასტურებელ ადგილს „ბრძენი დივნოსის“ თხზულებიდან: „და კუალად ვერცა ორთავან არსთა შესაძლებელ არს ყოფად წინააღმდეგობთა დასაბამათა და ამათ ურთიერთს და ყოველსავე ზედა მბრძოლოდა. რამეთუ უკუეთესეც ესრეთ იყოს, არა უფენებდ იყოს ღმერთი, არცა თავისუფალ სიძნელისაგან, უკუეთ ნამდვილივე არს მის შორისცა აღმაფოთებელი

³¹ ა. კ. გაწერელია, იქვე.
³² პ. შარიია, იქვე.



რამდე, ამისა შემდგომად იყოს ყოველი უწყისო. და მარადის მბრძოლ.³³

დასასრულ ერთი შენიშვნა კვლევის იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტილის შესახებ, რომელსაც მიმართავს ერთ-ერთი ავტორი³⁴ რუსთველოლოგიის განსახილველი საკითხების გამოკვლევის დროს. ავტორის მოსაზრებანი გამოთქმულია „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა სახით. „დაკვირვებანი...“ წარმოადგენენ, ავტორის სიტყვით, „ფურცლებს“, რომელნიც არ შეიცავენ „ერთი ან რამდენიმე საკითხის გრცელ და თანმიმდევრულ მიმოხილვას“, მაგრამ დალაგებულნი არიან, ფიქრობს ავტორი, „როგორც მუსიკალურ კონტრაპუნქტში“ და ძლერენ „ძირითადი ლეიტმოტივისა და ვარიაციების მსგავსად“.

ჩვენს მიზანს „დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების“ მთლიანი განხილვა არ შეადგენს და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე — განიცდის თუ არა მკითხველი, ან როგორ განიცდის ამ ძლერადობას, ხსენებულ „დაკვირვებებში“.

მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: თუ კიდეც დასაშვებია პრესის ფურცლებზე მკითხველისათვის ისეთი დებულებების გაზიარება, როგორც — „მწერალს ყველაფერი კარგი როდი გამოუდის“, „ჰკუა შეიძლება ერთ-ორ ფრაზაში გამოჩნდეს“, „ლიტერატურა ვარიეტე არ არის“, „პროსპერ შერიმეს პროზა ერთ წიგნში ეტევა. დიუმამ 300 რომანი დაწერა“ და

„ლიტერატურაში რაოდენობა არასოდეს ბრწყინვალის თვისობრიობაში“; ანდა „მსოფლიო ლიტერატურას ჩვენ უმთავრესად ვიცნობთ ბრწყინვალე რუსული თარგმანებით და ეს ნაკლი როდია (!)“, „როდესაც რომელიმე ახალგაზრდა აცხადებს, თითქოს მას ორიგინალში ჰქონდეს ჩაბუღბუღებულები, ვთქვათ, მონტენი, — ეს დაუჭერებელი (!“ და ა. შ. და ა. შ. — გაუმართლებელია, ჩვენის აზრით, იმავე დონეზე ისეთი საკითხების შესახებ მსჯელობა, რომლებიც მეცნიერების უმნიშვნელოვანეს და რთულ საკითხებს წარმოადგენენ, და რომლებიც მოითხოვენ სერიოზულ დაკვირვებას, სწორედ „თანმიმდევრულ მიმოხილვას“ და სხვათა, შორის, მიმოხილვის თანმიმდევრობასაც.

აღბათ, ამ გარემოების გაუთვალისწინებლობითაცაა გამოწვეული რომ ავტორის მსჯელობანი მრავალ გაურკვევლობას შეიცავს. კერძოდ, ბოროტებისა და სიკეთის შესახებ მსჯელობის დროს ავტორის მიერ თავმოყრილი ციტატები არეოპატიკოსთან დაკავშირებით, ბაღებს ექვს — ბოროტების ისეთ პრედიკატად მიჩნევისათვის, რომელიც კიდეც შეიძლება მიეწეროს ღმერთის ცნებას და შეიძლება არც მიეწეროს. მიუხედავად მკრეხელობისა, რომელსაც არეოპატიკოსი თვალსაზრისით ეს შეხედულება წარმოადგენს, ეჭვები საცხებით იფანტება და ავტორის პოზიცია მკითხველის წინაშე სრული გარკვეულობით წარმოადგება: ბოროტება, თურმე ლეთაებრივი ენერჯის „შემთხვევითი თვისება“ ყოფილა. მაგრამ ეს ხომ უბრალო გაუგებრობაა, მიუტყვებელი იმისათვის, ვინც არეოპატიკულ მოღვრებაში ოღნავდ მაინც არის ჩახედული.

³³ „საღმრთოთა სახელთათვის“ IV, 21, შრ, გვ. 49-14-19.

³⁴ ა. ვ. გაწერელია, დასახ. ნაშრომი.



ავთანდილ სიბაქაძე

უთქაელოზით ღაშავდების

ართი მონოგრაფიის სარიოზული შეცდომების გამო

ახლახან გამოქვეყნდა „განათლებამ“ გამოცემა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის ზ. შერაზადიშვილის მესამე წიგნი „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1917-1921)“. მისი პირველი წიგნი 1965 წელს გამოვიდა და მოიცავდა მე-19 საუკუნეს, ხოლო მეორე წიგნი — 1900-1917 წლებს; ამრიგად, მესამე წიგნით ავტორმა დაასრულა მონოგრაფია რვეოლუციამდელი საქართველოს სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორიაზე.

თავიდანვე ვიტყვი: რაც კარგია და ყურადსაღები (მაგალითად, დიდძალი საარქივო მასალის მიკვლევა, საქართველოს მთელ რიგ სკოლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის დასურათება და სხვ.), მას ამ წიგნს არავინ დაუკარგავს. საქმე ისაა, რომ შეცდომები და ნეზით თუ უნებლიეთ დაშვებული უზუსტობანი, ზოგჯერ კი იდეური თვალთახედვით გაუმართლებელი ადგილები იმდენად უზეადაა მესამე წიგნში (როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი არც პირველ და მეორე წიგნებს აკლიათ), რომ უბრალოდ საქმისათვის სასარგებლოდ მიგვაჩინა პირდაპირ ამ ნაკლოვანებებზე შევჩერო მკითხველის ყურადღება.

დავიწყით იმით, რასაც ჩვეულებრივ რეცენზიაში ბოლოში წერენ ხოლმე — გამოცემლობის საქმიანობის შეფასებით. როგორც წიგნის სათაურშია ხაზგასმული, მისი კვლევის პერიოდი 1917-1921 წლებია: მაგრამ შლით წიგნს და ვაოცებხარ ვერ ფარავთ. წიგნის პირველი ნახევარი საკითხს ეძღვნება, ხოლო მეორე ნახევარი რატომღაც მე-19 საუკუნეს უბრუნდება და ხშირად იმეორებს წინა ორ წიგნში უკვე გამოქვეყნებულ მასალებს. ავტორი გვესაუბრება ი. ბატონიშვილის, ა. ჭავჭავაძის, ს. დოდაშვილის, გრ. ორბელიანის, პ. იოსელიანის, ნ. ბარა-

თაშვილის, ი. კერესელიძის, ალ. ორბელიანის, ე. პეტრიაშვილის, ა. ფურცელაძის, ს. მესხის, ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლისა და სხვათა ფიზიკური აღზრდის იდეებზე, ზოგიერთ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობაზე იმ დროს, როცა პირველ და მეორე წიგნში გაყვრით თუ ვრცლად ზოგიერთ საკითხზე უკვე ჰქონდა მსჯელობა.

მკითხველი უფრო გაოცდება, როდესაც ნახავს, რომ წიგნი, რომელიც 1917-1921 წლების საქართველოს სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხებს უნდა ეძღვნებოდეს, საქმოდ დიდ ადგილს უთმობს გასულ საუკუნეში ყაზანის, ცარსკოე სელოს, პენზის, ოდესის, მოსკოვის, პეტერბურგის, ზარკოვის, ჩერნიგოვის, რიგის, სტავროპოლისა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქების სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხების კვლევას. დავუშვათ, რომ ის მეთოდური წეცდომები, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, შეუმჩნეველი დარჩათ გამოცემლებს (თუმცა ესეც არავის ეპატიება), ისეთ სოლიდურ გამოცემლობას, როგორცაა „განათლება“, იმის შემჩნევა მინც ხომ შეეძლო, რომ წიგნის ნახევარი აპსოლიტურად არ ეხება საკითხს? ნუ თუ მის მუშავებს სჯერათ, რომ პენზის, ყაზანისა და სტავროპოლის გამოცემლებებს საქმე არაფერი აქვთ, ვარდა იმისა, რომ აქვეყნონ მასალები, მაგალითად, გასული საუკუნის ზესტაფონის ან თელავის სასკოლო ფიზიკური აღზრდაზე? ან კიდევ, განა იმის შემჩნევა არ შეიძლებოდა, რომ ავტორის ბიოგრაფიულ ვაჭურვლა წიგნი ისეთი მასალების ხარჯზე, რომელთაც საერთოდ არავითარი კავშირი ფიზიკურ აღზრდასთან არა აქვს (მაგალითად: „თბილისის საარტილერიო სასწავლებლის არარსებობის შესახებ“, გვ. 89-91).

მინც რატომ დასჭირდა ავტორს წინა ორი წიგნის მასალების გამოკრება მესამე წიგნში?



ამაზე პასუხის ვასაცემად ერთი პატარა ისტორია უნდა გავიხსენოთ: ზ. შერაზადიშვილმა თავისი პირველი ორი წიგნი წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს წიგნები უნივერსიტეტმა სარეცენზიოდ გადასცა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს, რომლის სამუშაოც მას უარყოფითი რეცენზია მისცა. მაგრამ შესაძლებლად ჩათვალა დისერტაციის დაშვება პაექრობაზე, თუკი ავტორი გაასწორებდა მასში დაშვებულ შეცდომებს. ამის გაცეობა ზ. შერაზადიშვილმა არ ისურვა; მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ დაცვის დროს ამ შეცდომებს შეეძლო ზიანის მოტანა. და აი, მოინახა გამოსავალი — მესამე წიგნი. ნამდვილად შეიძლება ითქვას, მესამე წიგნი წარმოადგენს პირველ-მეორე წიგნის შეცდომების გასწორებას, თანაც ძალზე უგერგვილო და ემპაიკურ გასწორებას. ფაქტები? რამდენიც გნებავთ:

1. მეორე წიგნის 117-ე გვერდზე ვ. პეტრიაშვილი გამოყვანილია როგორც იმ მოღვაწეთა იდეური მამამთავარი, რომელნიც მოითხოვდნენ სკოლაში ფიზიკური აღზრდის შემოღებას. რეცენზიაში ზ. შერაზადიშვილი მიეთითა, რომ ეს უოვლად გაუმართლებელი გახვიალება. მაშინ მან პეტრიაშვილი „შეაპარა“ მესამე წიგნში (თუმცა პეტრიაშვილი 1908 წელს გარდაიცვალა, წიგნი კი 1917-1920 წლებს ეხება), იგი მამამთავრობიდან ჩამოაყენა და ძალზე მოკრძალებული როლი მიანიჭა.

2. პირველი წიგნის 97-ე გვერდზე ზ. შერაზადიშვილი წერდა, რომ ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში ტანვარჯიშის არსებობის შესახებ 1875 წლამდე არაფერი ვიცითო. რეცენზიაში მას მოუყვანეს მასალები მამონდელი პრესიდან, სადაც მოითხოვებული იყო ამ სასწავლებელში ტანვარჯიშის არსებობაზე. მესამე წიგნი აქაც გამოადგა: 73-ე გვერდზე ავტორი უკვე აცხადებს, რომ ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებში ტანვარჯიშის არსებობაზე 1872 წლის „ღრობა“ გვაწვდის ცნობასო.

3. ასევე, თავის პირველ და მეორე წიგნში ზ. შერაზადიშვილი არაფერს ლაპარაკობდა საქართველოს ზოგიერთ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის არსებობაზე. ამ ვარგომებას იგი იმით აპართლებდა, რომ ამ სასწავლებელში „ფიზიკური აღზრდის არსებობის შესახებ რაიმე ცნობა არ ვაგვარჩინაო“ (I წიგნის გვ. 47; II წიგნის გვ. გვ. 39, 46, 52, 78, 86, 95, 97, 98, 191 და სხვა). ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რეცენზიაში მას განუპარტეს, რომ ამ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის შესახებ შესაძლოა საარქივო მასალები დღემან, მაგრამ სამაგიეროდ ცნობები უხვად მოიპოვება მამონდელ პრესაში. მაგალითად, ავტორი I

წიგნის 98-ე გვერდზე წერდა, რომ ფებლისკი სათავადაზნაურო სკოლაში 1885 წლამდე არაფერი აღზრდის შესახებ არაფერი ვიცითო. ამ აზრის უსაფუძვლობის ვასაფანტავად მას მიუთითეს „ღრობის“ 1881, 1882 და 1883 წლების ნომერებზე, სადაც დაბეჭდილია ცნობები ამ სკოლაში გიმნასტიკის არსებობის თაობაზე. ასევე რეცენზიაში მოითხოვებული იყო „ღრობის“ 1885 წლის 138-ე ნომერში მოთავსებული ერთი წერილი (ს. ყიფიანი, ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის განყოფილება ძველ სენაკში), სადაც მეტად საინტერესო ცნობაა დაბეჭდილი ამ სკოლაში სხვადასხვა ვარგომებისა და თამაშების გამოყენების შესახებ. და აი, მესამე წიგნში (გვ. 73-74) ზ. შერაზადიშვილი უბოდიშოდ შეაქვს ეს ცნობა (თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, იგი სულაც არ ეხება მესამე წიგნის კვლევის პერიოდს). მეცნიერული კეთილსინდისიერება კი მოითხოვდა ავტორს ეთქვა, რომ ეს ცნობები მას არ გააჩნდა და მოითხოვბის შემდეგ გამოყენა ისინი. ეს ვარგომება რამდენადმე შეუძლებლქებდა მდგომარეობას თვით ავტორსაც, რომლის სამნაწილიან მონოგრაფიაში ერთმანეთისაღმდეგ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ამდენი აზრია გამოთქმული.

4. მეორე წიგნში ი. კერესელიძე მიჩნეულია ეროვნული სპორტის მივიწყების გამო მოწყუხართა ერთ-ერთ იდეურ მამამთავარად. ამაზე მას მიეთითა, რომ ი. კერესელიძემ არა თუ დაიტირა ქართული სპორტი, არამედ მას საერთოდ არასოდეს გამოუთქვამს რაიმე ხელშეშახტბი თეორიული შეხედულება ფიზიკურ აღზრდაზე. ეს უხუსტობა ავტორს მოსდიოდა ერთი არსებითი შემცდომის გამო: „მოლაყბე“, რომელმაც 1858 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში მართლაც მოათავსა წერილი ქართული სპორტის მივიწყების თაობაზე, მან მიიჩნია ი. კერესელიძედ. სინამდვილეში იგი მ. თუმანიშვილია. „ქართული ეურნალებისა და ვახუტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც“ (ნაყვ. I, 1940, გვ. 41) ამ წერილს მ. თუმანიშვილს მიაწერს. „ცისკრის“ ი. კერესელიძემ „მოლაყბის“ ფსევდონიმით წერბილი პირველად გამოაქვეყნა მხოლოდ 1862 წელს.

ამ შემთხვევაში ზ. შერაზადიშვილმა უკვე თავი გაანება შეცდომების გასწორებას და მესამე წიგნში ჯოტად შესძახა რეცენზენტებს: „ჩვენ არ ვეძებრობით მოსაზრებას, თითქოს ეს ფელტონი ეტუფონოდს მიხილ თუმანიშვილს“ (გვ. 69). არტემენტო? იხილეთო, — მიგვიითითებს იგი — „ცისკარი“, 1857, №3, გვ. 60 და № 12, გვ. 48-53. ვახუტობით მოითხოვულ ნომრებს. „ცისკრის“ 1875 წლის მე-12 ნომერში მოითხოვულ გვერდებზე (48-53) აღწერილია

აპთანდილ ციხაძე
 უთქმელობით დაზავდების



ძველი ქართული სამავიღო თამაში „გაჩაფა“, რომელიც ი. კერესელიძეს არ ეკუთვნის. იგი მან მწერალ დევით ციციშვილის არქივში ნახა და გამოაქვეყნა ჟურნალში; მის წამდვარებას კი იგი სულ სხვა ფსევდონიმით აწერს ხელს („არდ. კ“); 1857 წლის № 3 „ციციარში“ კი სავრთოდ არ არის მე-60 გვერდი, ჟურნალის ეს ნომერი 54-ე გვერდით მთავრდება. მასში არის ი. კერესელიძის ხელმოწერით ლექსი „უზინი ბახუსელთა“, რომელიც მოქეიფეთა გრძნობებს აღწერს.

ეს, რბილად რომ ვთქვათ, მკითხველის აბუჩად ავღვბაა. „მე თავს ვიმართლებ, მიფუთითებ არარსებულზე, ვისა აქვს მისი ვაიოჩხრეკის თავი და დრო“, — აი, რა პოლიტიკით ხელმძღვანელობს ალბათ ავტორი. საერთოდ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ზ. შერაზადიშვილის მონოგრაფიაში, განსაკუთრებით კი მესამე წიგნში, ასეთი „არგუმენტაცია“ სისტემადაა ქვეყნი. მოვიყვანთ ზოგიერთ ფაქტს.

1. ს. მესხი ქართული ხალხური სპორტის აღდგენისათვის იბრძოდაო, — გვსწავლის ავტორი ათასჯერ ცნობილ ამბავს (მესამე წიგნის 72-ე გვერდი) და მიუთითებს — იხილეთ „დროება“ 1874, № 414. ვიხილეთ აქ მართლაც არის ს. მესხის წერილი, მაგრამ იგი წარმოადგენს უცხოეთის (ელზას-ლოტარინგიისა და გერმანიის დამოკიდებულება) პოლიტიკურ მიმოხილვას. ამ ნომერში ტყუილად დაუწყებთ ძებნას ზ. შერაზადიშვილის მიერ მითითებულ მასალას.

2. მეორე წიგნში (გვ. 117) ახასიათებს რა ი. კერესელიძის, ა. ფურცელაძისა და ი. როსტომაშვილის შეხედულებებს, ზ. შერაზადიშვილი მიუთითებს, იხილეთ 1866 წლის „დროების“ 24-ე ნომერი. ამ ნომერში კი არც ერთი ზემოდასახელებული ავტორი არ არის.

3. მესამე წიგნის მე-80 გვერდზე იგი წერს, რომ ა. წერეთელი იბრძოდა ჭიდაობის შემოსავლის წყაროდ გადაქცევის წინააღმდეგო, და აქაც მივივითებთ „ივერიის“ 1888 წლის 169-ე და ვახუთ „ლელოს“ 1952 წლის 87-ე ნომერზე. „ივერიაში“ მართლაც არის ასეთი წერილი, მაგრამ იგი ეკუთვნის არა აკაკის, არამედ ვინმე „ძველ მოჭიდავეს“, რაც შეეხება „ლელოს“ ხსენებულ ნომერს, აქ საერთოდ მსგავსიც არაფერია.

4. მესამე წიგნის 74-ე გვერდზე ზ. შერაზადიშვილი წერს, რომ ვახუთი „ივერია“ დიდ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა გონებრივ გადაქანცვასთან ბრძოლის საკითხსო, და მიგვასწავლის გზას, რომ ამის შესახებ შეიძლება წავიკითხოთ „ივერია“ 1886, № 73, 1887, 26 ნომერში, 1888, № 275. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთ მითითებულ ნომერში აბსოლუტურად არაფერია თქმული ხსენებულ საკითხზე.

რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე „სამსწრის“ ზ. შერაზადიშვილი მკითხველს ხსნარულ თემაზე ახვევს ხოლმე ისეთ მასალას, რომლის გამოსატანად მას ფაქტურად არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ამის დამახასიათებელ მაგალითს ვხვდებით მესამე წიგნის 68-ე გვერდზე, სადაც იგი მკითხველს აცნობს ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე. თურმე რადგან ნ. ბარათაშვილი თავის ლექსებში უმღერის გმირობას და მისი „ოცნება თავს დამხაროდა ყაბახს“, ეს უკვე სამეარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ნ. ბარათაშვილის იდეებზე ფიზიკური აღზრდის დარგში. იხილეთო, გვთავაზობს ავტორი, ლექსები „ძია გ. სთან“ და „ღამე ყაბახზე“, მაგრამ ამ ლექსების მხილველი ამკარად დაინახავს, რომ ბარათაშვილი აქ ერთი სიტყვივით არ ასხვნებს სპორტს. ყაბახს იგი ეტრფის იმიტომ, რომ იმ ადგილს „სატრფონი ალაზნუბდეს“, „ყაბახის არეშარე, თვალად საამო“ მას მოსწონს იმიტომ, რომ „აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქანლი პირად-პირადად სვირობდნენ ეკვლუც-მოსილინი“. ყაბახი ბარათაშვილის ლექსებში საზოგადოებრივი სასაერისო ადგილია და არა სპორტული მოედანი. ასეთ მსჯელობას თუ ვაფუყვით, მაშინ გამრვა, რომ დღეს თუკი რომელიმე მწერალი თავის მოთხრობაში მოიხსენიებს თბილისის სპორტის სასახლეს ან „ლოკომოტივის“ სტადიონს (სადაც, დავუშვათ, მისმა გმირებმა გაიცნეს და შეიყვარეს ერთმანეთი), მას უნდა „დავუბრალოთ“ ფიზიკური აღზრდის იდეების ქადაგება; ანდა რამდენი მწერალიც თავის ნაწარმოებში ხოტბას შეასახამს გმირობასა და ვაჟკაცობას, ყველა ფიზიკური აღზრდის თეორეტიკოსთა რიცხვში უნდა ჩაერიცხოთ?

არა, ნ. ბარათაშვილი ასეთ ყალბ ავტორიტეტს არ სპორტობს! თუ ზ. შერაზადიშვილის მიხედვითაც სურდა ელბაზის ნ. ბარათაშვილზე, როგორც ქართული სპორტის მოტრფილზე, მას შეეძლო მოეშველებინა ი. ბალახაშვილის „ლიტერატურული წრეები და სალონები“, ანდა ჟურნალ „მნათობის“ 1932 წლის № 5-6, სადაც დაბეჭდილია მოვარდებები ნ. ბარათაშვილზე როგორც კრივის მოყვარულზე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორის პრეტენზიის დონე, რასაც იგი გამოხატავს თუნდაც წიგნის სათაურშივე, და კვლევით მიღებულ შედეგების დონე ძალზე შორს დგანან ერთმეორისაგან. მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი რომ გახდეს, წიგნის მრავალ ადგილთაგან სანიშნოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ ქვეთემაზე (მეორე ნემოსკლებით):

სათაური „ფიზიკური აღზრდა კომერციულ და ზოგიერთ სხვა სასწავლებელში“.

შინაარსი: „თბილისის I კომერციულ სასწავლებელში ტანვარჯიშის მთავარმა ინსპექტორმა



საგნის მასწავლებლად დანიშნა ალექსანდრე კუზმინი.

თბილისის II კომერციული სასწავლებლის 1918-1919-სასწავლო წლის ცხრილში ტანვარჯიში შეტანილია I-VI კლასებისათვის ორ-ორი, სულ კი — 12 გაკვეთილის ოდენობით კვირაში. მაგრამ ამ დროს ჯერ არ ჰყავდათ მასწავლებელი.

ქუთაისის კომერციული-სასწავლებლის 1919 წლის შტატი ტანვარჯიშისათვის ითვალისწინებდა კვირაში 6 გაკვეთილს.

სამტრედიის რკინიგზის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის (პარალელებით) ტანვარჯიშის მასწავლებელი მიკუთვნებული იყო VII კატეგორიაზე. გაკვეთილების ოდენობა კვირაში შეადგენდა 10-ს. სასწავლებელში ირიცხებოდა 400 მოსწავლე.

სამტრედიის რკინიგზის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი 160 მოსწავლეს და ამასთან არსებული დაწყებითი სასწავლებელი — 400 მოსწავლეს, კვირაში ითვალისწინებდა 21 ტანვარჯიშულ გაკვეთილს, აქედან რვას — უმაღლესდაწყებით სასწავლებელში.

თბილისის რკინიგზის ვაჟთა ერთკლასიან სასწავლებელში, სადაც 450 მოსწავლე სწავლობდა, ტანვარჯიშის მასწავლებელს მიკუთვნებული ჰქონდა იგივე VII კატეგორია.

ვაგზისიქითა რკინიგზის სასწავლებელში ირიცხებოდა 850 მოსწავლე. ტანვარჯიშის მასწავლებლის პირობები აქაც იგივე იყო.

შორაპნის რკინიგზის ერთკლასიან სასწავლებელში, სადაც 170 მოსწავლე ირიცხებოდა, გათვალისწინებული იყო ტანვარჯიშის 4 გაკვეთილი კვირაში.

ქუთაისის და ფოთის რკინიგზის ერთკლასიან სკოლებში თვითუფლები ირიცხებოდა 120 მოსწავლე, გათვალისწინებული იყო ტანვარჯიშის სწავლება.

თბილისის რკინიგზის ქალთა I, II, III სასწავლებლებში ტანვარჯიში არ ისწავლებოდა, სხვანი გათვალისწინებული არ იყო რკინიგზის დახარჩუნ სასწავლებლების უმრავლესობისათვისაც (საქართველოს სიე არქივი, ფ. 1935, საქმე 482, ფურც. 18-19, 28-48, 65-69, 79-81, 155)“.

ვინ ასწავლიდა და რამდენ საათს, იმ კვლევა-ძიების თავი და ბოლო-ნუთუ ესაა ჩვენი სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორია? სკოლის ტანვარჯიშის მასწავლებლის გვარისა და ტანვარჯიშზე გამოყოფილი საათთა რაოდენობის დადგენა, ცხადია, გარკვეული საქმეა, მაგრამ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ქმნის საერთო წარმოდგენას საქართველოს სასკოლო-ფიზიკური აღზრდის ისტორიაზე. საქმე ისაა, რომ ზ. შერაზადიშვილის წიგნებში და მათ შორის მესამე წიგნშიც, სწორედ ასეთი მასალები დომინირებს; მკითხველი კი წიგნისაგან, რომელსაც საკმაოდ პრეტენციოზული სათაური გააჩნია

(„ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში“), პირველ რიგში, მოითხოვს პასუხის გაცემას ისეთ საკითხებზე, როგორცაა ჩატარებულ გაკვეთილის შინაარსი, მისი მეთოდური დონე, ტანვარჯიშის მასწავლო პროგრამების ანალიზი, ტანვარჯიშის მასწავლებლის პედაგოგიური ოსტატობა, სწავლების საშუალებები, ბავშვთა ფიზიკურ სამყაროზე ფიზიკური აღზრდის ზემოქმედების შედეგები და ა. შ.

აქ თავის მართლებისათვის იმ გამოდგება იმ აზრუმენტის მოყვანა, რომ საარქივო მასალები უმეტეს შემთხვევაში დუმილით უვლიან გვერდს ასეთ ცნობებს: თუ მართლაც ასეა, მაშინ უბრალო მეცნიერული თავმდაბლობა მოითხოვდა წიგნისათვის ეწოდებინათ „ნარკვევები...“, ან „მასალები საქართველოს ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან“, ან სხვა შესაფერი რამ.

ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაკმა გადაწყვიტა დაწეროს მეცნიერული თემა საკითხზე „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საქართველოს სკოლებში“, და ნაშრომი აავსო მხოლოდ ლიტერატურის მასწავლებლების გვაჩებთა და სავანზე გამოყოფილი საათთა რაოდენობის ჩვენებით. ხომ წარმოუდგენელი აბსურდი იქნებოდა ეს ყოველივე? მაშ რატომ უნდა დაეუშვათ ისეთივე რამ ფიზიკური აღზრდის ისტორიის მიმართ?

და ბოლოს ერთი საკითხის შესახებ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, თუნდაც იმიტომ, რომ ზ. შერაზადიშვილმა იგი სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინა და დაუპირისპირა დღემდე გაბატონებულ ოფიციალურ შეხედულებებს. საკითხი ეხება ქართული ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის“ საქმიანობას.

საქმე ისაა, რომ დღემდე არსებულ ოფიციალურ მასალებში (20-იანი წლების ქართული საბჭოთა პრესა, კომპარტიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საარქივო დოკუმენტები, მ. გორგაძის, გ. ევანას, ს. ციქურაშვილის და სხვათა შრომები („შევარდენი“ ერთხმად მიჩნეულია წვრილბურჟუაზიულ, მენშევიკური მთავრობის სამსახურში მდგარ საზოგადოებად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იდეურად უცხო აღმოჩნდა ახალი წყობისათვის).

და აი, ზ. შერაზადიშვილის მესამე წიგნი სრულიად საწინააღმდეგოს გვითხულობთ. აქ „შევარდენი“ გამოცხადებულია როგორც „მოწინავე სიტუაცია“ (გვ. 4), „დადებითი მოვლენა“ (გვ. 17), თუ რამე იყო „შევარდენში“ მეთოდოლოგიურად მცდარი, ეს მხოლოდ „სკოლის“ გავლენით (გვ. 60), „შევარდენი“ საქართველო-

აპთანადილი ციხაძე
 უთმამელოვით დაზავდები



წი მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის ფონზე უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მის მიერ შექმნილი ტანვარჯიშის ახალი ქართული სისტემა იმ დროისათვის... ჯანსღი და მოწინავე იყო" (გვ. 61).

ეს უკვე ამ საზოგადოების სრული რეაბილიტაციის აშკარა ცდას წარმოადგენს. მე მინდა მკითხველმა სწორად გაიგოს. თუ კი რომელიმე ორგანიზაციის ან პიროვნებას მთელ რიგ გარემოებათა გამო უსამართლოდ ჰქონდა ჩრდილი მიყენებული, მათი რეაბილიტაცია დიხაბე რომ მისასალმებელია. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ ბევრი ვაკეთა ამ მხრივ და კიდევ ერთხელ სამართლიანად დაიმსახურა ზალხის სიყვარული და პატივისცემა. ასევე, თუ ვინმე დამატკიცებს (სათანადო ფაქტების მოშველიებით და არა ერთის ხელის მოსმით, როგორც ამას შერაზაღმეილი აკეთებს), რომ „შევარდენი“ „ჯანსაღი და მოწინავე“ საზოგადოება იყო, იგი, როგორც სამართლიანობის დამდგენელი, საერთო ქებას დაიმსახურებს (ამ მდლიერ აღამინათ რიტეხში იქნება ამ სტრქონების ავტორი).

მაგრამ ასეთმა მკვლევარმა პირველ რიგში უნდა დამტკიცოს, რომ „შევარდენის“ შეფასებაში ცდებოდა 20-იანი წლების საბჭოთა პრესაზეთი „საპარტიკი“, ფერნალები „ფიზიკური კულტურა“, „საბჭოთა ფიზკულტურა“, „ფიზკულტურა და თავდაცვა“, „ახალ სკოლისაკენ“ და სხვები; რომ ცდებოდა საქართველოს სახალხო კომისრთა საბჭო, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელთა ინიციატივითაც დაიწყო „შევარდენი“, რომ ამჟამად ცდებიან მთელი რიგი ავტორები, ცდებიან მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის თანამშრომლები, რომლებიც „შევარდენს“ წერის-ბურჟუაზიულ საზოგადოებად სახავენ. ეს ავტორები თავიანთი შეხედულებების საბუთად სამართლიანად იშველიებენ ოციანი წლების პარტიულ დოკუმენტებსა და პრესის მასალებს, იშველიებენ ისეთ დასკვნებს, როგორცაა:

„შევარდენი როგორც სულისკვეთებით, ისე შემადგენლობით, ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს... შევარდენის 97 პიროცენტი კონტრრევოლუციონურ პარტიების წევრებია, რომელთაგანაც ნახევარზე მეტი ცნობილია საგანგებო კომისიისათვის, როგორც არა კეთილ საქმიანობაში შენეწულნი“ („საპარტიკი“, 1922, № 13); „ვინ არ იცის, როგორ გადაიქცა „შევარდენი“ სპორტულ ორგანიზაციიდან პოლიტიკურ ორგანიზაციად, თუ როგორ გახდა ის ბრმა იარაღი მეშჩანურ და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებისა. ერთი სიტყვით, „შევარდენი“, „სოკოლში“ და „სკაულში“ ირყენებოდა ჩვენი ახალგაზრდობა, ირყენებოდა ის ნორჩი თაობა, რომელიც ყვაილია საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც იმე-

დია ბრწყინაველ მომავლის“ („საპარტიკი“, 1922, № 14).

ჩვენ გვახსოვს „შევარდენის“ ზოგიერთი ბელადების ბოღვა იმის შესახებ, რომ სპორტი წარმოადგენს პოლიტიკის გარეშე მდგომ ორგანიზაციის, ამით მათ უნდოდათ ნიღაბ ქვეშ ამოეფარებინათ „შევარდენის“ მოქმედების ნამდვილი სახე. ჩვენ აგრეთვე გვახსოვს ის წლები, როდესაც ამ „ბელადების“ ნება-სურვილით და წაქეზებით საქართველოს ახალგაზრდობა იტყრებოდა ერთად იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ“ („საბჭოთა ფიზკულტურა“, 1927, № 3, გვ. 1).

„შევარდენის“ საზოგადოება მთლიანად გამოხატავდა ქართულ სოციალ-შოფინიზმს, მას ახასიათებდა უღმობელი სარკაზმი და ზიზოის გრძნობა არაქართული ელემენტებისადმი, ის არ უშვებდა თავის ორგანიზაციაში არაქართველ ბავშვებს“ („სკოლა და ცხოვრება“, 1927, № 12, გვ. 11).

ასეთი დასკვნები ათასობითაა ოციანი წლების პრესაში და პარტიულ არქივში.

ზ. შერაზაღმეილი გვერდს უღლის ყოველივე ამას, არავითარ შეფასებას არ აძლევს მათ, და ერთის დავითად აცხადებს ამინსტიას, ამეუშვათ, რომ 20-იანი წლების დოკუმენტები, რომელსაც ეყრდნობიან თანამედროვე მკვლევარები, მცდარად აფასებენ „შევარდენის“ იდეურ მრწამსს, ამ შემთხვევაში ვინ უნდა შეიტანოს საკითხში სინათლე? ცხადია, ამის გავითება ყველაზე უკეთ შეუძლიათ თვით „შევარდენის“ ყოფილ წევრებს, რომლებიც პირადი საქმიანობით კარგად იცნობდნენ ამ საზოგადოების მუშაობის ყველა მხარეს. თუკი სამაშის მტკიცებანი გააჩნიათ, რატომ არ უნდა გამოვიდნენ ისინი საჩაროდ პრესის ფურცლებზე, და დაგვეხმარონ „მტყუანისა და მართლის“ დადგენაში? სამწუხაროდ, ისინი ამას არ აკეთებენ და მათი ეს დღემოი უკვე ორმოცდაათი წელია გრძელდება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლება ზემოთმითითებული შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა; თუკი სარეცენზიო წიგნი გულდასმით გაისინჯებოდა სპეციალისტების მიერ, სამწუხაროდ, გამომცემლობა „განათლებლის“ გვერდი აუარა ამ საქმეში ყველაზე კომპეტენტურ ისეთ რგოლს, როგორიცაა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ასეთი ტენდენცია სხვა გამომცემლობების მუშაობაშიც შეიმჩნევა. გამოდის წიგნი (ზოგჯერ დასანანი შეცდომებით) სპორტის ისტორიის საკითხებზე და ამ დარგის სპეციალისტები მხოლოდ მაშინ შედიან საქმის კურსში, როცა ფაქტიურად ყველაფერი მოთავებულა.

სიტყვის უბრუნებლობა

(კანსუნი ახს. ი. მანსურაძის)

ი. მანსურაძეს ჩემი რეპლიკა ქილიკობად მოსჩვენებია. „ეურნალ ექსპრესის“ შექვეყნებულ ნომრის ერთ-ერთი ავტორი ჩვენი სტატიის „სიტყვის გრძნობის“ გაცნობას მხიარულ გუნებზე დაუყენებიაო, — წერს იგი („თბილისი“, 31 VII. 1972), მხიარულ გუნებზე კი არ ღამაყენა, ძალიან გამაბრახა ხსენებულმა სტატიამ. ი. მანსურაძეს ეს ბრახი ვერ უგრძნია და ახლა უფრო ნათლად მოვახსენებ.

„სიტყვის გრძნობამ“ იმიტომ გამაბრახა, რომ იგი, ეს სტატია, ავტორის კეთილი სურვილის საწინააღმდეგოდ, ენის მკვლელია. ვთქვათ, ყველამ დაუჭერა ი. მანსურაძეს და აღარავინ იხმარა მის მიერ დაწუნებული სიტყვები (ის სიტყვები, რომელთაც მე ვიცავ). რა მოპყვება ამას? ენის დაზიანება თუ „სიტყვის გრძნობის“ გამახვილება? ანა გვიხორახს ი. მანსურაძემ, რატომ არის კრილი კუთხური სიტყვა და რა ჰქვია მას სალიტერატურო ენაში? რა ჰქვია და კრილი! მაშ, რატომღა არ უნდა ვიხმაროთ? თურმე, ი. მანსურაძეს არ ესმის მისი მნიშვნელობა და იმიტომ! ასეთ შემთხვევაში, პატ. ილია, უნდა გაიკეთებ-გამოიკეთებოთ, ლექსიკონებში ჩაიხედოთ, სიტყვის გაუქმება კი არ უნდა მოითხოვოთ. თუ ასე მოიქცევით, იმასაც გაიგებთ, რას ნიშნავს ნაჯაო, ლანჯაო და მრავალი სხვა თქვენგან მოძულეული სიტყვა.

სხვათა შორის, ამ სიტყვებს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ კი არა აქვთ მიწერილი ის ავადსახსენებელი „კუთხ“. მაგრამ ეს არ აწინებს ი. მანსურაძეს, იგი კვლავ (ჩემი რეპლიკის პასუხშიც) ებრძვის მათ.

მისგან ათვალუნებული სიტყვები როგორმე რომ დასამარო, ი. მანსურაძე მკითხველის მოტყუებასაც არ ერიდება. იგი წერს: ნაჯაო და ლანჯაო განმარტებით ლექსიკონში „მოხვდა როგორც კუთხურ სიტყვათა ნიმუშები (ეს მითითებულია კიდევ შემოკლებული სიტყვით — „კუთხ“) და არა სამწერლო ქართულის კუთხილება“. არა და არა! ამ სიტყვებს ლექსიკონში „კუთხ.“ არ უწერია. ი. მანსურაძე ცრუობს და თავისი სიცრუის დასამტკიცებლად აქვ. არნ. ჩიქობავასაც, კი იმორწმუნეს! მაგრამ არნ. ჩიქობავა სულ სხვას ამბობს:

„სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასპირდება მწერალს და იმიტომ არ ჩანს წიგნის მტყუებულებაში, მაგრამ საჭი-

როების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება (ხახს მე ვესვამ— ვ. პ.). „საპირობების შემთხვევათ“ რომ ვთქვათ, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის ვად-მოსაცემი სხვა სიტყვა სამწერლო ენაში არ გაგეაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფლად ადვილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს“. („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, 1, გვ. 009). სწორედ ასეთი სიტყვები გახლავთ ლანჯაო, ნაჯაო, ლანჯაო და მისთანანი; ამოღო ცდილობს მათს გაძევებას ი. მანსურაძე.

გავყვით ქვემოთ. აქვ. არნ. ჩიქობავა წერს: „ლექსიკონში არც თუ იშვიათია ისეთი სიტყვა, რომელსაც უწერია „კუთხ.“ (ი. ე. კუთხური), ეს მერწილ შემთხვევაში ლილია და კარქაპის რიგის მასალა და, მაშინა-დამე, ლექსიკური სარეზერვო ფონდისად ნავარაუდვეი. „კუთხური“ აქ უკანონოს, დამახინჯებულს, უკუხადებს არ ნიშნავს“. (იქვე, გვ. 010).

ეს ყველაფერი მიჩქმალა ი. მანსურაძემ და დაიმოწმა მომდევნო ფრაზა: „ლექსიკონში ისეთი „კუთხურიც“ შეგვხვდება, რომელიც სარეზერვო ფონდში ვერ შევა და რომლის ადგილიც მხოლოდ დიალექტურ ლექსიკონებშია“. აქ ი. მანსურაძემ წერტილი დასვა, თუმცა არნ. ჩიქობავას წერტილ-ამიმე უწერია და განაცხადებს: „ეს არალიტერატურული კუთხურია: მავალითად: აგი (ეს), ბაბუღა (პაპიღა), იკო (-ეყო)...“

ზედავთ, რა ყოფილა? თურმე, არსებობს არალიტერატურული და ლიტერატურული კუთხური. ი. მანსურაძე ვარაუდობს, ჩემი სტატიის ყველა მკითხველი ლექსიკონში არ ჩაიხედავს, სიცრუე ხახვივით შემარჩება, ვ. პაიკივე მტყუანი გამოვა და შე მართალიო. კი მაგრამ, პატ. ილია, ახირებული თავმოყვარეობის გულისთვის რატომ ვავწიროთ ენა და ჩვენი დიდი მეცნიერის აიტორიტეტი?! ვთქვათ, მე „პოეზიაში დიალექტური ლექსიკონ ხმარების დასაცავად“ მოიგრიშე „უგზის ხმას აყოლო ამჯროსანი“ ვარ, არნ. ჩიქობავას მინც რატომ არ დაუჭერეთ? ვთქვათ, არც იმას დაუჭერეთ, უყულმა რატომღა ვადმოციეთ მისი აზრი?

ჩემს რეპლიკას ერთი კარგი საქმე მაინც გაუყეთებია: ი. მანსურაძე ნებას გვაძლევს ვიხმაროთ (ოღონდ ხშირად არა) სიტყვები — ლანჯაო, სოხანე და ვასჯა. ისიც უნდა ვახარო



მკითხველს, რომ ავტორი გვირბნება: ამ სიტყვების „სემანტიკურ შეზღუდულობას... ცხოვრება მომავალში უთუოდ დაძლევეს“ და მერე რამდენჯერა გინდათ, იმდენჯერ იხმარეთო.

„რად გვინდა ისეთი ლექსები რომელთა სიტყვებს მხოლოდ ერთ კუთხეში გაიგებენ და სხვა კუთხეებში — ვერა“, — ჩივის ი. შაისურაძე და გულისხმობს სიტყვას **გამთენიანა**. ჯერ ერთი, რას ნიშნავს „ერთ კუთხეში“ და სხვა კუთხეებში? ნუთუ აღარ არის ღირ, თავი ვანებთო კუთხეების დაპირისპირებას და **საქართველოზე** ვილაპარაკებო? საქართველოში კი სად ვერ გაიგებენ ან ლექსის რომელი მკითხველი ვერ გაიგებს ტიციან ტაბიძის იმ სტრიქონებს, ჩემს რეპლიკაში რომ იყო ციტირებული? ანდა ვისთვის, პოეზიის და ენის რომელი ჰუმბრატი მოყვარულისთვის არის გავუგებარი ავტორი ჩვენს თვალწინ დაწერილი სტრიქონები:

გამთენიანას გაშლილ მინდვრებში შრილა შოთხვის დგას სურნელებად!

მეო, ამბობს ი. შაისურაძე, 50-ზე მეტი ფაქტი დგასახელები, ე. პოეტიკის კი „აშკარად კულთური (!!) 13 სიტყვა და უხეიროდ მიჩნეული“ (ვის მიერ, პატ. ილია?) ორი გამოთქმა ამოუღია ნიშნში და თავგამოდებით ამტკიცებს „მათს ღირსებასო“. მერედა, ცოტაა 13 სიტყვა? ვითომ, არ ღირს თავგამოდებულ 13 სიტყვას დატევა?! ეგვიც არ იყოს, ზემოთ ზომ ვანახებთ, რას ნიშნავს ეს „აშკარად კულთური“? ვის მოსატყუებლად (თუ შესაშინებლად) არის გამიზნული ეს მჭუხარე სიტყვები?

თუ „ხელალებით გავუღებთ კარს ზემოჩამოთვლილ დალაქტორშემებს, მაშინ რა დააშავებს ქართული ენის სხვა კილოებმა?“ — აღმოფოთებელია ი. შაისურაძე. აქ კვლავ გამოჩნდა ის მავნე აზრი, ჯერ კიდევ რომ უტრიალებს თავში ზოგიერთს. რომელი „სხვა კილოები“? ვინ მოიგონა „ეს კილო და სხვა კილო“? რატომ ეუბარისპირებთ ერთმანეთს ქართული ენის კილოებს? რატომ ვერაფერს ვაყვას ნათქვამი:

მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა. მოთაყვანე ვარ ყოვლისა იმათ ტკბილის და მწარისა!

ქართული ენის კილოებმა კი არ დააშავა რამე, დააშავა ი. შაისურაძემ, ერთმანეთს რომ უპირისპირებს ამ კილოებს და კრძალავს ყოველი მათგანის ხმარებას. „თუ ფშურს მიემართათო, — ამბობს იგი, — ისიც არ დაიშურებს კირჩხას, თანგიარას, გურჩას, კილოებს“. ფშური კი არ დაიშურებს, ი. შაისურაძეს შურს ეს სიტყვები სალიტერატურო ქართულისთვის. ვაყვას კი არ შურდა და კირჩხაც იხმარა, თანგიარაც, გურჩიც და კილონიც. ი. შაისურაძე რეცეპტს უწერს პოეტებს-მეთქი, ვამბობდი ჩემს რეპლიკაში. ჩემს სტა-

ტიაში არავითარი რეცეპტი არ არისო, ფეციკს ახლა „სიტყვის გრძნობის“ ავტორი... არ არის, პატ. ილია; აბა ვახსენებთ რას წერდით „თბილისში“ 21 მარტს: არ იხმაროთ უშველებელი, იხმარეთ ვაუშველებელი, არ იხმაროთ ლაფარი, იხმარეთ ორმოცობა, არ იხმაროთ ვასაკა, კრილი, არჩივი, სოსხანე, კაბელა, იხმარეთ ჭინჩხული, ციციანთელა, ცხრათელა მზე, გაფთრებული, გაწიწბებული, ცისარტყელა, არ იხმაროთ გულის ყინვილი, იხმარეთ გულის ძახილი ან გულისთქმამო... თუ მაინცდამაინც დაიფინებთ, არა, ეს რეცეპტი არ არისო, მაშინ მე ვთმობ და სხვანაირად ვიტყვი: თქვენ პროკრუსტეს სარეცელზე დააწვივით მხატვრული სიტყვა. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ არ მოგწონთ მხატვრული სახე — „დავალ, დავათრევ უშველებელ კრწანისის სევდას“ — მართალი ბრძანდებით: თქვენს „ესთეტიკურ გემოვნებას“ ათასჯერ ნახმარი ცხრათელა მზე უფრო შეეფერება.

იცოდეს ღმერთმა, ამდენის თქმასაც არ ვაპირებდი, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც მინდა აღვნიშნო, თუ როგორ გრძნობს სიტყვას „სიტყვის გრძნობის“ ავტორი. ჩემი რეპლიკის სათაურმა — „თქვეთვის, პოეტებო!“ — ი. შაისურაძეს, თურმე, აღვირებინა, იგი „გამიზნულია პოეტების ვასართობად, მათი თავმოყვარეობის დასაშოშინებლადო“. ხომ კარგად მიუგნია, ა? მაგრამ სიტყვის გრძნობა უკეთესად 21 მარტის სტატიაში. აბა ვნახათ:

„**ლექსიკურ განმთხცავში**“, „ხშირად უტყვამო“, „**კეთილშობილურ** თვალთა და ლითონთა“, „სიტყვას... აკისრებენ პოეტურ მისიას“, „სინამდვილეს დაშორებული იგრ-ფერება“, „**იმ მიზნით** გვთავაზობენ, რათა...“, „გზას იკავებს ირბიბი... წარმოსახვა“, „უსწორო შეტყველებისაკენ **ლტოლვა** იმდენად **მომარადელად** და გაძლიერდა... რომ ამ **ფონზე** შეიქმნა...“, „ერთფეროვნული... ტონის ვაბატონებას“ (ნახს მე ვუსვამ — ე. ვ.). რა ჰქვია ამას: სიტყვის გრძნობა თუ სიტყვის უგრძნობობა? ეს მკითხველმა განსაჯოს, მე კი ასეთი კითხვები ამეკვიპატა: აქვს თუ არა უფლება (მორალური უფლება) ზემოთ ციტირებული ფრაზების ავტორს, მენტორის ტონით ქადაგებდეს: „მწერალმა უნდა განიამბვილოს სიტყვის გრძნობა“? აქვს თუ არა უფლება ი. შაისურაძეს, ბრტყელბრტყელი ფრაზებით უსაყვედუროს მწერლებს, „ზავშეზობისას ვაგონილი (sic!) დალაქტორში“ შემოგაქვთ მწერლობაში და ამ „მეიფოეთობას“ თავი დანებეთო? ბოლოს, აქვს თუ არა უფლება (იურიდიული უფლება) ი. შაისურაძეს, მოატყუოს მკითხველი და დაამაზინჯოს დიდი მეცნიერის აზრი სალიტერატურო ენისა და კილოების ურთიერთობის თაობაზე? ესეც მკითხველმა განსაჯოს!

ზახანა პაიკიძე.

სსრკ-ის პარტიის პროგრესი

ახსტრალია

მორის უესტის
„ზაფხული წითელი
მგლისა“

ახლანან გამოვიდა ინგლისში მცხოვრები ცნობილი ავსტრალიელი მწერლის მორის უესტის რომანი — „ზაფხული წითელი მგლისა“. უესტს საბჭოთა მკითხველი იცნობს ურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურის“ (№ 6, 1966 წ.) ფურცლებზე გამოქვეყნებული რომანით „დრეი“.

ნაწარმოებში, „ზაფხული წითელი მგლისა“, მწერალმა მიმართა თავისი შემოქმედებისათვის უჩვეულო, მაგრამ თანამედროვე დასავლური ლიტერატურისათვის ფრიად ნიშნულ თემას — ადამიანის მიბრუნებას ბუნებასთან, პირველყოფილებასთან და მოგვიანებით დღევანდელი ინტელიგენტის მიდრეკილებაზე — კვლავ შეიცნოს ყოფის ბუნებრივი - ჰარმონია. თავის შემოქმედებაში ასე მოულოდნელ შემობრუნებას რომ ახასიათებდა, მწერალმა გამოიყენა მოუთხრო: არც თუ ისე დიდ ხნის წინათ მე ვიმოგზაურე ჩემს „ეკლტურ წარსულში“ და დავკარგე საკუთარი თავის რწმენა, რადგან ჩემთვის ყველაფერი გაუცხოებული სინამდვილე იყო.

ბულგარეთი

ალმანახ „დრუშბას“
პირველი ნომერი

ყოველკვირეული „ლიტერატურენ ფრონტი“ იუწყება, რომ გამოვიდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ - მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღმანახი „დრუშბა“.

აღმანახი გამოდის რუსულ და ბულგარულ ენებზე. იგი გამოაქვეყნებს საბჭოთა და ბულგარელი ავტორების ახალ ნაწარმოებებს.

პირველ ნომერში ქვეყნდება ნაწევრები უკრაინელი მწერლის მ. სტელმახის ახალი რომანიდან, ი. კიჩაკოვის ახალი ნაწარმოები — „ბრმა ფრინველი“, გიორგი დიმიტროვის პირადი მღვინის პ. იგნატოვის მოგონებები — „ბული ყველასათვის“, აგრეთვე საბჭოთა და ბულგარელი პოეტებისა და მწერლების სხვა ნაწარმოებები.

აღმანახში ვრცლადა წარმოდგენილი პუბლიცისტკა.

ეგვიპტე

ნაზიბ მავრუჰის
„სარკაზმი“

არაბული პრესის ცნობით ეგვიპტეში ცალკე წიგნად გამოვიდა ნაზიბ მავ-

რუჰის ახალი რომანი „სარკაზმი“, პრესა ხაზგასმით აღნიშნავს რომანის ნოვატორულ ხასიათს. ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის მხატვრული გამოწავლანი და ცხოვრებისეული ამბები ნ. მავრუჰის ბიოგრაფიიდან.

ერაყი

ქეზლი ზიგლიოთეის
დავბარსკემალს

ურნალი „ალ-მაკტაბი“ იუწყება, რომ „წიგნის საერთაშორისო წელთან“ დაკავშირებით ბაღდადში დაიდგმება ძეგლი, ახლო აღმოსავლეთში და შესაძლოა მთელ მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის დამაარსებლის, ასირიელი მეფის — ასურბანიპალისა. გამოუშვებენ აგრეთვე საფოსტო მარკებს უძველესი ლუსიმული წარწერებით.

ლიბანი

ახალი შურნალი

ბეირუთში გამოსვლა დაიწყო ყოველთვიურმა შურნალმა „არ-რაინმა (აზრი), რომელიც კულტურის საკითხებს ეძღვნება შურნალის ფურცლებზე ქვეყნდება არაბი მწერლების, პოეტების, კრიტიკოსებისა და კულტურის მოღვაწეთა წერილები და ნაწარმოებები.

ახალი შურნალის მთავარ-

მა რედაქტორმა განაცხადა, რომ „არ-რინი“ მკითხველს გააცნობს როგორც არაბეთის, ისე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხატვრულ თუ კრიტიკულ ნაწარმოებებს. აგრეთვე დასავლეთის პროგრესულ ლიტერატურას.

მაროკო

„სიმღერა ჭარხვალზე“
არაბულად

მაროკოელ მწერალთა
ორგანომ — უურნალმა

„ალ-აფაჟმა“ (ჰორიზონტები) გამოაქვეყნა მ. გორკის „სიმღერა ქარიშხალზე“. ნაწარმოები არაბულად, თარგმნა მწერალმა და კრიტიკოსმა მუჰამედ ბარადიმ.

საბერძნეთი

ნიკიფოროს ვრეზაკოსის
სამტომეული

უკანასკნელ წლებში საბერძნეთის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მოვლენათაგანია ცნობილი ბერძენი

პოეტის — ნიკიფოროს ვრეტაკოსის სამტომეულის გამოცემა. პირველ მუხტომეულში შესულია 1967 წლის გადატრიალებამდე დაწერილი ლექსები, რომელთა უმეტესობა ადრე იყო გამოქვეყნებული. მესამე ტომი გადატრიალების შემდეგ დაწერილ ლექსებს მოიცავს. მოსალოდნელია ვრეტაკოსის ნაწარმოებთა IV ტომის გამოცემა, აქ დღემდე გამოუქვეყნებელი მ პროზაული ნაწარმოები შევა.



ფარეკანის II გვ-ზე ნახ. დ. ერისთავის.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჭ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენაროვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-88.

გადაეცა ასაწყობად 8/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-72 წ. ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა 2061. უე 01981. ტირაჟი 29750.

საქ. კპ ცკ-ის გამოქვეყნების სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

8 49/138



3360 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236